

1970
2013

13
საქართველო
იუსტიციის
მინისტრი

სახის
იუბილი

NEW

სუბტი



№4 აგვისტო 2013 ნოტ
ფული 2 ლარი

საქართველოს ერ
კონსტიტუციის
უკინებელობა

ნოტის ავტორები
ნიკა ჯოლოვალი & სარგეი ჭალაძე

კრიზისი

ზურაბ ერუაშვილი
მაკა მიქელაშვილი
კობა შხავაძე

პოლიტიკა

გაგა ნახებრიშვილი
მარიამ წილაური
ეკა ევანიშვილი
კოკა არჩვაპი
ნატო ინგოროვა
ნათია ჩხატიანი
ზურა კაკიაშვილი
რაფი ქართველიშვილი

კრიტიკა

ლელა ქოდალაშვილი
დავით აღმარიშვილი
ნეგზარ ზაზანაშვილი
სოფო ნელავა

ახალი თარგმანები
მარი რუფლი

კინემატოგრაფი

დავით ჩიხლაძე
ნეგზარ მაზაშვილი

ნომრის ავტორები

ნიკა ჯორჯანელი

ნიკა ჯორჯანელი: „ხელოვნების ადგილი იქაა, სადაც არასრულყოილებაა“
(მოამზადა ეკა ქევანიშვილმა) 5

ნუგზარ ზაზანაშვილი – ტრადიციაც და ნოვაციაც 10

ნიკა ჯორჯანელი – ლექსები 13, 16-22, 24

სოფო წულაძა – იაფასიან დროში მოხვედრილი პოეტის შესახებ 23

სერგეი ჭადანი

ნალვლიანი ეპოქის მარილი (შოთა იათაშვილის დიალოგი სერგეი ჟადანთან) 25
სერგეი ჟადანი – ლექსები

(თარგმანი ზვიად რატიანის და შალვა ბაკურაძის) 28-33, 41

ელენა ფანაილოვა – ჟადანი როგორც ეროვნული გმირი

(თარგმანი თამარ კოტრიკვაძის) 34

სერგეი ჟადანი – ხარკოვის „დინამო“ (თარგმანი თამარ კოტრიკვაძის) 35

სიყვარული დეფოლტეს ეპოქაში (თარგმანი თამარ კოტრიკვაძის) 42

პროზა

ზურაბ ქარუმიძე – ბაში-აჩუკი ანუ მობი-დიკი 45

კობა ცხაკაძა – ციკლიდან „ნეკა თითის მოთხრობები“ 61

მაკა მიქელაძე – იძულებით ალაგგულნაცვალნი 63



პოეზია

- გაგა ნახუცრიშვილი 66
- კოკა არჩვაძე 67
- მარიამ წიკლაური 68
- ეკა ქევანიშვილი 69
- ნათია ჩხეტიანი 70
- ნატო ინგოროვა 71
- ზურა პაპიაშვილი 72
- რატი ქართველიშვილი 73

კრიტიკა

- ლელა კოდალაშვილი – ვესაუბრები ზაზა თვარაძეს 75
- დავით ანდრიაძე – პოეზიის ნეკროლოგი ანუ „რად უწოდებენ საქართველოს მგოსანთა მხარეს“ 79
- ეკა ქევანიშვილი – ჩემ ბეჭნიერ ჩაიკაზე 85

ახალი თარგმანები

- მერი რუფლი – ლექსები
(ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიამ) 89

თეატრი / კინო

- დავით ჩიხლაძე – „რა ლამაზია“ და სასაცილო ბურჟუაზია 97
- ნუგზარ მუზაშვილი – პარასკევიდან ორშაბათამდე 101

გამომცემლობა – „საუნჯე“

მის.: ალ. ყაზბეგის 32/34

ტელ.: 2141214, 2395587, 2397188

Skype: saunje-saunje

ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com

Facebook: გამომცემლობა საუნჯე/Saunje publishing http://www.facebook.com/saunjee

ელ-ფოსტა: axalisaunje@yahoo.com

მთავარი რედაქტორი:
შოთა იათაშვილი

გამომცემელი:
ვაჟა მონკოლაური

რედაქტორი-სტილისტი
კატო პავახიშვილი

დიზაინი:
თეა აკობია

დაკაბადონება:
ნიკა ხვედელიძე


სარედაქციო კოლეგია:
დავით ანდრიაძე
გია ეძვერაძე
დათო ფურავილი
ეკა ქევანიშვილი
ზაზა ჭავიძეგვილი
დავით ჩიხლაძე
გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ:
ნიკა ჯორჯავალი
ეკა ქევანიშვილი
ნუგზარ ზაზანაშვილი
სოფო ცელაია
ზვიად რაფიანი
გვლვა გაურაძე
თაგარ კოტრიაძე
ზურაბ ჩარუშიძე
კონა ცხაკაია
ესე მიქელაძე
გაგა ნახუცრიშვილი
კონა არჩვაძე
მარიამ წიკლაური
ნათია ჩხეტიანი
ნატო ინგოროვა
ზურა პაპიაშვილი
რატი ქართველიშვილი
ლელა კოდალაშვილი
დავით ანდრიაძე
დალილა გოგია
დავით ჩიხლაძე
ნუგზარ მუზაშვილი

January 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31
February 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28


Յոթին աշխարհու

1



ნიკა ჯორჯანელი:

„ხელოვნების ადგილი იქაა, სადაც არასრულყოფილია“



ეკა ქევანიშვილი

ერთხელ ნიკა ჯორჯანელმა არა ამ, არამედ სხვა ინტერ-ვიუში თქვა, რომ „პოეზია პერმანენტული საპროტესტო აქციაა“. ეს დღეები სულ ვფიქრობ ამ სიტყვებზე და რაც მეტს ვფიქრობ, მით უფრო მეტად ვეთანხმები. უფრო მეტიც, მაქვს შეგრძნება, რომ მან პოეზიას საუკეთესო განმარტება მოუგონა.

ამ წერილის მომზადებისას ნიკაზე, როგორც პოეტსა და მთარგმნელზე, აზრი მის თანამედროვე რამდენიმე მწერალს და ლიტერატურის ერიტიკოსსაც ვკითხე, მაინტერესებდა, სხვები როგორ ხედავენ მას, მერე ყველას ნათქვამი საერთო აზრი რომ შევაჯერე, ორიოდე წლის წინ ლიტერატურის კრიტიკოსის მალხაზ ხარბეგიას წერილს გადავაწყდი, რომელიც ნიკა ჯორჯანელის მესამე კრებულის – „სიმღერები დაწყვეტილი სიმებისათვის“ – შესახებ დაინწრა და ვფიქრობ, მის საუკეთესო დახასიათებას წავაწყდი... ამით დავიწყებ კიდეც:

„ცხოვრების წესით იგი ნამდვილი კლასიკური პოეტია. სამაგიეროდ, მისი ლექსი ძალზე თანამედროვეა. ნიკა თითქმის უმუშევარია. არც სადმე რედაქტორობს, არც რაიმეს ხელმძღვანელობს, არც ვინმეს ქვეშვრდომობს, არც ბლოგებს წერს, არც ფეისბუქზე აქტიურობს, არც სიტყვით გამოდის ხოლმე და არც თავის პოეზიას აპიარებს – არ ადარდებს რამდენჯერ დაალაიქებენ მის ლექსებს, არც ის ადარდებს, რამდენი წაიკითხავს მის ნაწერს... თუმცა ამან შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. არავინ იფიქროს, რომ ნიკა ჯორჯანელი ერთი დაუდევარი პოეტია, ვისაც უპატრონოდ მიუყრია თავისი ლექსები და აღმა-დალმა დადის. არა, ნიკა ჯორჯანელისნაირი დისციპლინებული პოეტი მეორე არ მეგულება დღვევანდელ საქართველოში, იგი უკიდურესობამდე ზუსტია ხოლმე, ზედმეტად აკურატული და მეც, ამ შემთხვევაში რედაქტორს, არაერთხელ მიგრძნია ეს. ყოფილა შემთხვევა, რომ ერთი მძიმის ჩასწორების გამო

სამჯერ დაურევავს, კორექტურული შეცდომა ხომ საერთოდ წარმოუდგენელია მის თვალს გამოეპაროს... ნიკა ყოველთვის ფორმაშია, იგი არასდროს დუნდება და სწორედ ამიტომ ყველაზე სანდოცაა. წერს საქმაოდ ცოტას, ერთი სიტყვით, თანამედროვე ქართული ლექსის საყრდენი ნახევარმცველია“, – წერს მალხაზ ხარბეგია.

მანამდე იყო ვახუშტი კოტეტიშვილის შეფასებაც, რომელიც უძლვის კიდეც ნიკა ჯორჯანელის პირველ პოეტურ კრებულს სახელწოდებით „განცდა ხავერდისაგან“: „პირველი, რაც თვალში მეცა ამ ლექსებთან შეხებისას, იყო სიახლის განცდა. ეს ლექსები უკიდურესი ექსპრესიით, პოეტური აზროვნების სილრმითა და ორიგინალობით, ნამდვილად გამოარჩევს მათ ავტორს არა მხოლოდ თავის თანამედროვეთა შორის, არამედ, საერთოდ, ქართულ პოეზიაში“.

შემდეგ იყო მეორე კრებული, „სუნთქვა ხუთვისას“ – ამ დროს ქართულ ლიტერატურულ სივრცეში (და არა მხოლოდ) ნიკა ჯორჯანელის პოეზიას უკვე კარგად იცნობენ. ამ კრებულში 2004-2008 წლებში დაწერილი ლექსებია თავმოყრილი. 2008-ში იგი საერთაშორისო პრემიის „სოდრუჟესტვო დებიუტოვ“ლაურეატი ხდება.

მესამე, ჯერჯერობით ბოლო, კრებული კი – „სიმღერები დაწყვეტილი სიმებისათვის“ – 2011 წელს გამოვიდა და ამ კრებულის შესახებ ისევ მალხაზ ხარბეგია წერს, რომ ეს 21-ე საუკუნეში გამოცემული ერთ-ერთი გამორჩეული ლექსების ციკლია: „თემატურადაც ძალზე ძლიერი, მკვეთრი სათქმელითა და მიზან-



მიმართულებით. თუკი პირველ კრებულში ბევრი ე.ნ. პოეტური საგარეჯიში და ეტიუდები შეიძლება შეგხვდეთ, აյ წიგნი სრულყოფილ მთლიანობად გამოიყურება, სადაც მომწიფებულ პოეტს ეხედავთ თავისი სიმძაფრით, ტრაგიზმითა და ორონიულობით. მისი ლექსი უკვე ჩამოყალიბებულია და ფორმალური ძიებები აღარაა თვალშისაცემი, არამედ იგი უკვე ნამდვილ პოეზიად იქცევა“. მე მგონი, ისეთი სიტყვებია, რომლის გამეორებაც აქაც ლირს.

ნიკა ჯორჯანელი 34 წლისაა.

1978 წლის 10 ოქტომბერს დაიბადა.

რა ხდებოდა 11,12 და 13 ოქტომბერს გიორგი ჯორჯანელის ოჯახში, ალბათ, ადვილი წარმოსადგენია. ამაზე არ შევჩერდები, უფრო საინტერესო ამბები მერე იწყება, როცა ნიკა ჯორჯანელი ხუთი წლის გახდა. მისმა მეგობრებმა იციან, ამ ამბავს ხშირად ყვება, მაგრამ უფრო ბევრს ალბათ ვერც კი წარმოუდგენია, რით ერთობოდა (ერთობოდა ვთომ სწორი სიტყვა? მეეჭვება, მაგრამ უკეთესი ვერ მოვიფიქრე) 5 წლის ნიკა. პირველივე მარტივი პასუხი იქნება, რომ ხატავდა, ან მაშინვე ლექსებს თხზავდა, ან... მანქანებით თამაშობდა. ცოტ-ცოტა იქნებ ესეც იყო, მაგრამ სწორი პასუხი სულ სხვაა. ნიკა იდგა და მთელი მონდომებით და თავგანწირვით დირიჟორობდა! დირიჟორის ჯოხი ხან ფანქარი იყო, ხან ისე ჯოხი. მუსიკა იყო სულ და მუსიკა იყო დიდი დოზით. იმიტომაც, რომ მამას უყვარდა და მათ სახლში გამუდმებით ისმოდა კლასიკური მუსიკა. ხოლო თუ არ ისმოდა, ნიკა ფირსაკრავს რთავდა და იწყებოდა ხუთი წლის ბიჭის სრულიად გასაოცარი წარმოდგენა, რომელიც გრძელდებოდა სამი, ოთხი, ხუთი საათიც...

„მახსოვს, როგორ ვდირიჟორობდი რიმ-სკი-კორსაკოვის „შეჰერაზადას“. დირიჟორობა ჩემთვის მაშინათვე არ გულისხმობდა მხოლოდ ხელების ქნევას. ზედმინერვით ვიცოდი, როდის რა საკრავების პარტია შემოდიოდა, სად უფრო მეტად უნდა გამექნ-გამომექნია ხელი, სად ნაკლებად. არტისტიზმიც იყო ამაში... ბოლოს, როცა ამან სისტემური ხასიათი მიიღო, ენის ბორძივი დამჩერდა. ლამის ვერცერთ სიტყვას ვეღარ წარმოვთქვამდი და ჩემმა მშობლებმა, ძალიან რომ უხაროდათ თავიდან ჩემი დირიჟორობის ამბავი, სასწრაფოდ ნევროპათოლოგთან გამაქანეს...“

ექმმა გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ დაემაღათ ნიკასთვის ფირსაკრავი!

და ფირსაკრავი სახლიდან გაქრა... ნიკამ კი ისევ დაიწყო ჩვეულებრივად ლაპარაკი.

მერე მოვიდა ხატვის სიყვარული. ხატავდა ბევრს და სხვადასხვა თემაზე. ახსოვს, როგორ დახატა ერთხელ ფიროსმანის პორტრეტი. როდესაც ნიკას მამა გიორგი ჯორჯანელი გარდაიცვალა (ნიკა მაშინ 8 წლისა იყო), დედამ საბავშვი ბიბლია უყიდა ნიკას. მის ნახატებში კი შესაბამისი სამყარო გაჩნდა.

და ასე, ჯერ დირიჟორის ჯოხით, შემდეგ კი ფუნჯით და საღებავებით ნიკა ჯორჯანელი სიტყვებს მიადგა.

და თუ დღეს მის სახელს და გვარს საძიებო სისტემაში ჩაწერთ, ამოგიგდებთ: ნიკა ჯორჯანელი, პოეტი, მთარგმნელი.

მე კი მაინც გადავამოწმე.

„კი, ეგ ვარ, აბა ვინ? ისეთი კითხვაა, უცებ რომ მკითხო: ადამიანი ხარ? – შემოგიბრუნებ და გეტყვი: აბა, არ ვარ ადამიანი? თუმცა მთარგმნელზე შესაძლოა დავფიქრდე, რამდენად ვარ, რადგან ძალიან ცოტა რამ მითარგმნია, თუკი იმ სიხშირეს გავითვალისწინებთ, რა სიხშირითაც ტიპობრივი მთარგმნელი უნდა მისდევდეს ამ საქმეს. ჩემი თარგმანების ცალკე კრებულიც არ გამოსულა. ასე რომ, ვიტყოდი, რომ გამორჩევითი მთარგმნელი ვარ“.

„გამორჩევითი მთარგმნელი“ იმაზეც წუხს, რომ პოეზიას თუ რამე ნაკლი გააჩნია, ისაა, რომ არ ითარგმნება. ეს ნაკლებად ეხება დიდი ენების პოეზიას, მას ზღვა მკითხველი ჰყავს:

„ჩემი მკითხველი კი ფაქტობრივად არ არსებობს. საქართველოში თითქმის არავინ კითხულობს პოეზიას. რაც



შექება თარგმნას, აქაც არსებობს სპეციფიკური რისკები. მოკლედ რომ ვთქვათ, უთარგმნელობა, ვერთარგმნა... სწორედ ეს არის პოეზიის ჯვარი".

ერთხელ ნიკა გერმანულის მასნავლებელიც იყო. და ეს ერთხელ ცხრა წლის განმავლობაში გაგრძელდა. ეს იყო ეტაპი, რომელიც კარგად ახსენდება, რადგან მისივე სიტყვებით თუ ვიტყვი, თითქმის იმდენივე რაღაც მიიღო სწავლებით, რამდენიც სწავლით. მანამდე კი იყო დასავლეთეროპული ენების ფაკულტეტი, უნივერსიტეტი, არც ისე ნიკას არჩევანი, მაგრამ ცოტა ოჯახის აზრისთვის ანგარიშის გაწევა, ცოტა ის, რომ მამამისი ცნობილი ლიტერატორი, გერმანისტი გიორგი ჯორჯანელი (გოეთეს „ფაუსტის“ მთარგმნელი) იყო და რომ მისი შვილიც მამის კვალს უნდა გაცყოლოდა...

უნივერსიტეტის პერიოდში ნიკა უკვე აქტიურად წერდა, და იყო დღეები, როცა წერის სურვილი ფარავდა ყველაფერს, მათ შორის მეორე დღეს ჩასაბარებელ გამოცდასაც. ამის გამო არაერთხელ გადაუდია გამოცდების ჩაბარების დღეები: „მაშინ წიგნზე არ ვფიქრობდი, მაგრამ მქონდა შეგრძნება, რომ ეს უნდა დაიწეროს, და უნდა დაიწეროს დღეს. და ეს ერთგვარ თავგანნირვას ჰგავდა".

ვეკითხები, როდის დაიწყო ის, რაც დაიწყო, და ათვლის წერტილი 1995 წელია. ეს ის დროა, როცა ნიკა უკვე „სერიოზულად მუშაობს“. ნიკა დედის დაკვირვების ობიექტია, დედამ ქართული კარგად არ იცის, რადგან ეროვნებით რუსია და ვერ „ამონტებს“, რას წერს მისი შვილი. მაგრამ ინტერესი, რას წერდა ნიკა, ნელ-ნელა სულ უფრო იზრდებოდა და ერთ დღეს, სწორედ დედის ინიციატივით, ნიკა ჯორჯანელი მწერლის, კრიტიკოსის, გამომცემლობა „მერანის“ მთვარი რედაქტორის, დავით მჭედლურის კაბინეტში აღმოჩნდა.

რამდენიმე წელის განმავლობაში იყო სრული სიჩუმე. მჭედლური ნიკას ლექსებს კითხულობდა. „და მან ბოლოს თქვა ისეთი რაღაც“, – იხსენებს ნიკა, – „რომ დედაჩემი მიხვდა: მისი შვილი ქალალდს ტყუილად არ აფუჭებდა“.

ამის მერც სულ წერდა, წერდა... სანამ ერთ დღეს ვახუშტი კოტეტიშვილი არ გაიცნო. პირველად წიგნის იდეაც მაშინ გაჩნდა. ვახუშტიმ უთხრა, რომ წინასიტყვაობასაც სიმოვნებით დაწერდა მისი წიგნისთვის. დამეგობრდნენ, ამ მეგობრობის დაწყებიდან ვახუშტი მაღლ წავიდა, ნიკას პირველ წიგნს კი მართლაც დარჩა მისი წინასიტყვაობა.

არ არის პატარა ამბავი.

თავიდან, როგორც ყველასთან, მასთანაც შეიმჩნეოდა ლიტერატურული გავლენა. ნიკა იხსენებს, რომ ძალიან უყვარდა ტერენტი გრანელის პოეზია. ერთი პერიოდი მართლა გრანელვით ვწერდიო. მაგრამ ნელ-ნელა, ნიკას სიტყვებითვე რომ ვთქვა, გამოიკვეთა მისი „პოეზიის ნაკვთები“: „მე მგონია, რომ როგორც ყველა ადამიანი ჰგავს

ერთმანეთს, ასევე ჰგვანან ერთმანეთს მწერლები, რადგან ერთი და იმავე ინსტრუმენტით სარგებლობენ – ენით. და ხიბლი სწორედ იმაშია, რითაც იმ სხვას არ ემსავავსები, – ნაკვთებში, რომლებითაც ადამიანები ერთმანეთისგან განვსხვავდებით“.

გავლენები იქით იყოს და რაც შექება ნიკა ჯორჯანელისათვის გამორჩეულ ავტორებს, პირველი, ვისაც ასახელებს, ბოლერია, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „საკვანძო ავტორი“. ასევე არა აქვს წაკითხული ორიგინალში, თუმცა ეს ვერც ესპანელი პოეტის ანტონიო მაჩადოს სიყვარულში უძლის ხელს. ამერიკელებიდან ედგარ პო უყვარს: „მიმაჩნია, რომ ერთ-ერთი ყველაზე უფრო გასამცარი ავტორი საერთოდ ლიტერატურაში, რადგან XIX საუკუნის მეორე წახევრის მთელი ევროპული ლიტერატურის სულისკვეთება განსაზღვრა, ეს სიმბოლიზმები და ა. შ... თავად ევროპას ცოტა ვინმე თუ ჰყავს მისი ბადალი ასეთი მძლავრი გავლენის მოხდენის თვალსაზრისით. კიდევ ანტიკური ავტორები მიყვარს, რომლებმაც საერთოდ განსაზღვრეს ლიტერატურის რაობა... და, რა თქმა უნდა, არგენტინელი ბორხესი. მეოცე საუკუნის პროზაიკოსებს შორის მე ის ალბათ ყველას მირჩევნია, მათ შორის თომას მანს, ფრანც კაფუას, უილიამ ფოლკნერს. პორჩესმა ჩემზე ვეებერთელა გავლენა მოახდინა. უმისოდ ჩემი შემოქმედება აშკარად სხვა იქნებოდა“.

რა არის ის, რაც ნიკა ჯორჯანელს ყველაზე მეტად იზიდავს ლიტერატურაში?

ხანმოკლე პაუზის შემდეგ მეტყველება: „ეს არის მასშტაბები ტკივილის გადმოცემაში“. და რაც უფრო დიდია ეს მასშტაბები, მით უფრო ძვირფასია ნიკასთვის ასეთი ლიტერატურა.

მას შეუძლია წეროს აბსოლუტურ სიჩუმეშიც და ხმაურშიც.

ხმაურში კითხვა უფრო მიჭირს, ვიდრე წერა, ამბობს. მთავარია ვინმე ზედმეტად არ უკირკიტებდეს, და წერას გააგრძელებს: „შესაძლოა არაფერო ხდებოდეს კონკრეტული, რაზეც დაწერდი, მაგრამ მწერალი იმის მწერალია, რომ მასში მუდმივად რაღაც ხდება. ეს, რაც შემშია, და ის, რაც გარე სამყაროდან მოდის, ერთმანეთს ედება და ჩნდება ნაპერნეალი. ასე იწერება მხატვრული ნაწარმოები“. 7

ერთადერთი მიზეზი და ყველაზე დიდი საცდური, რატომაც შეიძლებოდა გასჩენოდა სურვილი, სხვა ქვეყანაში დაბადებულიყო პოეტად, შესაძლოა ყოფილიყო ინგლისურენოვანი ავტორობა, როგორც საუკეთესო შესაძლებლობა, მის პოეზიას უფრო მეტი მკითხველი ჰყოლოდა. სხვა ცდურებები, როგორც ნიკა ფიქრობს, არ არსებობს. ქართული ენა მისი „ერთადერთი შეყვარებულია, რომელიც არასოდეს უღალატებს“:

„ეს არის ენა, რომელზეც შეიძლება ნების-მიერი აზრის სწორედ ისე გამოთქმა, როგორც გინდა. ეს ენა გაძლევს აბსოლუტურ თავისუფლებას, თუ, ცხადია, მას სათანადო ფლობ“.

რაც ლიტერატურაში უყვარს, გავიგეთ. ის რაღაა, რაც არ უყვარს? აქაც მოკლე და კონკრეტული პასუხია – როდესაც ლიტერატურა განონასწორებული არ არის. როდესაც შეგნით, ნაკეთობაში, არის დისბალანსი.

„ვფიქრობ, რომ მწერლის მთავარი დანიშნულებაა არა იმდენად იმის ცოდნა, თუ რა დაწეროს, არამედ იმის მიხვედრა და შეგრძნობა, თუ რა არ უნდა გამოვიდეს მისი კალმიდან. მაშინ არის ის კარგი მწერალი, ნამდვილი მწერალი. ჩემი აზრით, კარგმა მწერალმა არ უნდა დაწეროს ისეთი რამ, რაც ადამიანს უიმედობას მოჰყვრის, რაღაც მაღლის რწმენას დააკარგვინებს... ლიტერატურამ არ უნდა დაგანგრიოს, ცუდად არ უნდა შეგცვალოს. თუმცა ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ არ წერო საშინელებაზე“.

ნიკა ჯორჯანელი არ მიეკუთვნება ცხელ გულზე მწერალ ლიტერატორებს.

მას არ უყვარს ეპატაჟი, არ უყვარს, როდესაც ტექსტებს წერ იმიტომ, რომ მაშინვე, დაწერისთანავე მიიქციო ამა და ამ კონკრეტული აუდიტორიის ყურადღება. ასეთი ცხელი გული, ნიკა ჯორჯანელის აზრით, ძალიან მაღლე ცივდება. „თითქოს იმიტომაც დღეს ცდილობენ ისარგებლონ სხვების გულების სიცხელით, რომ ხვალ ის უკვე არ იქნება. დღეს უნდა მოასწორონ“. მისი აზრით, ასეთი ტექსტები კარგი ავტორებით ვერ დაიკვეხიან.

პოეზიამ, როგორც „მუდმივმა საპროტექსტო აქციამ“ გამახსენა... სად დგას ხოლმე

ჯორჯანელი, როდესაც ყველა ხმაურობს? ნიკას მყარად აქვს ჩამოყალიბებული ის აზრი, რომ მწერალი უნდა ჩნდებოდეს მაშინ, როცა რაღაც ზღვრული სიტუაცია იქმნება. როდესაც ვიღაცას აშკარად ჩაგრავენ, როცა უსამართლობა ყვირის. მაგრამ ეს არ უნდა იყოს ისეთი პროტესტი, როგორსაც დღეს საქართველოში ხშირად გამოხატავენ; ამგვარი პროტესტი, ნიკა ჯორჯანელის აზრით, ხშირად თავის ნარმოჩენას უფრო ემსახურება.

„პროტესტს მაშინ აქვს აზრი, როცა უმეტესობა ვერ გააპროტესტებს და შენ აკეთებ ამას. უმეტესობა რატომ არ აპროტესტებს? იმიტომ, რომ ეშინია. აი მაშინ უნდა ჩაერიო, და არა იმ დროს, როცა საზოგადოებრივად აქტიურ ტიპად ნარმოჩენისათვის ხელსაყრელი პირობებია შექმნილი“.

არის კი რამე ისეთი, რასაც თავად შინაგანად მუდმივად აპროტესტებს? არის – ყველაფრის ხარჯზე მატერიალური კეთილდღეობისეკნ სწრაფვას:

„ადამიანებს აკინწყდებათ ის მთავარი, რისთვისაც ეს მატერიალური კეთილდღეობაა საჭირო. და ბოლოს და ბოლოს ხდება ისე, როგორც იმ ზღაპარშია – „ოქროს ანტილოპაში“: ადამიანი ფულთან ერთი ერთზე რჩება და მერე მას ეს ფული ახრჩობს“.

ნიკა ჯორჯანელი არ იციკლება საყოველთაოდ აღიარებულ რამებზე. მისი მეგობრებიც ადასტურებენ და თავადაც ამბობს, რომ აქვს ძალიან მყარი გემოვნება და სხვა-დასხვა თემებზე აბსოლუტურად შეურყევი მოსაზრებები, რომლებიც შეგადაშიგ, ძალიან შეუჩინევლად, ზედაპირულად თუ შალაშინდება. ძირეული, რაზეც ეს მოსაზრებები დგას, არ იცვლება, ამბობს ნიკა ჯორჯანელი.

და მაღხაზ ხარბედიას თქმის არ იყოს, ნიკა არ მიეკუთვნება „ლაიქების“ შემგროვებელ პოეტებს. არც ჯილდოების. ლიტერატურული კონკურსების მიმართ მისი დამოკიდებულება კი შემდეგნაირია – ჯილდო, განსაკუთრებით ხელოვნისათვის, მხოლოდ ერთ რამეს ემსახურება:

„ჯილდო იმათვის გაიცემა, ვისაც არ ესმის ლიტერატურა, რათა მიხვდნენ, რომ, რადგან ვიღაც დაჯილდოვდა, ესე იგი ის რაღაცას ნარმოადგენს და მისი შემოქმედება ინტერესს იმსახურებს. სხვა დანიშნულება მაგ ქალალდს თუ ქანდაკებას არა აქვს. ჩვენც კი, როდესაც ვიცით, რომ ესა თუ ის მწერალი ნობელის პრემიის ლაურეატია, მისი ტექსტები უკვე სხვანაირად გვეკითხება. რაც ეხება ქართულ კონკურს-პრემიებს, მათგან პუბლიკისათვის ჯერჯერობით ალბათ მაინც „საბა“-აა ყველაზე აქტუალური, მაგრამ ვფიქრობ, რომ ის ბევრი მაიმუნობის ასპარეზად იქცა“.

შტრიხები

ნივთის ყიდვა მხოლოდ მაშინ სიამოვნებს, თუ ეს ნივთი უნდა აჩუქოს მისთვის ძვირფას ადამიანს.

„ალბათ მიწაშიც მეყვარები“-ო, წერს ერთ ლექსში. როგორი სიყვარული იცის, და „ძლიერი“.

სიყვარულზე ნიკა ერთი მოსაზრებაც არ მინდა დავი-ვინყო. ეს ისაა, რომ სიყვარულის კოეფიციენტი ძალიან დაცა:

„კი, მართლა ასე მგონია, 100, 50 ნლის ნინ და თუნდაც 80-იან წლებში ადამიანებს ერთმანეთი უფრო უყვარდათ, ვიდრე დღეს. სიყვარულმა იქმო“.

ყველაზე მეტ კითხვას საკუთარ თავს უსვამს.

თავყრილობებს მისთვის უმეტესწილად სევდა მოაქვს (მათ შორის ლიტერატურულ თავყრილობებსაც). „კარგად აქვს ნათევამი ჩემს საყვარელ შოგენპაუერს: უმეტესად სიხარული და ზემომი იქ კი არ არისო, სადაც ის ამნუთას ეგულებათ, არამედ ძალიან შორის იქიდან“.

მკვეთრი მიდგომა აქვს ავადმყოფობებისადმი. მისი მეგობრები ხუმრობენ კიდეც, შეიძლება „ფანტა“ დალიოს და შემდეგ ერთი თვე იმკურნალოსო. არა, ეგ მეტად გადა-ჭარბებულია, ამბობს ნიკა, მაგრამ ზოგადად რომ ფრთხო-ლია, ამას არ უარყოფს:

„იმიტომ, რომ ვიცი, ვგრძნობ, რა არის ავადმყოფობა. არის ავადმყოფობა, რომლის დროსაც სახლში შეგიძლია ჯიგრულად წამოგორდე, გვერდით ლიმონიანი ჩაი დაიდგა, სიგარეტიც მოსწიო და ა. შ. მაგრამ არის ავადმყოფობა, რომელიც სულ სხვანაირია. მეც ვცდილობ ამ ფიზიკურ შებოჭილობას ზემოდან შევხედო და ვიფიქრო, რომ ესეც გაივლის. ბოლოს და ბოლოს მოგკლავს ეგ ავადმყოფობა, სხვა რა... პოეზია, სხვათა შორის, სწორედ ასეთ შიშებს უპირისპირდება“.

ნიკას კიდევ ერთი და დიდი ხნის სიყვარული ჯინო ვანელის მუსიკაა.

„თანამედროვე მუსიკაში ჯაზ-როკი, ჯაზ-ფიუზენი მიყვარს, მაგრამ არა, სიტყვაზე, კარლოს სანტანასეული თუ გარი მურისეული... საერთოდ, მიყვარს მუსიკა, რომელ-შიც მხოლოდ საკრავზე ოსტატური დაკვრით არ ხდება მუსიკის მთელი პოტენციალის დემონსტრირება... არც, რასაკვირველია, ისეთ პოეზიას ვეტრფი, სადაც უაზროდ მანიპულირებენ სიტყვებითა და შესიტყვებით. მუსიკაშიც და ლიტერატურაშიც ტექნიკას ერთადერთი დანიშნულება აქვს, არა უმნიშვნელო, რა თქმა უნდა, მაგრამ ერთადერთი: რომ სათქმელი მაქსიმალურად კარგად ითქვას“.

გამოკვეთილი აზრი

„დარწმუნებული ვარ, რომ სამოთხეში ლიტერატურა და ზოგადად ხელოვნება არ არის, იმიტომ რომ იქ საჭირო აღარაა. მისი ადგილი აქაა, სადაც არასრულყოფილებაა – ტანჯვა, ტკივილი, ადამიანის მოკვდავება“.

მომავალი:

ისევ ლიტერატურას უკავშირდება. მეტის გაკეთებას.

თუმცა დღეს რომ ნიკა უცებ აღარ იყოს, მას არ დარჩება განცდა, რომ, რისი თქმაც უნდოდა, ვერ მოასწორო. პირიქით:

„მგონია, რომ მოვასწარი. დღეს მაინც ასე ვფიქრობ, რომ რაღაცები უკვე ვთქვი. ყოველ შემთხვევაში იმ სიმძაფრით, რომლითაც მინ-დოდა“.

აუცილებლად წასაკითხები:

„ლალადისი“

„სამხრეთული ელეგიები“

„ჰიმნი ვარდისფერ სათვალეს“

„სტანსები“

„პირთვული იარაღის იავნანა“

„ისინი“

„განცდა ხავერდისაგან“

„კავშირებითი კილო“

Etc.



ტრადიციაც და ნოვაციაც



ნუგზარ ზაზანაშვილი

„დისკლაიმერით“ დავიწყებ: შეხედულებები და შეფასებები, რომლებსაც ეს წერილი შეიცავს, შეიძლება ნაწილობრივ ან სრულიად არ ემთხვეოდეს ნიკა ჯორჯანელისა და/ან მისი პოეზიის თაყვამისმცემლების თვალსაზრისს პოეტის შემოქმედების თაობაზე. ამ წერილში გთავაზობთ ჩემს სუბიექტურ ხედვას ნიკა ჯორჯანელის პოეზიისა, რაც – გასაგებია, რომ – არ გამორიცხავს პოეტური ტექსტების სხვაგარ წაკითხვას და დაამეტრალურად განსხვავებული, მაგრამ ტოლფასოვანი შეხედულებების თუ შეფასებების არსებობას. „ფორმალურ ნაწილს“ ამით ვასრულებ და ვიწყებ ნიკა ჯორჯანელის პოეტურ სამყაროში მოგზაურობას...

* * *

„სიმღერები დაწყვეტილი სიმებისათვის“ – ასე პქვია 2010 წლს გამომცემლობა „საუნჯის“ მიერ გამოცემულ ლექსების მის წიგნს (ალსანიშანავია, რომ მალხაზ ხარბედიამ ამ კრებულს, რომელიც 45 ლექსს აერთიანებს, „XXI საუკუნეში გამოცემული ერთ-ერთი გამორჩეული ლექსების ციკლი“ უწოდა). იმავდროულად ეს გახლავთ კრებულში შესული ერთ-ერთი ლექსის სათაური და დამასრულებელი მეტაფორაც:

მაგრამ უფროთხიან მომდევნოებს წინა წუთები და, სევდისაგან ის იმედი რაც გინდ მიცავდეს, დროის უწყვეტელ მსვლელობასთან ერთად ვრწმუნდები, რომ ვქმნი სიმღერებს დაწყვეტილი სიმებისათვის.

აქვე ვიტყვი, რომ მიმანიშნებელი, ლექსის „გამხსნელი“, თუ პოეტის პოზიციის ერთგვარად ამხსნელი მეტაფორების ლექსის ქსოვილზე „განხევა“ ჯორჯანელის პოეტიკის ერთ-ერთი დამახისათებელი ელემენტია.

„ნამდვილი მეტაფორის“ შინაარსს სხვა (პროზის, ესეის-ტკიკის, ლიტერატურული კრიტიკის, ყოველდღიური-საკომუნიკაციო) ენით ამომწურავად ვერასდროს გადმოსცემ – ეს ჯერ კიდევ არისტოტელეს აქვს შემწეული: ის „კარგ გამოცნასაც“ მეტაფორად მიიჩნევდა, რითაც ხაზს უსვამდა მის საიდუმლო, „დეტექტიურ“, ბოლომდე ძნელად „გასაშიფრ“ არსს. ამ გენიალურმა ადამიანმა პოეზიის უანრების სისტემიზრებასთან ერთად მკითხველის (თუ ლექსის მსმენელის) პირველი „კლასიფიკაციაც“ შემოგვთავაზა: ის „მსუბუქი უანრის“

მოყვარულებს განასხვავებდა ნამდვილი, სერიოზული პოეზიის მკითხველისაგან; დღევანდელი ტერმინოლოგიით – მომზადებულ მეკითხველს მოუმზადებლისაგან, ან სხვანაირად რომ ვთქვათ: კვალიფიციურს – არაკვალიფიციურისგან. ჩემი აზრით, ამასთანაცაა დაკავშირებული ზემოთ ციტირებული მეტაფორის ერთ-ერთ შინაარსი: „დაწყვეტილი სიმი“ შესაძლოა, ასოცირებდეს გაცვეთილთან, დაძეველებულთან გამოცდილთან. მეორე ასოციაცია კი, აი, საით შეიძლება მიემართებოდეს: „დაწყვეტილი სიმი“ დაწყვეტილი გული გულდანწყვეტა ადამიანი, რომელსაც ბევრი აქვს განცდილი, მათ შორის გულდასაწყვეტიც და სასონარმკვეთიც. სხვა სიტყვებით – ნიკა ჯორჯანელის ლექსის ადრესატია კვალიფიციური, მგრძნობარე, „ბევრის მნახველი“ მკითხველი, რომელიც პოეტის მიერ – მისი ნებით თუ სპონტანურად – გაბნეულ ასეთ, „გასაღებ“ მეტაფორებსაც მიაკვლევს. არსებითად, ამას ადასტურებს თვით ავტორიც, როდესაც ერთ-ერთ ინტერვიუში დასმულ კითხვაზე ასე პასუხობს: „დანიშნულებად კი პოეზიას ის აქვს, რომ რელიგიის მხარდამხარ ნუგეში სცეს ადამიანს, დაუამოს სულიერი ტკივილი, გაუქარვოს სევდა, შემატოს რნმენა“.

ეს არ გახლავთ ერთი შეხედვით აღსაქმელი პოეზია: ეს იმ რიგის პოეზია, რომელიც ერთი შეხედვით გაუგებრადაც შეიძლება მოქმედოს მკითხველს, მაგრამ თუკი ადრესატი მას ჩაუღრმავდება, ჩაიძირება მასში, აღმოაჩენს, რომ გაუგებარი ცოტაა – სწორედ იმდენი, რამდენიც უნდა იყოს ნამდვილ პოეზიაში. ელიოტი წერდა: XX საუკუნის პოეზია ვალდებულია, იყოს რთულიონ და ახლა, XXI საუკუნეში პოეტს მაინცდამაინც სიმარტივეს ნულა მოვთხოვთ. ნიკა ჯორჯანელი კი უთუოდ XXI საუკუნის პოე-

ტია – როგორც „ასაკობრივად“, ასევე მსოფლ-აძემით.

ჯორჯანელის პოეტური სამყაროს ერთიანი წარმოსახვისას ისეთი ურთიერთგადაჯაჭვული სიტყვა-ნიშნები „მელანდებიან“, როგორიცაა: გამ-ბედაობა, დიაპაზონი, მგრძნობიარობა... ქვე-მოთ შევეცდები, მეტ-ნაკლებად გამოვკვეთო ეს „ლანდები“.

* * *

პოეტის გამბედაობას სხვადასხვა გამოსახუ-ლება აქვს. პირველი, რაც თვალშისაცემია, არის ტრადიციების, და უპირველესად ქართული მკაფიო პოეტური ტრადიციების პატივისცემა, მათი „ათვისება“ და იმავდროულად მათ მი-მართ შემოქმედებითი, „უკოპლექსო“ დამოკიდე-ბულება, შესაბამისი ნაწარმოებების გამოყენება, მათი გარდასახვის მცდელობა. ასეთი დამო-კიდებულება „ორმაგ გამბედაობად“ შეიძლება ჩაითვალოს, თუკი ეს კონკრეტული ტრადიცია სიმბოლიზმია, და კიდევ უფრო თუ დაგაკონკრე-ტებთ – გალაკტიონია. გალაკტიონისადმი გან-საკუთრებულ სიმპათიასა და პატივისცემას ნიკა ჯორჯანელი არ მაღავს, რასაც მისი ზოგიერთი საჯარო გამოსვლაც ადასტურებს; ამასთან, ნიშ-ნეულია მის მიერ სადევლამაციოდ არჩეული გალაკტიონის ლექსი, რასაც *radio1.ge*-ზე მიგა-კვლიე – „სამუდამოდ ჩატეხილო ხიდევ“: ამ შემთხვევაში ნიშნეულობა უკავშირდება ჯორ-ჯანელისეულ უჩვეულო სიტყვათნარმოებას, რიტმულ-ინტონაციურ თავისებურებებს და სხვ. (იხ. ქვემოთ).

აქვე უნდა აღვინიშნო, რომ გალაკტიონი-სადმი განსაკუთრებულ ინტერესს ახალი თაო-ბის არაერთი პოეტი ამჟღავნებს, რაც ცალკე კვლევის საგანი შეიძლება გახდეს: მოარული აზრი იმის შესახებ, რომ XX საუკუნის გალაკ-ტიონისშემდგომ მთელ ქართულ პოეზიას გალაკტიონის მიერ დამკვიდრებულ ტრადი-ციაში აქვს ფესვი გადგმული, ჩემი შეხედუ-ლებით, მცდარია. გალაკტიონი, შესაძლოა, უმაღლესი მწვერვალია, მაგრამ გალაკტიონის თანადროულ ქართულ პოეტურ ველზე სხვა სახ-ელებიც ბრნყინავენ, რომელთა შემოქმედებამაც მეტად მნიშვნელოვანი კვალი დაარჩია გასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პოეზიის გეზს, დისკურსულ მხარეს და გამომსახველო-ბით ფორმებს. სწორედ ამიტომ – დღეს, XXI საუკუნისათვის დამახასიათებელი გამოწვევების ფონზე, საკუთრივ გალაკტიონის პოეტიკისა და მსოფლმხედველობისადმი ახალი პოეტური თა-ობების მიერ გამუღანებული დიდი ინტერესი ნიშნეულად და ცალკე კვლევის საგნად მესა-

ხება. ამ საკითხზე მსჯელობა შორს წაგვიყვნებს, ამიტომ ჯობს, ისევ „გამბედაობის თემას“ დაუუბრუნდეთ.

ნიკა ჯორჯანელის გაორმაგებულ გამბედაობაზე ვსაუბრობ-დით, რაც ბენვის ხიდზე, თუ პაერში გაჭიმულ თოკზე სიარულს ჰგავს: ფეხი თუ დაგიცდა, ეპიგონობის ან ანაქრონიზმის კვა-ლი დაემჩნევა შენს ნაღვნს. ტრადიციებისკენ „მიბრუნება“ კი უთუოდ მკაფიო, თვალშისაცემია ალუზიები: „...და შავი კლავიშები რჩებიან შავი, / ხოლო თეთრები გამალებით ის-ფრდებიან“ (შდრ. ისტერი თოვლი); ან „ბაჯალლო ოქროს ნაგავივით პორიზონტს იქით / მიაქს მოკლული ოცნებები ნიავეჯარს მჩატეს“ (შდრ. „ქარი ჩადგა სიბობოქრის, / შორი ცი-დან სიო მოჰქრის, / მე გიყურებ როგორც ოქროს / ჩამავალ მზეს, ჩამავალს“). ამ ადრეული 8-სტრიქონიანი ლექსის წაკითხ-ვისასაც მეოთხევლს გალაკტიონი აუცილებლად გაახსენდება: „სიზმრის მნუხარება / და ხალისი უცნობი. / სივრცე უარე-ბოა. / უკარება – ოცნება. // სულს სამანად ეღირსე. / ასე არის სამანი: / პორიზონტი – მზერისა, / იის – იასამანი“. აი, კიდევ მკაფიოდ სიმბოლისტური: „ცა ულრუბლოა, და, ცხადქმილონ, დაფრენენ მასში / ანგელოზები და ახალ მზეს ადულაბებენ“ და სხვ.

თუმცა ნიკა ჯორჯანელის პოეტურ სამყაროსთან მიმარ-თებით ზემოთ ნათქვამი მხოლოდ სიმბოლიზმის ტრადიციას არ ეხება: სიმბოლიზმს, შესაძლოა, აქ ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი ეკავოს, მაგრამ სპექტრი გაცილებით უფრო ფარ-თოა. უკანასკნელი ამონარიდის წაკითხვისას სხვაც შეიძლება გაახსენდეს მკითხველს: „არ იქნება, არ მოგესმას ანგელოსთა გალობანი“; ამის წაკითხვისას კი – „წვიმს. სველდება ჩემი ფან-ჯარაში გაყოფილი ხელი. / სველდება წვიმისათვის მიშვერილი ჩემი სახე“ – შეიძლება გაგახსენდეს: „და სანამ ქარი მისინ-ჯავს მაჯას, / მიშვერილი მაქს წვიმისათვის სახე“, რაც უკვე თითქმის ციტატის ტიპის ინტერტექსტუალობაა; ეს კი უკვე ნამდვილი ციტატაა – „Moon River“: ბევრს, განსაკუთრებით კი უფროსი თაობის მელომანებს, კარგად ემახსოვრებათ ჰენრი მანჩინისა და ჯონი მერსერის შლაგერი ტრუმენ კაპოტეს ნოვე-ლის მიხედვით დადგმული კინოფილმიდან „საუზმე ტიფანის-თან“. ზოგიერთ ლექსში ბიტნიურ, ალენ გინსბერგისეულ პა-თოსსა და ინტონაციებს შეიძლება გადააწყდეთ, სხვაში კიდევ – სხვას, რომანტიზმისათვის და თვით ძევლი ქართული პაგი-გრაფიული მწერლობისათვის დამახისიათებელი დისკურსების ელემენტებსაც კი! აი, ჯორჯანელის პაგიოგრაფიული პოეტუ-რი მეტყველების ნიმუში: „რათა არ იქცეს ხერხემალი ჩემი ღრიანელად / და ხორცი ჩემი არ შეძრწუნდეს მასზე“.

ასეთი ფართო სპექტრის მიუხედავად, მისა უმეტესი ნანილი ორგანულად ერწყმის ჯორჯანელის პოეტურ სამყაროს, მეტიც – ის ერთდროულად ამ სამყაროს ერთ-ერთი წარმომშიცაა და დამახასიათებელი თავისებურებაც, რაც, საბოლოო ჯამში, ერთგვარ პოსტმოდერნისტულ ეფექტადაც შეიძლება ჩაითვა-ლოს.

მოკლედ და ცოტათი უცნაურად თუ ვიტყვით – ნიკა ჯორჯანე-ლის პოეტიკა არატრადიციული ტრადიციულობით ხსიათდება. მოყავს ერთი „სამოდელო“ სტროფი ტრადიციული გრძნობებისა და თანამედროვე განწყობლებების, ტრადიციული ვერსიფიაციი-სა და მასში ჩაქსოვილი ნოვაციების საილუსტრაციოდ:

ქალაქებს კვეთს მდინარე. ის ამბობს ანდაზებს. მის გაღმა არვინ წუხა ქალაქის აქეთა ნანილში გაჩენილ სენსა თუ ხანძარზე... ქალაქი ძვლებზე დგას ძველ მოქალაქეთა.

ამ თვალსაზრისით ისიც შეიძლება ითქვას, რომ ჯორჯანელის პოეზია „იმპროვიზაციულია“. ვგულისხმობ მუსიკალური იმპროვიზაციის ეფექტს, როდესაც მოულოდნელად ამოტივ-ტივდება ხოლმე სხვადასხვა უცნობი თუ ნაცნობი პასაჟი.

* * *

ზემოთ სიტყვა „უცნაური“, ეტყობა, მთლად შემთხვევით არ ხამოცდენია. პოეტი არ ერიდება უცნაურობებს, არ ეშინია „გამოიყურებოდეს უცნაურად“. უცნაურობები პოეტიკის სხვადასხვა კომპონენტში მუდავნდება: სინტაქსური წყობით დაწყებული და ხატთაქმნით დამთავრებული. ერთი სინტაქსური უცნაურობა ზემოთ უკვე გამომდლავნდა: გასაგები ენით თუ ვიტყვით, ეს არის წინადადებაში სიტყვათა „ბუნებრივი“ განლაგების ცვლა – „და, როგორ ღრმასაც არ ვარტყამდე უნდა ნაფაზებს“; ან – „ამცვეყნად ჩემსას თუ ვინმესგან მოისმენ ამბავს“; ერთიც, უფრო მეტად უცნაური – „...შავი მიხავის / დამჭკნარ ფურცლებად მიბრუნდება კოცნები, შენზე / დავტოვე მე რომ“. ეს მხოლოდ ნიკა ჯორჯანელის პოეზიის დამახასიათებელი ნიშანი არ არის, რაც შეამრნია ლევან ბრეგაძემ: აი, რას წერს იგი 2005 წელს გამოქვეყნებულ წერილი „პოსტ-საბჭოური კულტურის სივრცე და ლიტერატურული პროცესი“: „ახალგაზრდა პოეტები წინამორბედებთან შედარებით უფრო ხშირად მიმართავენ წმინდა ენობრივ-გრამატიკულ მომენტებზე დაფუძნებულ ხერხებს, ანუ მიმართავენ გრამატიკის პოეტიზაციას – უწვევულო სიტყვათნარმოებას ანუ ოკაზიონიზმებს, სინტაქსური წორმების დარღვევას მეტი გამომსახველობის მიღწევის მიზნით და მისთ“.

ბოლო ამონარიდში კიდევ ერთი უცნაურობაა, რაც ლექსის ქმნის ტექნიკურ სფეროს განეკუთვნება: ამ შემთხვევაში – მეტრისა და რიტმის, თუმცა პოეტი სხვა ნოვაციებსაც გვთავაზობს. ის ამ სფეროშიც ცდილობს არა ტრადიციის უარყოფით, არამედ მისი „ათვისების“, გაცოცხლების, გაახლების გზით სიარულს, აქაც ცდილობს ტრადიციულში არატრადიციულის დამკვიდრებას. ხერხი მეტ-ნაკლებად იგივეა – იპროვიზაცია თუ სისულაცია. აი, მაგალითად, როგორ: „რა ეთქმის მას, ამონათქვამი არ გესმის ვისიც, / გელოდა ვინც, სასანაულოვით გელოდა. ან / რა ღონე იღონოს სიტყვების სათქმელად მან, / ვისშიაც შენდამი ნათქვამმა სისხლივით ჩაქცევა იცის“ ან კიდევ: „გათენებისთვის თავისი ხელითვე ვარსკვლავებს თქვეფს / დამბადებელი – სიცოცხლეს თითქოსდა ხელახლაქმის. / ამონწვერა მზე. გაუხელიათ თვალები ქვებს. / გაზმორებული მიდამო იშორებს ბინდსა და ნისლს“ და სხვ. სიმულაციის ეფექტი აშკარაა: მკითხველს ეჩვენება, რომ ლექსი მას ტრადიციული, შეჩვეული ფორმით თუ საზომით მიენიდება, სინამდვილეში კი იგი არსებითად მეტრულ-რიტმულ ნოვაციას ითავისებს. ასეთი ნოვაციების ტექნიკური დეტალების განხილვას, რაც, შესაძლოა, მკითხველისათვის მოსაწყენი გახდეს,

ალარ შევუდგები. აյ მხოლოდ კიდევ ერთს მივაქცევ ყურადღებას, რაც წინაცია არ არის, მაგრამ ჯორჯანელის პოეზიაში „სისტემურია“ და ამ „სისტემურობით“ ხშირად რიტმის განმსაზღვრელ ერთ-ერთ ელემენტად იქცევა: ეს გახლავთ „დატეხილი სტრიქონები“ – პოეტური ფრაზა თუ წინადადება ერთ ტაქტში არ ეტევა და რომელიმე ელემენტი შემდეგ ტაქტსა თუ სტრიქონში ინცვლებს, რაც ერთგარ „პაუზებიან“ რიტმს აპირობებს, მაგალითად: „მე რომ მუსიკა მენერა, ხეირს / იგრძნობდა ჯიბე... სადღაც კენწერო / ხეკაუნასგან იმსხვრევა... / ჰეი, / მუსიკავ, ჩემგან დაუწერელო!“ და სხვა მრავალი. ეს ბოლო ამონარიდი სხვამხრივაც ნიშნეულად მეჩვენება: ნიკა ჯორჯანელის პოეზია „მუსიკალურია“ და აქაც ორპოლუსიანობას ვამჩნევთ – ერთი მხრივ, ის მუსიკალურია ტრადიციული, „გალაკტიონისეული“ გაგებით, რაც მისი შემოქმედების „ნეოსმბოლისტურ“ თუ მეტ-ნაკლებად ტრადიციულ მეტრიან-რიტმიან ნაწილს ახასიათებს, მეორე მხრივ კი – ის ნოვაციურია, ჯაზისა თუ როკის რიტმული აქცენტირების კვალი ემჩნევა, რაც ზემოთაც მივანიშნეთ (შემთხვევებით არ უნდა იყოს ისიც, რომ ჯორჯანელის პოეზიაში ბევრია უშუალოდ მუსიკისადმი მიძღვნილი სტრიქონი).

ჯორჯანელის ლექსის ამ უკანასკნელ „მახასიათებელს“ შეიძლება უკავშირდებოდეს კიდევ ერთი თვალშისაცემი „ტექნიკური წინაციაც“: პუნქტუაციის უწვევულო გამოყენებით (რასაც თან ახლავს ტრადიციულ სინტაქსურ წყობაში ერთ-ერთი კომპონენტის „გაუქმება“) პაუზების აქცენტირება, რითაც ახალი რიტმულინტონაციური ეფექტი მიღწევა; მეორე მხრივ, ეს გამომსახველობითი ხერხი ლექსის ამა თუ იმ „პერსონაუზე“ ან ელემენტზე ფოკუსირების გამკვეთებასაც ემსახურება: „დაბნელდა. / სუყველებან ბნელდება. აქაც კი“; ან „ის ზემოდან ქვემით ჰაერში მოედინება. / ისე, რომ არ ასველებს მინას. (...) / შემომყევი, ბევრი არ იფიქრო. / რადგან არ არსებობს კიდევ სადმე მთვარის მდინარე. / ერთია, და ამ ერთში / მე გეძახი – მთვარის კაცი“; ან, ამჯერად, ფუტურისტულ-სიურეალისტური: „მზე მიჩლახუნებს ქუჩაში. / სხივებს, როგორც ყავარჯენებს, / ისე ჩაპლაუჭებია“, ან კიდევ – „ჩაიდე / ჩემი ხმა / უბეში. / ნაილე“ და სხვა მრავალი.

პოეტი თავის შესაძლებლობებს სიტყვისა თუ სინტაქმების ქმნის სფეროშიც ცდის. ზემოთ ციტირებულ წერილში ლევან ბრეგაძეს ნიკა ჯორჯანელის მიერ შექმნილი ოკაზიონიზმის მაგალითიც მოჰყავს: „მე უშენო გზა, გზა, რომელიც ჯერ / არ აღვილა და ნარომლევიც ვწერ, / საყ-

ვარელო, ურჩ გულზე მადევს ქვად“, – „ნარომ-ლევი“ – აქ: რომელ გზაზე ნავალიც“, – ნერს ჩვენი შესანიშნავი ლიტერატურათმცოდნე. მე დამატებით მოყიფვანდი ასეთ მაგალითებს: „ბინდბუნდის სიღრმიდან გამოჩანს სამრეკლო“, „ის ახლად ჩამქრალი სანთლებით აღსავსე / საყდარში სურნელობს...“, „მობოძდა ჭალა“, „იფშვნება შუქი“ და სხვ. როგორც ზემოთაც იყო მინიშნებული, პოეტი არც „ლიტერატურიზმების“ თუ არქაიზმების გამოყენებას ერიდება („დამაშვრალი“, „გრაცხს“, „კრული“ და მისთ.).; ის არც „არაპოეტურ პროზაიზმებს“ უფრთხის, ისეთებს, როგორიცაა: „უმეტესად“, „მეტრილად“, „გარკვეულნილად“, „რამდენადმე“, „ზოგადად“.

* * *

ჯორჯანელის სამყაროს „მკვიდრი მობინადრეები“ უცნაური, უჩვეულო პოეტური სახეებიცაა: „მალე მოპიდაპირე სახლის უანა მხრიდან / ჩემი შარმანდელი ზაფხული გამოვა“, ან – „გატყდნენ თხევადი მწუხარებით სავსე ბოთლები“; ან კიდევ – „კვლავაც იმ ბინის ბინადარი გახლავართ, სადაც / სამზარეულო ვერ ხარშავდა ურადიონდ“. ხშირად „ტრადიციული გრძნობებიც“ არატრადიციულად, უჩვეულოდ გადმოიცემა: „ვიცი, ვარსკვლავებს ვერ შევნევდები. მაგრამ რა გინდა, / მათ ანარეკლებს ჩამოგიფხევ თითოთ სარკიდან“. (შდრ. „ავალ, ვარსკვლავებს ჩამოგიყრი ქუჩებში ციდან – / უკანასკნელი სევდიანი სტრიქონი იყოს!“).

ამასთან, ჯორჯანელის ხელნერის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი შედარების ტიპის ტროპების ხშირი გამოყენებაცაა. ასეთ კონსტრუქციებში ორ მომენტს შეიძლება გაესვას ხაზი: იმას, რომ შედარების პირველი წევრი უმეტესად თავადაა მეტაფორის ტიპის ტროპი და მოულოდნელობის ეფექტს: შედარების მეორე წევრი „სულ სხვა სამყაროდანაა“; ამასთან, ტროპის გართულებულ სტრუქტურას მოულოდნელობის ეფექტი თითქოსდა ამსუბუქებას: „დრო ცეკვავს ჩვენს საათებში, / როგორც ტანხმელი ბერიკაცი უკაცრიელ დისკოთეკაზე“; ან – „და ცნობიერება ისე ჯანჯღარებს, / როგორც ჩამონერილი პიანინო / ძველი სატვირთო მანქანის ძარაზე“; ან კიდევ უფრო მეტად უცნაური – „ლამე უკანვე იღებს ჩემგან თავის სათვალეს / და გულდასმით ათვალიერებს, / როგორც შეშმუშნილი გამყიდველი, / რომელსაც წუნდებული საქონელი დაუბრუნეს“. მოულოდნელობის ეფექტი ნაკლებად რთული სტრუქტურები-სთვისაცაა დამახასიათებელი: „ჩევნ ვექცევით ამ ფიქრის გავლენის ქვეშ, როგორც სპილოები ხვდებიან ორმოებში“.

და ეს ყოველივე გამახვილებული, მგრძნობიარე პოეტური მზერისა და სმენის (= პოეტური ნიჭის მრავალმხრივობის) საბუთებია; აი, „დამატებითი საბუთები“: „ზაფხულში დღე არ გავა ისე, რომ სამზარელოში ჩიტები არ შემოფრინდნენ. / მათ შემოფრენას ყოველთვის გასცემს ხოლმე / ციცქა ფეხების მსუბუქი ხტომის ხმა ლინოლეუმიან იატკაზე“, ან – „უნიონ ბორბლად ფრინველების მოგორავს გუნდი“, ან კიდევ: „ფიქრებში ახლაც იმ ქალების თეძოები გვაქვს, / რომ გვიღიმოდნენ გაჭვარტლული კალენდრებიდან“; ერთიც: „აღარა მაქეს თეთრი რადიო, / უშუქო წლებს რომ მეტ-ნაკლებად მიმსუბუქებდა. (...) თანაც სახლიდან ის არავის გაგვიყიდა / და არც არავინ მოგვპარავდა. ვის რად უნდოდა“.

აი, ბეგრძნერული სმენის საბუთები: „მე ეს მხვდა წილად – თოლიების ვესმინო წიოეს / და დავაკვირდე, არემარე, რომელიც მილენ- / მოლენა ქარმა, რანაირად ნარმოთქვამს: „ვძრნი“-ო“; ან – „ალბათ, დროცაა დამნაშავე: ცრიცა ოცნება“, ანდა – „მზე ჩადის. ზვრების, ქოხმახების, ხრამების ჩავლით“. და სხვა მრავალი. ამასთან დაკავშირებით, ცალკე უნდა ალინიშნოს ის, რომ პოეტი შესანიშნავ რითმებსაც ქმნის.

აი, „ფსიქო-პოეტური“ მგრძნობიარობის საბუთები: „აეროპორტში ყოფნისას ოდნავ მაინც თუ არ იცვლები კარგისკენ, / ფსიქოლოგს უნდა მიმართო ან მღვდელს გაესაუბრო“; იქვე – „სასიამოვნოა, რომ ზოგადად შეგიძლია გაფრინდე და არ მიფრინავ“.

2012

**სალამო ინყებს და იგებს.
 მელნისფრად გილებავს ფიქრებს.
 გილობავს სამყაროს. და შენ
 ლილითის თვისებებს აჩენ.**

**სალამოს მწვერვალი ხდები.
 ხვდები, რომ არა გყავს დები.
 ხვდები, რომ მაგ შენი კაპით
 სალამოს მოჰყვები ლამედ.**

**შენსავე სამყოფელს შიგნით,
 აღსავსეს მრავალი ჩიხით,
 მრავალი სიმწარით აღვსილა,
 ხიფათის შემცველს და ნაცსის,**

**შრიალად უცნობად მოხვალ,
 სულაც რომ არაფერს მოჰყვა,
 ცარიელ ქუჩაში სხარტად
 გაირბენ უშავეს კატად,**

**დადგები სიჩუმედა... მე კი
 თანდათან მეცემა მეხი.
 ვერკვევი სულ უფრო ვეღარ
 ლამეში, რომელიც შენ ხარ.**

ალბათ, უპირველესად, ასეთი „მონაცემების“ არსებობა აპირობებს ლექსის, პოეტური სამყაროს ემანაციურობას: ჯორჯანელის სამყაროში მოხვედრილი მკითხველი, ერთდროულად, რაღაც უწვეულოს, ესთეტიკურ-სენსუალურს და მნიშვნელოვანს აღიქვამს და განიცდის.

* * *

ალბათ უკვე გასაგები უნდა იყოს, რატომ წარმომესახა „გამბედაობის“ შემდეგ „დიაპაზონი“: „გარეგნული დიაპაზონი“ იცვლება ტრადიციული რითმიანი თუ კონვენციური ლექსიდან თავისუფალ ლექსამდე, ტროპული – საგნობრივ-დეტალური-დან აბსტრაქტულ-ჰერმეტიულ-მეტაფიზიკურამდე, თემატური – პირადულ-ინტიმურიდან გლობალურ პრობლემებამდე, ხოლო „დისკურსული დიაპაზონი“ – რეფლექსიურ-აღსარებითიდან ვიდრე საპროტესტო სოციალურ-პოლიტიკურამდე.

ტექნიკურ მხარეზე ზემოთ საკმარისი ითქვა. აბსტრაქტულ-მეტაფიზიკური სახეებით აზროვნება, როგორც ჩანს, უფრო მეტად პოეტის „ნეოსიმბოლისტურ“ ხედვასთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, საკმაოდ ხშირად გვხვდება ძნელად „ხელშესახები“ კონსტრუქციები: „საღამო იწყებს და იგებს. / მელისფრად გილებავს ფიქრებს. / გილობავს სამყაროს. და შენ / ლილითის თვისებებს აჩენ.“, ან – „მე კი სხეულში ჭვალად დამიდის / შენი სხეულის ცივი ნამსხვრევი“; ანდა – „ღრუბლები თითქოს ზღვაოსნობის მთელი წარმტაცი / ისტორიიდან აშვებული იალქნებია“.

ცალკე უნდა ვახსენოთ რელიგიური დისკურსი. საერთოდ, ჩემი წაეკითხვით, ჯორჯანელის პოზზია სილრმისეული რელიგიურობითაც ხასიათდება და ჰერმეტიზმის თუ ნეოპერმეტიზმის სხივებსაც ირკელავს:

ვუმღერი ფრთებს და ცის სიდიადეს.
დარდი კი ღრეა – ცივი, უძირო.
ალბათ, სიკვდილს რომ დააგვიანდეს,
მასაც ლექსები უნდა ვუწერო.
ვუთხრა, ცხოვრება წინ რომ ვერ მიდის
უიმისოდაც, ვათრო, გავართო,
რომ თქვას, მე და შენ ერთმანეთისთვის
რანიც ვართ, იმათ აღარ ვგავართო.
რომ შემიცვალოს მთელი შეგნება
და გამიმხილოს, რომ ჩემზე მეტად
მას თვითონ სტკოვა ქრისტეს ნეკნები,
გამოზნექილი ხატების სევდად.

მეორე მხრივ, ლექსების მნიშვნელოვანი ნაწილი „საგნობრივია“, პოეტის თვალი – როგორც ზემოთაც აღინიშნა – ამჩნევს და აცოცხლებს დეტალებს, პოეტს უყვარს საგნები: „ძალაუნებურად თან მიგვაქს უველაფერი. / ჩვენსავით მიჰყვებიან დანებას ჩვენი შარვლები, კაბები, / პერანგები, პალტოები, ქურქები, ფრაკები, / საცვლები, ქუდები, თავმლები, ნინდები, ქოშები, ნაღები, / ქამრები, ზონგები, ძაფები, საკინძები, სარტები, / მაკრატები, ჯაგრისები, ქინძისთავები“.

ალბათ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აბსტრაქტული სახეები უფრო მეტად კონვენციურ ლექსებში გვხვდება, „ცოცხალი

საგნები“, დეტალები კი, უმეტესად, – ვერ-ლიბრითა თუ თავისუფალი ლექსის მანერით შესრულებულ ნაწარმოებებში. ეს უკანასკნელი „თხრობითი სტილითაც“ გამოირჩევა და აქა-იქ ნარატიულ ელემენტებსაც შეიცავს. ამ ყაიდის ლექსებში „კლასიკური“ მეტაფორები მინიმალურად ან საერთოდ არ შეიმჩნევა, თვით ლექსი წარმოადგენს ერთიან მეტაფორას და ეს უფექტი ხშირად იქმნება ლექსის „მთავარი პერსონაჟის“ ერთგარი გაპიროვნებით, „გასულიერებით“ ან მასზე მთლიანი ფორმისირებით. ამ თვალსაზრისით ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ისეთმა ლექსებმა, როგორიცაა „თეთრი რადიო“, „ორიოდე სიტყვა აეროპორტების შესახებ“, „კავშირებითი კილო“, „მატარებლის კივილი“ და სხვ.

ინტიმური, რეფლექსიურ-აღსარებითი ლირიკის ნიმუშებიდან ამონარიდები ზემოთ საკმარისადაა მოყვანილი, მაგრამ ერთს კიდევ ვიტყოდი: დღეს თავისებური გამბედაობა სჭირდება გრძნობების გულწრფელად გამოხსატვას, სენსუალურობის თანამდეროვე მკითხველის „სამსჯავროზე გამოტანას“, მოკლედ – მგრძნობიარობის დაუფარავ გამოვლენას (აღნათ გასაგებია, რომ აქ პოსტმოდერნისტული მგრძნობელობა არ იგულისხმება); აი, მაგალითად, ასეთს:

ნუთუ ყველაზე არსებითი ვერ ამოვლერლე
და ჩემს უნრფელეს „შენთან მინდა“-ს ჩალის ფასი აქვს.

ნიკა ჯორჯანელს აშკარად გააჩნია სხვისი თვალით მოვლენებს დანახვის, სხვისი განცდილის განცდის, თანაგანცდის იშვიათი უნარი – „ღობნდაც, შენში დაბუდებულს, / შენი ქუთუთოებისთვის მაცქერინა შიგნითა მხრიდან“. ამ თვალსაზრისით დიდ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგალითად, ლექსი „კაცი, საავადმყოფო, მთაზე მდებარე, და ცა საავადმყოფოს თავზე“.

„პლანეტარული განცდებიც“ გატარებულია „პერსონალურ პოეტურ პრიზმაში“; ასეთებია: „დრო“, „სომალელი მეკობრეები“, „მექსიკური ჩიხი“, პრიტესტული პათოსით გამოირჩევა ლექსი „ისინი“, და განსაკუთრებით – „ბირთვული იარალის იაგნანა“ და „ჰაერზე, სანამ კვამლში“ (აქ იმასაც აღნიშნავ, რომ, ეტყობა, ნიკა ჯორჯანელი სპეციალურ უურადლებას უთმობს ლექსებისთვის სათაურების შერჩევას თუ „გამოგონებას“ – ზოგიერთი სათაური მხატვრული თვალსაზრისით თავისთავად ლირებულია).

* * *

ამ წერილში შეგნებულად ავარიდე თავი იმაზე მსჯელობას, თუ რისი თქმა სურს პოეტს:

სათქმელზე, შინაარსებზე მსჯელობას. ზოგი-ერთ ლიტერატურათმცოდნეს და პოეტსაც კი „სათქმელი“, ჩემი აზრით, არასწორად ესმის: პოეტური სათქმელი განსხვავდება ჩვეულებრივი, მათ შორის – ფსიქოლოგიური თუ ფილოსოფიური აზრებისგან, შინაარსებისგან, სათქმელის-გან. მეტსაც ვიტყვი: პოეტური სათქმელი იწყება იქ, სადაც მთვრდება ჩვეულებრივი სათქმელი – შინაარსები, რისი გამოთქმა სხვა ენითაც შეიძლება (ეს ჩემზე ბევრად ადრეც შეუმჩნევიათ პოეტებსაც და პოეზიის მკლევარებსაც და ცოტათი განსხვავებული ფორმულირებებით გამოიუთქვამთ კიდეც; დაახლოებით ამასვე გულისხმობს წერილის თავში მოყვანილი არისჭოტელეს მოსაზრება მეტაფორის არსის თაობაზე). სხვა არის, ტრადიციული გაგებით, თემა და სხვა არის პოეტური სათქმელი. პოეტური სათქმელის სხვა ენაზე ინტერპრეტაცია ყოველთვის შესაძლებელია, მაგრამ, ჩემი აზრით, ის მაინც შორს არ უნდა სცილდებოდეს საკუთრივ პოეტური ენის ჩარჩოს. ამ შემთხვევაში მე ინტერპრეტირებასაც ავარიდე თავი: ახალგაზრდა პოეტს ბევრის მოცვა და ბევრის თქმა სურს. ქვემოთ მე, უბრალოდ, მოვიყვან ჩემი ნაკითხვით „საპროგრამო“, ნიკა ჯორჯაანელის მრნამსის თუ მსოფლადქმის მიმანიშნებელი სტრიქონების ნაწილს:

„ადამიანია შესავარებელი, / და გულიც ადამიანზეა ასაყრელი. / სიტყვებია, რაც უნდა ითქვას და დაინეროს, / და ისევ სიტყვებია, რისი თქმაც და დაწერაც არ ღირს“;

„ბოლო რამდენიმე წელია / ლექსებს კომპიუტერში ვწერ. / და პოეზია კაქტუსის მაგიკობას სწევს“;

„მომეცით საყრდენი მრავალწლერტილი – / და აღარაფერს დაგნერ, / მოკლე შეტყობინებების გარდა! / ბოლოს კი მათ წერასაც მივატოვებ“;

„წერე! (...) სანამ მოდრეეკილი კითხვის ნიშნები / ძახილის ნიშნებად არ გასწორდებიან. (...) წერე, სანამ მაღვიძარას ზარის მექანიზმივით / არ დაიწყებს რჩევას ნაწერი“;

„დედამიწა ბოლოს და ბოლოს / სხვა რაა, თუ არა ერთი უშველებელი აეროპორტი“;

„არ გამაღვიძო, მსოფლიოვ (...) მომინექი. დაიძინე ჩემთან ერთად. / ჩამეტუტე და დაიძინე“;

„გერც ერთი მეფე ვერ დაგადებთ საათები-ვით მაგარ ბორკილებს“;

„დღო რომ იაფვასიანი რამაა, / იმიტო-მაც გვიტაცებს ასე ძალიან მარადიულობაზე საუბარი“;

„სომალელი მეკობრები“-დან: „კაცმა არ იცის, რეალურად რა ამოძრავებთ. / იქნებ, გარ-თულებს ძარცვა-გლეჯით და გამოძალვით, /

მათ ბრმად სხვა რამ სურთ, ჯახირობენ სულ სხვა რამისთვის: / რომ იქცნენ წიგნად და ის იყოს საინტერესო. / იქნებ მხსნე-ლივით მოელიან ახალ სტივენსონს / და ეს თვითონაც არ იციან. კაცმა არ იცის“.

„და მე ვმღერი და გავყვირი, რომ მე არ მჯერა საფლავების. / და მე ვიცეკვებდი კიდეც, რომ მე არ მჯერა საფლავების. / საფლავები მწარედ გვატყუებენ, / და ძვლებს, მათ ერთადერთ შიგთავსს, ელიმებათ ჩვენზე“;

„მაგრამ, თუე მთელი ჩემი პოეზიდან / თუნდაც ერთი წვეთი ეკლესია გამოიწურება“;

„შესაძლოა, საშველი იმის შეგნებაა, / რომ უუჭველად არის საშველი / და რომ მთავარია მისი არსებობა, და არა მიგნება. / არც ის არის გამორიცხული, / რომ დინებაა საშველი თვითონ. / წყლით სავსე პირითაც თქმა რომ არ ღირს, ისეთი ჭირის“.

მკითხველი კიდევ ბევრ ასეთ „საგზაო ნიშანს“ აღმოაჩინს ნიკა ჯორჯაანელის პოეზიის ქვეყანაში მოგზაურობისას.

დაბოლოს, თავს ვერ ვიკავებ კიდევე ერთი შინაარსის მიმანიშნებელი პოეტური ფრაზის ციტირებისაგან:

ილაპარაკე, არ გაჩუმდე, ილაპარაკე, ესიყვარულე ქართულ ენას შენი ტუჩებით.

* * *

რამდენიმე წნის წინ გამოქვეყნებულ ერთ წერილში ვწერდ, რომ ვისთვის შეუმჩნევლად და ვისთვის „შესამჩნევად“, ქართულ პოეზიაში შემოსულია მძლავრი „ახალი ნაკადი“. ეს ნაკადი აერთიანებს სხვადასხვა სტილის, ახლებური მსოფლალების მქონე ახალგაზრდა და შედარებით ახალგაზრდა უდავოდ ნიჭიერ პოეტებს. ვინც დაკვირვებით ადევნებს თვალს ჩვენი პოეზიის „მსვლელობას“, დამეთანხმება, რომ სწორედ ისინი განსაზღვრავენ დღეს ქართული პოეზიის „გენერალურ მიმართულებას“, თანამედროვედ თუ ვიტყვით – მეინსტრიმს. ნიკა ჯორჯაანელის პოეზია უთუოდ ამ ნაკადის ერთი გამორჩეული შტოა.

ასე დავასრულებდი ამ წერილს: პოეტური ნიჭის ზემოთ განხილული „საბუთები“, პოეტიკური სპექტრი თუ დააბაზონი მძლავრი პოეტური პოტენციალის უტყუარი ნიშნებია. მე ვგრძნობ, რომ ნიკა ჯორჯაანელი შემოქმედებით სინუსოდის“ ციცაბო ფერდობზე მყარად მიაბიჯებს აღმა: ამდენად, პოეტური სამყაროს კიდევ უფრო მკაფიო თუ მკვეთრ გამოკვეთას, კიდევ ბევრ სიახლეს, ბევრ საინტერესო და მნიშვნელოვან ნანარმოებს უნდა მოველოდეთ მისგან ხვალ.



პიმი ვარდისფერ სათვალეს

I

მუზა მე ყველაფერ ამაზრზენს მავიწყებს.
თუმც მასთან თამაში საქმეა სარისკო.
მარცხსაც ხომ არ სძინავს, მენევა თავისკენ.
ვზივარ და არ ვიცი, საიდან დავიწყო.
მე მხოლოდ ის ვიცი, მაინც რომ დავიწყო.
წამს ვითხოვ. მუხლებზე ხელები დავიწყო.

ზვირთცემა, ქარი თუ... ვბუქსაობ. რაღა ვქნა,
თუ ვერრა დავწერე ასი ცდის შემდეგაც?
არც იღბლის დაცდაზე არა ვარ თანახმა:
ვინც უმოქმედოა და უცდის შემთხვევას,
შორს როგორ გასწიოს, ადგილის გლახაკმა.
შორს მინდა გავწიო. ვცდი, აბა, ერთხელაც.

ზვირთცემა, ქარი თუ... ისევე ვბრკოლდები.
არადა, ვიცი, რომ უთუოდ გამოვა.
ზვირთცემა, ქარი თუ დამწვარი ფოთლები...
არასგზით არ ცხრება შეცდომის ავობა!
წინ ალბათ ვერ წავალ ასეთი მოთელვით.
რაღაც თავს ვერა ვცნობ. ჩანს, დაღლის გამოა.

როგორაც წარსულში ჩემგვარი მწირები,
დამბუგა მშენების შეხების წადილმა.
არასდროს, თუნდაც რომ ყველაზე მცირედი
მომეცეს, არ გავალ ამ სალოცავიდან.
რაითაც არსებობ, არ გაინირები
იმისგან. მთავარი ესაა. წავიდა!

II

ზვირთცემა, ქარი თუ ნგრეული აკლდამა,
თუნდ წინამორბედთა ოჯახის ალბომი –
ყველანი ერთსა და იმავეს ამბობენ,
კერძოდ, რომ სამყაროს არავინ აკლდება.
წაგვისვას სიკვდილმა ჩვენ, ფარდაახდილმა,
ცრემლისგან დახეთქილ ლოყებზე სალბუნი!

სამყაროს მასშტაბით არავინ არ ევნო.
სამყარო არ არჩევს მარშლებს და რიგითებს.
სამყარო თავისი გარემოს სიდიდის
ცენტრია, უზღუდო, უშემოგარენო
ადგილი, ტრიბუნის არმქონე არენა.
და, ტყუილუბრალო, ვერსაით გვითითებს

გზის მაჩვენებელი. ჩვენ სამყაროში ვართ,
ჩვენ სამყაროში ვართ, და არა მიწაზე!

ფუყებზე ფუყეა ყოველი სიძნარე –
მსურს ვუთხრა მოზარეთ და ბედის მომჩივანთ,
იმათ, ვინც აშკარა აბსურდის მორჩილად
უგრძნობ და განუსჯელ ბუნებას მიაწერს

განთიადს, ცეცხლსა თუ სასქესო ჰორმონებს,
ელვებს თუ იმას, რაც წვიმა თუ ღელეა,
ო, მაშინ როდესაც ისინი მლერიან,
რა ლხენა მოგველის, რომ გვამცნონ როგორმე.
ჩვენ უკვე დღეს გვიმხელს ღრუბლების მომგონი
მას, რაც ჯერ თითქოსდა არგასამხელია.

III

ნეტავი რას ვშვრებით? ყურს ხომ არ ვიყრუებთ?
ნუთუ ჩვენ არ გვესმის სფეროთა სიმღერა?
არც მიღლობილია, არც გადატიხრული
რამეთი, სამყარო ყოფილა იმხელა.
როდემდე იღვაროს ცრემლები ბრიყვული?!
შეხედეთ, მაჟორში რამხელა სიღრმეა!

ცხოვრება შავმა და თეთრმა რომ შეფიცრა,
ეს ჩვენვე ვუზურგეთ მხარეებს ფერადებს.
მინორი ექოა ტყუილი ხმებისა,
ხარები, საკუთარ თავში რომ ნეტარებს,
შეცდომა, სამოსი შიშველი მეფისა.
მინორი ეყრდნობა იმას, რაც ზედაპირს

და მხოლოდ ზედაპირს ედება. მინორი
თავს მარტოობათა იმართლებს სუსხით ან
იმით, რომ შთაუნთქავს ნისლს სანაპირონი;
რომ სადღაც ბინაში გარდაცვლილს უსხედან,
ხატს კი იქ კედელზე არ მოსდის მირონი.
მორჩა, სულ ესაა; მინორის ნუსხიდან

ვერასდროს ამოწერ არსებით რაიმეს,
იმდაგვარ რაიმეს, რაც ფიქრის ლირსია.
რა ბანალურია იძახო „ვაიმე“,
რადგანაც, სენია თუ კატაკლიზმია,
გჭრიან თუ ფსევრისკენ მიათრებს ლაინერს,
მსვლელობა ჭირისა სულ ზედაპირზეა.

IV

სულთმობრძავ ავადმყოფთ, მკვნესარეთ, ჯვარცმულებს
სამყარო ნიადაგ შესთხოვს და არნმუნებს,
როგორმე მიპებაძონ წამოზრდილ ქალწულებს,
უკვე რომ შეიგრძნეს ქალური უნარი
და ახლა კწუტებზე სულ აღარ ზრუნავენ.
სამყარო შეტყველებს. ამიტომ ნურავინ,

ნურავინ იტირებს. მეტადრე – ძალიან.
ცორემლების ფრქვევისთვის ნურავის სცალია.
ნეტარი ღიმილის მომგვრელად მწარეა
ის, გრძნობ რის ბოლოსაც, რომ მხოლოდ თქორავდა,
თავსხმა რაც გეგონა. იხარონ მხცოვანთა,
ვითარცა ქალწულთა მათ გასათხოვართა:

წინ ნეტარებაა, რამ აღარ იფიცა –
ფოთლების შრიალმა, ვარსკვლავთა ციმციმმა.
რით უნდა გაქარწყლდეს იმედი იმისა,
მზის ამოხეთქისას რაცაა დასკვნილი!
სამყაროს არა აქვს დღე უკანასკნელი.
და ადამიანი – ეს არის ვარსკვლავი,

მასში რომ უქრობლად ინათებს როდისმე!
სამყარო მოკლეა სიკვდილის ლოდინზე.
თუმც ისე ფართოა – არც პატრიოტიზმი
სჭირდება მევიდრთაგან, არც სხვა რამ ამგვარი.
ძმობილო, მუხანათ საწუთროს გავეკარი:
ხან გტკივა გული და ხან ყვერის კაკალი.

V

ხან კიდევ ვიღაცა ხეიბრის დარდი და
ხან ვინჩე მართალთა დათხრილი თვალები.
მე ალბათ დავდვრიდი სისხლს მოძალადეთა,
ოლონდაც მწერლობა ვერაა ალიბი.
მწერლობა გაკისრებს მშვენება ადიდო
და იყო ცოტათი ნასწავლი აბელი.

და რახან მწერლობა მკითხველებს განელილ
მშვენიერ ნამს აძლევს, რახანაც სინტაქსი
ცდილობს, რომ თავისი ხლართების სიმკაცრით
შებოჭოს ცხოვრების შავბნელი ნანილი,
ნურავინ დააქცევს სისხლს, ვისაც ნაწერი
რამ ნაკითხული აქვს. თუნდ ერთი სიტყვაც კი.

სიკვდილს კი – წარმავალ სივრცეთა წვრილფეხა
თავადს, ყბედ ორატორს, მოუბარს ხელგაშლით –
მე მინდა ვესროლო პატარა რეპლიკა
(ზედმეტი იქნება სხვა სახის დემარში):
მინაში კუბოებს დარჩებათ ძვლებილა,
დღეს ხელს რომ გვიშლიან ნარნარად ფრენაში!

არავინ მომკვდარა. არავის მივტირი.
სამყარომ არ იცის, რა არის სიკვდილი.
ასე რომ, უბრალო „რამტირი-რიმტირი“
მწუხარე მესაზე ნაღდია ამ მხრივ, და
რა კარგი იქნება, თუ ვინჩე ნახევრად
ნასული ამ ჩემი კილოთიც გამხნევდა.

2006

* * *

სახურავებზე ზამთრის ნადიმის
დევს ხელუხლები თეთრი ნამცხვრები.
მე კი სხეულში ჭვალად დამიდის
შენი სხეულის ცივი ნამსხვრევი.


ვიღაცის წელზე ტებილი წამისთვის
ბაგირის მსგავსად გაინასკვები.
მე კი სხეულში ჭვალად დამიდის
შენი სხეულის ცივი ნამსხვრევი.

ნათელ საათებს დრო ცვლის დაბინდვის.
ისევ მზე მოდის, ფერთა დამხსნელი.
მე კი სხეულში ჭვალად დამიდის
შენი სხეულის ცივი ნამსხვრევი.


აღარ მიწესებ თითქოს ამინდებს.
ავდრების წყებით აღარ მაცხრები.
მე კი სხეულში ჭვალად დამიდის
შენი სხეულის ცივი ნამსხვრევი.

თითქოს ზემოდან ვადა დამიდეს
გონს მოსასვლელად, უკანასკნელი.
მე კი სხეულში ჭვალად დამიდის
შენი სხეულის ცივი ნამსხვრევი.

2012



* * *



შინ მარტო მყოფი, გაყინულ კედელს მივაბჯენ ფეხს და თავს დაბლა დავხრი.
ჩემში გინახავ. მე კი, კაცისგან დავიწყებული, მინახავს სახლი.
ბედნიერი ვარ, გული – ეს შენი პატარა ნერვი – რომ დამაფიცე.
თოვს. და, თუმცალა მინას ეცემა, ნუ ეგონებათ თოვლი სამინე.
დგას იანვარი – ცივი, უცვლელი. როგორც უარი. როგორც ინვარი.
ღამეში დუმან სახლები შევი. დღისითაც ჯმუხი, გაუცინარი.
და სიბნელეში მტაცებელივით მოიპარება გზაზე ტყე-ველი.
მან იცის ჩემი ყვითელი ბინა – მისნაირების საკურთხეველი.
შემოიჭრება კარში საზარლად გამოშვერილი ათასი ტოტით,
და ყველა მეტყვის: დიდი მადლობა, რადგან გცილდა, როცა ჩვენ ვთრთოდით.

დრო

დრო იაფფასიანი რამაა.
ყველა, ვინც საკუთარი ძალაუფლების შეზღუდულობის შესახებ იცის,
ცდილობს ბორკილები დაგადოთ.
და დრო აქ არამცოუ არ წარმოადგენს გამონაკლისს –
თავად დამწესებელია და წარმმართავი.
ვერც ერთი მეცე ვერ დაგადებთ საათებივით მაგარ ბორკილებს.
ახლა კი მეცეთა მიკროსკოპულობა წარმოიდგინეთ,
თუ დროც კი საპნის ბუშტივითაა.

დრო იაფფასიანი რამაა.
ამქვეყნად ყველაზე მწუხარე ხმა საათის წიკწიკია, ამხანაგებო,
და ყველაზე სამგლოვიარო სვლა – საათის სვლა.
საათები გვიკიდია მაჯებსა და კედლებზე.
საათები გვიცერიან ვიტრინებიდან და ტრაგედიებს აკუმულირებენ,
საათები – ამაობის საცავები.
დრო ცეკვას ჩვენს საათებში,
როგორც ტანხმელი ბერიკაცი უკაცრიელ დისკოთეკაზე.




ყველაზე არასაიმედო ყელსაბმელები
წუთების, დღეების, წლების აცმები გახლავთ.
დაკიდეთ, ვისაც შეგიძლიათ, ბრილიანტები, მარგალიტები,
ვისაც არა, აასხით მონეტები, დაპობილი ძვლები და დაიკიდეთ ისინი,
ოლონდაც არ ენდოთ დროის მძივებს –
მათი განცდომა ყველაფერზე გარდაუვალია.
ნუ იხდით ასე ძვირს, ნუ იხდით ზედმეტს
სივრცის ამ მოსაწყენ და მდარე შოუზე დასასწრებად სახელად დრო!

დრო იაფფასიანი რამაა.
რადგან თუნდაც რომ არასოდეს არსად დავიგვიანოთ,
მაინც აღმოგაჩენთ ბოლოს, რომ ვერსად მიგვისწრია.
ხოლო ეს აღმოჩენა, დროისგან განსხვავებით, ერთ რამედ კი ღირს.
ჩვენ ვასწრებთ მხოლოდ ერთს,
ჩვენ ერთადერთს ვაკეთებთ, ასე ვთქვათ, დროულად: ვკვდებით.
თუმცა ამაშიც ვიღაცებისთვის შესაძლოა ვაგვიანებდეთ.


დრო რომ იაფფასიანი რამაა,
იმიტომაც გვიტაცებს ასე ძალიან მარადიულობაზე საუბარი.
ერთ მშვენიერ დღეს კი მაინც გვეჩვენება,
რომ გავფლანგეთ მთელი ჩვენი დრო და უავე მეტისმეტად გვიანაა.
ყველა ფლეიტაზე დაკრულა ამის შესახებ.
ჩვენ ვექცევით ამ ფიქრის გავლენის ქვეშ,
როგორც სპილოები ხვდებიან ორმოებში.
რა დასანანია!

ზოგჯერ დროის უბადრუეობა იმდენად თვალშისაცემია,
რომ დამატებით დროს იგონებენ.
ეს ხდება ხოლმე დროსავით იაფფასიანი სხვადასხვა შეჯიბრებისას,
როდესაც საქმეში ვიღაცების მერკანტილური ინტერესებია ჩართული.
აი დამატებითი დროის მთელი არსი.
ვერანაირი დამატებითი დრო
ვერ შეავსებს ძირითადი დროის ნაკლებობას.



ქუჩაში ჩქარ-ჩქარა მსვლელნო,
სად მიიჩქარით? უკელით ნაბიჯს!
ჩვეულებრივად წადით, მშვიდად,
და სიჩქარით გამოწვეულ ქოშინსაც აირიდებთ,
იმის ალბათობაც შემცირდება, რომ წაიქცევით,
და უფრო მიმზიდველებიც გახდებით ერთმანეთისთვის.
მას, ვინც მიასწრო, არაფერი არ ხვდება მეტი
იმაზე, ვისაც დაუგვიანდა.

2011



მესიკური ჩიხი

რვა ერთმანეთისთვის იარაღიშვერილი ახალგაზრდა მამაკაცი
გაშეშებული იდგა იმ ღამით გზაჯვარედინის კუთხეში.
შემთხვევის ადგილთან ახლომდებარე სახლის რამდენიმე მცხოვრებმა
მეორე დილითვე ერთხმად აჩვენა,
რომ საქმაო ხანს რაღაცა შელაპარაკებისმაგვარი მოესმოდა ქუჩიდან,
თუმცა სროლის მსგავსიც კი არაფერი გაუგია.
და მართლაც, პისტოლეტებში სავაზნე კოლოფები სავსე იყო,
თანაც არანაირი სხეულის დაზიანება, არანაირი ჭრილობა –
არც ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული, არც ცივით –
არც ერთ ცხედართაგანს არ აღმოაჩნდა.



კრიმინალისტების მიერ გადაღებული ფოტომასალა მოწმობდა,
რომ მამაკაცები მეგობრულად უღიმოდნენ ერთმანეთს,
რაც რაღაცნაირად სახეების ანაბეჭდებითაც დადასტურდა.
მაგრამ ეს გარემოება გამოიძიების ჰაერში დაეკიდა
და ოქმს ერთი ახალი პნევრითაც ვერ შეენია თავის იქით.
გაკვეთებით ვერაფერი გაირკვა:
ექიმა-ექსპერტმა ბავშვივით გაასავსავა ხელები
და იატაქს დამტერებულმა ნაწყვეტ-ნაწყვეტ მიმართა გამომძიებელს:

„ფეხზე დგომას როგორდა აგრძელებდნენ...
ან ერთხელაც უნდა დავრნმუნდეთ გამოცანის პირობების სისწორეში,
ან, რაღა დასამალია, მისტიკა“.

გაზეთებმა ჯერ კიდევ გაკვეთების ჩატარებამდე მოასწრეს აჭრელება.
სათაურები ელვის სისწრაფით ენაცვლებოდნენ ერთიმეორეს.
შემდეგ ტელევიზორით ქალაქის პროკურორი გამოვიდა და განაცხადა,
რომ, მართალია, გამოძიებას არავითარი ხელმოსაჭიდი არა აქვს
და, აქედან გამომდინარე, ჯერ არავინ არაფერი არ იცის,
მაგრამ ის, ქალაქის მთავარი პროკურორი,
მაინც, რადაც არ უნდა დაუჯდეს, გახსნის ამ ბნელით მოცულ საქმეს,
რომ სასწროზე მთელი მისი უწყების ღირსებაა
და რომ მას, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ,
უბრალოდ უკვე ცნობისმოყვარეობა არ ასვენებს.


შემდეგ გადიოდა კვირები და ხმა დაირხა,
რომ ამბავს უხცოპლანეტელთა ხელი ატყვევა,
ვინაიდან რალაა საფიქრებელი, თუ არა მათი მორიგი გამოხდომა.
მით უმეტეს, არავისთვის ალარ წარმოადგენს საიდუმლოს,
რომ ისინი უკვე არა ერთხელ და არა ორჯერ სტუმრებიან მინას.
შემდეგ ოვე თვეს მიჰყვა და წელიწადი წელიწადს.
და ახლაც მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება:
რვა ერთმანეთისთვის იარაღმიშვერილი ახალგაზრდა მამაკაცი
გაშეშებული იდგა იმ ღამით გზაჯვარედინის კუთხეში.

2012



დინება

უფერული მდინარის დინებას მივყვებით.
ირგვლივ გაუვალი ჭალებია, სადაც მაიმუნები დამწყდარან
და მარტორქები რქებით მისქედებიან ხეებს.
წყალში ამოშვერილ ქვებზე კუდებით შემდგარი თევზები
ფარფლებით დოინჯშემოდგმულნი გვიცქერიან,
და მათ გამოხედვაში სიბრალული შეიმჩნევა.



ჩვენ წყალქვეშა ქვებს ვეჯახებით.
ბევრი ჩვენგანი სახიჩრდება ამით, ბევრი ადგილზე იღუპება.
ქვები კი მხოლოდ იმას ცდილობენ, დინებას რომ არ მივყვეთ,
გვაფერხებენ, რაც შეუძლიათ.
მაგრამ არჩევანი არცთუ სახარპიელოა:
ქვებზე დალუპვა ან დინების მიყოლა.

ვინც ქვებს თავს ვალნევთ, ვაგრძელებთ გზას,
მივყვებით და მივყვებით უფერული მდინარის დინებას.
გზადაგზა ერთმანეთს ვუცქერით,
მაგრამ ათხელებს ჩვენს მზერებს წყალი.
გზადაგზა ვეხებით ერთმანეთს,
მაგრამ ყრის წყალი ჩვენს ხელებს ერთმანეთისგან.

ძალაუნებურად თან მიგვაქვს ყველაფერი.
ჩვენსავით მიჰყვებიან დინებას ჩვენი შარვლები, კაბები,
პერანგები, პალტოები, ქურქები, ფრაკები,
საცვლები, ქუდები, თაგმლები, წინდები, ქოშები, წალები,
ქამრები, ზონრები, ძაფები, საკინძები, სარჭები,
მაკრატლები, ჯაგრისები, ქინძისთავები.



მოგვყვებიან მაგიდები, სკამები, კარადები, თაროები,
საწლები, ტახტები, სავარძლები, სარკეები,
ხალიჩები, ფარდები, პირსახოცები, ტილოები,
თეფშები, ჭიქები, ფინჯნები, კოვზები,
ჩანგლები, დანები, ქვაბები, ქოთნები,
ჩაქუჩები, ხერხები, ქლიბები.



მიყავართ დინებას, მდორეს, მაგრამ ურყევს,
ჩვენ, სასაცილო კაცები და ქალები,
ჩვენი საცოდავი შინაური ცხოველებითურთ.
ირგვლივ კი რაყაა, სადაც შავი ლიანები ჩამოშვებულან,
მგლის ლეკვები ადამიანის შვილის ძვლებს ხრავენ
და ზურგზე მწოლ ავაზებს ხმარობენ გაოფლილი ლომები.



მოგვყვებიან კარები, ფანჯრები, დარაბები, ბოქლომები,
გისოსები, გასაღებები, ანჯამები, ურდულები,
ბოძები, გუმბათები, ძელები, მილები,
ცულები, ცელები, თოხები, ნამგლები,
ფოცხები, ცოცხები, ნიჩბები, საპენტები,
ლურსმნები, ნემსები, კვერთხები.





მოგვყვებიან ჯიბეები, ჩანთები, სკივრები, ჩემოდნები,
 ტომრები, ტომსიკები, ყუთები, კალათები,
 ზარდახშები, ყულაბები, ქისები, ბოხჩები,
 ბალიშები, ლეიბები, საბნები, პლედები,
 ჭოგრები, თოფები, მათარები, სასწორები,
 ნამლები, კრიალოსნები, თილისმები.



ხავსი და უანგი გვეეიდება ჩვენ და ჩვენს ნივთებს.
 კიდურებზე მოუშორებელი წყალმცენარეები გვეხვევა.
 წყალი სულს გვიგუბებს, და კანი გვიმწვანდება.
 ნელ-ნელა და შეუმჩნევლად ულპებით.
 ვყარვართ და ვაყროლებთ დინებას.
 მაგრამ დინებავე გვალპობს.



წყალში ნავებივით დაცურავენ ცარიელი კუბოები
 და კუბოებივით დაცურავენ ცარიელი ნავები.
 და კუბოები და ნავები ლავირებენ ერთმანეთს შორის.
 ჩვენ კი მათში გვიწევს ლავირება.
 და უაზრო ფარსის მსგავსი რამ გამოდის.
 მაგრამ არავის ესეირება.



გვქანცავს დინება, გვტანჯავს, გვაძრნუნებს,
 გვტეხს და ჭეუდან გადავყავართ.
 ნაპირზეც ვერ გავდივართ. და თუნდაც გავიდეთ,
 ნაპირი არაფერს გვიქადის დინებაზე უკეთესს.
 და ჩვენ ვერაფრით ვერ ვაგნებთ საშველს.
 და გვემანჭება უსაშველობა.



და როცა ის ამას განსაკუთრებით შემზარავად აკეთებს,
 იმხელა ხმაზე ვკიფით ხოლმე,
 რომ მასაც კი შევაკრთობდით, ამ ხმის გამგონეს.
 მაგრამ უცნობია მისთვის ჩვენი კივილი.
 რადგან კივილს, გულთა ჯურლმულებიდან ნამოსულს,
 დინების მაინც უფრო ხმამაღლი დუდუნი გვიფარავს.



მიგვათრევს დინება, და ხელის ცეცებით
 გპოულობთ წარმოსახვით ფონებს და მათზე აცოცვა გვინდა.
 წყალდება ჩვენი შიგანი, და გარედანაც ვწყალდებით
 და წყლისგან განუსხვავებლები ვხდებით.
 ყოველ ჯერზე სულ უფრო მერთალად იღებება წყალი
 ქვების მორიგი მსხვერპლის გარშემო.

შესაძლოა, საშველი იმის შეგნებაა,
 რომ უეჭველად არის საშველი
 და რომ მთავარია მისი არსებობა, და არა მიგნება.
 არც ის არის გამორიცხული,
 რომ დინებაა საშველი თვითონ.
 წყლით სავსე პირითაც თქმა რომ არ ლირს, ისეთი ჭირის.

იაფფასიან დროში

მოცემული

პოტის შესახებ



სოფორ ნულაია

დრო, როგორც იაფფასიანი რამ, ამქვეყნიური ყოფა, როგორც ამაოება – და როცა ამ თემაზე წერს, ცდილობს, რაც შეიძლება ბევრი საგანი, უფრო სწორად, სამყაროში არსებული ყველა საგანი ჩაატიოს საკუთარი ლექსის სტრიქონებში. საგანთა რიგს, თავპრუდამზევე ქაოსს ქმნის და თითქოს ამას ბოლო არ უჩანს – მოედინება და მოედინება სტრიქონებად უსულო ნივთებად დაშლილ-დაქუცმაცებული სამყარო – ჩვენს სიზმრება თუ ცხადში არსებული ერთადერთი რეალობა, რომელსაც ყველაზე მეტად აღბათ სიტყვა „ჯოჯოხეთი“ შეესატყვისება.

ყველაფერი ამაოა და სისულეელე, მაგრამ ამ ფაქტის ბოლომდე გაცნობიერების მიუხედავად, ფიზიკური თუ სულიერი ტკივილის შეგრძნება კი არ იკლებს, არამედ მძაფრდება. უნესრიგოდ დახვაცებული საგნები მათდამი გულგრილობისა და სიძულვილის კი არა, შინაგანი ისტერიული, ნინაალმდეგობრივი მდგომარეობის გამომხატველები არიან, მდგომარეობისა, როცა ზუსტად იცი, რომ ვერაფერს შეცვლი, მაგრამ საკუთარ უმწეობასთან შერიგებასაც ვერაფრით ახერხება...

ისევე, როგორც სამყაროში, ამ ლექსებშიც ერთმანეთის გვერდით თანაარსებობს უამრავი არსებითი სახელი – ძალიან ძვირფასი, ძვირფასი, ნაკლებად ძვირფასი, თუ იაფფასიანი, კონკრეტული თუ აბსტრაქტული, საზოგადო თუ საკუთარი, ზოგჯერ ძალიან ინტიმურიც კი; ის, რაც ყოველთვის არსებობდა და ისიც, რაც მხოლოდ კონკრეტული ეპოქისთვისაა ნიშანდობლივი და ეს ყველაფერი – ყველაზე ძვირფასით დაწყებული და ყველაზე იაფფასიანით დამთავრებული – ნიღბებად ეფარება სამყაროს, მის რეალურ სახეს საგულდაგულოდ მაღავს და ხელს გვიშლის სიმართლის გაგებაში.

ჩემი აზრით, ნიკა ჯორჯანელის ლექსი „დინება“ მისი შედარებით ადრეული პერიოდის ლექსის – „ბირთვული იარალის იავნანა“ – ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს, თუმცა „დინებაში“ ხორციელი ტკივილის შეგრძნება ბევრად ძლიერია, ლექსის მთავარ პერსონაჟებად კი, ნინა ლექსისგან განსხვავებით, ნივთიერი ფორმების მქონე მრავალი საგანი გველინება, და არა ისეთი აბსტრაქტული ცნებები, როგორიცაა „ევოლუციის თეორია“ ან „ნაპატივები უსამართლობა“.

ამ სამყაროში ყველაფერი იაფფასიანი ფარსია, ფარსი, რომლის ბოლომდე გაცნობიერებისთვის არავის სცხელა; იაფფასიანია თვით ყველაფერზე აღმატებული, ძლიერი, სიცოცხლის დამთრგუნველი განზომილებაც – დრო, რომელიც თითქოს მილიონობით საგნისგან შემდგარი სამყაროს საფუძველთა საფუძველია. ავტორის ფრაზა: „დრო იაფფასიანი რამა“, რომელიც რეფრენად გასდევს მის ლექსს „დრო“, თავისი შინაარსით წინააღმდეგობაში მოდის პრაგმატულ, უტილიტარულ ეპოქაში გაბატონებულ სოციალურ-კულტურულ პარადიგმასთან, თითქოს, „დრო ფულა“, ფული, რომლითაც ყველაფერის ყიდვა შეიძლება და თუკი გვჯერა, რომ დრო მართლაც ფულია და მეტი არაფერი, ისიც ფაქტია, რომ საჭირო და აუცილებელია მისი დაუნდობლად დახარჯვა, გაფლანგვა, გაფანტვა, დაკარგვა... ძვირადლირებულ კოქტეილებში, ბრენდებში, ტატუებსა და პირსინგებში... ამ დროს კი პოეტი გვარნწმუნებს, რომ ის, რითაც ამ ყველაფერის ყიდვა, ანუ მიღება შეიძლება, ყველაზე იაფფასიანი რამ არის და ადვილი წარმოსადგენია, რამდენად იაფფასიანია მასთან შედარებით თითოეული ნივთი ცალ-ცალკე, ან თუნდაც მთლიანობაში... ვყიდულობთ ათასობით საგანს, ათასობით არაფერს – და ჩვენი ყოფის ტრაგედია სწორედ ამაში მდგომარეობს, ამ დროს კი პოეზია გვარნწმუნებს, რომ იმას, ვინც მიასწრო, იმაზე მეტი არაფერი დახვდა, ვიდრე იმას, ვისაც დააგვიანდა, და თუ ვერ ვიყიდეთ, ვერ მოვასწარით, ამაში ტრაგიკული არაფერია. მგონი, ღირს დაფიქრებად...

დროის არაერთი დეფინიცია არსებობს: ამბობენ, თითქოს, დრო მდინარეა, ან მტკერია, იმასაც ამბობენ, რომ დრო ბორბალია, ან საერთოდაც, რომ ცხოვრებაა... მისი მისა-

მართით ხშირად გაისმის უარყოფით კონტექსტში ნახმარი ჩვეულებრივი ზედასართავი სახელები, ან მათი აღმატებული ფორმები – ეპითეტები... ვამბობთ, რომ დრო დაუნდობელია, ულმობელია, სასტიკი და შეუწყნარებელია... და უცებ ვიგებთ, რომ თურმე, ამ ყველაფერთან ერთად, იაფფასიანი რამეც ყოფილა, ისეთივე აზარტით რომ უყურებ და აღიქვამ, როგორც საპნის ოპერას, მაგრამ როგორც კი ჩაივლის, გაივლის, გადაივლის, დასრულდება... მისგან არაფერი რჩება, საერთოდ არაფერი – ნაკვალევიც კი...

გრამატიკის პოეტიზაცია ნიკა ჯორჯანელის პოეზიის ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა, ფილოლოგიური განათლების მქონე ადამიანებისთვის ხომ ენის გრამატიკისადმი დამოკიდებულება ყოველთვის განსხვავებულია. ზმინის კავშირებითი კილოსტვის ლექსის მიძღვნაც გარკვეულნილად ამ იდეის ხორცებს ხმა და ენის, ანუ სამყაროს იმ თავისებურების ამოხსნას ემსახურება, ერთ დიდ ნიღბად ტრანსფორმირებული საგნების უსასრულო ნაკადის მიღმა რომ იმაღება.

პოეტის ლექსების კიდევ ერთი თავისებურებაა თემატიკათა მრავალფეროვნება, ქართულ ლიტერატურულ სივრცეში ძნელად თუ მოიძებნება ავტორი, რომელიც შედარებით პრივილეგირებული თემების გვერდით აყენებს ისეთი ნარატივის მქონე ლექსებს, სადაც მთავარ როლებს ასრულებენ სომალელი მეკობრები, ვესტერნების პერსონაჟები, გარდაცვლილი რეაისორი, რომელსაც შეეძლო ქალის ტანსაცმლის გახდა „ლამის ემდერა კინოლენტზე, როგორც არია...“ ყოფითი, შავთეთრი რეალობა ხშირად ისეთი პერსონაჟებით ფერადდება და მრავალფეროვნდება, რომლებიც მზეს ნაყინივით გემრიელად ილუკმებიან; ზოგჯერ გვერცენება, თითქოს ზღვარი პროზასა და პოეზიას შორის საერთოდ ნაშლილია, ან ნაშლილი თუ არა, ძალიან პირობითია. ზოგჯერ ვერლიბრი პოეტური პროზის ნიმუშადაც შეიძლება აღიქმებოდეს, მაგრამ ეს შხოლოდ ერთი შეხედვით და თვალის ერთი გადავლებით... როგორც კი ლექსში გამოყენებულ ტროპებს უფრო დეტალურად დავაკვირდებით, მივხვდებით: მიუხედავად იმისა, რომ ამბებს მოგვითხრობს, მხოლოდ პოეზიას შესწევს ძალა, შეამჩნიოს, რომ: „ერთგვარად იწვიან: ქალაქში – ცხოვრება, ტაფაზე – კარაქი“, და რომ მდინარე, რომე-

ლიც „ქალაქს კვეთს“, „ამბობს ანდაზებს“, შეიგრძნოს: როგორ დაუდის ცისფერი ბენზინი ძარღვებში, ან მოეზვენოს, თითქოს: ზის და „სიჩუმის სულს მაჯას“ უზომავს, ამ დროს კი: „ფარდაზე ნელა გადის ნიავი, და ზღვად იქცევა დროებით ფარდა“.

დაბოლოს, კიდევ ერთი თვალშისაცემი თავისებურება: იაფფასიან დროში მოხვედრილი პოეტი, სადაც ყველაფერ იაფფასიანს ამჯობინებენ ღირებულსა და ნამდვილს, იაფფასიანი საგნების ერთმანეთთან შეკავშირებით ნამდვილი პოეზიის შექმნას ახერხებს.

სომალელი მეკოპრავები

ზღვაში საკმაოდ სტაბილურად დაბინავებით მოტორიანით ნავარდობენ მასზე ნავებით და მოსვენებას არ აძლევენ ზღვის გასასვლელებს. ზღვა კი მღლელვარებს, და ლელვაა მისი სარჩელი... შავიანიანი ყმანვილები. ყველა – ნარჩევი. მათი ყურება მდედრ ზვიგენებს წყალში ასველებს.

მართალი ითქვას, დასჯა მართებთ მათ და კიდევაც მოუხდებოდათ ქანდარებზე ჩამოკიდება, რადგან ფულისთვის, სარგებლისთვის რას არ სჩადიან – თავს ესხმებიან მოგზაურებს, აჰყავთ მძევლებად, კლავენ, რაც უკვე არაფერში არ ეწერება – და იღვიძებენ ამ შრომისთვის დილაადრიან.

მეკობრები სომალელი... ბევრი რამაა ამ ხმაში ცივი, აბსურდული, შორი, ამაო. მათ არასოდეს უხმარიათ პენიცილინი და თავის დღეში არ ჩაუცვამთ ტანზე პიჯაკი. მათ უყვართ ცხელი შერის ფაფა მწარე წინაკით. და რომის ნაცვლად ნავთობს სვამენ მზეზე ისინი.

პეგუბენ, რასაც ასი წელი ვერ მიეჩვევი – ათასგვარ შანკრებს, პეპატიტებს, – და მიიჩნევენ, რომ ამრუდებენ სამარეებს კუზიანები. აქუცმაცებენ სიგარეტის დაცლილ კოლოფებს და მდედრ ზვიგენებს, ლამის ზღვიდან თავამოყოფილს, თავიანთ დარდებს და ოცნებებს უზიარებენ.

კაცმა არ იცის, რეალურად რა ამოძრავებთ. იქნებ, გართულებს ძარცვა-გლეჯით და გამოძალვით, მათ ბრმად სხვა რამ სურთ, ჯახირობენ სულ სხვა რამისთვის; რომ იქცნებ ნიგნად და ის იყოს საინტერესო. იქნებ მხსნელივით მოელიან ახალ სტივენსონს და ეს თვითონაც არ იციან. კაცმა არ იცის.



სარგები უძანი

ნაღვლიანი ვპოვის მარილი

(საუკარი სკაიაპით, 2013 ნეიტ 13 მარტს)

შოთა იათაშვილი: სერგეი, მოდი დავინწყოთ იდენტიფიკაციით: აი, მე ვწერ პოეზიასაც, პროზასაც, სხვა რამეებსაც... მაგრამ მუდამ პოეტს მიწოდებენ, პოეტად აღმიქვამენ. ის კი არადა, მეც საკუთარ თავს პოეტად აღვიქვამ. აი, შენ როგორი იდენტიფიკაცია გაქვს მკითხველისაგან? ან საკუთარ თავთან?

სერგეი უძანი: მეც პოეტად აღვიქვამ საკუთარ თავს, შოთა. და მკითხველისთვისაც ძირითადად პოეტი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ 5 პროზაული წიგნი მაქვს უკვე დაწერილი, სულ ვმუშაობ თეატრთან და მუსიკოსებთან. ეს ასეთი სიმპატიური სტერეოტიპია – ადამიანი, რომელსაც ცხოვრებაში რამდენიმე ლექსი მაინც დაუწერია, მუდამ პოეტად რჩება. და ეს მე მანყობს.

შ. ი: ისე, ალბათ პოეზით დაინწყო შენთან ყველაფერი, არა?

ს. ჟ: კი, დავინწყე მართლა როგორც „ნმინდანწყლის“ პოეტმა – ლექსების სამი კრებული დავწერე და მხოლოდ ამის შემდეგ მოვკიდე ხელი პროზას. მაგრამ დღეს ყოველივე ეს ჩემთვის იმდენად არაარსებითია, რომ არც კი შემიძლია ამაზე სერიოზულად საუბარი. ანუ, არ შემიძლია სერიოზული რეფლექსირება იმაზე, თუ ვინ ვარ მე – პოეტი? პროზაიკოსი? ესეისტი?

ისე, როცა ახალგაზრდა ვიყავი, 17 წლის, საშინალად გამიმართლა – ხარკოვის ლიტერატურის მუზეუმში მოვხვდი. ის ჩემთვის ფაქტიურად მეორე სახლი გახდა – მე იქ ვმუშაობდი, ვცხოვრობდი, იქ მყავდნენ უფროსი მეგობრები, რომლებიც მასნავლიდნენ, თუ როგორ უნდა ცხოვრობდეს და წერდეს ნამდვილი

პოეტი, ანუ ლიტერატურის ისტორიის არსებობამ ჩემი ცხოვრების საწყის ეტაპზე მთლიანად განსაზღვრა ეს ცხოვრება. ახლა მე ამ მუზეუმისკენ მიმავალ გზაზე ვცხოვრობ, და იქ ჩემი ექსპოზიციაცაა. ანდერძში აუცილებლად ჩავწერ თხოვნას, რომ ამ მუზეუმის ტერიტორიაზე დამასაფლავონ.

შ. ი: მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, შენ თითქოს უკვე გამოსული ხარ „ლიტერატურის მუზეუმიდან“. შენი ტექსტები სრულიად „არამუზეუმურია...“

ს. ჟ: ეს ხომ ტრენდია – სწორედ „არამუზეუმური“ ლექსები ხვდებიან მუზეუმში. და სინამდვილეშიც, ეს მუზეუმი ასალუტურად „არამუზეუმურია“. ჩვენ იქ პანკ-კონცერტებს ვაწყობთ. შარშან მისი აივნიდან როდიონოვი* ლექსებს დეკლამირებდა და თავგადაგდებული გამვლელები გაკვირვებულები იყურებოდნენ მაღლა.

შ. ი: ცოცხალი ავტორებიდან ამ მუზეუმში ალბათ ლიმონოვის ექსპოზიციაა, არა?

ს. ჟ: გაგიკვირდება, მაგრამ – არა. ხარკოვს ლიმონოვთან მიმართებაში უცნაური დამოკიდებულება აქვს. ქალაქი მას საკმაოდ თბილად ეპყრობა, თუმცა ედუარდ ბენიამინოვიჩი ხარკოვს სიყვარულით არ ანებივრებს. ორიოდეჯერ ჩამოვიდა აქ, მაგრამ როგორც ინკოგნიტო. დიდი ხანია, რაც მინდა, მოვინვით გამოსვლებით, მაგრამ ადრე ის პერსონა ნონ გრატა იყო, ახლა კი, როგორც ჩანს, მაინცადამაინც თავისუფალი დროც კი არა აქვს...

* თანამედროვე რუსი პოეტი

შ. ი: სერგეი, მოდი ახლა სხვა იდენტიფიკაციის შესახებ ვისაუბროთ: შენ უკრაინელი პოეტი ხარ? თუ სლავი? თუ კოსმოპოლიტი? იმ აზრით, რომ მაგალითად, მე როცა საკუთარ თავზე ვფიქრობ, თითქოს არც კი ვარ ქართველი პოეტი. ძალიან ცოტაა ჩემთან ქართული თემატიკა, ქართული გარემოც კი საჯამოდ იშვიათია ჩემს ლექსებში... და თითქოს საქართველოს გარეშეც თითქმის ასე დავწერდი... აი, შენ როგორ გონია, როგორ დაწერდი შენი უკრაინის გარეშე?

ს. ჟ: ცხადია, უკრაინელი პოეტი ვარ... სხვა რა ვარიანტი მაქვს? აქ დავიბადე, გავიზარდე, ვცხოვრობ, ვწერ. ძალიან მომწონს, რომ ურთიერთობა მაქვს ამ ქეყანასთან, ამ ტერიტორიასთან, ამ ადამიანებთან, ამ ქალაქებთან – ყოველივე ეს ძალიან მიყვარს და ვცდილობ მის არსს ჩავწერდე. თუ რამდენად გამომდის, ეს არ ვიცი...

ჩემი აზრით, ყველაფერი, რაც აქ იწერება, უკრაინული ლიტერატურის ნანილა, მიუხედავად ენისა, იდეოლოგისა და თემატიკისა. ანუ ჩემთვის გოგოლი უკრაინელი მწერალია, იმ დაზუსტებით, რომ ის ორ ლიტერატურას ერთდროულად მიეკუთვნება. თუმცა ვშიშობ, რომ ამაში ბევრი არ დამეთანხმება... სხვათაშორის, ჩვენთვის თვითიდენტიფიკაცია მტკიცნეული საკითხია, მათ ძორის კულტურულიც. უკრაინაში დიდი რაოდენობის საინტერესო რესულენციანი მწერლები მუშაობენ. ყველა არ აიგივებს საკუთარ თავს უკრაინასთან, მის კულტურასთან, და ეს საწყინია. მეორე მხრივ, ჩვენი ნაციონალისტურად განწყობილი მწერლები, როგორც წესი, მათ „თავისიანებად“ არ მიიჩნევენ...

შ. ი: სერგეი, ხანდახან მეჩვენება, რომ შენ თანამედროვე „პროლეტარული“ მწერალი ხარ. წერ მუშებზე, ქარხნებზე, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, „სოციალურად დაუცველებზე“... ასეა?

ს. ჟ: ნუ, დღეს სერიოზულად ადამიანი საკუთარ თავს პროლეტარულ მწერალს ვერ უწოდებს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ სტრუქტურულ ცვლილებებს, რაც თავად პროლეტარიატში მოხდა, ვფიქრობ, რომ თავისთავად პროლეტარული ლიტერატურის გაგება შეიცვალა. დარწმუნებული არ ვარ, რომ მაგალითად, ალექსეი მაქსიმოვიჩ გორკის თავისი აგარაკით კვიპროსზე თავისიანად ჩათვლიდნენ ან ქალაქელი მარგინალები ანდა „საოფისე“ პროლეტარიატი... რაც მთავარია, ჩემთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა, ვწერო სწორედ ამ „დამცირებულებზე და შეურაცხყოფილებზე“. ჩვენი ნალელიანი ეპოქის მთელი მარილი სწორედ მათშია, და მე ამაში დარწმუნებული ვარ. პრინციპულად მნიშვნელოვანია, არ გაემიჯნო მეტროში, ფასტ-ფუდში, მიტინგზე მყოფ ადამიანებს. და ამიტომ პრინციპულად აუცი-

ლებელია, იყენებდე საზოგადოებრივ ტრანსპორტს და იარო დემონსტრაციებზე. თუ არადა, რა უფლება გაქვს, ილაპარაკო მათი სახელით?

შ. ი: „ვოროშილოვგრადზე“ მითხარი ორიოდე სიტყვა... რაღაც ფრაგმენტებისთვის მაქვს თვალი გადავლებული... ეს სოციალური რომანია? შეიძლება ასე განსაზღვრა?

ს. ჟ: შეიძლება. თუმცა მასში ბევრია ირაციონალური და ლირიკული. ისე პრინციპში, მთავარი კონფლიქტი სწორედ სოციალურია. ანუ ესაა რომანი მექსიერებაზე, სოლიდარულობაზე და პასუხისმგებლობაზე.

შ. ი: როგორ სოლიდარულობაზე? სხვადასხვა ტიპის სოლიდარობები არსებობს. თუ ამას არა აქვს მნიშვნელობა? შენ ყველანაირი სოლიდარულობის მომზრე ხარ?

ს. ჟ: სოლიდარულობა, როგორც ურთიერთშეარდაჭერის და საერთო ინტერესების დაცვის ფორმა გარკვეულ ტერიტორიაზე არსებულ თემში. ანუ, ერთგვარი ყოფითი ანარქიზმი: მხარში ედგე შენიანებს, არ დათმო ტერიტორია, არ ააგო ვერტიკალები... რომანში ახალგაზრდა კლერკი მეგაპოლისიდან ბრუნდება პატარა ქალაქში, სადაც დაიბადა და გაიზარდა, და სადაც უფროსმა ძმამ პიზნესი დაუტოვა. და აი, ის იძულებული ხდება, ეს პიზნესი დაიცვას, და მასთან ერთად დაიცვას საკუთარი მექსიერება, წარსული, ყველა ახლობელი ადმიანი. ამ გზით ის თანდათანობით თითქოსდა პოულობს თავის ადგილს ამ ცხოვრებაში.

შ. ი: ჰო, მაგრამ შენიანების გვერდით დგომას ხომ ხშირად ცუდამდე მივყავართ. ადამიანური ფასეულობები ამ დროს დევალვაციას განიცდიან – მთავარი ფასეულობაა: ის ჩემიანია, ხოლო მართალია ივი თუ არა, ამას უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა. ჩვენთან, 90-იანების დასაწყისში, ფილოსოფიოსმა მამარდაშვილმა ერთ ყრილობაზე ერთხელ თქვა, რომ ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას, და თითქმის ყველა გაუნაწყენდა... განურისხდა...

ს. ჟ: მოთა, ალბათ მეც გავნაწყენდებოდი... უბრალოდ, როგორც მე მეჩვენება, ისეთი დონის ფილოსოფოსს, როგორიც მამარდაშვილია, უნდა ესმოდეს, რომ ჭეშმარიტება და სამშობლო ძალიან განსხვავებული კატეგორიის ცნებებია... რაც შეეხება ფასეულობებს – ჩვენ ხომ საუბარი თვითიდენტიფიკაციით დავიწყეთ. დღევანდელ გლობალიზებულ, უნიფიცირებულ კაპიტალისტურ საზოგადოებაში სწორედ თვითიდენტიფიკაცია წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ფასეულობას. ამიტომ საკუთარი პრინციპების დაცვა თითქმის ერთადერთი შესაძლებლობაა, გაუწიო წინააღმდეგობა სისტემას. ჩემთვის აქ ლაპარაკი არაა

გარკვეულ ტერიტორიულ-კულტურულ, ან ვთქვათ, ეკლესიურ, რელიგიურ ჩარჩოებში ჩაეტვაზე. ლაპარაკი მიდის საზოგადოებრივი ინსტიტუტების თვითონრგანიზაციისა და ფუნქციონირების აღტერნატიულ ვარიანტებზე... თუმცა, გეთანხმები: მაფიაც ძირითადად ამ პრინციპებით ხელმძღვანელობს და მოქმედებს.

შ. ი: პო, რა თქმა უნდა თვითიდენტიფიკაციის პროცესში გლობალზაციის პერიოდში პირველ რიგშია გადასაწყვეტი... ისე, შენ ხშირად ხარ ევროპაში. კომფორტულად გრძნობ იქ თავს? შეგიძლა რაღაც ჯგუფებთან იდენტიფიცირდე? თუ ეს არც გჭირდება? და თუკი გრძნობ, რაში გრძნობ დისკომფორტს?

ს. ჟ: იცი, მე არათუ დისკომფორტს ვგრძნობ იქ, არამედ მე უბრალოდ ვგრძნობ, რომ იქ სტუმრადაც კი არა ვარ. და ეს, ალბათ ნორმალურია. მე კარგად და თავდაჯერებულად თავს ვგრძნობ აქ – სადაც ჩემი ადგილია. მე მიყვარს მოგზაურობა, მაგრამ მოგზაურობისას ყველაზე მეტად შინ დაბრუნების მომენტი მომწონს...

შ. ი: სერგეი, 90-იანებზეც მინდა დავილაპარაკო. მითუმეტეს, რომ ჩემს შემთხვევაშიც და შენს შემთხვევაშიც პოეტიკას 90-იანები აფორმებდნენ. შენთან როგორ ხდებოდა ეს?

ს. ჟ: სინამდვილეში მე 90-იანები სადღაც 2000-იანების შუაში წამომენია. უშუალოდ 90-იანებში მათ ვერ ვგრძნობდი, ვგრძნობდი მხოლოდ წარსულის ნაშთებს, იმ ქვეყნის ნაშთებს, რომელიც გაქრა, ვგრძნობდი რაღაც ახლის ჩასახვას, ახალი ესთეტიკის, ახალი ლიტერატურის, მაგრამ ეს რა იყო, მხოლოდ 10 წლის შემდეგ გავიაზრე. 90-იან წლებზე 2004 წელს დავწერე ჩემი პირველი რომანი სახელწოდებით „Depeche Mode“. მაგრამ მას მერე ყველა რატომდაც ფიქრობს, რომ სულ 90-იანებზე ვწერ. არადა, უკვე კაი ხანია, ამას ალარ ვაკეთებ. უბრალოდ, მას მერე, სინამდვილეში, მართლაც ცოტა რამ შეიცვალა. დარჩა იგივე სტილისტიკა – გადარჩენის, სიღატაკისა და სასონარკვეთილების სტილისტიკა. მეტიც – 90-იანები რაღაც დოზიტ უკან ბრუნდება. ჩენთან ნამდვილად ასეა. ბრუნდება უსტის, ტიპა-უების, ტაქტიკისა და სტრატეგიის დონეზე.

როცა ახალგაზრდა ვიყავი, მეჩვენებოდა, რომ პოეზიას ყველაფერი შეუძლია. ახლა კი ზუსტად ვიცი, რომ მას მართლა შეუძლია ყველაფერი. 90-იანები არ იყო კარგი დრო. ასეთი ეპოქები ამცირებენ და ტეხნიკური ადამიანებს. მე ვიცი ძალიან ბევრი ადამიანი, რომელიც გატეხა 90-იანებმა. მაგრამ მეორე მხრივ, მას, ვინც არ გატყდა, შეუძლია ბევრი საინტერესოს მოყოლა.

შ. ი: ჩემთან სხვანაირად იყო: 90-იანებში ვკითხულობდი და ვთარგმნიდი ბიტნიკებს, ვცდილობდი მათსავით მეწერა, მეწერა სოციალური პოეზია... და პირიქით, სწორედ 2000-იანებში რაღაცნაირად დავშორდი ამ ესთეტიკას, მივატოვე. ნაკლებად სოციალური გამიხდა პოეზიაც...

სერგეი, მოდი ბოლოს ცოტა შენს ლიტერატურულ გემოვნებაზეც მომიყევი: რომელ ლიტერატურებს, მიმდინარეობებს, ავტორებს ჰქონდათ შენზე გავლენა, და ეს გავლენები როგორ იცვლებოდა...

ს. ჟ: 17-ისას მიყვარდა ფუტურისტები.

20-ისას – აპოლინერი და რემბო.

25-ისას – ბუკოვსკი.

30-ისას – ცელანი.

35-ისას – მილოში.

ახლა ლორქას გადაკითხვით ვარ დაკავებული. უბრალოდ, ლორქა ისე კარგადაა ნათარგმნი უკრაინულად, რომ შეუძლებელია, არ იკითხო იგი.

თუმცა, სინამდვილეში, როგორც მიყვარდა ფუტურისტები 20 წლის წინ, ისევე მიყვარს ისინი ახლა. ბიტნიკები, პრინციპში, არც არასოდეს მყვარებია, მხოლოდ როგორც რაღაც სიმბოლო, ლოგოტიპი.

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი და ახლობელია 1920-იანი წლების უკრაინული ლიტერატურა, ეგრეთ წოდებული „დახვრუტილი ალორძინების“ პერიოდი – ეს იყო უნიკალური პერიოდი – ისტორიულადაც და ესთეტიკურადაც. პერიოდი, როცა ხარკოვი იყო საბჭოთა უკრაინის დედაქალაქი და ამავე დროს უზარმაზარი სოციალურ-კულტურული ლაბორატორიაც. ძალიან შთამბეჭდავი, თუმცა კი ტრაგიკული პერიოდი...



კოქტებელი, 2011 წელი

სამოციანების გაყიდული პროცესი

სამოციანების გაყიდულ პროცესს უნდა უხაროდეთ,
რომ ყველაფერი ასე კარგად დაგვირგვინდა;
აკი რამდენი ხიფათი იყო,
და მაინც გამოძრნენ, დაიბრუნეს კრედიტები,
და თუ ძველი ჭრილობები წამოტკიცებათ –
მხოლოდ ციკლონის ცვლილებისას,
გამოზომილად, თვიურივით.

სამოციანების გაყიდული პროცესი დაატარებენ
ხელოვნური ყვითელი ტყავის ზორბა ჩემოდნებს,
ჩერდებიან სასტუმროებში,
მხრით იჭერენ, როგორც ვიოლინოს, ყურმილს,
ხოლო მათი ჩემოდნები ჭრელდებიან სარეკლამო იარლიყებით.
გოგონა, ვიტ-კონგოლი, აი, ჩვენი საზიარო, კოლექტიური ქვეცნობიერი.
გოგონავ, რაში დაგჭირდები? – დაუნანებლად მოისროლე სავიზიტო ბარათი
ურნაში.
პასპორტში ერთი ვიზით მეტი,
ერთით ნაკლები.

ოდესმე, დათოვლილ ასაფრენ ბილიკზე,
ერთი მათგანი გაიხსენებს ძველ ამბებს, ლექციებს,
ბერლინის რადიოს და ხიდებს ვისლაზე.
„კარგი, – იტყვის ის, – კარგი, კარგი,
ბოლოს და ბოლოს, ეს არც ისე ცუდი დრო იყო, ჩვენი გაყიდული სამოციანები.
სოციალ-დემოკრატიული პედერასტია –
საწყენია, თუკი ხსოვნას ესლა შემორჩა.
ჩვენ გვმართავდა სიყვარული,
სიყვარული გვაგლეჯდა გლანდებს,
როგორც ქუჩის ტელეფონებს გლეჯენ ყურმილებს.
პოეზია იქმნება ყელით,
და ეს ყელი უკურნებლად ჩახრინნულია“.

ლიტერატურის კანონების შესაბამისად,
და მათ მიერ ხელმოწერილი კონტრაქტების შესაბამისად,
ისინი იბრძოდნენ თავისუფლებისთვის,
თავისუფლება კი, როგორც ცნობილია, მოითხოვს,
რომ დროდადრო მისთვისაც იბრძოდნენ –
სანგრებში, ტყეებში
და თავისუფალი პრესის ფურცლებზე.

პოეზიაზე საუბრისას
ლირს მოგონება მათი, ვინც ჩარჩა
ძველი კეთილი სამოციანების ქუჩებსა და სანაპიროებზე,
ვინც რეაბილიტაციის კურსი ვერ დაძლია,
ვის თავზეც დღემდე გროვდებიან შავი ლრუბლები,
რომლებიც ამერიკულ თეთრ ლექსებს გვანან,
ლირს მოგონება ყველა მათგანის,
რადგან ის, რასაც დროს ვეძახით,

ერთი უბრალო სასაკლაოა,
სადაც ნაწლავები ამოყრილა მხოლოდ იმიტომ,
რომ მათი ამოყრის ადგილი აქაა;
ან სხვა ვინ გადაურჩებოდა ასეთ დროებას,
თუ არა ისევ გაყიდული პოეტები
სიყვარულისგან დამსკდარი
ფილტვებით.

იესო თანაუგრძნობს აუტსაიდერებს

ზღვას შევხედე და მაშინვე მივხვდი –
სამი დღე დავხეტებოდი ცარიელ ნაპირზე,
გავდიოდი ყურესთან, რომლის თავზეც ეკიდნენ წვიმები –
იცი, წვეთები ელვრებოდნენ წყლის ზედაპირს და თევზებივით იწყებდნენ
ცურვას –
მთელი სამი დღე გავყურებდი ოქროს ჩირალდნებს – სასტუმროების,
სასადილოების,
სადგურის ბუფეტს, სადაც მუშათა ბრიგადები
კაუდებოდნენ ალკოჰოლით, და მათი მოტკაბო ნერწყვი
ავარდისფრებდა არაყს,



და სწორედ მაშინ გავიფიქრე –
იესო იყო წითელი,
მან შეგნებულად მოაწყო ისე, რომ შენ იტანჯო,
როცა შეცდომებს აღმოაჩენ მის ნახაზებში;
მან ყველაფერი შეგნებულად მოაწყო ისე,
რომ მისი ხმა გეჩვენებოდეს –
აი, ამბობს ის,
აი, ესაა შენი გული, ეს კი – მისი, მოუსმინე, როგორ ფეთქავენ.
შენ ცოცხალი ხარ, ვიდრე გესმის შრიალი კანქვეშ,
და საგნების ზედაპირზე.

და ასევე გავიფიქრე –
ეს ველოსიპედები ქვიშაში,
ეს მქადაგებლები მაშველთა კოშკებზე –
ძალზე ღრმად უნდა შეხვიდე წყალში
და უქადაგო მედუზებს და მფრინავ თევზებს,
და უკითხო, ვიდრე ისინი მოთმინებით ცურავენ ირგვლივ,
განუმარტო უბნელესი; საზარელი ადგილები
ლექსიკონიდან, და უნდა უთხრა –



იესო იყო წითელი,
დანარჩენი კი – მემარცხენეთა ოინებია: ეს სიარული წყალზე,
ეს მოციქულები – საინჟინრო ფაკულტეტის კურსდამთავრებულები,
რომლებიც იყრიბებიან ფაპრიკების საიდუმლო სერობებზე,
ეს ოქროს ძაფები შენს სვიტერში,
ეს ნაკანრები მუხლზე,

მართლაც! იქსო იყო წითელი –

მისი გათვლები ეფუძნებოდა ფრინველების გადაფრენის კომუნისტურ
თეორიებს

და ყველაფრი იმისათვის კეთდებოდა, რომ შენ იტანჯო,
როცა ყურს უგდებ ველოსიპედებისა და ხეების გულისთქმას

და მეთევზეების საუბრებს,

რომელთა ენები გადარეცხილან ცივი არყით, როგორც ახალთახალი

სანარმოო დეტალები.

ნედლი ბალახი, რომელიც იზრდება ამ ფუნდამენტებზე,

ნედლი ბალახი, რომელზეც არაფერი ვიცით,

ნედლი ბალახი, რომლის გარშემოც ტრიალებს ცა,

ბალახი – ნედლი და ნოტიო,

რომლის გამოც ხდება ყველაფერი;

რა სიფრიფანა ძარღვები აქვს ამ გოგონას,

ზოგჯერ სისხლი ვერც აღწევს მათში;

ზამთარში, როცა კანი შრება, როგორც მდინარე,

თუ გესმის მისი გულისცემა?

მისი გულისცემა შენელებულია,

რაც ალბათ ნიშნავს, რომ ახლა ძინავს

ან, უბრალოდ, ზედმეტად დამშვიდდა.

ლუკილი

როცა მოდის ალდგომა და ცა ჩვენდამი უფრო მომთმენია,

როცა ყველა იძაბება – აბა როგორ, მაინც ალდგომაა,

მაშინ მიწაში გვერდს იცვლიან გარდაცვლილები,

ცივ თიხას ზელენ იდაყვებით.

მეც დამიმარხავს მეგობრები,

ვიცი, ეს რაც არის – დაფლა მეგობარი,

როგორც ძვალს ფლავს მიწაში ძალი,

და ელოდო, როდის გახდება

ცა შენდამი უფრო მომთმენი.

არსებობენ სოციალური ჯგუფები,

ვისთვისაც მსგავსი რიტუალები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია,

მე ვგულისხმობ, პირველ რიგში, საშუალო ბიზნესს.

ვის არ უნახავს, თუ როგორი სევდა იპყრობთ

სანავთობე კომპანიების რეგიონალურ წარმომადგენლებს,

როცა ისინი თავს იყრიან სასაფლაოების

თვალუწვდენელ ზეგანებზე, რათა დაფლან

ტყვიებით ფილტვებდახვრეტილი მორიგი მოძმე;

ვის არ სმენია სხამაღალი გულისცემა,

როცა ისინი დგანან კუბოსთან,

ძუნნ ცრემლებსა და ცინგლებს იწმენდენ

ტკიცინა დოლრე-გაბანებით,

ხოლო ჰენესი რაკრაკებს

ერთჯერად

ჭიქებში.



აი, კოლია, – ამბობს ერთი, – ესეც შენი კუთვნილი ნილი.
 ოფშერების უკიდეგანო ზეგანებზე
 ჩვენ, როგორც გარეული ბატები, ვცვით
 დავიძყების ცივ ჭაობში, ჩვენი ნახევრადდაშლილი ღვიძლებით.

რა ვქნათ, – ბჭობენ, – რა გავატანოთ

ჩვენს ძმას

გრძელ გზაზე

ლუკოილის მბრწყინავ სამოთხემდე?

ვინ იქნება მისი მხლებელი

სალხინებლის ბნელ გვირაბებში?

ბოზები, – თანხმდება ყველა, – ბოზები,

მას იქ ბოზები დაჭირდება,

კარგი ბოზები,

არამავნე, ძვირფასი ბოზები,

ისინი გაათბობენ მას ზამთარში,

სისხლს გაუგრილებენ გაზაფხულზე.

მარცხნივ ჩავუწენთ პლატინის ქერას,

ხოლო მარჯვნივ – პლატინის შავგვრემანს,

არც უნდა იგრძნოს, რომ მკვდარია.

ოჟ ეს სიკვდილი – ტერიტორია, სადაც ჩვენი საკრედიტო ბარათები უსარგებლოა.

სიკვდილი – ნავთის ტერიტორია.

ნავთმა განპანოს ცოდვებისგან.

ფეხებთან დავუწყობთ ოქროს და იარაღს,

ქურქსა და წმინდად დაფქვულ პილპილს.

მარცხენა ხელში – ბოლო ნოკიას,

მარჯვენაში – კარგ საკმეველს, იერუსალიმურს.

მაგრამ მთავარი ბოზებია.

პლატინის ორი ლამაზი ბოზი.

მთავარია, – ამბობენ ბოზები.

მთავარია, მთავარია, – ეთანხმება კოლიაც კუბოდან.

როგორი სენტიმენტალურები ვართ აღდგომებისას.

ვდგავართ, ვიცდით, როდის ნამოდგებიან მკვდრები

და გამოვლენ საიქიოდან.

სიკვდილისადმი ინტერესი არასოდეს მძაფრდება ისე,

როგორც მეგობრის დამარხვისას.

სამდლიანი ლოდინის შემდეგ

მორგის კართან, მესამე დილით,

ბოლოს და ბოლოს, ის დათრგუნავს სიკვდილს სიკვდილით

და კრემატორიუმის ზღურბლზე გამოსული, ხედავს,

რომ მათ, ღონემიხდილებს, ძინავთ

სამდლიანი ღრეობის შემდეგ,

ბალაზე ყრიან

ამოგანგლულები

თავ-თავიანთი დოლჩე-გაბანებით.



და მაშინ ჩუმად,
რათა არვინ გააღვიძოს,
ააცლის ერთ-ერთს
ნოკის დამტენს
და ბრუნდება
ჯოვანხეთში
თავის
ბოზებთან.

დეზერტირები

დავიწყებ იმით, რითიც ლირს დაწყება –
მიძღვნით მათდამი, ვინც ვერ მოაწნია
უკეთეს დრომდე, დრომდე, როდესაც,
როგორც იქნა, შეგვიძლია ამოვსუნთქოთ
და სული მოვითქვათ.
მაგრამ მყვდრები ამოსუნთქვას ვეღარ შეძლებენ,
ვერა, ნამდვილად ვერ შეძლებენ.

ეჰ, ყველაფერი როგორ კარგად იწყებოდა, როგორ
გვეიმედებოდა, რომ, აი, ცოტაც,
ორიოდ ზამთარიც,
ორიოდ დეპრესიაც,
ორიოდ ამონთხეული გულიც,
მთავარია – მივატანოთ ოცდაათამდე,
რომლის შემდეგ ყველაფერი გაადვილდება,
გაადვილდება სუნთქვაც, გათვლებიც.

მთავარია – დავეხმაროთ მეგობრებს, გვახსოვდეს
სიმთვრალეში მიცემული ყველა პირობა,
მიცემული თვალზე ცრემლით და ცხვირზე ცინგლით,
რომ, აი, ამასაც გავუძლებთ, გავარღვევთ
და გადავკუზავთ ცხოვრებას...

და, აი, ისიც – ცხოვრება.
ნაკუზული.
მაგრამ უკვე აღარ გვინდება.

მეგობრები დაილენენ,
როგორც პირველი საბჭოთა ტანკები,
და რამხელა სევდა იყო ამ სიკვდილებში,
მტრებს არ ვუსურვებ ასეთ სიკვდილებს,
მითუმეტეს, თუკი მტრებიც
დაილენენ,
როგორც ტანკები.

დღეს კი, ახლა,
როცა ქარი ატყლაშუნებს საღამოს თავსხმას,
არავინ დამრჩა, რომ დავურეკო.



არის ათიოდე მეგობარი,
მაგრამ რად გინდა –
ისინი უკვე გალეშილან,
საერთოდ აღარ ფხიზლდებიან,
ზოგჯერ მგონია, რომ ვმეგობრობ
ნარკოლოგიურ
დისპანსერთან.


თუმცა რჩებიან მათი შვილები,
ჯერ კიდევ მათი შვილები. რად გინდა –
მათთან დარცევას რა აზრი აქვს,
ერთი მაგათიც! – აი, სულ ცოტაც –
და ისინი გავლენ ქუჩებში,
რომ თავიანთი მამებისთვის შური იძიონ,
იმათ გამო, იმათ მაგივრად.

და მაშინ აღარ გაგიკვირდეს, თუ ისინიც მობრუნდებიან,
დეზერტირები, გაბოლილი ჯამბაზები,
მოხალისეთა მუნდირებით შემოსილი ტვინნალრძობები,
რომლებიც პატრულირებდნენ გზებზე
ცხელ წერტილებში, ბალკანეთში;
დაბრუნდებიან ქიმიკოსი ასტროლოგებიც,
ცას რომ წვავდნენ დუნაის თავზე;
და ყველა თავბრუდასხმული სული, და ყველა ბირჟის ბოროტი გენია,
ემიგრანტები, ბუნდესვერის საწყობებს რომ აცამტვერებდნენ
შემოდგომიბით, გაშლილ მინდვრებზე;
მთელი ეს დაუსრულებელი ქარავანი, დროში ჩაკარგული,
ტვირთი, რომელიც გამუდმებით იმაღლებოდა
ერთი ჩხრეკიდან
მეორემდე.

და სულ ბოლოს, როცა ყველა გამოვა ხმელეთზე,
ო, როცა ყველა გამოალწევს,
რა ცუდად წაუვათ საქმე იმ ინჟინრებს,
რომლებიც ილვწოდნენ ჩვენი სულებისთვის.

მთავარია, ყველას გვეყოს სიყვარული.
მთავარია, ყველას გვეყოს ღვარძლი.

**თარგმანი
ზეიად რაჭიანის**



სერგეი უადანი როგორც ეროვნული გმირი



ელენა ფანაილოვა

გიამბობთ, როგორ მოჩანს უადანი რუსეთიდან. პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, მუსიკოსი, პერფორმერი, მწვავე სოციალური თემების მიმომხილველი, საუკეთესო საზოგადოებრივ წამოწყებათა ორგანიზატორი, „ნარინჯისფერი რევოლუციის“ სახე. უკრაინული ფუტურიზმის სპეციალისტი, ბუკოვსკის მთარგმნელი. კულტურის ფეთქებადი ელემენტი. უადანი იდეალურად დაემთხვა დროს, ახალი ენერგიის ტალღას ლაგამი ამოსდო და გააჭენა, თანამედროვეობას კოსმოსში გამგზავრებული ძალის ალლოთი შეიგრძნობს და თითქოს კოსმოსური სიმაღლიდან დასცექრის. უადანი დღევანდელი უკრაინის გმირული კულტურული ბრენდია, მისი ევროპული სახე, მისი ნერვი, მისი კუნძული, მისი ხარხარი, მისი ჯაზმენი და ჯამბაზი, მისი ახალი მითოსის ავტორი, გაცემული მაყურებლის თვალინი თვითონვე რომ ამსხვევს საკუთარ ქმნილებას. ის სტუდენტივით იცვამს, ყოფით დონეზე უაღრესად მოკრძალებულია, მის თავდაჭერას ვერანაირად ვერ ვუწოდებთ „ვარსკვლავურს“, ბოცემურ შეცოდებათა უმრავლესობისაგან თავისუფალია. ამპარტავანი არ გახლავთ, მაგრამ, ჩემი აზრით, გრანდიოზული პატივმოყვარეობა ახასიათებს: საკუთარი კულტურული მისიასა და შემოქმედებითი ბიოგრაფიის შექმნაც ეხერხება. პო, კიდევ ხშირად იმეორებს, რუსული ცუდად ვიციო, რაც ყოველთვის ძალზე მახალისებს, რადგანაც მახსოვს, რა გულდაგულ მისწორებდა თავისი ნანარმოებების თარგმანებს ურნალ „ზამიაში“ დასაბეჭდად. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ უკრაინელი ლიტერატორები მდიდარ, სისხლსავსე და მრავალფეროვან რუსულს ფლობენ. შარშან კიევში, ფესტივალზე „Киевские лавры“ უადანთან ერთად მივიღე მონანილეობა პროექტში „ორმხრივი თარგმანები“. მე ვთარგმნე მისი ციკლი „რადიოშანსონი (რვა ამბავი იურა ზოიფერის შესახებ)“, მან კი – ჩემი „შავი კოსტუმები“. როდესაც კიევის კლუბ „დივანში“ ერთობლივ კითხვას ვევგმავდით, სერიოზად მითხრა, რასაც შენ ამბობ, მოსაწყინია, მოდი, მონაცვლეობით წავითხოთ თითო სტროფი უკრაინულად და რუსულად, აქ ყველა ორენოვანია და გაიგებსო. ასეც მოვიქეცით, მიყოლებით წავიკითხეთ ტექსტი. უადანთან ერთად კითხვა ადრენალინსა და გამოწვევას ნიშნავს, ეს როკ-ნ-როლი და ჯემ-სერენია! ცხადია, პარტია სერიოზას მიჰყავდა, მას ხომ პოპ-ვარსკვლავივით შეუძლია აუდიტორიის მონუსხვა, მე კი უბრალოდ ვოკალურ ფონს ვუქმნიდი. ერთმანეთის ხმა არაჩვეულებრივად გვესმოდა. როგორც ჩვეულებრივ ხდება მის გამოსვლებზე, ახალგაზრდები აღტაცებული შეძახილებით უჭერდნენ მხარს, საბოლოოდ კი ერთად ძმურად დალიეს. ამ ნამუშევრით განსაკუთრებულად ვამაყობ. მან ნამდვილი პროფესიული სიამოვნება მომანიჭა. უადანს საყირზე დამკვრელის მძლავრი ფილტვები და ნავარჯვები სუნთქვა აქვს, ერთი კლავიატურიდან მეორეზე გადადის, თავპრუდამხვევი სისწრაფით იცვლის რეგისტრებს და არაჩვეულებრივად ერკვევა ატონალურ კონსტრუქციებში. მას საუკეთესოდ გამოსდის ის, რისთვისაც მუდამ მიყვარდა თანამედროვე პოეზია, რისთვისაც ახლაც მიყვარს, იმ პერიოდული სასონარკვეთილების მიუხედავად, რომელსაც მისი მოძველებული ინსტრუმენტარიუმის გამო განვიცდი. სერგეი გვიამბობს სრულიად რეალურ ამბებს, რომლებიც ზღაპრებს წააგავს და, ამასთან, რთულ პროზაიზიტრებულ რიტმს ზეციური მეტაფიზიკის სასწრაზე არწევს. მას მერე ყველა საჯარო კითხვისას აუცილებლად ვკითხულობ „რადიოშანსონის“ მეოთხე ნომერს, რომელსაც „პომბისატთა სამქრო“ ეწოდება. ამ ლექსში ლაპარაკია პოეზიაზე, თუმცა ეს პირველივე სტროფიდან როდი ხდება გასაგები, მის დასასრულს კი ერთი პატარა კაცის სიკვდილის ამბავს ვგებულობთ. უადანს შეუძლია სულშიჩამნვდომად საუბარი, გარეუბნელი მუშა ბიჭის ლირსების კოდექსით ხელმძღვანელობს, აქვს ოქროს საყირი და პატარა ვიოლინო, გულწრფელი მრისხანება და ასეთივე გულწრფელი სინაზე. გული მწყდება, რომ მე არ მომინია „ლუკოილის“ თარგმნა, არადა ის უადანის ყველა სხვა ტექტზე მეტად მიყვარს.

єს луїжіо სატელევიზіон ახალ ამბებსა და ქადაგებებზე უკეთ ასახავს ჩვენს თანამედროვეობას და ბედნიერი ვარ, რომ რუსულად მისი სამი განსხვავებული თარგმანი არსებობს.

სახალხო გმირობა პოეტისათვის არცთუ ისე სახალისო და იოლი ხვედრია, თუმცა სახელის მოხვეჭას ყველა მწერალი ოცნებობს. სახალხო გმირი საკუთარ თავზე გარდუვალად იღებს დარტყმებს, გარდუვალად აღმოჩნდება ნაცემი კაცისა და შავი მონის ტყავში. გმირს მუდამ უნდა ესმოდეს ხალხის: მაშინაც, როცა ის მტერს უტევს და მაშინაც, როცა მას უტევენ. წიგნში „ნატყვიარები და ნაწრილობევი“ უძანი ნაცემ, მომაკვდავ ადამიანებზე მოგვითხრობს, რომლებიც, მიუხედავად ყველაფრისა, არ ნებდებიან; მამაკაცებსა და ქალებზე, რომლებმაც სიკვდილს სძლიერს და ისეთ სიყვარულზე, რომელიც სიცოცხლეზე უფრო ხანგრძლივია. ეს კრებული ბიბლიურ და სახარებისეულ ქარგაზეა აგებული, მასში, ისევე, როგორც შავკანიანთა სპირიტულში, წმინდა ისტორიის გმირებად ავტორის თანამედროვენი გამოდიან. მათ ცხოვრების მიერ შემოთავაზებულ პირობებში უწევთ მოქმედება, ეს პირობები კი არსოდესა მარტივი. ეს ნულოვანი წლების პოსტსაბჭოთა უკრაინის პაროდიულ-პარადოქსული სახარებაა, რომელიც ევროპული სამყაროს შეუხედავი კულისების მაცხოვრებლებს, მათი ყოფის სიდუხეჭირესა და სულის სიმდიდრეს გვაცნობს.


ამ წიგნში უძანი, უაღრესად მუსიკალური ადამიანი, კვლავაც უფრო სახალხო ინდიპენდანტის გმირად რჩება, ვიდრე ისტებლიშმენტისა. ეს კი რუს კოლეგებს მორალური კაბიუფილების საბაბს ანიჭებს: როგორც ჩანს, უკრაინულ კონტექსტში ეს ორი ზონა ერთიმეორესთან ჰარმონიულად თანაარსებობს.

თარგმანი თამარ კოტრიკაძის

სერგი ზადანი

ხარკოვის „დინამი“

ნაადრევი სიბრძნე ადრეულ ფეხმძიმობას ჰგავს: მას იოლად იძენ, მაგრამ იოლადაც კარგავ. თხემოც-დაათიანების დასასრულს ხარკოვში ორი და ცხოვრობდა. თოახს ერთ აზერბაიჯანელთან ქირაობდნენ, რომელსაც გენა ერქვა. ყველას ეგონა, რომ სამივენი საყვარლები იყვნენ, მაგრამ ეს არ იყო მართალი, რადგანაც გენა ჰომისექსუალისტი გახლდათ. ეს კი, სხვათა შორის, აზერბაიჯანლებში უაღრესად იშვიათ მოვლენას წარმოადგენს, რაც მათი რეგიონის რთული ისტორიისა და რელიგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, ბუნებრივიცაა. გენამ დებს ზიტა და გიტა შეარქვა და თმის სიგრძით არჩევდა: ზიტა გრძელ თმას ატარებდა, გიტა – მოკლედ შეჭრილს. ჰოდა, გენას საყვარელმა, „დინამის“ აუზის მწვრთნელმა, დებს საზიარო აბონემენტი გაუჩალიჩა. რიგოგობით დაინუეს აუზზე სიარული. უფროს დას, როგორც მოსალოდნებული იყო, მალევე შეუყვარდა გეი მწვრთნელი. თუმცა, გიტას ეს უკვე მასზე ადრეც მოესწრო. სასიყვარულო სამუშაოების მსგავსი რამ წარმოიქმნა, თუმცა, რასაკვირველია, ურთიერთობები ძალზე მდორედ ვითარდებოდა. მაშინ დებმა მოითათბირეს და გადაწყვიტეს: რომელიც იყოჩალებს, გამარჯვებაც იმას ერგება. მონაცვლეობით ცდილობდნენ მწვრთნელის ყურადღების მიქცევას. მაგრამ მთელი



მულამი იმაში იყო, რომ უფროსმა დამ ცურვა არ იცოდა, უმცროსი კი შესანიშნავად ცურავდა და ამით სარგებლობდა კიდეც. ამ დროს მწვრთნელი მოაჯირს ჩამოყრდნობილი იდგა და მეოცნებე მზერას არ აცილებდა კედელზე გაერულ თლიმპიური კომიტეტის სარეკლამო აბრას, რომელზედაც რეზინისქუდიანი ბავშვების თავები მოჩანდა. უფროსი და კარგა ხანს ვერ მიმხვდარიყო, თუ რატომ ვერ იქცევდა შსაჯის უურადღებას. თავიდან სწყინდა, მერე დემონსტრაციულად არიდებდა თვალს, ბოლოს კი მის სრულ დავინცებას ეცადა – და მთელი ამ ხნის მანძილზე კედელთან მოტივტივე ბაგირს არ მოსცილებია. როგორც იქნა, ჩასწევდა, რომ მსაჯი მას უბრალოდ ვერ ხედავდა თავისი სამეთვალყურეო ადგილიდან: დისგან განსხვავებით, ის ნაპირთან იმდენად ახლოს ჭყუმპალაობდა, რომ ზემოდან არ ჩანდა. მაშინ თავზე-ხელაღებულმა მეტროფემ ყოვლად საბედისწერო ნაბიჯი გადადგა: ბაგირებს ხელი უშვა და ფილებიან კედელს ტერფები ძლიერად ჰკრა. ცხადია, იმზამსვე ჩაიძირა. მწვრთნელმა ეს შენიშნა, მაგრამ გოგონას გადარჩენა იმ მარტივი მიზეზის გამო ვეღარ შეძლო, რომ აღნიშნულ მომენტში, როგორც ოქმში იქნა შეტანილი, „უსაფრთხოების ტექნიკასა და ოლიმპიური კომიტეტის განაწესს არღვევდა,“ – მარტივად რომ ვთქვათ, ანძრევდა. ამიტომაც, ქლორიან წყალში ასე, პირდაპირ გადაშვება ვერ გაძედა. ზიტას კუბოს მთელი სპორტული საზოგადოება აცილებდა. მწვრთნელი კი სამსახურიდან გაათავისუფლეს. მას, ყველა სიკეთესთან ერთად, გადატანილი ფსიქოლოგიური სტრესის საფუძველზე პირადი პრობლემებიც დაეწყო. ფსიქიატრს მიაკითხა და ყველაფერი უამბო: საცურაო აუზის ამბავიც და უსაფრთხოების ტექნიკის დარღვევის ამბავიც.

არც კი ვიცი, რისგან გიმკურნალოთო, აღიარა ექიმმა. მწვრთნელმა სწორედ ფსიქიატრთან გაიცნო ერთი უცანური პაციენტი, მხატვარი-დეკორატორი, რომელიც მუდმივი კლიენტების რიცხვს ეკუთვნოდა და რომელსაც ფსიქიატრი დაჟინებით არიდებდა თავს. მხატვარმა თავისი ამბავი უამბო. ერთი-ორი წლის წინათ გაუცნია ქალი. ასე, ოცდაათიოდე წლის იქნებოდა, ეფექტურად გამოიყურებოდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, მოკრძალებულად ეჭირა თავი. როგორც გაირკა, პროტესტანტულ სკოლაში საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერად მუშაობდა. მხატვარმა მაშინვე დაუწყო კერვა, თან ქრისტიანულ გრძნობებს, განსაკუთრებით კი მიმტევებლობას აწვებოდა. მენეჯერმა ქალმა ცივი უარით გაისტუმრა. მხატვარმა იფიქრა, ასეთი ქალის მოხიბლვა რაიმე ეფექტური საქციილით ჯობსო. შინ ნავიდა და გაზით თავის მონამლვა სცადა. მეზობლებმა ავარიული სამსახური გამოიძახეს და, შეცდომით,



სახანძროც. მეხანძრებმა ორი სართული წყლით დატბორეს და ყოვლისმომცველი მიმტევებლობის განცდით აღვსილნი, შინ ნავიდნენ. მოვიდნენ საბინაო სამსახურის ნარმომადგენლები და მხატვარს რემონტის საფასურის გადახდა მოსთხოვეს. ვიღაცამ ურჩა, ფსიქიატრისთვის გამოერთმია ცნობა იმის თაობაზე, რომ იმ ნუთში, როცა ხალხს გაზით ნამლავდა, ფსიქიური აფექტის მდგომარეობაში იმყოფებოდა და ბოროტი ზრახვა არ ჰქონია. ამის შემდეგ ექიმი მის მიღებას თავს არიდებდა, რის გამოც მისაღებში უზარმაზარი რიგი გროვდებოდა. მაშინ მხატვარი ისევ მენეჯერ ქალს მიადგა და ამჯერად სოციალურ სამართლიანობას მიაწვა. პროტესტანტებმა ის უძღები შვილივით მიიღეს, და თავიანთი სკოლის სპორტული დარბაზისათვის გრანდიოზული პანო შეუკვეთეს. მხატვარმა ხალისით მიიღო შეკვეთა და მაშინვე ჩაატარა მენეჯერი ქალის შებმის მცდელობა, რისთვისაც კაბინეტში შეუკვარდა და პირდაპირ ახლადმიღებულ ფაქსებზე მიაწვინა. აღშეოთებულმა მენეჯერმა ის კაბინეტიდან გააძევა და საზოგადოებისათვის სასარგებლო და ლეთისთვის სასიხარულო საქმის კეთება ურჩა. გარდა ამისა, უგულვებელყოფილმა გენიოსმა შენიშნა, რომ მენეჯერ ქალს უცნაური ურთიერთობა აკავშირებდა სამოცდაათს მიტანებულ კეთილ პასტორთან, რომელსაც ბორბლიანი სავარძლით დააგორებდნენ. ამის შემდეგ მხატვარმა ისევ მენეჯერ ქალს მიაკითხა და ამჯერად მის მორალურ თვისებებსა და ნებისყოფაზე მოახდინ ზენოლა. ქალი ატირდა და გამოუტყდა, რომ ეს მისი ცხოვრების ტრაგედიაა, რომ თვითონაც აცნობიერებს თავისი მდგომარეობის ორაზროვნებას და რომ თავს მარიამ მაგდალინელად აღიქვამს (დიახ, არც მეტი, არც ნაკლები!). ისიც თქვა, ნამდვილად

ჯოჯოხეთის ცეცხლში დავიწვები, მაგრამ ეს მოხუცი მიყვარს და გთხოვ, თავი დამანებელი. მხატვარმა იქვე კიდევ ერთხელ სცადა მისა მიწვენა, მაგრამ ქალმა მუცელში მუხლი სთხლიშა, რის მერეც კაცი იძულებული შეიქნა, თავის უშუალო მოვალეობებს დაბრუნებოდა. ასეთ ქალზე პარადოქსული აზროვნებით უნდა მოახდინო შთაბეჭდილება, იფიქრა და დაუყოვნებლივ შეუდგა ამაზე ბუშაბაშა. ზოგადი იდეის შესაბამისად, პანზე ალეგორიული ფიგურები უნდა გამოისახა. მთლიანობაში სურათს, ღვთის შენებით, სექსისა და ნარკოტიკებისაგან თავისუფალი, ჯანსაღი ცხოვრების წესი უნდა ექადაგა. მაგრამ მენეჯერ ქალთან შელაპარაკების შემდეგ მხატვარმა გადაწყვიტა, ყურადღება სინაულის განცდაზე გაემახვილებინა, ამიტომაც ტრენაჟორების ფონზე ძველიტალიელ ოსტატთა სტილში გამოსახული ჯვარცმა მოათავსა. პანზე იესო ძელზე მოვარჯიშე სპორტსმენს მოგაგონებდათ. მოშორებით მდგარი მარიამი და მოციქულები უიურის წევრებს პეგავდნენ, რომლებიც გიმნასტის მიერ მოგროვებულ ქულებს ითვლიდნენ. კუნტულში იუდა ჩაცუცქულიყო, გეგმნებოდათ, ინვალიდის სავარქელში ზისო; ის ხნიერ სპორტსმენს წაგვადა, თავის ღროზე სტიმულატორების ღოზას რომ გადააჭარბა და დოპინგ-კონტროლი ვერ გაიარა. გოლგოთას თავზე ზეცა რასტაფარიანული წითელყვითელ-მწვანე ზოლებით ელავდა, რაც, მხატვრის ჩანაფიქრის თანახმად, სამების ერთარსებობას გამოხატავდა. მენეჯერმა ქალმა ეს ნამუშევარი რომ წახა, გადაწყვიტა, სასამართლოში ერივლა და ადვოკატსაც დაუკავშირდა. მოხუცი პასტორი კი ორი დღის შემდეგ გაციებისაგან გარდაიცვალა ისე, რომ ახალი პანოს ნახვა ვერ მოასწორ. მას მთელი სკოლა ასაფლავებდა. მხატვარი ქელებში დათვრა და მღვდლებს წმინდა სამების საკითხზე ეკამათა. ადვოკატი – მტკიცე ცხოვრებისეული შეხედულებების მქონე, სისხლისფერორჩხილებანი ქალბატონი, ასე, ორმოცი წლის, სპორტულ დარბაზში შევიდა და დიდხანს ათვალიერა პანო. ბოლოს თქვა, მომწონს, მწვანე ფერი რომ დომინირებსო.

იქ, სპორტულ დარბაზში, ადვოკატს სკოლის ერთერთმა მონაფერ, სტასიკმა მიაგნო, რომელმაც ქალი ჯერ კიდევ სასაფლაოზე შენიშნა და მას მერე ხელსაყრელ შემთხვევას ელოდა. ბეჯითი, გულჩათხრობილი, გამხდარი ბიჭი იყო, კალათბურთელი და მეოცნებელ. თვალები ნერვიულად უბრნებინავდა, გულით კი დამთანგველ სიმბურვალეს დაატარებდა, – მოკლედ, ტიპიური კალათბურთელი გახლდათ. ქალი დარბაზში რომ იპოვა, თვითონაც შეიგნით შევიდა და კარი მოხურა. ქალმა არაფერი შეიმჩნია და პანოს თვალიერება განაგრძო. ბიჭი მიუახლოვდა და ქალს უკიდან აეკრო. ძალიან წერვიულობდა. მერე უხერხულად შეუდგა

ქალის გაშიშვლებას. ჯერ ტყავის პივაკი გააძრო, მერე პერანგი, მერე იმდენ ხანს ეწვალა ბიუსტჰალტერის გახსნას, რომ ქალმა აღტკინების მწვერვალს მიაღწია და უკვე ფიქრობდა, ჰა, მიღი, შენი, ღროზე, ეს რა ჯანდაბაა. როგორც იქნა, ბიუსტჰალტერი პარკეტის იატაკზე დავარდა. ქალი მაშინდა მიუბრუნდა ბიჭს და ძულომივით ეძერა. მაგრამ რაღას ეძგერებოდა, თუკი სტასიკს ამასობაში თავისი წილი სიამოგნება უკვე მიეღო და ახლა დარცხვენილი შლი-და ხელებს (და ფეხებსაც). სკოლის შენობიდან ერთად გავიდნენ. ადვოკატმა ქალმა ბიჭს სთხოვა, ხალხში დეიდა ნასტია დამიძახეო, საშინელი და ამაზრზენი რამეების კეთებას აიძულებდა და თავის დილერებთან საქმეების გარჩევას ავალებდა. რამდენიმე დღეში სტასიკი უკვე იცნობდა ქალაქის ყველა ნარკუშას, რომლებიც ადვოკატ ქალს სხვადასხვა სახის ნარკოტიკებით ამარაგებდნენ. სტასიკი იოლად პოულობდა მათთან საერთო ენას, ხშირად რამდენიმე დღით რჩებოდა მძველად, ვიდრე დეიდა ნასტია მაყუს შოულობდა. ქალი მოდიოდა, ყელზე ზონარს აბამდა და თავისთან მიათრევდა, სადაც საშინელ და ამაზრზენ რამეებს აკეთებინებდა. სტასიკმა შინ განაცხადა, სემინარები დამეწყო და კლასელებთან ერთად ქიმიას ვმეცადინეობო. ზოგჯერ ორივეს აუხსნელი ვნება და შიში იპყრობდა. ერთხელ დეიდა ნასტიამ ბიჭი ხელბორკილებით ბატარეაზე მიაჯაჭვა და მთელი ღამე იკონავეს, დილას კი ქალი შამპანიურისაგან ცუდად გახდა და, უნიტაზის წინ რომ ჩაიმუხლა, ხელბორკილის გასაღები შიგ ჩაუვარდა. სამი დღის გამარალობაში „პატიმარს“ ჩინურ შშრალ ატრიას აჭმევდა და მოსაფსმელად შამპანურის ბოთლებს უშვერდა. მესამე დღეს, ატრია რომ დაუმთავრდათ, ზეინკალი გამოიძახეს. ამ შემთხვევის შემდეგ დეიდა ნასტია მივლინებაში გაემგზავრა, სტასიკს კი გაკვეთილების შემდეგ მევალები დაუხვდნენ, ნაართვეს მობილური, დეიდა ნასტის ბიზის გასაღები და ჯიბის ფული, რომელსაც ადვოკატი სასკოლო ხემსისათვის აძლევდა ხოლმე. სტასიკმა რჩევისათვის დედას მიმართა.

დედამ, თოჯინების თეატრის ხნიერმა მსახიობა, შვილს ყურადღებითა და მოთმინებით მოუსმინა. სტასიკი გვიან გაუჩინდა, თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ მაიცდამაინც უყვარდა. – რა მშვენიერია, – თქვა მსახიობმა დედამ და ჭრელ ჩინურ ხალათში გაეხვია, – აი, სტასიკუნა, ახლა უკვე ნამდვილი მამაკაცი ხარ. რამდენი ხანია, რაც შენთან ამის შესახებ მინდოდა ლაპარაკი. აი, მაგალითად, მე, – შორიდან ნამოინც დედამ, – თვითონაც იცი, რას წინავს მსახიობის პრიფესია: მთელ ცხოვრებას გზაში ვატარებ. ოჳ, სტასიკუნა, თეატრი ჩემთვის ცხოვრებაზე მეტიც კია, ეს ჩემი ვნება! ხომ იცი, ხუთ სპექტაკლში ვარ დაკავებული, თანაც, ორივე შემადგენლობაში. ეს კი

ნერვების გაუთავებელ წყვეტად მიჯდება! – სტასიკის ფედა მეტნილად დადებით პერსონაჟებს – ზაზუნებს, ბაჭიებსა და მაქცია წავს ასახიერებდა, – ჰოდა, იცი, ერთი უცნაური თაყვანისმცემელი გამიჩნდა. სტასიკუნა, ის წერილებს მწერს, ოლონდ რალაცნაირ, უცნაურ წერილებს. აი, ნახე, – მან შვილს წერილების დასტა გაუწოდა. თურმე მოხუც ქალს უკვე რამდენიმე თვის განმავლობაში ვიღაც მანიაკი სწერდა. არეულ-დარეული და გრძელი წერილები იყო, უცნობი მაქცია წავის როლის შემსრულებელს ხან „მარლენს“ უწოდებდა, ხან თავის მოკვეთით ემუქრებოდა, ხან თოჯინების თეატრის სპექტაკლებზე რეცეპტიზებსაც ურთავდა და ერთი ნახვით სიყვარულზე მიუთითებდა, ხანაც ანატომიის სახელმძღვანელოდან ამოქსეროქსებულ სურათებს უგზავნიდა, სადაც ადამიანის შინაგანი ორგანოები იყო გამოსახული. – ჰო, აი, ეს ვერ გავიგე, – დრო და დრო გამოცოცხლდებოდა ხოლმე დედა, – რაო, სად მინდიხარო? ჰო, სტასიკუნა, – მეოცნების კილოთი განაგრძობდა დედა, – მეშინია, ვაითუ, ერთხელ, დასაძინებელ წამალს რომ მივიღებ, მოვა და ისეთ რამეს მიზამს... – დედა, – უპასუხა სტასიკმა, – საქმე ძალიან სერიოზულადა. მისი ვინაობის დადგენა არ გიცდია? – აბა, როგორ დავადგინო? – განერვიულდა დედა, – ყოველ ჩვენ სპექტაკლზე ასობით ადამიანი მოდის. მომდევნო სალამოს თეატრში ერთად მივიღნენ. დედა საგრიმიორში ჩაიკეტა, სტასიკმა კი უკანა რიგში ადგილი მონახა და მაყურებლების თვალიერებას შეუდგა. როგორც იქნა, დაინტყო წარმოდგენა, დარბაზი დაწყებით სკოლის მონაფებით იყო გავსებული. ბავშვების ფონზე საკმაოდ უცნაურად მოჩანდა ორმოცი წლის ლიპიანი გაუპარსავი კაცი, თითებზე სვირინგებით. მართლაცდა, გაიფიქრა სტასიკმა, აბა, როგორ უნდა დაადგინო, რომელია. წარმოდგენის შემდეგ აღმოჩნდა, რომ პრიმადონას საგრიმიოროდან კბილების პროტეზი მოპარეს. დედა სიმწრით ხელებს იმტკრევდა და უქბილო პირს აცმაცუნებდა. მაგრამ ერთ-ორ დღეში უცნობმა პროტეზი დაუბრუნა, მართალია, ფუძის ორი კბილი ამოუქვრია. წერილიც დაურთო, სადაც მოხუც ქალს ისევ თავს „მარლენს“ უწოდებდა, მისი ყვრიმალების არაჩვეულებრივ მოყვანილობაზე ლაპარაკობდა, მერე წარმოდგენის ანალიზზე გადავიდა და მაქცია წავის დრამატული სახის თავისებურებები გააჩინა, სულ ბოლოს კი მსახიობს პაემანი დაუნიშნა. შაბათს გორკის ძეგლთან გელოდებით. სტასიკმა დედას ურჩია, არ წასულიყო. დედა, რომელიც შიშინა ბერებს ვეღარ წარმოსთქვამდა, შვილს დაეთანხმა.

ნახევარი საათით ადრე მივიდა, ძალიან ღელავდა. ძეგლის გარშემო წრეზე დადიოდა. გავიდა ნახევარი საათი. მერე კიდევ ნახევარი. მერე კიდევ. რა თქმა უნდა, ქალი აღარ მოვიდოდა. კაცმა ნაყინი იყიდა და


პარკში შევიდა. დამდნარი ნაყინი თითებზე ეღვენ-თებოდა. კაცი სვირინგებიან თითებს ილოკავდა: ღუზებს, ისარგაყრილ გულებსა და ბალტიის ზღვაში ჩაირულ მზებს უსვამდა ენას. დიდხანს იხეტიალა ბილიკებზე. მერე სინათლისკენ გადაუხვია და ტირის ჯიხურს მიადგა. იქიდან ხმაური გამოდიოდა. კაცმა ყური დაუგდო. აი, რა ხდებოდა ჯიხურში.

ჯიხურის მეპატრონენ, გულეკეთილ ხნიერ ქეშს, ყველას დადებით ამხანაგად რომ მიაჩნდა, თავისთან ჯარის მეგობარი მიუპატიუია, რომელსაც, ჯიხურის მეპატრონისაგან განსხვავებით, დადებითობა დიდად არ ანალვებდა. პირიქით, სამუშაო ადგილზე, მოსკოვის საფირმო მატარებლის გამცილებელთა ბრიგადაში მექალთანისა და მოლაყბის სახელი დაემკვიდრებინა. ჰოდა, ძეველისძველმა მეგობრებმა ერთად გააბოლეს და სამხედრო სამსახურის დაუკინყარი დღეების გახსნებას შეუდგნენ. მოაგონდათ ჩათლახი ზემდეგიც, ბრძანებამდე დარჩენილი ასი დღეც, სამზარეულოში მუშაობაც და უმერინკას მახლობლად სამშენებლო ბატალიონში მსახურების სხვა ეპიზოდებიც. კიდევ რომ გააბოლეს, სროლა მოუნდათ. ჰოდა, პაშიშის ლურჯ კვამლში იდგნენ და ლითონის ირმებსა და თეთრ დათვებს უმიზნებდნენ, როცა ტირში მთვრალი ბოზისთვის მელავჭიდგაყრილმა ბიზნესმენმა შეაბიჯა. ბოზი სკამზე მიაგდო, ოთახს მძიმე მზერა შეავლო და დადებით ქეშზე შეჩერდა. ქეში დაიძაბა. ამ მომენტში მის მეგობარსაც უჯობდა, გონს მოსულიყო, მაგრამ უკვე შენიშნა სკამის საზურგებზე გადაწოლილი ბოზი და მასში ინსტინქტებმა იმძლავრა. ამიტომაც დაინტერესდა, ბიზნესმენისთვის ვინმეს ოდესშე თუ უსწავლებია მანდილოსნებთან მოპყრობა (მანდილოსანი ამ დროს უკვე სკამიდან ძირს ჩამოგორებულიყო). ისიც შეაცყობინა, ძეველი მედესანტე ვარ და, თუ საჭიროა, თავაზიანობას შეგასწავლი და ცხვირ-პირსაც დაგინაყვა. ბიზნესმენი აენთო. სამშენებლო ბატალიონის ყოფილი მედესანტეც აენთო. მხოლოდ ჭრელა-ჭრულა მანდილოსანი უძრავად ინვა ძირს და შეღებილ კულულებში სიგარეტის ნამწვები ბალაბში ჩაცვენილი ვარსკევლავებივით ეხლართებოდა. ვიდრე მამაკაცები ორთაბრძოლას დაინყებდნენ, ჯიხურის მეპატრონებათ გაშველებას შეცვადა. ასეთი რომ თქვა: ნამდვილი მედესანტე ისეთ შენობაში არასოდეს იბრძოლებს, რომელიც კომუნალურ ქონებას წარმოადგენს. – შენ ხომ ნამდვილი მედესანტე ხარ? – ჰკითხა თანარაზმელს. ისიც დაეთანხმა. – მეც ნამდვილი მედესანტე ვარ, – ჩაერთო ბიზნესმენი და დაუბატა, – ნადგას გულისთვის კი ორივეს თავს წაგაცლით. – პარკში გასვლა გადაწყვიტეს. ზან ორი საპარერო თოფი წაიღეს. ბიზნესმენმა ჭრელა-ჭრულა ნადგა მხარზე გადაიკიდა. სიგარეტის ნამწვები ქალს ხოჭოებივით

დასცვიდა კულულებიდან. ჯიხურის უკან ნაყინით მოთხოვრილ კაცს გადააწყდნენ და სთხოვეს, მოწმედ დაგვესწარიო. მოსწორებული ადგილიც მოძებნეს. – მოდით, ასე ვქნათ, – დაიყვირა იარალის მფლობელმა, – ერთმანეთს ათ ნაბიჯზე გაშორდით და ისროლეთ. – ბიზნესმენმა ნაბიჯები გადათვალა, დობილი მხრიდან ჩამოიხსნა და ფიჭვის ძირას მიაყედა. თოფი მოიმარჯვა და ძლიერად გადახსნა დასატენად. თოფი ნაფოტივით გადატყდა შუაზე. ბიზნესმენმა გაოგნებით შეხედა მედესანტეს. – მაშ, კარგი, – წარმოსთქვა იმან, – ახლა ჩემი ჯერია. მანდილოსნის ლირსება უნდა დავიცვა. თოფი ჩამოილო და დასჭექა. ტყვია ფიჭვთან აყუდებულ ბოზს მოხვდა და კბილი ამოუგდო. ბოზი ხის ძირას გაგორდა. ყველანი მისცვივდნენ. ბიზნესმენი ქალს ანჯღრევდა, მერდზე თავს ადებდა და მოსთქვამდა: – ნადეკა, ოლონდაც არ მოკვდე! – მერე მნარედ აქვითინდა: – შენ ოლონდ იკოცხლე და დანარჩენი მე ვიციო, – მერდზე პერანგი გადაიფხრინა და ჭრილობის შეხვევას შეუდგა. ნადეკას შეხვეული თავი კომბოსტოს ჰეგვდა. ბიზნესმენმა კი სულმთლად აიშვა და ქეშებს პოლიციით დაემუქრა, თუკი მის დობილს ახლავე რამეს არ მოუხერხებდნენ. იმეორებდა, იმიტომ კი არ მიყვარს და, სხვათაშორის, კარგ მაყუთს იმიტომ კი არ ვუხდი, რომ ვიღაც ნაძირლებმა ნინა კბილები ულენონ. – რა ვქნათ? რა ვქნათ? – აღელდნენ მეგობრები, – ხომ არ მივაკლათ, მაინც იტანჯება? – ჩერჩულით დაინტეს თათბირი. მაგრამ ამ დროს ნაყინით მოთხოვრილმა კაცმა აიღო სიტყვა: – მოიცადეთ, ძმა მყავს სტომატოლოგი. ამასწინათ კბილების პროტეზი მივუტანე, ისე შეაკეთა, ახალს დაემსგავსა. – ყველანი ამ სტომატოლოგ ძმას ჩაეჭიდნენ, დაჭრილი ნადიუხა მხრებზე შემოიგდეს და პარკის გასასვლელისკენ გასწიეს. მნერალ გორკის ძეგლმა მჭმუზვარე მზერა გააყილა მათ.

სტომატოლოგმა ძმამ სამზარეულოში შეიპატიუა და ყურადღებით მოუსმინა. ნადიუხას ნეშის გაუკეთა და მოტეხილი კბილის ადგილას ბამბა მიადო. უთხრა: – პრობლემა არ არის, რასაც გინდათ, იმას ჩავსვამ, ოლონდ კბილი მოიტათ. – კი მაგრამ, საიდან მოვიტანოთ კბილი? – აღელდნენ ქეში მეგობრები. ვინმეს ამოუგდეთო, ურჩიათ სტომატოლოგმა. მეგობრებმა ოქროთი პირმობრდლევიალე ბიზნესმენს მიაპყრეს დააბული მზერა. – ჩემი კბილები არ ივარგებს, – განაცხადა სასწრაფოდ, – კარიესი მჭირს და მეშინია, ნადიუხასაც არ გადაედოს. – ძმაო, – შეევედრა ნაყინით მოთხოვრილი კაცი, – კავშირები ხომ გაქვს, გთხოვ, იჩალიჩე. კარგი ხალხია. – კარგი, – უთხრა ძმამ, – ოქრო იყიდეთ, ივან ივანიჩს მიუტანეთ და ის ყველაფერს გააკეთებს. ოქროს ყიდვა აზერბაიჯანლებთან ჯობს. – სად ვეძებოთ ახლა აზერბაიჯანლები? – ქეშები ისევ სიძულვილით მია-

ჩერდნენ პირში ბიზნესმენს. – ძმაო, შენ გააჩალიჩე, რა, – კვლავ გამოიჩინა გულისხმიერება სტომატოლოგის ძმამ. სტომატოლოგმა შეიგინა და ტელეფონი აიღო. დაინტე აზერბაიჯანლებზე გასვლა. დიდი ხნის ნვალების შემდეგ ყოფილ თანაკურსელს დაურეკეა, რომელიც ფსიქიატრად მუშაობდა. უთხრა: – მისმინე, მანდ ინტელიგენტი ხალხი მოგდის, გიუშები და რამე, დამებმარე, ვინმე აზერბაიჯანელი მომაძებნინე. მეგობარი დაფიქრდა და ერთი მხატვრის ტელეფონი მისცა, რომელიც უკვე რამდენიმე თვის განმავლობაში ნერვული აძლილობის სიმულირებას ცდილობდა. დაურეკეს მხატვარს. მხატვარი დაფიქრდა და რამდენიმე ნუთში მოკლე შეტყობინებით გამოუგზავნა ნაცნობი მნერთნელის ტელეფონი, ის დაგეხმარებათო. ახლა მნერთნელს დაურეკეს. მნერთნელმა უთხრა, დეპრესია მაქვს, არავისთან ლაპარაკი არ მინდაო, მაგრამ ბიზნესმენის ტრაგიული სიყვარულის ამბავმა გული აუჩუყა და თავისი ძველი ნაცნობის, ვინმე აზერბაიჯანელ გენას ტელეფონი შეატყობინა. დიდი მადლობა გადაუხადეს, გენას დაურეკეს და ჰეითხეს, ოქროს ხომ არ მოგვყიდითო. გენამ გაიკვირვა, მაგრამ მაშინვე უთხრა, მოგყიდით, ოლონდ ბევრს ვერაო. მის სახლთან ტრამვაის გაჩერებაზე დათქვეს შეხვედრა. ქეშებმა სტომატოლოგს მადლობა გადაუხადს, ყოველი შემთხვევისათვის ივან ივანიჩის ტელეფონი გამოართვეს და უთხრეს, ხვალ მოვალთო. გენა გაჩერებაზე მოკლედ თმაშეჭრილ გოგოსთან ერთად მოვიდა. უთხრა, საერთოდ ოქროთი არ ვვაჭრობ, მაგრამ შემიძლია კოვზი მოგყიდითო. ჯიბიდან ჩაის კოვზი ამოილო. მეგობრები შეიმუშანენ, იფიქრეს და ყიდვა გადაწყვიტეს. მერე კი იდუმალებით მოცულ ივანიჩს დაურეკეს.



ყურმილი ახალგაზრდა ქალიშვილმა აიღო და უპასუხა, ივან ივანიჩი შინ არ არის, პოლიციამ წაიყვანა და როდის იქნება, არავინ იცისო. ქეშები დაიბრუნ. აი, რა მომხდარა: ივან ივანიჩი, იუველირი და კონტრაბანდისტი, დაბადებიდან მაიაკოლესის ქუჩაზე ცხოვრობდა, რის მაღაზიასთან, სადაც ჩამოსასხმელი საამქროც იყო განთავსებული და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე იმით იტანჯებოდა, რომ საამქროში მომუშავე და იქ მიმსვლელი კაცები მოსაშარდად მისი ფანჯრის ქვეშ დგებოდნენ. ივან ივანიჩი ემუქრებოდა კიდევც, წყალსაც ასამდა, ძალლსაც უშვებდა მათ დასაკაბენად. სწორედ გუშინ ვეღარ მოითმინა და ორი მეხანძრე იფიცერი გალახა. ოფიცრებმა მილიცია გამოიძახეს. მილიცია მოვიდა და საქმეში არც კი გარკვეულა, ისე დააპატიმრა ყველა, ივან ივანიჩის ჩათვლით. ლამით კიევის რაიონულ განყოფილებაში მოათავსეს. ოფიცრები შეხაპივით კონტრასტულები იყვნენ: ერთი სქელგავიანი, მეორე ტანხმელი, თუმცა ორივე ერთნაირად მთვრალი იყო. მათი გათავისუფლება დააპირეს, მაგრამ ფეხზე წამოდგომა არ შეეძლოთ, ამიტომაც დილამდე საკანში დატოვეს. ივან ივანიჩმა ჯერ ოფიცრებთან კინკლაობა სცადა, მაგრამ პასუხი რომ არ გასცეს, დაშორშმინდა და გვერდით მომიჯდა. მერე კი თავისი ამბავიც მიამბო. მაიაკოლესის ქუჩაზე შვილიშვილ მაშასთან ერთად ცხოვრობდა. ერთადერთი ოთახი ჰქონდათ და ერთ სანოლში ეძინათ, რადგან მეორეს ადგილი აღარ იყო. შვილიშვილს მზრუნველად ეპურობოდა, მაგრამ მსათან ერთ საწოლში ყოფნით უდაოდ თრგუნავდა მის სქესობრივ განვითარებას. კაცი ამას თვითონვე აცნობიერებდა და განიციდა. ბოლომდე მაიც ვერ გავიგე, თუ რა ხდებოდა მათ შორის, ერთი კი იყო: მაშა მამაკაცებთან არ ურთიერთობდა და ფიზიკურად კარგად განვითარებულ, მაგრამ გულჩათხობილ გოგონად იზრდებოდა. არადა, უკვე ცხრამეტი წლის შესრულდა. გრძელი თბა და ნაზი კანი ჰქონდა, კანჭზე კი ჰეპელა ჰქონდა ამოსვირინგბული. – ზაფხულში, მზეზე როცა ირუჯება, – ჰყვებოდა ივან ივანიჩი, – ჰეპელა მუქდება და თითქმის უჩინარდება, ზამთარში კი, როცა კანი უკრთალდება და მგრძნობიარე უხდება, საოფისე ქალალდზე მელნით დახატულს ემსაგავსება. ჰოდა, ეს ყველაფერი ივან ივანიჩს ძალზე ადარდებდა, რადგან შვილიშვილი უყვარდა და მისთვის ბედნიერი მომავლის უზრუნველყოფა სურდა. სწორედ ამ დროს ჩემი წასაყვანად მორიგე მოვიდა. არც გამკვირებია: ჩემსავე სადარბაზოში ამიყვანეს, ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიასთან ბრძოლის კვირეულთან დაკავშირებული მორიგე რეიდის ფარგლებში. მე რომ არა, გეგმა უფუძლებოდათ. უკვე კარებში ვიყავი, კონტრაბანდისტი კი ისევ მომძახოდა: – რაც მთავარია,

პოეტო, ქალებზე წერე! ქალები ჩვენი სიცოცხლეა! – მოკეტე, რა! – ძილში ამოილულულა ერთ-ერთმა ოფიცერმა. – წადი შენი! – მიაძახა ივან ივანიჩმა და ისევ მომისრუნდა: – მხოლოდ ქალებზე, დაიხსომე! – ამ სიტყვებით თავი ტანხმელი ოფიცრის მხარს მიადო და ძილი განაგრძო.

მეორე დღეს ისიც და ოფიცრებიც გამოუშვეს. ერთი-ორი კვირის შემდეგ კი მაშა თავის ბავშვობის მეგობარს, არნოლდს შეხვდა, რომელიც რამდენიმე წლის წინ ებრაელ ემიგრანტებთან ერთად გერმანიაში გაემგზავრა და, ის-ის იყო, დაბრუნდა. მაშამ ის დიდხანს ათვალიერა. არნოლდს დრედები ეცვა და მუსიკით ვაჭრობდა. რა ვიცი ებრაელების შესახებ, დაფიქრდა მაშა. იცოდა, რომ შეუასებელი ებრაელებს სდევნიდნენ, საბჭოთა კინემატოგრაფში კი უცხოელთა როლებს ათამაშებდნენ, რაკილა, ასე თუ ისე, მართლაც უცხოელები იყვნენ. კიდევ რამდენიმე კვირა გავიდა და დაქორწინდნენ. არნოლდი ზუსტად მათი ბინის თავზე ცხოვრობდა და ახლა, ღამდამობით, სიყვარულის შემდეგ მაშა წყლის დასალევად სამზარეულოში რომ მირბოდა, ივან ივანიჩს ზევიდან მისი შიშველი ფეხების ბრაგუნი ესმოდა. მერე ქალიშვილი შეეძინათ. უცნაური, მხიარული ოჯახი ჰქონდათ. ხშირად ჩხუბობდნენ, მერე ალერსობდნენ, პატარა გოგონას ერთად ასეირნებდნენ, ერთად უსმენდნენ ბი-ბოპსა და სხვა ჩანაწერებს, რომლებიც არნოლდს შინ მოჰქონდა, სამივეს ერთ სანოლში ეძინა, ცოლს ქმრის ტანისამოსი ეცვა, ქმარი ცოლს გაფუჭებულ ფეხსაცმელს უკეთებდა, ორი-სამი კვირით სადღაც მიღიოდნენ, მერე ისევ ბრუნდებოდნენ და სივრცეს თავიანთი სიცილითა და კვნესით ავსებდნენ. – ადამიანთა უმრავლესობა უმწეო და მარტოსულია, – ერთხელ უთხრა არნოლდმა ცოლს, – ისინი ერთმანეთს ეჭიდებიან, ხელს აღარ უშვებენ და ცხოვრებას აღარ აცლიან. ყველაფრის თავი და თავი კი ისაა, რომ ამ ურთიერთობათა შემთხვევით და პირობით ხასიათს თვითონაც აცნობიერებენ. უმრავლესობა ხომ შემთხვევით წყვეტს ერთად ცხოვრებას, თავს ირნმუნებს, ასე ჯობსო, მერე კი დიდხანს იტანჯება. აქ გამოცდილება ვერაფერში დაგეხმარება, პირიქით, რაღაცას გართმევს, თუნდაც, ილუზიებს. ადამიანები ბევრს ლაპარაკობენ თავიანთ გრძნობებზე, სინმდვილეში კი ხშირად ისიც კი არ ახსოვთ, თუ რა ფერის თვალები აქვს ადამიანს, ვისთან ერთადაც წვანან. ერთი წლინადი რომ გავიდა, მორიგი ჩხუბის შემდეგ ერთმანეთს გაეყარნენ. მაგრამ მერე ისევ შერიგდნენ და დღესაც ერთად ცხოვრობენ, იმიტომ, რომ ერთმანეთი უყვართ, დანარჩენი კი ყველაფერი უმნიშვნელოა.

თარგმნა თამარ კოტრიკიაძემ

ამსტერდამელი ფოსტალიონი

ამსტერდამელ ფოსტალიონად რომ გაიჩითა,
უსმენდა აბბას, ტრამალზე იჯდა,
პორნოზეც ანძრევდა პეშვით.
მისი ძმაკაცები, ლოთ-რადიკალები,
ამბობდნენ: აგერ გვკიდია ქალები,
ყურებამდე ვართ ძღნერში.

სტაგნაციაა აქ და მთხლეობა,
ლიბერალიზმი და მემარცხენეობა.
პროჭები მართავენ ევროკავშირს და
თავისუფლებას გვტენიან პირში,
არადა ლირსი
მოსაწევის ალებაც გაჭირდა.
მაგრამ აღმოსავლეთით არის ქვეყანა,
სადაც ჯერ კიდევ არ დაერხათ და
თავისუფლების მზე არ ამოსულა.
სადაც კაცობას არ დაუკარგავს სახე,
სადაც ეძებენ მაყუთის შოვნის არხებს
და კულტურული ხიდების შენებაც მოსულა.

სადაც სახლებში სრულყოფილება კიაფობს,
სადაც რუსეთის საპატრიარქო
ჯადოებს ხსნის და ადიდებს „ჯა“-ს
იქ სანარმოებს გულდაკვირვებით
აკონტროლებენ პროფესიონერები
და კოლექტივი სიმღერ-სიმღერ ველ-მინდვრებს ხნავს.

იქ სურდოზეც ურტყამენ აბსენტს,
ნაშები გხვდებიან პირდაპირ ტრაპზე
და ფეხებს შუა დემონურ ზასს
ეგრევე გირტყამენ.
მიდი ძმა, ავგანუა ჩამოგვიტანე!“ –
ეუბნებოდნენ ისინი მას.

და ისიც დადგა ამ უცხო გზაზე,
მიენდო დონბასის ავიახაზებს,
სადაც საუზმედ არაყი მოაქვთ.
დატოვა რაც კი გააჩნდა ქონება,
სამოთხეზე დაწყო ოცნება
და ფრენა-ფრენით გასცდა შენგენის ზონას.

შედგა რა ფეხი დონეცკის მიწაზე
გამოიყენა ენა ბერძნული იმნამსვე,
რომელზეც, წესით, აქ ხალხი სხლავდა.
მორჩა თუ არა ელადურ როშვას,
გადაეყარა ორ ძაან მაგრად დაბოლილ როჟას,
ერთ-ერთს ფორდიც კი ჰყავდა.

მძღოლმა უთხრა: „ვსიო ნარმალნა, სიომა,
დავაი პოჩუვაისა უ ნას იაკ ვდომა,
ირგვლივ ძმები ვართ, ხედავ, გეტყობა,
ალთქმულ მინაზე მოხვდი და სამნი
სტახანოვისკენ წავიდეთ, პლანი
იქ იმდენია, რომ მთელს ამსტერდამს ეყოფა“

გაყინულ მინდვრებზე წვებოდა ბინდი,
იდგა თებერვლის ცივი ამინდი,
ფრინველი მთვარე მისდევდათ ქროლვით.
ცაზე საავდროდ ანათებდნენ ტერიკონები,
უახლოვდებოდა მათ ციკლონები
და ევსებოდათ სულები თოვლით.

ორმოცდამეხუთე კილომეტრზე, შავი
ქარბუქი დაატყდათ, ჩაუქრათ ძრავი
და ხშირმა ნამქერმა წაართვათ სინათლე.
მძღოლმა მიმართა: „იოჰან, ძმაუშ,
დაგვენძრა და თუ სიკვდილი არ გსურს,
ევერეუ შენს წმინდანებს“

გაყინა და უკვე სიტყვა არც უთქვამთ,
აზოვის პორტებიდან სიკვდილმა დასუნთქა
და ბნელი დემონი დაფრენდა მათ.
ციოდა შიგნით და ციოდა გარეთაც
ის მაინც ცდილობდა სადღაც დარეკვას,
იქ კი პასუხობდა უცნობი ხმა:

„ამაუამად აბონენტი მიუწვდომელია
ცხოვრება – ერთგვარი ვერაგი მტერია,
თითქოს მდინარეში გახრჩიბს მავანი.
სიკვდილი არაა მთავარი ფაქტორი,
უბრალოდ გეცვლება ოპერატორი
და ქრება ზარები შემომავალი.“

თარგმანი შალვა ბაკურაძის



სიუვარული დეფოლტის ეპოქაში

ცხოვრება ყველაზე მიმნდობ, რომანტიკოს და პოზიტივისტ ადამიანებს კლავს, ვისაც არც ზომიერების გრძნობა გააჩნია, არც იუმორის. მომზმარებელთა საზოგადოება, რომელიც თაღლითებისა და ბანკირების ნდობაზეა დამყარებული, განწირულია, იცხოვროს გამუდმებულ შიში, რადგან შიში მას იმედთან ერთად ეძლევა და მასთან ერთად ერთმევა კიდეც. ადამიანს ახასიათებს სვეკეთილი და სტაბილური არსებობის ილუზით ტყბობა, ამიტომაც იოლად ცდუნდებიან და დეპოზიტებისა და საოჯახო კრედიტების, გრძელვადიანი ანაბრებისა თუ კარიერული ნინსვლის აზარტულ თამაშებში ერთვებიან. კაპიტალიზმი, როგორც მაყუთის არსაიდან არარაში გადაქარის უსრულყოფილესი მოდელი, ამგვარი ილუზიებისაგან შოკური განკურნვის არაერთ ვარიანტს იცნობს. დეფოლტი ფუფუნებას გართმევს, მაგრამ არაფერს გასწავლის: ყველას ძველებურად სწამს საბანკო სისტემისა, ვნებისა და სიყვარულის რჩენა კი ყველამ დაკარგა.

ასეთ შემთხვევებში მუდამ მახსენდება ოთხმოციანების დასასრული, როდესაც ჩვენი მშობლები უზრუნველი მომავლისათვის იღვწოდნენ: სრულიად რეალურ შემნახველ ბანკებში სრულიად რეალური ხელფასი შექმნდათ. იმ ეპოქიდან ყველაზე დასამახსოვრებელი სწორედ ის მტკიცე საყრდენისა და ნდობის განცდა, რომელსაც ვერანაირი სოციალური კატაკლიზმი ვერ დაასხერევდა: ეს იყო უეჭველი რწმენა იმისა, რომ შენ სახელმწიფო აუცილებლად დაგიცავდა. გამფლანგველობასა და ფინანსური დაწესებულებებისადმი უნდობლობას სასტიკად კიცხავდნენ, სახელმწიფო მექანიზმი კი პატივისცემას თუ არა, სინაზესა და თანაგანცდას მაინც ინვევდა ყველას გულებში.

სწორედ იმ დროიდან მაგონდება ერთი შემთხვევა. ასე, თექვსმეტი წლისანი ვიქენებოდით, საშინალდ გულუბრყვილონი და უმონტალო გარემოსთან შეგუებისათვის მოუმზადებელი. ჩვენზე ერთი-ორი წლით უფროსი მეგობარი გვყავდა, რომელიც უფროსებს სანიმუშო ახალგაზრდად მიაჩნდათ, რადგან ცხოვრებას სერიოზულად უდგებოდა: მუდამ გვეუბნებოდნენ, ნახეთ, როგორი თვინიერი და მშვიდია, ნახეთ, მშობლებს როგორ ეხმარება და არც აღკოშილს ეტანება. ჩვენც გასუხობდით: ჰო, აბა რა, და პორტვეენისა საყიდლად გავრცოდით.

ჰოდა, ამ მეგობარს ასეთი სასიყვარულო თავგადასავალი შეემთხვევა. როგორც წესიერ მელოდრამას შეფერება, თავისი ოცნების ქალს შეხვდა. ის ჩვენს პატარა ქალაში ყველაზე ლამაზი გოგონა იყო: ქერად შელებილ გრძელ თმასა და მოკლედ გადაჭრილ ჯინსის შორტს ატარებდა, მოტოციკლეტით დადიოდა და, როცა ჩავლიდა, მნახველები დიდხანს არჩევდნენ მის გარეგნობას. ქალები ამტკიცებდნენ, სინამდვილეში დაგრეხილი ფეხები და გამხდარი დუნდულები აქვსო. ჰო, დუნდულებით, თავს აკანტურებდნენ მამაკაცები და თავ-თავიანთ ოცნებებში მიდიოდნენ. ჩვენი მეგობარი მასთან თავიდანვე სერიოზულ ურთიერთობებზე ალაპარაკდა: ქორნილი, ბავშვები, ავტომობილი „ლადა“. მაგრამ გოგომ მეკრად მოუჭრა, ამაზე არც იოცნებო, შენნაირ დოყლაპიას საუკეთესო წლებს არ მივახარჯავ, არც მრავალფეროვანი პირადი ცხოვრება მაკლია და არც კარგი სექსიონ. სექსის თაობაზე მართალს ამბობდა: საყვარლებს ადვილად და ხშირად იცვლიდა. სექსს, როგორც ფიზიკურ ვარჯიშს, ისე ეკიდებოდა, ანუ რეგულარულად მისდევდა. ამის გამო ქალები შურიან მზერას აყოლებდნენ და იფურთხებოდნენ და, სხვათაშორის, მამაკაცებიც ასე იქცევიდნენ. მაგრამ ჩვენი მეგობარი არამარტო თვინიერი გამოდგა, არამედ დაუწენებულიც: წერილებს სწერდა, სახლის წინ დარაჯობდა და, საერთოდ, მოდუნების საშუალებას არ აძლევდა. გოგო მის შესახებ დაქალებს რომ უყვებოდა, იცინოდნენ და იმეორებდნენ, არანაირი შანსი არ აქვსო. მაგრამ ბიჭი თავს არ ანებებდა. ბოლოს გოგომ დაუთმო. უთხრა: კარგი, ჩვენს შორის სიყვარული შეუძლებელია, მაგრამ, თუ გინდა, ფული გადამიხადო, და ცინიკურად წარუდგინა პრეისკურანტი. ბიჭი დაფიქრდა და დათანხმდა.

მათ შორის სექსი გაიძა. ბიჭს მამის ანგარიშიდან გამოჰქონდა ფული, გოგო სიამოვნებას ანიჭებდა და ფული შემნახველ ბანკში მიქმნდა. ეს გახლდათ ერთგვარი ბუნებრივი გაცვლა გვიანი სოციალიზმის პირობებში. შესაძლოა, გოგოს ეს არც მოსწონდა, მაგრამ ბიჭი გადახდას არასოდეს უგვიანებდა და ისიც ცდუნებას ვერ უძლებდა: რატომაც არ უნდა აელო ფული იმაში, რასაც ისედაც აკეთებდა. დაქალები შურისაგან სკდებოდნენ, ამბობდნენ, ასეთ ფულს თუ გადამიხდან, მეც ნებისმიერს გავუკეთებ მინეტსო. მაგრამ, რაკილა მათ არავინ სთავაზობდა ფულს, იძულებული იყვნენ, ეს სასირცხო საქმე უსასყიდლოდ ეკეთებინათ. მამაკაცები ზიზღით უმზერდნენ ბიჭს: სულმოკლეა და ფულს ტყუილად ფლანგავსო. თუმცა, დარწმუნებული ვარ, გულის სილრმეში ყველა მის ადგილს ყოფნას ნატრობდა.

ერთი წელი პერიოდი ინტენსიური სექსი, რომელიც რაიმე უფრო ფასეულ ურთიერთობებში აღარ გადაზრდილა. ამის შემდეგ საბჭოთა კავშირში პიპერინფლაცია დაიწყო. ერთ მშვენიერ დღეს ყველამ სულ სხვა ქვეყანაში გამოვიდვინდეთ და აღარც ფული აღმოგვაჩნდა, აღარც პერსპექტივები და აღარც სიყვარული. ყველა გადავარდა, ამ ჩვენ მეგობარს კი წესიერი სექსი მაინც შერჩა. ფინანსისტები ამას იდეალურ ინვესტიციებს უწოდებენ: უგარანტიოდ, უპროცენტოდ და თანაც ყოველგვარი კონკურენციის გარეშე.

თარგმანი თამარ კოტრიკაძის

January 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31
February 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28
March 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28
April 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30

3hmb3

2

ప్రాణికాలాలు

ბაში-აჩუკი

ანუ მოგი-დიპი

(ისტორიული მოთხოვა)



ზურაბ ქარუმიძე

ბაჩუკი წერეთელი სულით ავადმყოფია: dementia praecox*, ნაადრევი ჭუასუსტობა, ბიპოლარული გადახრებით, შიზოფრენიის ფონზე – ასეთი დიაგნოზი დაუსვეს თხუთმეტი წლის ასაკში, და იმის მერეც სულ ეგრეთ, აგრე უკვე იცდაათისაა... არა, ფსიქიატრიულში არასდროს წოლილა, მაგრამ ახლა ციხეშია, თუმცა ზუსტად არ იცის – რისთვის და, ცხადია, ვერც გაიგებს – აკი ჭუასუსტია... ამბობენ, ფორმორბლიანი კბილის პასტა მოიპარო, აფთიაქიდან, საჭმელად – უყვარდა იმისი გემო – და მაგიტომაც დაიჭირეს და ორი წელი მიუსაჯესო – ფორმორბლის გემოინი კბილის პასტის ქურდობისათვის...

ბაჩუკის სხვა რამებიც უყვარს – ცელოფანის პარკები, მანქანაში დასაკიდი არმატიზატორები, ბენზინისა და მარდის სუნი, ასანთის კოლოფები, შემწვარი კარტოფილი, თხილანი შოკოლადი, მოტოცილეტი, პროექტორი რომეო, იმიტომ რომ ეგეთი სახელი აქვს, ოფიცერი ლადო – იმიტომ რომ ძალიან მაგრად არა სცემს, კიდევ – წევის ხმა უყვარს და ციხეგის უფროს ხათუნა, პუტკუნა ტუჩები რომ აქვს, რომლებიც ესიზმრება ხოლმე, ხასხასა... ჰო, კიდევ, ციხემდე, მეზობლის გოგო უყვარდა – მეღანონ წაბოზებდა ხოლმე ის მეღანონ, გვარად თევზორაძე იყო... და მანც, ყველაზე უფრო „ბაშიაჩუკი“ უყვარს – კინო... რა მადლიანად ანათებს, შენი მზე, შენი მთვარეოოო...


ბაჩუკი ციხის წარმოდგენებში მონანილეობს – იქ სამოყვარულო თეატრი აქვთ. ერთ-ერთ წარმოდგენას „ქურდობანა“ ჰქვია და ასეთნარინა: ზურგსუკან წალებული ხელებით ბაჩუკის გისოსებზე მაბამენ, თავზე ჰოკეისტის ჩაჩენა ახურავს, შარვალი ჩახდილი აქვს, ხოლო და უკანალში ცოცხი აქვს გადებული; ასეთ მდგომარეობაში მას მოეთხოვება ერთი რეპლიკის გამეორება – „ქურდი ვარ!“ რაზედაც ოფიცერი ლაშა და კონტროლიორი მამუკა რეფრენად ეკითხებიან: „აბა ტრაქში ცოცხი რომ გაქვს?“ ხოლო ბაჩუკი ისევ გაიძახის: „ქურდი ვარ!“ და ა.შ. ეს მიზანსცენა რომ დასრულდება, ბაჩუკი მღერის: „რა მადლიანად ანათებს...“ იმიტომ რომ ბადრაგსაც უყვარს ეს კინო – „ბაშიაჩუკი“... საზეიმო-პატრიოტული სიმღერის მერე იმ ცოცხს ბინძურ უნიტაზში ამოავლებენ

და ქურდად ნათლავენ ბაჩუკის: „სახელითა ძლრენისათა, ფსელისათა და კულისი სუნისათა!“ – ხოლო ამ სიტყვებს ზურაბა ამბობს, ისიც ტუსალია...

ბაჩუკი სიგარეტს არ ეწევა: მწეველი რომ ყოფილიყო, მაშინ სხვა როლსაც ათამაშებდნენ, რომელსაც „პირტრაკა“ ჰქვია. როლი მარტივია, მაგრამ მაში დაკავებული ტუსალი მწეველი უნდა იყოს. ჰო, მარტივი როლია: ტუსალი ისევ ხელებით აბამენ გისოსებზე, შარვალსა და ტრუსებს ჩაუწევენ და უკანალში ანთებულ სიგარეტს ურქობენ – ფილტრიანი ბოლოთი; სიგარეტი ბოლავს, ხოლო ტუსალი ამბობს – „მოწევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის!“ ამის მერე ხელებს გაუხსნიან, სიგარეტს გამოაღებინებენ და პირში ადგინებენ – „ახლა მონიე, მონიე!“ იძახის ბადრაგი და ტუსალიც ეწევა... არსებობს რთული როლები სიგარეტით, მაგრამ მაგას დიდი გაძლება უნდა – „მსახიობისგან“ დიდ ძალისხმევას მოითხოვს; ამ წარმოდგენას ეწოდება „იღლია ჩემი – საფერფლე“ და მასში ხუთი ბადრაგი და ერთი ტუსალი მონაწილეობს, ხოლო სხვა ტუსალები „მაყურებლობები“ (ზონას „მაყურებელი“ რომ ჰყავს – იმ ამბავში). ხუთი ბადრაგი გააკავებს ერთ ტუსალს, ხელს აუნევენ ისე, რომ იღლია გადაიხსნას და შიგ ანთებულ სიგარეტს აქრობენ... ტუსალის ღრიალი და დამწვარი ხორცის სუნი „მაყურებლებზე“ განწმენდის – კათარზისის ეფექტს ახდენს, ამასთან ისინი ხმამაღლა იგინებიან, აპროტესტებენ, ხოლო ხმამაღლალი ლაპარაკის უფლება მათ არ აქვთ, გინებისა ხომ საერთოდ, ამიტომაც შემოდის დამატებითი ბადრაგი და იწყება „მაყურებლების“ გატარება „კარიდორში“, შესაბამისი ჩანიხლვითა და ბეტქეთ...

თუმცა ბაჩუკის კიდევ ერთ როლს ათამაშებენ, რომელსაც ჰქვია „სადღეგრძელო“: ციხის უსაფრთხოების თანამშრომელი („დეპენერა“) ბესო შარდავს ჩაის ჭიქში და მერე ამ შარდით სავსე ჭიქს ანვდიან ბაჩუკის, რომელმაც ვრცელი სადღეგრძელო უნდა თქვას – „დალოცცოს“ – და მერე „დალიოს ბოლომდე“... ბაჩუკი ჭუასუსტია, სულით ავადმყოფი, რა ვრცელი სადღეგრძელოს თქმა მაგას შეუძლია?! მაგრამ ის მანც, იტყვის გაღიმებული: „ქურდებს გაუმარჯოს ამ ღვინით, რომელიც რომ საუკეთესო

* ნაადრევი ჭუასუსტობა (ლათ.)



ღვინოა, იგი უხდება ყველსა და მწვადს და ასევე თონის პურს... გაუმარჯოს ბაშიაჩქეს! მე მიყვარს საქართველო!“ ბადრაგები და ოფიცერი ჭაყია სიცილით იჯერინებიან, რადგან მათაც – ყველსა – უყვარს საქართველო...

და სწორედ ეს სიყვარულია, რომლის ძალითაც ბადრაგი დაიჭერს ხოლმე ბაჩქის, გააკავებს, შარვალსა და ტრუსებს ჩახდის, ნაკუზავს და სწორ ნაწლავში გაპოხილ რეზინის ხელკეტს შეუყოფს: „გესიამოვნა?... თქვი – გესიამოვნა?“ – ეკითხება კონტროლიორი მამუკა... რა მადლიანად ანათევებს, შენი მზე შენი მთვარეოოოოო...

იმ წელინადს ისეთი ცივი ზამთარი იყო, რომ შავი ზღვა გაიყინა. ბაჩქის ჩაესმა სიტყვები, ოფიცერმა ლადომ რომ უთხრა კონტროლიორ მამუკას: „აზზე მოდი, ე, შავი ზღვა გაიყინა, ჩემი...“

ბავშვობაში ზღვა ნანახი ჰქონდა – დედამ წაიყვანა, ზაფხული იყო... წვიმიანი დღე იყო, ზღვა ღელავდა, დიდი თეთრი ტალღები მოდიოდა – ქალის ძუძუებივით ტალღები... ძუძუებიც პირველად იქ ნახა – ზღვაზე, ვიღაც მსუქან ქალს ბანაობისას გამოუჩნდა: დიდრონი და თან-თალა... ბაჩქის შეეშინდა, სიცივემ დაუარა...“

ახლაც ყველაფერი გაიყინა – ზღვასავით შიშისგან გაიყინა. შიში... ციხის ჰაერი შედგება შემდეგი ელემენტებისგან: ცოტა ჟანგადი, ბლომად ნახშირორეანგი, ოფლის, ფეხის, შარდის, განავლის, სიგარეტისა და ბალანდის სუნი და – შიში, რომელსაც თავისი სუნი არ აქვს, მაგრამ ყველა დანარჩენს შეისრუტავს და მერე ერთბაშად მოგაფრევებს ისე, რომ ვეღარავერს არჩევ – ვერც სუნს, ვერც სახეებს, ვერც ხმას, ყველაფერი ერთმანეთში ირევა... ხმა: „ხელები უკან, შე დედამოტყუნულო!“ „თავი, თავი დახარე, შე ყლეო!“ ოფიცერი ლადო და კონტროლიორი მამუკა ზალიეოს აჩმორებენ – მეტსახელად „ვირისთავს“... პლანის მოწევაზე შეიდი წლით გასროკეს და აჩმორებენ ზალიეო ვირისთავს...“

ხმები: „შავი ზღვა გაყინულა, ტო!“ – ამბობს ოპუშის ბარიგა კირო, – „სიზმარი ამიხდა...“ „ეგეთი რა სიზმარი

ნახე, კირო-ჯან?“ – ეკითხება ზურაბა. „მესიზმრა, რომ ალავრების მონასტერს, დიდება მის ძლიერებას, უნმინდური დაპეტრონებოდა... გველეშაპი შემოჰვევოდა გარს...“ „ვა, ეგ რა ლამაზი სიზმარი გინახამს, კირო-ჯან!“

ბაჩქის უყვარს გველეშაპები. ახლაც, ამ სიტყვის გაგონებაზე ვეება გველეშაპი წარმოუდგა თვალწინიშე ყინულის გველეშაპი: ზღვასავით შავია, ხოლო მეტყველი თეთრი აქვს... ჰო, თანაც, ახალი წელი რომ მოდიოდა, უთხრეს – ეს წელი გველეშაპის წელიაო...“

გველეშაპის წელი, გველეშაპის წლები, გველეშაპის დღეები, გველეშაპის წუთები, გველეშაპის წამები... წამება...“

ყველაფერი წულიდან დაიწყო, წულოვანი ტოლერანტობით. იყო წყვდიადი და მოვიდა შუქი. ქვეყანას მოევლინა აბსოლუტური ხელისუფალი, რომელიც დღენიადაგ სტვირის გუდას ბერავდა, პოლიტიკაში პორტობდა, პოეზია კი არ უყვარდა და არც ხალხი უყვარდა... საკუთარ გულს ეკითხებოდა ხოლმე: „მე ვკობივარ, პეტრე პირველი თუ ათათურქე?“ გული კიდევ პასუხობდა: „შენც კარგი ხარ, პეტრეცა და ათათურქიც, მაგრამ ჰაველი სამივეს გჯობიათ!“ ამიტომ არც ჰაველი უყვარდა ხელისუფალს... ჭამა უყვარდა, სექსაობა და ხუროთმოძღვრება: ობელისკები და შადრევნები აღაშენა უხვად, რამეთუ ობელისკი მამაკაცური საწყისის გამოხატულებაა, ხოლო შადრევნი – ქალურისა; ასე შეერწყა ერთმანეთს სქესობრივი უინი და ხუროთმოძღვრება... და სწორედ ამგვარი სექსუალური ხუროთმოძღვრების – ხურვათმოძღვრების – ძალითა და ბერკეტებით დაიწყო ხელისუფალმა ქვეყნის შენება, ხოლო საშენ მასალად თავად ამ ქვეყნის ხალხს იყენებდა... მაგრამ ხალხი არ ვარგოდა საშენ მასალად – საჭრო იყო მისი ჯეროვანი ჩამოყალიბება. და შეემნეს კიდევაც საამისოდ საგანგებო სანახაობრივი ყალიბები და ხალხის საშენ მასალად ჩამოყალიბებაც დაიწყო...“

ცხადი გახდა, რომ სილამაზე გადაარჩეს ქვეყანა! ხოლო საამისოდ სილამაზეს სწრაფი ტემპით უნდა ემოქმედა: გაჩნდენ რეფორმატორები, წულორიშები, მოაზროვნები და პატრიოტები, გაჩნდენ და ცხოვრობდნენ, ცხოვრობდნენ ისე, რომ ფეხქვეშ ქვეყანას ვერ გრძნობდნენ, რამეთუ – ეცლებოდა... ესენი ერთმანეთში მავლობდნენ და მრავლობდნენ... მოაზროვნებმა დაიწყეს ელემონისედის ხელახლა გამოგონება და მას „სწრაფი სილამაზე“ უწოდეს და მისი ძეგლი ქალაქის ერთ-ერთ მთავარ მოედანზეც დაიდგა. ხელახლა გამოგონილი „ველოსიპედი-სილამაზე“ თანასწორობის პრიციპს ემყარებოდა და შემდეგში მდგომარეობდა: თავისუფლებისა და მონბობის თანასწორობა; სტაბილურობისა და სახელმწიფობრიობის თანასწორობა; ასფალტის, გიპსოკარდონისა და ადამიანის თანასწორობა; მხოლოსა და მრავლის თანასწორობა; ერთისა და მეორის თანასწორობა, როდესაც ერთი ასმენს მეორეს და პირიქით; განათლების, მეცნიერული ცოდნისა და უნარ-ჩვევების მაღალ და დაბალ დონეთა თანასწორობა; ნიჭიერთა და უნიჭოთა, ცოდნისა და უმეცრების, გამოცდილებისა

და გამოუცდელობის თანასწორობა; ადეკვატურობის, ლოიალურობისა და ნარმატებულობის თანასწორობა; სიმშეიდისა და ფორმიაქის, მოდუნებისა და კრუნჩხვის თანასწორობა; ნარსულისა და მომავლის თანასწორობა – ანშეს წინაშე... და ასე შემდეგ...

სამუშაო ადგილების შესაქმნელად დაინტ საციხო ადგილების შექმნა, რომ ფულის გენერირება ძალოვან სტრუქტურებს მოეხდინა და არა ბიზნეს-ეკონომიკას, იმიტომ რომ ეს უკანასკნელი ნელა მოქმედებს, რაც ულა-მაზოა...

ხურვათმოძღვრების ტემპი და ენთუზიაზმი იმდე-ნად მაღალი იყო, რომ რამდენიმე კაცი შემოვკვდათ კიდეც; მართალია, ზოგადად ქვეყანაში დანაშაულმა სა-გრძნობლად იქლო, მაგრამ „შემოვკვდომის“ შემთხვევებმა რატომდაც იმატა...

„მე მიყვარს სიყვარულ!“ – ეს სიტყვები ყველას ეწერა შუბლზე, როგორც მაისურზე: რეფორმატორებს, ნუვორინებს, მოაზროვნებსა და პატრიოტებს. ხელის-უფლის ბრძანებით მოხუცებს კბილები დააძრეს და ღიმი-ლი ჩაუსვეს – წყობილი და პრიალა...“

ზედაპირი და სილრმე ერთმანეთს გაუტოლდა და ირ-გვლივ იდუმალმა გამჭვირვალებამ დაისადგურა... ყველას ესმოდა რალაცა საუბრები და ყველა ხედავდა რალაცა ინტიმურ ქმედებებს... ისეთი შეგრძნება იყო, თითქმის ვიღაცის ხელისგულზე ვცხოვრობდით, ხოლო მეორე ხელი თვალებზე გვქონდა აფარებული: ფოკუსი!

და მზის დისკი, როგორც აბსოლუტური ნული, ბრდლვიალებდა ცაზე – ნულოვანი ტოლერანტობით!

ციხეში მზე არ არის, სამაგიეროდ არის „ვალჩიკი“ – ჭუჭრუტანა, საიდანაც კონტროლიორის თვალი შემოიხე-დავს ხოლმე – კონტროლიორის მზერა...“

შარშან ფერისცვალება დღეზე „ვალჩიკი“ ჩვეულად აინთ კონტროლიორის თვალი, მერე ჩაქრა, მერე კარი გრუნვნით გაიღო და კამერაში სპეცრაზმი შემოვარდა, ოფიცრის მეთაურობით, მერე კი თვით საცყრობილის უფროსი თოლორდავა შემოვიდა – სამხედრო-საზეიმო იერით. ვიღაცის ჩუქმად ნერილი გაუპარებია სახალხო დამცველთან – პატიმრების ნამება-შეურაცხყოფის ამბები იყო იმ ნერილში... იმ ნერილის ამბავი კი თოლორდავამ-დეც მივიდა, სიკო მაყაშოვა „იძოზა“ – მეტადონზე რო იჯდა და „მეტა-დონედან“ რომ ნასედეკობდა... თოლორ-დავა კიდევ გაბრაზდა; არა, კი არ გაბრაზდა – მაგრად დაიბოლმა, აიშალა და გარევაა... ისეთი ხელეცებისა და კონდახების ტრილი დაყენა, ისე ათრევინა ხალხი თმებით, ისე აჯევეგვინა თავები კედლებზე, ისე ულენა ნეკნები და ცხვირ-პირი, რომ მთელი კამერა სისხლით შეიღება... „ფერი ხომ გიცვალეთ, თქვე თესლებო! თქვე დედმოტყუნულებო! თქვე ახვრებო!..“ – კატრიდან გასუ-ლისას თქვე თოლორდავამ; თან ისე ქშინავდა, თითქმის იმ წამს ვიღაცას გაუთავა... ოპიუმის ბარიგა კიროს ხატებიც სულ სისხლში იყო...

ვალჩიკ-ჭუჭრუტანის გარდა, საკის კარს პატარა სარკმელიც აქვს, საიდანაც საჭმელ-სალაფავ-ბალან-

დას ანგდიან პატიმრებს ჯამებით. ამ სალაფავში ისეთი ცხიმია, ტარაკანმა თუ შექამა – მოკლავს, ვირთხასაც მოკლავს; პატიმარს კიდევ შიგ დაიძლები გაუჯდება და იქედან უჭამს შიგადს – საჭმელი, რომელიც შიგინდან გჭამს: „კარმუშეუისგან“ ნამოსული კარმა, რაც დააგროვე ცხოვრებისას, რაც რომ დედიშენისა გიჭმია... ეგ ყვე-ლაფერი სულ დაიძლები გიჯდება და მერე იმავე დედას გიტენავს... სროვაც შეიძლება რომ გაგიზარდონ – ლვა-ძლივით, თუ რამე ისე გაბროტესტე ან შიდა განაწესი დაარღვიე; ათი ნლით რომ გაგიზარდონ – ეგეც მოსუ-ლა... თუ ექიმი მოითხოვე, სამედიცინო ამბავში იჩივლე და ეგეთი რამები – კარცერში ჩაგავდებენ, რომ იქ უკეთ მოშეუში იარები; კარცერში კიდევ უკეთ გაიაზრებ, რომ შენ სულ პატარა ხარ – აი ზუსტად იმ ცხიმნაჭამი და გაგორებული ტარაკანივით, ხოლო შენი სროვი – იმ ლვი-ძლივით – გადიდებულა... კარმა და „სროვი“ ... პატიმრის სულ პატარა კარმა – „კარმუშეა“ ... არადა, ადვოკატსაც ყველა ვერ აიყვანს – სამაგისო ფული სად არ?... ამი-ტომაც, დაჯექი და სასჯელადსრულების კოდექსი გაიზე-პირე – ინტერნეტიდან ამობეჭდილი...

მერა ჯუტა ჰაი ჯაპანი... პპირ ბპი დილ ჰაი ჰინდუსტა-ნიიიი... ჰო, „ინდია“ – ასე ერქმის ჭლექიან პატიმართა დანებულებას, სადაც ბლომად ხალხია – 577 საწოლ ალაგზე 1200 ავადმყოფი – და ბლომად განავალი, ანუ – კარმა... საპირფარებოში მისასვლელი გზა ფერალური მასებითა დაფარული და იქ გასავლელად აგურები ალა-გია... ალბათ სანსარადან – გარდასხეულებათა წრიდან – ნირვანაში გასასვლელი გზაც ასეთია: კარმულ განავალში ჩადგებული ყოველი აგური ახალი გარდასხეულებაა... ამ გზაზე დადიან ჭლექიანი მოჩვენებები, ხროტინითა და სისხლიანი ნახევლის ფურთხებით, თითქოსდა და სული ცდილობს სხეულიდან ამოძვრეს – ამ ნახევლს ამოჰვეს და განთავისუფლდეს: ნირვანაში, „სვაბოდაზე“ ... გაბუ-ლულ ოთახებში ერთმანეთზე მინოლილან გამოფიტული, ტანისებირი ფორმები, აქაც სიმყრალეა და შმი, რად-გან ცემა არც ჭლექიანებს აკლით, მათი ცემა-ტყეპა ამ დანებულების უფროსის საქმეა – მეტასხელად „ნინბა“ იმიტომაც შეარქვეს, რომ ბევრი ილეთი აქვს საამისოდ მომარჯვებული... მერა ჯუტა ჰაი ჯაპანი... პირ ბი დილ ჰაი ჰინდუსტანიიი...

„თავადო! როგორ გიკითხოთ ამ დილაადრიან?..“ „თა-ვადო“ – ასე მიმართავენ ტუსალები ბაჩუკას, იმიტომ რომ ბაჩუკი გვარად ნერეთელია... წელს, შავი ზღვა რომ გაიყინა, ბაჩუკამ პირველად ნახა გულყრა – ეპილეფსია, არისტოკრატული სენი! ეს კარცერში მოხდა...

კარცერში ძალიან ცივა და პატიმრები „პინგვინების წესით“ თბებიან: ასე – 10-12 კაცი ნერზე დადიან, ერთ-მანეთს ეკრანიან და სხეულებით ათბობენ ერთმანეთს – ტანი ტანს სითბოს უზიარებს, როგორც არაცნობიერ სიყვარულს... ვინც გათბება, გარეთ გადის და იმათ ნაცვ-ლად სხვები დგებიან წრეში...

ჰოდა, იმ წრეში ბაჩუეკიც იდგა იმ დილით, ხოლო მის წინ ერთი სვანი იდგა, რომელსაც რომ გულყრა დაქმართა: კა მოდღლეზილი ვიზე იყო ის სვანი, ტლანქი და ზლაზნია... უცებ შედგა, თავი და თვალები მარჯვნივ შეუბრუნდა, ტანი თითქოს შუაზე გაეყო – ცალ მხარეს ცახცახმა დაუარა, თანდათან იმატა და ძლიერ კრუნჩხვად ეძგერა ტანს, თითქოს რაღაცა უხილავი მხეცი მიახტა და ეშვები და კლანჭები ჩასო... მერე ეს კრუნჩხვა უცებ მეორე მხარეზე გადაედო – თავი უკან გადააგდებინა, ნელში გამართა, მერე გადაზნიქა და რამდენიმე წამს ასე ათროთლებდა... კრიჭშეკრული სვანი რაღაცას ბუბუნებდა, პირიდან დუში წამოუვიდა, მერე ერთიც შეტორტმანდა და უკან გადავარდა – ზურგზე დაცა, დაცემისას კიდევ რეინის „შეონგას“ კეფა ჩამოჰკრა, კანი გადაეხსნა და სისხლი წამოუვიდა... იატაკზე განრთმელს კრუნჩხვის ორიოდ ტალღამ ისევ დაუარა და მერე მოეშვა – მოშორდა მხეცი... შარვალში შარდი გაუვიდა...

„იოფუტვაიუმატ, ეპილეპტიკია ტო, კარცერში როგორ ამყოფებდე...“ – შეიგინა კიკო ბაქრაძემ, ესეც წამაზე იჯდა.

თავდასისხლიანებულმა და ჩაფსმულმა სვანმა წამოდგომა სცადა, დაბინძულ თვალებს აქეთ-იქთ აცეცებდა და ბოლავდა: „ძალი... სკორე... იოშ! იოშ! მელია... მელია...“ იატაკიდან წამოაყენეს და სანილზე დაანვინეს, ის კიდევ უძალიანდებოდა, ადგომას ცდილობდა...

გაფითრებული ბაჩუკი წერეთელი სვანს მისჩერებოდა; მერე თვითონაც ჩაიფასა და ტირილი აუტყდა...

ქ-ნი ტიმსალ მაკო (McCoy, real McCoy), კონგრესის კომიტეტის თავმჯდომარე, კაპიტოლიუმის ერთ-ერთი ცველაზე ცნობადი სახე... ქ-ნი ტიმსალ მაკო აღტაცებული გახლავთ საქართველოს მიერ დემოკრატიული განვითარების გზაზე გადადგმული წაბიჯების რაოდენობითა და სიგრძით, ხოლო ამ პატარა სამხრეთული ქვეყნის პრეზიდენტი პოსტ-საბჭოთა მოდერნიზაციის ჭეშმარიტი ვარსკვლავბიჭუნა – დედობრივი სითბოთი მკერდში ფიქრობს ქ-ნი ტიმსალ მაკო...“

საქართველოს თაობაზე სახელმწიფო დეპარტამენტისა და უშიშროების საბჭოს განცხადებებში ტიმსალ მაკოს ხელი მუდამ ერია: პოლიციის რეფორმა... ენდემური კორუფციის ალკვეთა... ახალგაზრდა და ენერგიული ადმინისტრატორები – დასავლეთში განათლებული... ეკრო-ატლანტიკური ინტეგრაციისაერთ მსხრაფი... ასპირანტი ქვეყანა... სტრატეგიული პარტნიორობა ერაყსა და ავლანეთში... ბიზნესგარემოს გამაჯანსაღებელი საქანო-მდებლო ცვლილებები... საინვესტიციო მიზიდველობა... მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკური ზრდა... ინფრასტრუქტურული აღმოვლობა ახლად-დაგებული გზებით... სამშენებლო ბუმი... დედაქალაქის მჩქეფარე ღამის ცხოვრება... და სხვა და სხვა... ქ-ნი ტიმსალ მაკო სიამა-

* „შეონგა“ – სანოლი ციხის უარგონზე

ყის გრძნობით აღნიშნავს, რომ ეს მისი ადმინისტრაციის ცველაზე წარმატებული საგარეო პროექტია...

მართალია, არსებობს მცირედი რამ შეშფოთება ახალფეხადგმული ქვეყნის სასამართლო სისტემის გამო – რომ იგი დახვენას საჭიროებს... მაგრამ, განა შესაძლებელია სახელმწიფო აღმშენებლობა უპრობლემოდ წარიმართოს? გარდა ამისა, ამ პატარა ქვეყნის წინაშე არსებობს უსერიოზულესი გამოწვევები და საფრთხეები... საამისოდ კი ჯერ ძლიერი ადმინისტრაციული ბერკეტებია შესაქმნელი და სასამართლო სისტემასაც მერე მოევლება, რისი პოზიტიური ნიშნებიც უკვე სახეზეა და ა.შ. და ა.შ.

ქ-ნი ტიმსალ მაკო წახშირნყლების დაბალი შეცველობის დიტეტაზე (low carb diet), ქოლესტერინიც დიაბალანსა, როგორც ეგზისტენცია დაბალალნა თვის დროზე... ბოსტონის მდიდრულ და თვალწარმტაც გარეუბანში იზრდებოდა, მამამისი ტექსტილის ფაბრიკებს ფლობდა; მამას ტიმი ერქვა, დედას – სალი, აქედან მისი სახელი – ტიმსალ...

სკოლაში კარგად სწავლობდა, მაგრამ თავქარის გოგოდ გაიზარდა, კოლეჯში სწავლის გაგრძელების წაცვალად სახლიდან გაიქცა – „ყვავილის ხალხს“ შეუერთდა: მერწყული ეპოქის გარიურავი, ვუდატოკი, მარიბუანა, პირველი სექსი ბიჭთან სახელად ბობი მაკგი, მერე სხვებთანაც... თავისუფალი სიყვარული და საპროტესტო აციციები... ვერ იტანდა პრეზიდენტ ნიქსონს და რესპუბლიკელებს საერთოდ (თუმცა ამჟამად მხურვალე და ცვეგონებიანი ნეოკონსერვატორი გახლავთ)... ერთი წლის მერე დაბრუნდა – ეყო, რაც იგიუა, და პარვარდის უნივერსიტეტში შევიდა – იურისპრუდენციის სკოლაში. იქ თავისი მომავალი ქმარიც გაიცნო – ასევე მომავალი იურისტი და პოლიტიკოსი, რომელიც მანამდე იელში სწავლობდა, „ქალა-ძელების სამშო“ წევრობაც კი ერგებოდა... ორი ქალიშვილი ეყოლათ, ასევე ორიოდ დიდი ბიზნესი წამოიწყეს და ფეხზეც დააყენეს, თუმცა პოლიტიკურ კარიერას თავისი მიჰერნდა – ჯერ პრეზიდენტ კარტერის წინასაარჩევნი გუნდი, შემდეგ უბრინი პროკურორობა, შემდეგ შტატისა, შემდეგ კონგრესი და ისევ კონგრესი, ხოლო მეუღლე – სენატში...

ქ-ნი ტიმსალ მაკო დიდებული ლიმილით გამოირჩევა, თუმცა ამ ლიმილს ამ ბოლო დროს პოსტმენსტრუალური სინდრომის თავისებურად დაბატული გრიმასა ეზავება ხოლმე, რაც ბუნებრივია მისი ასაკისათვის... პორ, მისი მსუნავი ქმარი კი კვლავ დაძრნის ქორფა ხორცების მაძიებელად – ვინძლო ტესტიკულებში ჯერ კიდევ გენერირებადი სპერმა სადმე ჩაანთხოს და განაყოფიერების ცხოველური ჟინიც დაიოკის... არა, ქმარს ლალატში ვერ დასდებს ბრალს, რადგან საამისო ფაქტები არ გააჩნია, მაგრამ ქ-ნი ტიმსალ მაკოს იურიდიული წარმოსახვა „პრეცედენტებში“ იქექება: ხომ არსებობს პრეცედენტები, ვთქვათ – ოვალური კაბინეტის ორალური სექსის სახით?! ვინ იცის, იმ ბოზანდარა გოგოსანირი რამდენი ინტერნი დაიარება, კურტეულოს ქვევით, კაპიტოლიუმის ბორცვზე... ი, რა გარყვნილი ვინმეა, როგორ ავიტანე მისი ცოლობა ამდენი წლინადი?!.. რა სისულელეებს ცორშავ, ღმერთო... ცილი დავინამე უდანაშაულო კაცს,

ჩემი შვილების მამას... არა ცილი სწამო... არ იმრუშო... მე რომ ვიმრუშო, რა იქნება?.. it was many and many a year ago, in the kingdom by the sea, a handsome boy lived there, whom you may know, by the name of Bobby McGee... ვის რაღაში ვჭირდები?.. არც კარიერის მაძებარი ბიჭები დაძრნიან ჩემს გარშემო... მდივანი შემოვიდა... საქართველოს პრეზიდენტია, სატელეფონო საუბარს ითხოვს თქვენთან, ქალბატონო... საქართველოს პრეზიდენტი: ჩამორჩენილი, რეტარდირებული ეთნო-ნაციონალური მენტალიბის მქონე ხალხის პრეზიდენტი, რომელიც თავისი ხალხის გადაეცებას ლამობს... ახალგაზრდა კაცია, ჰიპერაქტიური... დავულაპარაკები...

J.S.Bach, *Matthauspassion*, ბიჭების გუნდის პარტია, შესავლის დიდი ქორმა

„კრიზისული ჩარევისა და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების პროცესში გამოიკვეთა, რომ არასრულნლოვან მსჯავრდებულთა მიმართ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა სისტემატური წამებისა და არაადამიანური მოყვრობის ფაქტებს. არასრულნლოვანთა თქმით, დაწესებულების რამდენიმე თანამშრომელი დირექტორის კაბინეტში, რეუმის უფროსის ოთახსა და სარდაფში განლაგებულ სახელოსნოებში სცემდნენ პატიმრებს ჯგუფურად ან ინდივიდუალურად, ხელებით, ფეხებით, ხელკეტებით, ვერტილატორით (რამდენიმე შემთხვევა), იყო ფაქტები, როდესაც მსჯავრდებულ არასრულნლოვანს ანამებდნენ ე. წ. „კენწვლისა“ და „კალათბურთის“ მეთოდით. აღნიშნულ დარღვევებს ადგილი ჰქონდა დაწესებულებაში არასრულნლოვნის გადაყვანისას; თითქმის ყოველდღიურად – პატიმართა მნიშვნელოვანი ჯგუფის მიმართ; ნებისმიერი მიზეზით – შეპასუხება, გაკვეთილზე გაცინება ან ხმაური, ფურცლის დავარდნა და ა. შ.

როგორც არასრულნლოვნები ამბობენ, მათ ხშირად სჯიდნენ შეთხეული და აბსურდული მიზეზების გამო. ასევე სისტემატური ხასიათი ჰქინდა პირად პაემანზე მოსული მშობლების დამცირებას არასრულნლოვნის თვალწინი“

არასამთავრობო ორგანიზაციის მოხსენებიდან

„გლდანის მე-8 დაწესებულებაში მოქმედებს წესები, რომლებსაც პატიმრები ხმის ამოუღებლად უნდა დაემორჩილონ, წინააღმდეგ შემთხვევაში დაისჯებიან:

1) დღის ნებისმიერ დროს, როდესაც დაწესებულების წებისმიერი თანამშრომელი შეიხედავს კარის სათვალთვალოში, პატიმრებმა უნდა შეწყვიტონ ყოველგვარი საქმიანობა, ადგნენ ფეხზე სახით კარისკენ.

2) თუ საკისის კარი გაიღო, პატიმრები უნდა ადგნენ ფეხზე, დადგნენ მწერივში სახით კედლისკენ.

3) შემოწმების წინ პატიმრებმა ზედმიწევნით უნდა დაალაგონ საკანი ისე, რომ არანაირი ნივთი ან ტანსაცმელი არ იდოს არც ტუმბოზე, არც სანოლზე!.. შემოწმებისას კარის გალებისთანავე პატიმრები უნდა დადგნენ მწერივში, ამჯერად – სახით კარისკენ და პირველმა პატიმარმა ხელში უნდა დაიჭიროს ნაგვის პარკი.

4) პატიმრებმა რადიოს უნდა მოუსმინონ მაქსიმალურად დაბალ ხმაზე, ერიდონ მაღალ ხმაზე ლაპარაკს ან სიცილს, ვინაიდნ ნებისმიერი ხმა, რომელიც კი საკიდან გავა, აღიქმება ხმაურად და გამოიწვევს დასჯა! ე.წ. კარცერის უურნალში 500-ზე მეტი შემთხვევაა დაფიქსირებული, სადაც მითითებულია, რომ პატიმრის დასჯა განაპირობა ხმაურმა საკანში...

5) პატიმრებს წეადართული აქვთ ტანსაცმლის გარცხვა საკანში, თუმცა – არ გაშრობა. ამის გამო გლდანის მე-8 საპყრობილები პატიმრები ტანსაცმელს დამით აშრობენ, ხოლო დღის განმავლობაში ნახევრად სველ ტანსაცმელს მაღავებ კლოზეტში.

6) პატიმარს ეკრძალება კარზე დაკაუნება!.. მორიგის გამოსაძახებელი ზარი საკანებში, როგორც წესი, არ მუშაობს და არც არასოდეს უმუშავია. ამის გამო, უკიდურესი გაჭირვების შემთხვევაში ან ჯანმრთელობის გაუარესების გამო, პატიმრები იძულებულნი არიან კართან ჩაუსაფრდნენ კონტროლიორებს და ჩავლისას ხმადაბლა უხმონ: „ბატონო კონტროლიორო!“

7) თუ კონტროლიორმა გააღო საკისის კარი და უხმორიელიმე პატიმარს, ის ასახელებს გვარს, ხოლო კართან მისული პატიმარი პასუხობს თავისი სახელისა და მამის სახელის დასახელებით. როგორც ქუთაისის, ისე გლდანის დაწესებულებაში მოქმედებს არაფირმალური „მორიგეობის“ სისტემა, ანუ – ერთი პატიმარი პასუხისმგებელია სხვის მიერ ჩადენილ ნებისმიერ გადაცდომაზე. და პირიქით: როგორც ქუთაისის, ისე გლდანის მე-8 დაწესებულებაში გამოიყენებოდა დასჯის კოლექტიური მეთოდები, – ერთი პატიმრის გადაცდომისთვის ისჯებოდა მთელი საკანი; პატიმარი თავისი ქმედების პასუხისმგებელი ხდება თანასაკენელების მიმართ! პატიმრების დიდი ნაწილი თავისი სურვილით აცხადებს უარს სეირნობაზე და რჩება საკანში, რადგან პატიმრებს აიძულებენ, სირბილით გადაადგილდნენ სასეირნო ეზომდე და ამ სირბილის დროს ნებისმიერი შეფერხება შეიძლება გახდეს ციხის თანამშრომელების მხრიდან უხეშობის, ფიზიკური ხელყოფის ან დამაცირებელი მოყვრობის მიზეზი... იმის გამო, რომ ნევროლოგიური პრობლემების მქონე ავადმყოფს სირბილი უჭირს და ცემას ურჩევნია, საკანში დარჩეს, ისჯება მთელი საკანი, და რადგნ ერთი კაცის დატოვება საკანში არ შეძლება, მთელი საკანი მოკლებულია გასეირნების შესაძლებლობას!..

8) 22 საათზე სინათლის ჩაქრობის შემდეგ აკრძალულია ფეხზე დარჩენა და პატიმრებთან გადალაპარა-

კება; აკრძალულია წიგნის კითხვა ან რაიმე სხვა მოქმედება.

9) მე-8 დაწესებულების პატიმრებს დღის განმავლობაში ეკრძალებათ საწოლის ქვედა სართულზე წამოწოლა და უფლება არ აქვთ, საკანში სიგარეტს მოსწორონ; ამის გამო პატიმრები სიგარეტს რიგრიგობით ენევიან საპირფარეშიში. როგორც ცუდადაც გინდა იყოს პატიმარი, აუცილებელია, რომ ექიმთან წასვლის შემთხვევაში მან ხელები ზურგზე შემოიდოს და სირბილით გადაადგილდეს; დაწესებულებაში მათ აიძულებენ, ძალიან მოკლეზე შეიჭრან თბა, ან სამართებლით გადაიპარსონ თავი, რადგან საპყრობილები არ არის საპარიკმახერო.

10) დღის განმავლობაში პატიმრებს ეკრძალებათ ძილი და ორსართულიანი საწოლის მეორე სართულზე წამოწოლაც კი.

11) მიუხედავად სიცხისა, პატიმრებს უფლება არ აქვთ, საკანში ყოფნისას გაიხადონ მაისური.

12) პატიმრებს ეკრძალებათ წარდის ან კამათლის თამაში, რადგან, ადმინისტრაციის აზრით, ეს იწვევს ზედმეტ სხაურს, რაც დასჯის მიზეზი გახდება; შთამბეჭდავისას ფაქტი, რომ გლდანის მე-8 საპყრობილე, რომელიც 3654 კაცს იტევს, საოცარი სიჩუმით გამოირჩევა; ამ სიჩუმემ წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის ყურადღებაც კი მიიპყრო...

ერთი რენეგატი „დეპენჯას“ წაამბობიდან

- ჰელოუ, ტიმსალ...
- ჰა...
- მოხარული ვარ
- ბედნიერი ვარ
- იმედია დღეს კარგ გუნებაზე ბრძანდებით
- უარესიც შეიძლება ყოფილიყო
- უკეთესიც შეიძლება ყოფილიყო
- ყველაფერი შეიძლება ყოფილიყო
- არაფერი შეიძლება არ ყოფილიყო...
- უოშინგტონი ამ დროს ზღაპრულია
- ზღაპარი ამ დროს უოშინგტონურია...
- პრეზიდენტი ელის თქვენგან მორიგ წინსვლას განვირიანების საგზაო რუკაზე და დემოკრატიულ წარმატებებს
- რუსეთი ელის ჩვენს უკუსვლას ამ გზაზე და ამ უკუსვლის რუკებს ადგენს... თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც გვაქეს უზარმაზარი წინსვლა: ახლაბაზ ახალი ციხე გავხსენით - ხუთვარსკვლავიანი სასტუმროა მთელი კომფორტით, პატიმრები თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში, თუმცა სახლში ასეთი პირობები არც კი დაესიზმრებათ

- მაშასადამე, სახლებშიც ისეთივე კომფორტი უნდა მოუწყოთ, როგორც ციხეებში, ჰა... ჰა... მიხარია, რომ წინ უსწრებთ მთელს რეგიონს, ვამაყობ თქვენით!

- ჩვენც ვამაყობთ თქვენით!

- ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ერთმანეთით ვამაყობთ...

- სიამაყე ამაყობს ჩვენით... მიხარია, რომ გიხარიათ... ჩვენ ყველას გვახარებს ეს... დიას ჩვენს იუსტიციის სახლებში ისეთივე კომფორტის, როგორც „დრავ-ის“ მაკლინალდაში: შესრიალდები მანქანით, ყავას დალევ და ბიზნესასაც გაიფორმებ

- საჯარო რეესტრში თავს ისევე უნდა გრძნობდეს კაცი, როგორც სწრაფი კვების ობიექტი და პირიქით და პირიქით... ასეთი რამ ბრიტანეთშიც უნდა დაინერგოს, რადგან იმათ სამზარეულო არ უვარგათ, თუმცა - იუსტიციის საქმე კარგად აქვთ...

- ჩემი გუნდი რომ არ ყოფილიყო ხელისუფლებაში, ჩემს ქვეყანას რუსეთი და ადგილობრივი რეტროგრადი მავნებელი მლევდები დაეპატრონებოდნენ... მუმიები და ზომბები; ლამაზ ქალებს მონასტრებში გამოკეტავდნენ, კაცები კი რუსეთში გადაიხვეწებოდნენ ფულის საშოვნელად...

- ჩვენ ვამაყობთ თქვენით!

- ჩვენ კი ვამაყობთ თქვენთან პარტნიორობით!

- ჩვენ ვპარტნიორობთ თქვენთან!

- თქვენ პარტნიორობა საამაყა!

- ჩვენი საამაყო პარტნიორობაა!

- ჩვენი საამაყო პარტნიორობაა!

- ყველგან და ყველაფერში...

- დიას, ეკონომიკური ზრდა თავპრუდამხვევია, აი რა აგიუსტის რუსეთს

- სიგიუსისგან თავპრუსხვევა აქვს ჰა ჰა ჰა

- თუმცა სიფრთხილე გმართებთ რუსეთი ჩვენი პარტნიორია ბირთვული განიარაღებულის საკითხებში

- რუსეთი განიარაღებულია ჩვენი წარმატებებით; ჩვენ რუსეთის განიარაღების ავანგარდში ვართ ჰა ჰა ჰა რეველი მეფები იდიოგანვე იპროდნენ ავლანეთში; ამერიკელების მხარდამხარ დგომა იმ დროს მაგონებს...

- ომი მშვიდობა / მშვიდობა ომია / და ეს ყოველივე უდრის სიყვარულს / როგორც ორჯერ ორი უდრის ხუთს ჰა ჰა ჰა ჰა ჰა...

- სწორედ ხუთ მილიარდზე ვლაპარაკობ, ან სულაც - ორზე, ორი მილიარდი გაგვიაღვილებდა რუსეთის განიარაღებას ჩვენი წარმატებებით... ჩვენი იარაღი თქვენი წარმატებებსა

- ჩვენი წარმატება თქვენი იარაღია... დაგეხმარებით; ოლონდ გახსოვდეთ - ეს გადასახადის გადამხდელთა ფულია

- ჩვენც ვიხდით გადასახადებს, ჩვენც მოკვდავები ვართ;

- გადასახადი და სიკვდილი - რამეთუ სიკვდილივით მტკიცება გადასახადი ჰა ჰა ჰა ჰა...

- ჩემი ხალხი ბრიტანები და გაუნათლებელი: დემოკრატიის ანბანიც კი არ იციან - ეი-ბი-სი-დი-ელ-ჯი-ბი-ტი... მე კი მოდერნიზატორი ვარ და მოდერატორი...

- თქვენ ჩვენთან მიიღეთ განათლება, თქვენ ტერმინა-ტორი ხართ - კორსუფეციის ტერმინატორი....

- დის, ქართველები არც ურთი სანდო არ არიან, გან-
საკუთრებით გრაფი მონტე-კრისტო, პარდონ - მონტე-
ხომილი!

- დაფინანსების წყაროები გადაუკეტეთ, ჩვენ თვალს დაცხუჭავთ...

- გასაგებია - დაფინანსების წყაროებს დავუხუჭავ, როგორც თვალებს უხუჭავენ მიცვალებულს... მონტე-ბომლი რუსეთმა შემოგვიგდო, რომ მონტე-ბომლიმ შემოგვიგდოს რუსეთი... მონტე-ბომლი შემაძლოთ გელლა!

- ჩვენ შემთხვებულები ვართ!

- შექმნოთება ეს ჩვენ ვართ...

- ყოფნა-არყოფნის პრობლემაა, ზოგიერთს კი პირი-ქით ეჩვენება: პრობლემის ყოფნა-არყოფნა... არის თუ არ არის? პრობლემაც ესაა... რა არის? რატომ არის ის რაა არის? რა ნიშნავს „არის“?

- მე კაცი, თქვენ ქალი / თქვენ ქალი, მე კაცი...
თქვენ კაცი, მე ქალი... გენდერული ბალანსი / სტრატე-
გიული ალიანსი / პარტნიორი პარტია / ქარტია... ჩამო-
ვალ / ჩამოხვალთ / შესაძლებელი იქნება შეხვედრა გამი-
კეთოთ პრეზიდენტ ოტელოსთან / დიახ, პრეზიდენტ
ოტელოსთან/ საპრეზიდენტო ოტელში, დიახ... ბაი, ტიმ-
საკ...

= 82220

* * *

აბდულა შაპილს ციხეში „საშუალებას“ ეძახიან. იმიტომ კი არა, რომ ელამია, არამედ იმიტომ, რომ მარცხენა ფეხზე ექვსი თითო აქვს, მარჯვენაზე კიდევ, ნორმალურად – ხუთი. აბდულა ირანელია, რამდენიმე წლის წინ ჩამოვიდა საქართველოში – სავაჭროდ, მერე აქაური ქალი შეუყვარდა და ცოლად შეირთო, თუმცა საამისოდ მაჰმადის რჯული უარპო და მართმადიდებლურად მოინათლა; ასე იჯის სიყვარულმა და მისმა ძალამ!

ბრაჟინიერობაზე ზის – შუამთის ტყეში დაიჭირეს: „შველი მოკლაო“ და შესაბამისი სროკიც მიარცხეს. მერე „შტირი ჩაუდეს“ – სროკი გაუზარდეს, ოფიცერმა ლევანამ ასე უთხრა: „შენა ფეხზე ზედმეტი თითო გაქვს და სროკიც მეტი გაუზარდინის!“ აი ესეი...

გურჯა ქალის სილამაზემ დაღუპა აბდულა. გურჯებს ძალიან ლამაზი ქალები ჰყავთ; ირანშიც არიან ლამაზი ქალები, მარა ესენიც შაპ-აბასის დროს წამოყვანილი გურჯი ტყვეების ჩამომავლები არიან... აბდულას ცოლიც ერთობ ლამაზი ქალია – მზია, მისი ეშნით ქართული ენაც არგად აითვისა გარისტიანბულმა ირანილმა.

აბდულასთვის „შტორის ჩადების“ ამბავი კი ასე იყო: მზია ქმართან პაემანზე იყო მოსული ციხეში, ოფიცერმა ლევანამ რომ დაინახა, აბდულას უთხრა: „ვაჲ, ეს რა მაგარი ნაშა გყოლია, შაშუბეშ, არ მომატყენებინ?“ შენ მაინც დიდი არაფრის თავი არ უნდა გქონდეს მაგ ამბავში, მე კიდევ ღრმად გავუდებ, სუ ვაკილებ და ვაწივლებ

გათავებისას; ქალიც კმაყოფილი დარჩება და...“ აბდუ-
ლამ სიტყვის დამთავრება არ აცალა ოფიცერ ლევანას
– ყელში სწვდა და დახრჩობა დაუწყო... ამაზე ბაღრაგე-
ბი და კანტრალიონრბი წამოვიდნენ, აბდულა დაით-
რიეს და წილები ჩასცებს – სუ ყველებში და ჭაჭებში
უბრაგუნებდნენ... მზია მართლა აკილდა – „ქმარს ნუ
მომიკლავთ!“ – და შველას ითხოვდა; მაშველებიც მალე
მოვიდნენ, ქალი გააკავეს და გარეთ გაიყვანეს – წადი
სახლში, ქალო, საქმეს მიხედვები... ხოლო ცემაში დასიებუ-
ლი აბდულა, ეგეთივე დასიებული ყველებით, კარცერში
ჩააგდეს „ტრამვაბის“ მოსაზურებლად.

ინვა კარცერში აბდულა და ფიქრობდა: „რა დაგიშავე, ღმერთო, რომ ცხადი საზარელ სიზმრად გადამიქციე? ნუთუ, ღმერთო, ამისთანა მსხვერპლად რომ მაქციე, ეს შენთვის მართლა საჭირო იყო? ან რა საჭირო იყო ცოლ-ქმრობის ასეთი შეურაცხყოფა, ქმრის დამცირება ცოლის თანდასწრებით და ცოლისა კიდევ - ქმრის თანდასწრებით? მაჰმადინანები ამგვარს არას სჩადიან! თვით ყაჩალებიც კი ერიდებიან ამგვარ საქმეს... ვინ იცის, ჩემსავით რამდენს დაასხეს თავს ლაფი და მერე კიდევ ცემაში ამოხადეს სული... ამ ხალხს გულში სიყვარულის ნატა- მალი არა ჰქონია...“

ზოგჯერ ტყბილი მოგონებები გაიტაცებდნენ მხარ-
თების წევაზე ნამონოლილ აბდულას, გაბრუებული ოცნე-
ბობდა, მზიასთან ალერსის სურათები ნარმოუდგებოდა
თვალნინ და ქვითინს იკავებდა...

Յօ, Տոյպարովո Վոեցի!

ոյս աշետո կապու, օնցլուսելով, սաեղան ոյրեմուա ծեղ-
տամի, րոմը լումաց շրտցարու լուս գամոցցնա դա շնորհա
մաս է անօպէցոյշմո. յև զերացու նացեծոնա - յև պանոպէցո-
յշմո - տաշալուցալու ուսետ Տօնտէման շալուսեմոնձ, րոմ
մետցալուցալու ալարա Տփորգութա - կլունինոյո՞ ցոնճա
ու քըբենքա; Կլուսալցի Շնոնցանա գրճենօնեն, րոմ
շուտալուցալուցեն դա, ամուգոմաց, ուս ոյցւցան, րո-
ցորու թշնդմոց մետցալուցորոցն էջոց մըսոցն. Ցոխե-
պանօպէցոյշմո մրցալու գործուսա, Տայնենի Երուսալեմա
գանձացալու, եռոլու ցենքրժու, Ռոցորու կլուսալցեծն
Ֆցոնուտ, զուլաց ზու դա շուտալուցալուն... ոյրեմուա ծեղ-
տամին տացու Քանացոյիրս եռորու զեր Շյասես, մածլործ
լմէրտու; մարտալու, մոցցուանենիտ մաց զերացու յացուն
տարցնչ Տայելմնոնցորցի մոռոյիրս, Ռոցորու ց ցարենմշնենծ
մոմել յուզոյ, տումու - զուգուամերու գամոցցնենձամց
րուս պանօպէցոյշմո, րա պանօպէցոյշմո ոյնենձոնդա? մացրամ,
մտացարու յը ար արուս, մտացարու ուսա, րոմ յացս Շյանց-
եամի Քայութու, րոմ զուլաց շուտալուցալուն դա մերը ցոնճա
շուտալուցալուն դա ցոնճա՞ - արա.

როცა სულ მუდგამ გადარჩენაზე ფიქრობ, სიყვარული კარცერში უნდა გამოკეტო, ეგრე არ არი?.. ჰოდა, ეს პანოპტიკუმიც იმიტომ მოვიტანე აქ, რომ მეთქვა,

* ჩემი მნერლური ნამოსახვა ვერ გასწვდა, რეალობას, რამეთუ რეალობასი უფრო „შოთაბეჭდვითი“ რამ მოხდა - ციხეში მუსლიმებთან „სვიდანიზე“ მისული ცოლი დეპუნქტმა დაითრიეს, გაფიმეს, ეს ყველაფერი ვიდეოზე გადაიღეს და მერე ტუსალქმარს აჩვენეს... (აუტორის შეინშ.)

**** კლუბისიკი - ზედამხედველი ციხის უარგონზე.**

რომ ციხეში სიყვარულის ამბავი სხვანაირადაა, რომ იქ „აბრატნი“ პანოპტიკუმია: მთელი ამ წარმოსახვითი წრიული ნაგებობის სიღრმეში კარცერია, სადაც ზის ერთი კანონიერი ქურდი, პა კლიჩევ „ლიბიდო“, ხოლო დანარჩენი ტუსალები, წრიულად საკნებში განლაგებულები, ამას უთვალთვალებენ, როგორც ერთი რამ კვიმატი კლუჩინიკები და დეპენები, ოღონდ ისე, რომ არც კი იცის, რომ უთვალთვალებენ, ხოლო იმ ერთმა, ცენტრალურ კარცერში გამოკეტილმა ქურდმა კი იცის, და სწორედ აი ეს კანონიერი ქურდია სიყვარული... აკი თქვა უფალმა, რომელიც თავად სიყვარულია, თავისი მეორედ მოსელის გამო აკი თქვა: „მოვალ ვითარცა მპარავ!“... ჰოლდა, სიყვარულმა, როგორც ქურდმა და მაყურებელმა, ყველაფერი იცის: ისეთი რამებიც იცის, რასაც რომ ხალხში ვერ იტყვი... მან იცის გარემოებით იძულებული მამათმავლობა, ექსპერტები „სიტუაციურ ჰომოსექსუალიზმს“ რომ არქემენებ: როცა ქალთან ყოფნას მონატრებულს, ვინმე ბიჭის ტანის ფორმებში რაღაცა ისეთი მოგელანდება, რომ მის მიმართ თავისებური სინაზე დაგივლის, საზარდულში ჩაღვრილი შიგადის წვენებთან ერთად და მერე – აბანოში ხარ, თუ სხვა რამ მოყუჩებულ ალაგას – ხელს მიადებ, რომ მიუალერსო, თუმცა ამს ვერასოდეს წარმოიდგენდი; ჯერ „გეპაზორება“, „მაგრამ ნელ-ნელა, დროთა განმავლობაში, გემოს გაუგებ ამ საქმეს: მაშინაც კი, როცა „ქათმების“ ბრიგადირი“ ხარ და ვილაცის გასაფუტებლად, სხვების თვალინ გაუპატიურებ – ხელფეხ გაკავებულს... მაშინაც კი, თმებით რომ დაითრევ და მოაწუნნინდებ... მაშინაც კი, როცა „ქათამი“ ხარ და შენ გხმარობენ წარმატებულ, ყველანი – ვისაც მოუნდება... ეჩვევი, ასეთია კაცის ბუნება – ყველაფერს ეჩვევა, ხოლო ამას – სიყვარულს, ვერაფერი დაუდგება წინ, როგორც ქურდს, რომელიც ნარებზე ზის და პრავებს გიკაჩავებს! ახლა მოზარდები ნახე, რა დღეში არიან: ეგნი ხომ სრულიად უმანეუები არიან ერთმანეთის გაუტანლობაში – ლაზლანდარობენ და აჩმორებენ ერთს, რომელიმეს, ლამით რომ გამოიჭრენ და სათითაოდ ხმარობენ; შეიძლება წინა კბილებიც ჩაუმტვრიონ, რომ წუნენისას კუტუ არ ეტკანოთ... ჰო, ეგ იცის ცხის ქურდმა და მაყურებელმა სიყვარულმა... და კიდევ მასტურბაციაც იცის, ტუალეტის ქაღალდის რულონს ან საკუთრი მარჯვენა ხელის მტევანს ცოლად რომ შეირთავ: „ჩემი მარჯვენა, ჩემი ცოლუეა... იუზგარ, მე ნძრევაში იმდენი დრო გავატარე, ვიდრე ვაბშემც შენი სროკია მთლიანათ...“

ქალი სულ სხვაა – ქალი უქმროდ რამ არინა? გინდაც ისეთი, რომელმაც საკუთარი თოთო ბავშვი ცელი-ფანის პარკით გაგუდა და მერე, გადარეული ლიღინით, წავიდა და ნაგვის კონტეინერში ჩაფლა... ო, ამასაც სწადა, რომ მის გვერდით მამაკაცი ინვეს, ჰო, უნდა და იმდენად ხუთაცს ეს წადილი, რომ ლამ-ლამობით უბინო ჩასახების სურათებს ხედავს ხოლმე – „გიხარდენ, მიმადლებული!“ და მერე ისეთი ორგაზმი მოვარდება, რომ ცოცხლად დამარხავს, როგორც მაშინ – ციხის ექიმი რომ სინჯავდა, ფსიქიატრი... არადა, ლამზი ქალია, ეშინ-„ქათმები“ – ჰომოსექსუალები ციხის ფარგონზე.

ანი, და შვილი რომ მოკლა, ეს ციხეზე არავინ იცის – გამომძიებელს მისცა და იმანაც სხვა საქმით „გადაუფარა“... შვილის ამბავი რომ გაეგოთ – არავინ გაიკარბდა, კეთოროვანივით იქნებოდა... ჰოლდა, ერთხელაც მის გულშიც იფეთქებს გაზაფხული, სახელად „ლესბია“: აიღებს და ღამით, „შკონაში,“ საბის ქვეშ შეუსრიალდება იმას, აი – იმას, ფეხებს რომ არ იპარსავს, პოლუბოქსად შეკრეჭილი თმა რომ აქვს და ილლიებში ოვლის მაგარი სუნი, ბრექით რომ დადის და გინგ-გინებით რომ ლაპარაკობს, თან კარგად იცის – რა უნდა ქალებს; მერე რა, რომ წვერი არ ამოსდის...

დასტაუესკაის სიტყვებია: გიყვარდეს ვინმე ეს ნიშნავს, რომ ადამიანი გიყვარდეს ისე, როგორადაც იგი ჩაიფიქრა ღმერთმა! აი მამაკაცში ქალს რომ შეიყვარებ, ან ქალში მამაკაცს – ეს იმის დასტურია, რომ ღმერთმა არც ციხეზე მიგატოვა, რადგან ღმერთი სიყვარულია, რომლის ძალითაც სიცოცხლეში ამოკითხავ სიკვდილს, ხოლო სიკვდილში – სიცოცხლეს... ან, ეგებ სულ სხვა რამეა?.. არ ვიცი, რაც არ ვიცი – არ ვიცი...

*** ზასალმუნი პატრიოტისა, რომლითა აძო რეზორბაზორი

„დიახ! ვამაყობ, რეფორმატორო, შენით, რამეთუ შენა ხარ კრიმინალისა კრიმინალითა დამტრგუნველი და კორუფციისა კორუფციითა ალმომფხვრელი;

შენ დაგვიბრუნე სახლებში სინათლე და დაგვანახე საგარეო საფრთხეები, როცა ქვეყანასა ჩვენსა შიგან ეს საფრთხეები შემოყვანებ;

შენ დაგვიდექ მცველად ზუართა ჩვენთა და დაიცავი მაღარნი ჩვენნი და მტილნი, ხოლო ჩვენ ვერ დავიცავითი იგინი;

შენ გაგვიხვენ გზანი ახალნი და ალაგანი ახალნი გზათა შემკვრელი და მიაყენე კაცთა ტკივილი, რათა უწყოდნენ, რომ რეფორმა მტკივნეულია და მტკიცე, ვითარცა სიყვარული;

შენ ალასრულე მართლმსაჯულება მსაჯულთა ზედა, წაართვი საჭურჭლე მპარავთა და ალავსე ბელელნი მეუფისან;

შენ იყავ ჭაობთა ქალაქთმყოფელი და შთასხი ბეტონი ტაძარსა უფლისასა და ალადგინე იგი საკარველად!

და იყავ ვითარცა ხე, დანერგული თანანარსადინელსა წყალთასა ჩამრეცხავთასა, რომელმან გამოსცის ნაყოფი მისი ქამსა თვსა და ფურცელინი მისნი არა დასცკვენ, და ყოველივე, რაცა ყოს, წარემართოს მას, ხოლო ჩასარეცხნი იგინი ჩაირეცხნე...

პატრიოტული ელიტა ალაზევე შენ, ხოლო მზაკვართა და ქვეყნის ავასმოსურნეთა აახივ სახენი და განუპე შებლნი და შეახეთქნე მათი შვილნი კედელთა: მიმიფურთხებისა საზოგადოების მაგ ნანილისათვის!

მინდა, მაგინონ უკანასკნელი სიტყვებით, მინდა, ვერ მიტანდნენ და გული ერეოდეთ ყოველთვის ჩემ გამოჩენაზე! მე მათთან არა თუ სიყვარული და პატივისცემა,


ოდნავი შეხების წერტილიც კი არ მინდა მქონდეს! ადა-მიანებთან, რომლებზედაც ძალიან ეფექტურად მუშაობს რუსული სპეცსამსახურების ფსიქოლოგიური მანქანა, რომელ ადამიანებსაც შეუძლიათ ამ ქვეყანაში ნაძირლე-ბისგან გმირები შექმნან და პირიქით...“

ქსნის №15 კოლონის პატიმრის ცერილიდან, უფლებადამცველს რომ მისვარა

„...გლდანის ციხიდან გადმოგვიყვანეს 171 პატიმარი გზში ყველა ყვირერიბდი გვეშველა გლდანის ჯოჯო-ხეთს თავი დავახნიეთ-მეთქი მაგრამ შევცდი და თანც ისეთი მნარედ რომ ახლაც არ მინდა იმ სურათის აღდ-გენა. ჩამოგვყარეს მანქანებიდან გინებით, ზოგს აფურ-თხებდნენ, როგორ იყურებიო, ცემის მოტივი იყო ის, რომ ქსანში ხართ აქ ჩვენ ვართ ყველაფერი ყველა დაგვაყენეს გაგაეხადეს ტანსაცმელები და დაგვინყეს ნამება და ცემა ზოგი უმონწყალოდ გაილახა ზოგს შედარებით ცოტა მოხვ-და, არ გცემდნენ მაშინ თუ კი ვინმეს დარეეკილი ქონდა უფროსობასთან ან საქმის კურსში იყო არასამთავრობო ორგანიზაცია ან სახალხო დაცვის აპარატი...“

...ასე ცემა-ცემით ყველა შემოგვყარეს ახალ ზონა-ში და შეგვყარეს აბანოში ორ კამერაში სადაც წყლის ტბორი იდგა არც დასაჯდომი და შპონგზე ხომ ზედ-მეტია საუბარი, რამდენი კარი გაიღებოდა გინებას უკვე შეჩერებულები ვიყავით დახახლოებით 10 დღე გვეძინა ზოგს ჩამჯდარი და ზოგს სველ ბეტონზე და მოვიდა განანილების დროც სათითაულოდ გავყავდით ყველა, ქონდათ კალიფორნი გაკეთებული თანამშრომლებს და თავში ანუ რომელ საკანიც ხელნერილის დასაწერად შევყავდით ყველა იქ იდგნენ ბაჩო რ., დიმა ჩ., გორგი ფ., ლევან ლ., და ძალიან გაგიკვირდებათ და პატიმარი ჰომოსექსუალების ბრიგადირი ზაალ ხვისტანი¹ რომელიც როგორც ხსენებული თანამშრომლები ისე აგინებდა პა-ტიმრებს მხოლოდ თავს არიდებდა იმათ ვისაც იცნობდა ნინა სასჯელიდან ბევრს ის ეგონა პოლიციელი... ხელნერი-ლის დაწერა გამიგია ნებით მაგრამ როგორც ამას ესენი აკეთებდნენ ამის ნარმდებენა შეუძლებელია შეგაგდებდ-ნენ შეგნით საკანი სადაც იჯდა გელა შ. ოფიცერი ნინ ედო უამრავი ფურცლები და გეუძნებოდა ან დაწერ იმას, რომ ჩვენი აგენტი იქნები ანდა თუ ცემას გაუძლებ გაპი-დარასტებას ვერ გადაურჩებით თან ქონდათ ვიდეო კამერა პატარა და გეუძნებოდნენ გადაგიღებთ ისე რომ შენივე შეხვალ ჰომოსექსუალებთან ზოგს ეს ისე მუქარა ეგონა და ინციდენტი ცემა როლონდ გეფიცებით ამას ცემა არ ქვია ბოლო ხმადე ბლაკლი და ეს ესმის მთელ ცაიხს თითქმის. ამ დროს რომ იცი შემდეგი შენ ხარ დამერჩმუნეთ მოსისხ-ლე მტერს არ ვუსურვებ მსგავსის გადატანას... თუ ახლა არ ვტიროდე და ისე არ ვწერდე სული არ გამეტანოს გარეთ...“

* ამ ლირსესანიშნავი „პატიმრის“ სახელი და გვარი აქ შეც-ლილია; ეს სუბიექტი, ციხეების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის ხელდასხმით, ფაქტობრივად მართავდა კოლონიას; „ერმენეგილდო ზერიას“ სამოსში გამოწყობილი, ხელში „ვერტუს“ მობილურით, თუმცალა – ფლოსტებში დაირებოდა.



...ქსნის კოლონიაში მიყვანიდნ რამოდენიმე კვირე-ბის შემდეგ ვიკითხე, ჯერ პატიმრებში, განაჩენის გასა-ჩივრებას ვაპირებდი და რამეს ხომ არ მეტყოდა ქსნის ადმინისტრაცია, მითხრეს რომ რამე ამათზე არ ჩაწერო და მგონი პრობლემა არ იქნებაო, დაუძახე სოციალების სამსახურს და უთხარი ყოველივე, იგივე მითხრა რაც პა-ტიმრებმა რომ თანამშრომლებზე არაფერი ჩაწერო აქაუ-რებზე დანარჩენი რაც გინდა ქენიო და დავინყე დანერა ჩემი განაჩენის ჩამოვნერე ყოველივე თუ როგორ მოხდა და ასე შემდეგ...“

...საკნიდან გამოვედი და მივედი სამორიგეო ნანილში სადაც იმყოფებოდა [დირექტორის მოადგილე] ბაჩო რ. და სხვები და უთხარი რომ განაჩენის გასაჩივრება მინდა დაწერილი მაქ და გთხოვ გამიგზავნო-მეთქი. ამ დროს რაც თქვა იყო ნაბიჭვარო ვიცოდი რომ დაწერდოთ, ნათ-რიე კამერაშით და მაგინა მანამ გამომართვა საჩივარი. გარკეული დროის შემდეგ საკანში მომადგა პატიმრები ნ.ს. და კ.მ. და მითხრეს ჩვენთან ნამოდიო, უკვე მივხვდი რაც მომიერდოდა მაგრამ რამეთი თავზე მეშველა იყო გვანი... ამიყვანეს მეორე კორპუსზე იქ სამორიგეოში ოფიცერი გელა ი. იყო რომელიც უკან გამოგვყვა შემი-ყვანეს „ბე“ კორპუსში 8 საკანში... ამ კორპუსის პასუხის-მგებელმა ოფიცერმა კარი გარედან ჩაკეტა, საკანში იყვნენ 4 პატიმრი ნ.ს., კ.მ. [და კიდევ ორნი], მითხრეს – გამომძიებელი შენი ვინც იყო იმის ახლობელმა დაურეკა ბაჩო რ.-სო და რატომ არ ისვენებო რომ წერ საჩივარს ეს ხომ „ბოზურია“ და დამინყეს ცემა უმონწყალოდა თენ მეუბნებოდნენ გასჩივრების ფურცლები მეჭამა. ღმერთის ნინაშე ვფიცავ, მე იქ კიარ გავილახ არამედ უმონწყა-ლოდ მანამეს როდესაც სისხლით მოვსვარე ყველაფერი და ვხედავდი არავინ იყო ჩემი მშველელი დავინყე ყვირი-ლი, ამ დროს პირსახოცით ამიკრეს პირი გამოიტანეს საეს ვეღრო და შიგ მაყოფინებდნენ თავს თან ხელე-ბით ფურცლების ჭამას მთხოვდნენ, ერთი რაც გავიგე ის იყო რომ ოფიცერმა გელა ი.-მ კარმუშკა გააღო და მ.-ს

უთხრა მთელი კორპუსს ესმის ამის ბლავილი ეყოფაო. შემდეგ მითხრეს თუ კი რაიმეს ან ვინმეს ვუჩივლებდი, მომიგონებდნენ რამეს ისეთს რომ შემაგდებდნენ პომოსექსუალების საკანში...

...მცირეწლოვანთა კოლონიდან გადმოყვანილ მინი-შუმ ნახევარს მაინც უყენებდნენ პრეტენზიას, ვინაიდან მათი დამორჩილება უჭირდათ... შეიყვანდნენ საკანში და ეუბნებოდნენ შენთან პრეტენზია აქვს ხალხს, მაგალითად აბანოში ნაიქეცი და სხვა პატიმარს შეეჯახე შიშველმა ან იცოდი ასეთი ფაქტი და დამალე ამიტომ პიდარასტი ხარო და დაუწყებდნენ ცემას, ზოგი ვერ უძლებდა ცემას და თავისით მიყვებოდა ზაალ ხვისტანს პიდარასტების საკანში, ზოგიც იძახდა გავარკვიოთ მსგავსი არაფერი ვიციო და უძლებდა ცემას მაგრამ აღნიშნულ პირს უკვე ზონაში აღარ უშვებდნენ კეტავდნენ „აბანოში“ მარტო. ამ დროს უკვე ხვისტანზე იყო ყველაფერი დამოკიდებული, მას ნებისმიერი ხერხით უნდა მოეხერხებინა მისი გადაყვანა პომოსექსუალების საკანში და ყველა აბანოს კართან გავლაზე უძახდა ახალო ქალბატონო გელოდები მალე გამომყევიო, ამდროს საჭმელი მასთან აპსლუგის პატიმარს კი არ მიქონდა არამედ ხვისტანის მითიოებით თავისნაირ პომოსექსუალს... ბევრი ამას უძლებდა გარკვეული დრო, ზოგს ძალით მიათორვდა ხვისტანი თავის საკანში და ყველას აუპატიურებდა ზოგს ცემით ზოგს დამით...

...შიგნით რომ შეიხედოთ დაახლოებით 50 პატიმარი ბავშვი ბიჭებია და მათი ასაკი 20 წელს არ არის აცდენილი....

...აქ პატიმრებს კი არ გვცემდნენ გვანამებდნენ, იმ დონეზეც მიდიოდა პატიმრები რომ სიმწრისაგან საკუთარ თავს ისახიჩრებდა ვენებს იჭრიდა და ხანდისან ცემა სანატრელი იყო ისე გამნარებული გაგინებდნენ სიკვდილი მოგონდებოდა... უფროსი კი თუ მის კაბინეტში აგიყვანდნენ მაშინ ამოათხევდა თავის ბოლმას, დაგაყენებდნენ ცალ ფეხზე საათობით და თუ დადგმდო დაგესწოდა ყველა და გირტყამდა...

...რაც შეეხება პატიმრის ხარჯზე ცხოვრებას ეს ხდებოდა შემდეგი ფორმით: ქსნის კოლონიაში დაახლოებით 300 საკანია, როდესაც ლარიოცმი კარტას ატან სავაჭროთ აფსოლუტურად ყველა ბარათიდან სადაც კი

თანხაა ზოგიდან 2 ლარს და ზოგიდან 3 ლარს ხსნიან ანუ დავალებას აძლევენ თავის მოაზრე ბრიგადირს... ამის შემდეგ პატიმრების ფულით გამძლრები ისევ ჩვენ გვაგინებდნენ...

...ასევე აქ მოშლილი იყო სამედიცინო ნაწილის ფუნქცია, ხან ექიმები გიყვიროდნენ და ხან ვინც იყო იქ ის თანამშრომლები, მაგალითისათვის დეპენტის თანამემწე არსენა ხალხს ძალით ინვევდა, ეტყოფი კბილი მტკიცაო და პასუხი იყო ასეთი – კედელს ურტყი თუ არადა შენი დედაცო...

...გთხოვთ გემუდარებით მიიყვანეთ ეს ფაქტები ბოლომდე და მე მზად ვარ თქვენთან ერთად როგორც ნანამები პატიმარი ბოლომდე გავყვე სიმართლის დადგენას და იმედს ვიტოვებ იმისას რომ შეძლებთ ჩემი უსაფრთხოების დაცვას...

...უდიდესი იმედი მაქს ყველა თქვენგანის... ასევე გთხოვთ თუ კი შეგიძლიათ დამინიშნოთ ადვოკატი, მე მისი აყვანის საშვალება არ გამარინა.“

ციხის მორგი: მცირე სააღდგომო მისტერია

ვნების კვირა იყო – ხუთშაბთით თუ პარასკევი, ბაჩუკი წერეთელმა სიზმარი ნახა. დეპენტებმა მორგში შეიყვანეს – საღადაოდ: ადამიანის შიგნეულობას დავანახებთ და, თანაც, მაგრა შევაშინებთ – ნეტა რას იზამსო... რა უნდა ექნა? ჩაიფასამდა, აბა რას იზამდა?

მორგის „მეყასბე“ რაჟდენა, დაფხავებულ, ფერგადასულ ხალათში, რაღაცას ლეჭავს. ბაჩუკი ტანსაცმელს იხდის, სცივა, მქრქალი შუქი და სიმყრალე სახეში ეცემა. მის ნინ ძევლი, მინანქარდასკდარი აპაზანა სისხლითაა სავსე; ოფიცერი ლადო უკიდან უბიძებს – მიდი, ჩანექო... ესეც მორჩილად მიდის, ცახცახით – ეშნია, რომ მასაც მოკლავენ... გვერდით მაგიდაზე პატიმრის გვამია გაკვეთილი – ცვილისფერი კანი აქს, გადასხილი გულმუცელი კი ფერადი; თვალები ამოღებული აქს – გვერდზე მდგარ ფორმალინიან მინის კოლბაში დაცურაგს – ორი ბურთი, ძაფებიანი, როგორც ორი თავიკმბალა თევზი... გაკვეთილი გვემის დანახვაზე ბაჩუკის თვალი გაუშტერდება: შეცება, სახს არიდებს. „რა გეშინა, ბიჭო? ვერ ხედავ? ეს აჭარული ხაჭაპურია!“ ჩაესმა ოფიცერ ლადოს ხმა და მერე სიცილი... და მერე „მეყასბე“ რაჟდენას სიტყვები: „ჰო, ღეროთმა გამოგიცხო, ღმერთომა!..“ აჭარული ხაჭაპური იცოდა ბაჩუკიმ – უნასავს, დედა აჭმევდა ხოლმე – ხელით...

მორგში ქალები შემოდიან – ოთხი, შავი ბიკინი აცვიათ, სხვა არაფერი. ოთხივეს დაბერილი, პუტიუნა ტუჩები აქს, იმ ციხისუფროს ხათუნასავით, ეგეთივე დაბერილი ყვრიმალები და დუნდულები. მიდიან მაგიდასთან და ხელებს გვამის შიგნეულობაში ყოფენ, ურევენ, თანაც თითებით ერთმანეთს ეხებიან – თითქოს რაღაცა იდუმალ წრესა ჰკრავენ თავიანთ შორის... ჯერ ერთი ამოილებს რაღაცა ნანილს და იტყვის: „ესე არს ლვიძლი უფლის ჩვენისა!“ „ამენ!“ – იტყვიანი ყველანი ერთად; მერე მეორე ამოილებს რაღაცა ნანილს და იტყვის: „ესე არს



თირკმელი უფლისა ჩვენისა!“ „ამენ!“ – იტყვინ დანარჩენები... „ეს არს შარდის ბუშტი უფლის ჩვენისა!“ „ქეშმარიტად!“... ეს არს ელენთა უფლისა ჩვენისა... ეს არს ნანდავი უფლისა ჩვენისა.. ასე იტყვინ და ამ „ნანილებს“ დაბლა ტაშტში ყრიან...

ბადრაგი ზაზა შემოდის, გორგოლაჭებიანი სინით მაღალ ჭიქებში ფერადად მოციმციმე კოქტეილები შემოაქვს. ქალებს მიართმევს. ქალები აიღებრ და ამ კოქტეილებს ნელა ასხამენ გაკვეთილი გვამის წიალში...

ოფიცერი ლადო კეფაში ხელეცუ ჩაჰექი-თქო, გეუბნები!“ და ბაჩუკიც სისხლიან აპაზაში ფეხს ჩაადგაში – შავ, ლორნოვან სითხეში... მერე მეორესაც ჩაადგაში და ასე შეშდება: ამ დროს, მაგიდაზე რომ გაკვეთილი გვამია, ნელ-ნელა იწყებს წამონევას, თითს ბაჩუკისკენ იშვერს და იმეორებს – „აი, ბაშიაჩუკი! აი, ბაშიაჩუკი!“...

LOVE – სოლოლაკის ქედის ერთ-ერთ ბექობზე დგას რობერტ ინდიანს ინსტალაცია, ჰიპების ზეობის ხანაში შექმნილი. ბექობი შეჭრილია შუშა-ფოლადის სასახლის ეზოში, თბილის რომ გადაპყურებს; ეზოში ეგზოტიკური ცხოველები დადანან: უირაფები, ზებრები, ფლამინგოები, ლამები, მარტორები, პინგვინები, შადრევნიან აუზთან მზეზე თბებიან სელაპები და ზღვის ლომები...

ეზოს შუაში წრეზე დამსხდარან გაზუალისტები: ეგონ შილე, ლუსიენ ფრონდი, ვილემ დე კუუნინგი, დემიან პერსტი, როი ლიხტენშტაინი, ჰენრი მური, ანიშ კაპური, ასევე – პიკასო, რენუარი, მონდრიანი და არქიტექტორი ტკამაცუ...

ნრის ცენტრში, შემაღლებულ ალაგას, რომელიც ანათებს, როგორც პოლოგრამა, ლოტოსის პოზაში ზის მონტე-ხომლი და იქ მყოფთ მიმართავს:

„მაინც რა არის ჩვენი ყოფა წუთისოფელი – მეშვიდე კლასიდან ბარათაშვილის ეს ლექსი გვახსოვს... ვინ არის ადამიანი, რა უნდა, რა ამოძრავებს?.. მე მოვახერხე მარტივი ენით გამეცა პასუხი ყველა სიტყვაზე და მოვახერხე გამეცა პასუხი, თუ რა არის ადამიანი, ვინ არის ადამიანი, რა მიზნები აქვს... რა არის მიზანი მისი ყოფის, რატომ მოვედით ჩვენ... ფილოსოფოსები ასე ახასიათებენ, ფილოსოფოსები ესე მარტივად ხსნიან, რომ ადამიანი მიაღწევს ერთ მიზანს და მერე ისახავს სხვას და ესაა მთელი სპირალი... მაგრამ, მე ეს სხვანაირად დავინახე, მე მოვახერხე, მე დავინახე თვითგადარჩენის ინსტრუქტის მოქმედების მექანიზმი, მისი სტრუქტურა, რომელიც წარმატების ალგორითმია: თვითგადარჩენა ნიჭისა და სიკეთის საქმეა, სიკეთე – კვადრატში, როგორც აიშტაინის ფორმულაშია $E=MC^2$...

დიახ, ნიჭი და სიკეთის თესვის უნარი – ამის მეშვეობით მე მოვახერხე და შევძელი, რომ გლეხის ოჯახში დაბადებული, გლეხის ბიჭი, მსოფლიოში უმდიდრესი ადამიანი გავმხდარიყავი... როგორ მოვახერხე და როგორ შევძელი ეს? ეს საიდუმლოა... საიდუმლო ამბავია... და ამ საიდუმლოს, ამ ამბავს, მხოლოდ თქვენ გაგიმხელთ

და კიდევ აი ამ უმანკო არსებებს – ჩვენს ირგვლივ რომ დაიარებიან, ჩემს ცხოველებს...

ეს ცველაფერი ხვამლის მთაზე დაიწყო, ეს დიდი ხნის ნინ მოხდა, სწავლას რომ ვამთავრებდი, ჴო – იმ იდუმალებით მოსილ მთაზე, ხვამლის მთაზე დაიწყო. ხვამლის მთას ბევრი უტრიალებდა, იცოდნენ, რომ იქ განდი და ოქროულობა იყო დამაღლული – ქართველ მეფეთა განძი; სტალინმაც კი გააგზავნა იქ ექსპედიცია, 30-იან წლებში, ალპინისტები გააგზავნა; ჰიტლერიც ისწრაფოდა ამ მთისკენ და კავკასიასაც იმიტომ უტევდა – ეგონა, ამ მთიდან დიდ ენერგეტიკულ ძალას მიადგებოდა, მოიხელობდა; ეგონა, იმ მთის ალაგას იყო ვალპალა თუ შამბალა... დღესაც ეძებენ, დღესაც, და სულ ტყუილად ეძებენ. მოხერხდა ისე, რომ ეს განდი მე ჩამიგარდა ხელში, შემთხვევით ჩამიგარდა, ისე, რომ არც ველოდი, უნებლიერ, მოულოდნელად ჩამიგარდა... აი ახლა სხორცედ ეს თემა მინდა გავშალო...

მაშინ მაგ განძისა არაფერი ვიცოდი, მაშინ სტუდენტი ბიჭი ვიყავი... უბრალოდ, ჩემს მეგობრებთან ერთად ლაშერობა მოვანყეთ და ნავედით ხვამლის მთის დასალაშექავად... კარგი დღე იყო, კარგი, მაგრამ, უცებ, ამინდი გაფუჭდა ისე, რომ ერთმანეთი დავკარგეთ... ისე მოქუშა ველაფერი, რომ ველარაფერს ვხედავდი... მე რალაცა ნაპრალში ჩავარდი – ეს იყო მთის მწერვალთან ახლოს... იმ ნაპრალიდან რაღაცა დიდი დარაზის მაგვარ გამოქავაბულში ამოვყავი თავი: გარეთ ქუხდა და გმინავდა ქარიშხალი... მერე უცებ ჩადგა და იმ გამოქვაბული დარაზის თაღი თითქო ვიღაცის ხელით გადაიხსნა – ისე განათდა ყველაფერი, თვალი მომჭრა ამ ნათებამ, დამიბრელდა... ცოტა ხანში კვლავ აგაზილე და მხედველობა გამესხნა: იქ იმ ქვაბულ-დარბაზში ორთავა არწივი ვნახე დაჭრილი, ცალ ფრთას მინაზე მიითრევდა, აფერენას ლამობდა, ფართხალებდა... უეცრად მისკენ გამოსრიალდა გველი – კარგა დიდი გველი იყო, ფერად ლვინომუქ გველი, პირში ალმასუით ქვა უელვდა – „ხვითო,“ ხალხში როგორც ეძახიან... გველი მსმრიალდა არწივთან, ხოლო დაჭრილმა ფრინველმა ძალა მოიკრიფა და ლვინომუქ გველს ეცა – ორივე ნისკარტით კორტნა დაუწყო; გველი კიდევ კისრებზე შემოეხვია არწივს და ასე გამამურდა მათი ორთაბრძოლა. ამ ბრძოლისას გველის პირიდან ალმასის ხვითო-ქვას გადმოვარდა; არწივის ერთ-ერთი თავი წასწედ გადასაყლაპად, მაგრამ გველმა არ აცალა – უფრო მაგრად შემოეჭდო ორთავა არწივის ორთავ კისრებს... მე ხან ამ ხვითო-ქვას უუმზერდი, ხან გველისა და არწივის ორთაბრძოლალას... და ბოლოს გველმა გაგუდა არწივი, ხოლო არწივმა სასიკვდილოდ დაკორტნა გველი – და ორივემ ასე დალია სული... მე მივედი, დავიხსარე და ელვარე ხვითო-ქვა ხელში ავიღე: მისმა ელვარებამ თვალიც კი მომჭრა, მერე საამო სითბოდ მომედო სახეზე და იქედან კიდევ ხმა წამოვიდა, რომელიც მე მომმართავდა და მეტყოდა სიტყვებს, ჯერ კიდევ სკოლაში რომ გვასწავლიდნენ: „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა, მე ვარ შენი თანამდევი უკვდავი სული...“ მერე ეს სიტყვები აირია და რაღაც უცნაურ ენაზე ამეტყველდა ხვითო-ქვა, აი ასე: „ტორცუ-

ვაბოპუ", საქართველოვ, მე ვარ შენთანა, მე ვარ შენი თანამდევი რუახ ელოპიმ ამაპიმ""... ეს სიტყვები იმითი დავიმახსოვრე, რომ მერე მთელი ცხოვრება ჩამესმოდა – ძველი, ბიბლიური ებრაულისა და ქართულის ნაზავია... მერე კიდევ ჩემი მეგობრების შეძახილები მომესმა – „ე, ბიჯო, ცოცხალი ყოფილა... ჰეი, ცოცხალი ხარ, ბიჭო... ჰა დედასა!.. მაიცა, ახლა დავგრეხო თოვსა ბანარსა და ამოგიყვანი!!! ჰეეე!!!“ მეც გამიხარდა ჩემი ძმა-ბეჭბის ხმის გაგონება: ამა ნუგებით აღძრული სული აღმევსო ნელის სიხარულითა; ზევით ავიხედე, თუმცა ხელმა თავი-სით წაიღო ხეითო-ქა უბისაკენ და იქ – უბეში ჩამალა... ვერც კი ვიგრძენი, როგორ შეალნია ხეითომ ჩემს მეერდ-ში და იქედან კიდევ – ჩემს შიგადში... თუმცა მისი მოქ-მედების ძალა მთელი შემდგომი ცხოვრება თან მდევდა... მუდამ მესმოდა ჩემივ წიაღიდან აღმომავალი ხმა: გულის კარნახივთ ჩამესმოდა და სინდისს ძახილვით მიხმობდა და მეც ამ ხმას მიყვებოდო ნაბიჯ-ნაბიჯ და ასე მოველ აქამდე, ამხელა ქონებაც მაგ განძის მევეობით დაგა-გროვე...

მაგრამ, ფულის კეთება ადვილია, სიკეთისა კი ძნე-ლია... დიახ, ადამიანებს მე დავყოფი ორ ტიპად – ნიჭი-ერები და უნიჭები. ეს ჩემი ვარიანტია დაპირისპირებისა – კარგი და არაკარგი, მორალური და ამორალური... ნახეთ ჩვენი „ხელისუფალი“ – ეგ უნიჭო, იმიტომ რომ მაგას ადამიანი არ უყვარს, არც ცხოველი უყვარს, არაფერი არ უყვარს; საერთოდ არ იცის – რა არის სიყვარული და არც არქიტექტურა არ იცის; თავის ჭკუში ვითომ ორივე გააერთიანა და რაღაცა სახელიც დაარქვა – „ხურათმოძვრება“ თუ რაღაც... ყველაფერზე წამსვ-ლელია, მატყუარაა და წამსვლელია ყველაფერზე... აბა თქვენ თვითონ დაუკირდოთ და ნახეთ – განა როგორ ატყუებს ყველას: შიგნითაც და გარეთაც... მე შევძელი და ნიღაბი ჩამოხეადე... სხვათაშორის, მე ასევე ვცადე მაგისი ფსიქოანალიზი გამეეცეთებინა; საერთოდ, ჩემი შეხედულები მაქს ფსიქოლოგისათან დაკავშირებით და მაგისი ფსიქოლოგიური პორტრეტიც მაქს ჩანიშნული... წიგნის დანერას ვაპირებ და იქ დავხატავ მაგის ფსიქოლო-გოურ სახეს... პათოლოგია, პათოლოგიური ტიპია... მაგ-ის აღარავის სჯერა – დედამისიც კი არ ენდობა, რამე რომ იყოს... მაგან არ იცის, რა არის შრომა, ეგ ნაცარ-ქექია, ნაცარქექია – სხვის ქონებას დაეპატრონა და ჯიბეში ჩაიდო... თან კუდაბზიკა და ტრაბახაა... ფასადები კარგად გამოსადის, ფასადები ეხერხება...

ამ საკითხს მე სხვა დროს დავუბრუნდები და გან-ვავრცობ, კიდევ გავმო... ახლა კი მთავარი, რაც მინდა გითხვათ:

მე დავინყე სერიოზული მუშაობა და რამდენიმე თვეში შევცვლი სიტუაციას. გეტყვით, რა სიტუაციას, მოგახსენებთ... მე გადავწყვიტე ვიყიდო მომავალი და იგი თავისუფალ სარგებლობაში გადავცე ჩვენს ხალხს... მე შევცვლი ობიექტურ რეალობას და ამას ყველა დაინა-

ხაგს; მე შევცვლი დროსა და სიერცეს და ამას ყველა იგრძნობს; მე შევცვლი ოპტიკის კანონებს და ალარაფერი დარჩება დაფარული, ყველაფერი გაცხადდება; მე შევცვ-ლი ელექტრო-მაგნიტური ველის მოქმედებას და ყველა ყველაფერს გაიგებს; მე გავხელებ ატომს, როგორც ატამს და გამოვინვევ ჯაჭვურ რეაქციას; მე შევცვლი ენერგიისა და მასის ურთიერთქმედებას და ხალხი გამომყვება... მე შევცვლი ამინდს და სიხარულის წვიმა დანამავს ხალხის თვალებსა და აღავსებს ხალხის გულებს; მე დავაბრუნებ ცეცხლს, რომელიც ხალხს მოსტაცეს; მე შევანებებ ადა-მიანის დახურულ სახეს, ხოლო მის ფილტვებს მივცემ ძალას მხეცისა; მე გავაძლიერებ ქვათა ღაღადს; მე დაგავებ და აღმართავ სიყვარულის გზებსა და ხიდებს; დაჭრი-ლი ირმების ჯოგს მე დავალევინებ წყაროს ანკარას; მე დავაბრუნებ მზისა და მთვარის მადლიან ნათებას... და როგორც ფედმი უნდა გაბარდოს შვილი, რომ მოხდეს ფსიქიური მშობიარობა, მეორე, ხელახლი მშობიარობა, ჯანსალი მშობიარობა, ისევე უნდა იმშობიაროს ხალხმა, რადგან ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობაბადი... ამგვარად, მე გავაჩენ დიდ ძალას; მე შევცედები და მოვახერხებ, რომ ხალხის წარმოსახვაში, ხალხის ოცნებაში დიდი ძალა დაიბადოს – ვეებერთელა, როგორც თეთრი ვეშაპი!

ალეთეა – ძველ ბერძნულ ენაზე „ჭეშმარიტებას“ ნიშ-ნავს, უფრო ზუსტად კი – „დაფარულის დაუფარაობას;“ დიახ, სწორედ ასე ესმოდა ეს საქმე პარმენიდეს, პარმე-ნიდე კიდევ ბრძენი იყო, ძველი ბერძენი ბრძენი...

ეს ალეთეა თავენება რამეა, ვინ რას გაუგებს... შეიძ-ლება, ერთხელაც ისე გამოგინათოს, რომ თვალი მოგჭ-რსა – არა, კი არ მოგჭრას, არამედ – საპარისივით გაგისეროს თვალი, როგორც დალის და ბუნიულის იმ საკულტო ფილმშია... შეიძლება უფრო მარტივადაც გამოვლინდეს – ბოზი ქალივით კაბა აინიოს და ფურური დაგანახოს: ჭიგაა! (სუეც ბუნიულის რომელილაც კინოში არ არის? ქალი თავისი მეგობრების კამპანიას სურათს რომ გადაუდებს – კაბას აინევს, ლაჯებს გაფარჩხავს და „ჩაკარტრიჩებს“...)

რაც გინდა რომ ტვინი დაძაბო, თუ რაღაც ხელსაწყო-ხრიები აამუშაო, ალეთეას ვერ მოახდენ, იმიტომ რომ ალეთეა თავისით ხდება. საპირისპიროც ეგრეა – ალეთეა თუ მოსახდენია, მანც მოხდება, რაგინდ ეცადო, რომ მიჩქმალ და მიაჩუმათო. თუმცა, ალეთეას ხდომილებას შეიძლება, რომ კაცმაც შეაშველოს ხელი...

ჰოდა, მოხდა ისე, რომ სექტემბრის იმ დღეს ჩვენს ქვეყანაში ერთი დიდი ალეთეა მოხდა.

რიყე. ევროპის მოედანი. სექტემბრის დიდებული დღეა – მზე ოქროფერილი ათინათით თვალს ეფინება, ავლაბრიდან მონაბერი სიო თბილი ალერსით ალავსებს იქაურობას, დუღუნებს მტკვარი, აქა-იქ ბავშვების სათა-მაშო ურიაშულიც გაიელვებს, აივნებზე ქალბატონები გადმომდგარან და გარემოს კიდევ უფრო ამშვერებენ, ნარიყალა დაპურებს სეიდაბადის განახლებულ ფერ-დობს, როგორც ჭარმაგი და მოსუცი გენერალი – ჩინ-მედლებით განყობილ მკერდს, მეტების ტაძარი ლოცვა-

* „ტოპუ-გაბოპუ“ – პირველადი ქასი, უნესკოგობა (ძვ. ებრაული).

** „რუახ ელოპიმ ამაპიმ“ – სული ღმერთისა (ელოპიმისა) დაპეროდა (ძვ. ებრაული).

კურთხევას „უფრქვევს არემარეს, ხოლო აბანოთუბანი გორგოდვანი სუნთქვით იტყვის „ამენ!... გორგასლის ცხენი ნესტოებს ბერავს ხურვიანი ფრუტუნით, ხოლო თავად გორგასალი კვლავ მეფურ სიდიადეში გაქვავებულა, მეტების ხიდზე დროშებითა და ვეება ხატებით გამოსული მრევლი ერთობლივ ლოცვას აღავლენს, იქთ „მშვიდობის ხიდია“ მტკვარზე გადებული – გამჭვირვალე და გაბედული, ახალ სიტყვას რომ მიახლის ძევლი ქალაქის ბერენ იერსახეს, აქეთ კი რონალდ რეიგანი ჩამომჯდარა – თუკის უკომპრომისო პრეზიდენტი, სახეზე მომღმარი ენთუზიაზმი და ალკაიმერის ლიბერალური ნიშნები რომ ადევს, ხოლო მეიდანზე გადამიტელი ტურისტები დაბორიალობენ და ყელიც მოუღერებიათ ამ კოხტა და ეკლექტური სანახავის თვალიერებითა და ტკბობით...

მაგრამ ვერც სტუმრად ჩამოსული და ყელმოღერებული, ვერც ადგილობრივი და ამინდს მინდობილი ხალხი ვერ ხედავს იმას, რაც მათ გვერდით და მათ შორის ხდება. არადა, ხდება: „ევროპის მოედანზე“ მიმოფანტულად დგანან ტუსალები – ჩამომხმარი და მომჩვარული ადამიანები; აცვიათ ციხის ძევლებური ზოლიანი უნიფორმა და ასეთივე ზოლიანი ქუდები ახურავთ. ზოგი გაუნდრევლად დგას და უაზრო თვალებით იყურება, ზოგს კიდევ ნიჩაბი უავასა და თავის წინ ღრმა იორმოს თხრის – ასე დაავალეს... თითოეული ტუსალის გვერდით კი სიმფონიური ოკესტრის მუსიკის დგას, თავისი ინსტრუმენტით, და უკრავს – სრულდება ევროკავშირის პიმი, რომელიც რომ, მოგეხსენებათ, ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის მეოთხე ნაწილია, თავისი „ოდით.“ უნითოდ და უხალისოდ უკრავენ, უჯიგროდ წელავენ ბერებს – გულის გამანვრილებელი რამ მოსასმენია...

მთელს არემარეს თავზე შუქურასავით დანათის პლაზმური ტელეეკრანი, ეკრანზე ჩანს „ხელისუფლის“ სახე და ისმის მისი ხრინნმომდგარი ყვირილი, ხავილში გარდამავალი: „ჩვენ ტოტალურ პლანტაციად გადავაქცევთ საქართველოს – მექანიკური ფორთოხლის პლანტაციად!“ და ეს მოწოდება მეორდება და მეორდება...

უეცრად, „ევროპის მოედანზე“ გამოჩნდება თვით „მექანიკური ფორთოხალი,“ სახელად ალექს, თავისი სამი ძმაკაცით. ამათ იმავე ყაიდის „ფორთოხლები“ მოჰყებიან – სადღაც ასამდე ეგზიმპლარი. მოდიან და ხელში ბეიბოლის ბიტებს ატრიალებენ, თან მოელი ძალით გაჰყვირიან: „Freude, Scho“ ner Go“ tterfunkent, Tochter aus Elysium, Wir betreten feuer-trunken, Himmlische, dein Heiligtum!... მუსიკოსები კი თავისას განაგრძობენ – უხალისოდ და უნითოდ... ასე, სიმღერ-სიმღერით, „ფორთოხლები“ შემცდარ ტუსალებს შეესევიან და უწყებენ ცემას – ბეიბოლის ბიტებით, თუ სხვა რამ ხელთმყოფი ან ხელმისაწვდომი საგნით, ხანაც წიხლს აყოლებენ, ხანაც – მუშტი გინდა თუ გაშლილი ხელი... ურტყამენ ბავშვურად სასტიკი და ზრდასრულად გულარძნილნი; ურტყამენ ბოლმით, თითქოს რაღაცის გამო შურს იძიებენ: როგორც ქალის მოშიშარი კაცი, მთვრალი რომ მიაჯდება ქალს და ამ დროს სქესობრივ უინს კი არ იქლავს, არამედ თავისი

თავის სიძულვილის დაოკებას ლამობს; ყველა მწამებელი თავადვე ნამებულია, იგი თავის თავს ანამებს სხვაში...

ამათი ცემით რომ დაილებიან, რამდენიმე ტუსაღს მათსავე ამოთხრილ ორმობებში ჩაყრიან და ყელამდე მინა-საც მაყრიან... მერე – ზოგი შარვალს ჩაიხსნის, ზოგი ჩაიხდის და ტუსალების თავებზე მოისაქმებენ: ზოგი აშარდავს, ზოგიც აქაქავს, ერთი კიდევ სულაც აიღებს და მუჭურით დაათესლავს ტუსალის გაპარსულ კინკრიხოს...

ჰო, თავიდან ხეები ადამიანები იყვნენ,

მაგრამ ეს ადამიანები ანამეს და ისინი იქცნენ ხეებად.

ჰო, ზაგრეოსი ვარ, ზაგრეოსი!

ვცხოვრობ ქვეყანაში, რომელსაც ჰქვია „სალო“

და რომელსაც მართავენ აგრესიული, ნარმატებაზე ორიენტირებული და ადეკვატური „სალოსები“...

ადამიანის თავზე დანიხეული ფეხალიები და თესლი მოიყვნს ახალ ცხოვრებას, როგორც წვიმას, რომელიც დანამაგავს ღალიან მინდვრებს

და იქიდან აღმოაცენებს თავის უფლების მეომრებს, ხოლო შერმე ამათ, თავის უფლების ამ მეომრებს,

მოიმკანს, გათიბავენ, გალენავენ

და მათი დაფქული იჯელიდან მოზელენ ცომს,

რომელსაც თავის უფლების ქალები თავიან მენსტრუალურ სისხლს შეურევენ,

რომ ნარმატებაზე ორიენტირებულმა და ადეკვატურმა სალოსებმა შეიყვარონ ისინი

და დაწენენ მათთან, როგორც სანუკარ დედებთან,

და ააღირინონ თესლი საძულველ მამათა თვისთა...

ხოლო ამ დროს, ამ სისხლიან-ექსკრემნტან გვემალაზღანდარობაში მყოფი ხალხით მოფენილ მოედანს გადაკვეთს ქალი – ხასხასა წითელ კაბაში, მაღალ ქუსლებზე შემდგარი, გრძელკანჭა და მკერდსავსე ღალაზმანი: მაღალ ანეული თავით, ნელში გამართული, კატისებრად მიაბიჯებს, როგორც რომ პოდიუმზე მიაბიჯებენ ზემოდელები მაღალი მოდა-კუტიურისა... როსკაპი ღვთავება, დედუფალი ალეთა!.. უცებ დადგბა, ხალხისენ შებრუნდება, იმ თავის გრძელ კანჭებს გაფარჩხავს, კაბის კალთას აინევს და იქაურინბას თავის კოხტად გაპარსულ სარცხვინელს მიუშვერს, აი ასე... სარცხვინელიდან თითქოს სინათლის ძალუმი სხივი წამოვიდა, მოედნებს ერთბაშად რაღაცა მაგნიტური ელექტროტალღოვანება დაუვლის, ჰორიზონტისკენ გაიჭრება და აკიაფდება. იქ, ჰორიზონტზე განათებულ აღაგას ორი ვეება დაჭყეტილი თვალი გამოჩნდება, მერე კი საპარსიანი ხელი და მერე უცებ – საპარსი გასერავს თვალებს, როგორც თხელი ღრუბელი მოვარეს...

ვეღდავ: **თერთი კაშალოტის ზურგი მოცურავს ამღვრულ მტკვარში,** მთასავით ამოიზრდება, შადრევანს ამოისუნთქვს და დაინთქმება, მერე კი ვეება კუდი ამოვარდება და ტრაშუნით დაცემა წყლის ზედაპირს...

მობი-დიკი შემოსულა! სისტემა უნდა დაინგრეს!

ვეღდავ: **თერთი ვეშაპის გიგანტური სხეული ავლაბრის ხიდს გადაევლება და როგორც ცეცხლმოდებული ცეცელინი მდინარეში ჩაუცემა... ესოდენ დიდი მასის ზემოქმედება მდინარეში კალაპოტიდან გამოიყვანს და ქუჩებს და დატბორავს შევარდნილი წყლი...**

და ვხედავ: ამ ვეება ცხოველთან შევახებული ქალაქი შეირყა, როგორც ხომალდი – ბრიყვთა ხომალდი – და იქედან ვირთხებმა იწყეს გაქცევა...

Facebook-ი აფეთქდა, ყველა თეთრი ვეშაპის ფოტოებსა და ამბავს პოსტები დასტურდა...

„თქვენი ხურვათმოძღვრება გვანგრევა!“ – ქალაქს მოედო ტრანსპარანტები და სიმღერა: „თეთრი ვეშაპი გადაარჩნს საქართველოს!“

ხელისუფალთან დაახლოებულ რეფორმატორთა ჯგუფი ხელისუფლის სასახლის ბანზე „ვირობანას“ თამაშობს – ხტუვა-ხტუვნითა და მუჯლუგუნ-მუჯლუგუნებით: საკმაოდ ოსტატური და სანახაობრივი კლოუნადაა. თან რეპლიკებს ისვრიან: „ვინ იყო ის წითელკაბიანი ქალი?“ „ვინ?“ „ვილაც ნაბოზვარი!“ „საბერძნეთში ნამუშევარი!“ „დიახ, იქაურ ბორდელებში და სტრიპტიზებულ „ალეთეაში“ ნამუშევარი!“ „და ნაბოზვარი, ნაბოზვარი, ნაბოზვარი!“ „მერე დაბრუნდა და აქ დაიწყო მამაშობა...“ „...თვალები?“ „საპარამა რომ გადასერა!“ „ვისი თვალები იყო?“ „და რა დაინახა?“ „დაფარული დაინახა დაუფარავი...“ „დაუფარავი დაინახა დაფარული...“ „დაუფარავი სისასტიკე დაინახა?“ „ჩვენი!“ „და მერე რა მოხდა?“ „წყლიდან ვეშაპი ამოხტა.“ „თეთრი ვეშაპი!“ „ჰო, მობი-დიკი ამოხტი!“ „მირთლა დიკები“ არიან ეს პატარა ადამიანები, სირები!“ „ჰო, არ ესმთ, რომ ჩვენი სისასტიკე მათი სიკეთისთვისაა!“ „ჰო, ჩვენი სისასტიკე აკეთილშობილება!“ „ჩვენი სისასტიკე გარდასახაეს მათ!“ „ჩვენ სასტიკე გარდამსახველები ვართ!“ „ჩვენი სისასტიკე გარდაისახება...“

ხელისუფლის მრჩეველი (საზოგადოებრივი ცნობიერების სილმისეული წყლების საკითხებში) ხელისუფლის სასახლის ბანზე დააპიჯებს და ხელისუფლის საძულველ ქალაქს გადაცყურებს – ვეშაპმჭერი გემის იმ ცალფეხა კაიტანივით, აქაბი რომ ერქვა... იგი გაოგნებული, განბილებული და ამდენად – ნირნმხდარია. სულ რაღაც რამდენიმე დღით ადრე იგი დარწმუნებული იყო ნარმატებაში, ამას ხომ ყველა მაჩვენებელი ადასტურებდა! მართალია, გაურკვევლობის პროცენტიც საკმაოდ მაღალი იყო, მაგრამ – არც იმდენად, რომ საქმე ასე რადიკალურად შებრუნებულიყო... ყველაფერი გათვალისწინებული და დაანგარიშებული იყო, თანაც მერამდენედ, თანაც – რამხელა გამოცდილება ჰქონდა ამ კაცს საზოგადოებრივი არაცნობისას სიღრმეებში ცურვისა და ნადირობისა, დედამინის რომელი მხარე გინდა!

ამ დროს ბანზე ხელისუფალიც გამოჩნდა – საუზმის მაგიდიდან ბროლის საფერფლე აილო, მოიქნია და კედელს მიახეთქა... ქალბატონ-სენატორ ტიმსალ მაკომი დატუქსა: ხურვათმოძღვრებაში და მექანიკური ფორთობლის პლანტაციების პროექტში ამდენ დარღვევას თუ იქნებოდა ადგილი, რას ნარმოვიდგვნდით! ახლავე უნდა შეაჩეროთ ყველაფერი და დათმობაზე ნახვიდეთო!.. Fuck!

მრჩევლისთვის მართლა გაუგონარი რამ მოხდა: ხოგორ და საიდან გაჩნდა ამ ქალაქში თეთრი ვეშაპი? როგორ შეაღნია აქაურ სიღმისულ წყლებში? როგორ მოხდა!.. მობი-დიკივით კაშალოტი... საიდან?

– მერე და, რა უნდა ამის გაგებას?! – აძაგდაგდა ხელისუფალი, – ის თეთრი ვეშაპი მონტე-ხომლის ნაყიდია! დიასაც, აქამდე დამალული ჰყავდა და საჭირო მომენტში შემოცურა! – და პირზე სახელო მოისვა ხელისუფალმა – დორბლის მოსაწმენდად, მერე კი დაამატა – მარტო ერთი თეთრი ვეშაპი კი არა, თეთრი სპილოების მთელი ჯოგის ყიდვა შეუძლია, რომ ერთბაშად გადაგვიაროს და გადაგვთელოს...

მრჩეველს სპილოები არ აინტერესებდა, არა; მის გონებას ვეშაპები არ ასევენდენ – უმართავი თეთრი კაშალოტები, საზოგადოებრივი არაცნობიერის წყლებში რომ ფაცურავენ და პოლიტიკური სისტემების უცარ ცვლილებებს რომ ინვევენ, აშლილობებს, ტურბულენციებს... მათ ვერც სოცილოგიურ კითხვართა რადიოსალოკაციო ქსელით ამოიცნობ და ვერც პროპაგანდის ჰარპუნს ჩასცემ ზურგში, სატელვევიზიო სიმულაციურ ბადებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია!

„არადა, ამ ქვეყნის ეს ახალგაზრდა ხელისუფალი შესანიშნავი მეთევზე, საუკეთესოთა შორის ნარმისაჩენი, აგერ – რამდენი დიდი პოლიტიკური თევზი ნამოაგო ანკესზე, წლების განმავლობაში... მისი ოპონენტი რომ ვყოფილიყავი, ნიგნს დავწერდი: „როგორ თევზაობდა ხელისუფალი შინ და გარეთ!“...

„ახლა კი რას ვხედავთ!“ „ჰო, ჰო, რა დაინახა იმ თვალებმა?“ „ჰო, ჰო, ისეთი, რაც სხვაგან არ ხდება!“

– „ვირობანობდენ“ რეფორმატორები და მათ ხელისუფალიც შეუერთდა: „ჩვენს შემდეგ მნგრეველები მოვლენ...“ „მნგრეველები მოვლენ!“ „ხურვათმოძღვრულ ნაგებობებს დააგრძევენ!“ „დაანგრძევენ!“ „მექანიკური ფორთობლის პლანტაციებს ჭია შეესევა!“ „შეესევა!“ „სისტემური მარცხი!“ „მარცხი!“ „ამას ვერ დაუუშვებთ!“ „ვერ!“ „...თეთრი ვეშაპი უნდა მოვკლათ!“ „ჰო, ჰო პარცუნი უნდა ჩავცეთ! და მოვკლათ!“ „ჩვენი უცხოელი მევეშაპები დაგვეხმარებიან!“ „დაგვეხმარებიან!“

მევეშაპე-მრჩეველია ვისკა ჩამოისხა და გადაპერა... „ვერ მოპკლავთ! ვერც ვერავინ დაგეხმარებათ, პირიქით მოხდება, როგორც მაშინ, მობი-დიკის დროს... თავს დაიღუპავთ...“

„მოვკლავთ! ფულს გადავიხდით და მოვკლავთ!“ „ამერიკელები დაგვეხმარებიან!“ „ბოლოს და ბოლოს, ამერიკაც ვეშაპია – ლიბერალური ლევიათანი, რომელიც სერავდა მსოფლიო წყლებს და დემოკრატიულ წესრიგს ამყარებდა, ლიბერალურ ფასეულობებს აფრქვევდა – ყველგან, სადაც აღნევდა, ბოლო ასი ნლის განმავლობაში!“ – ჩაარაკავა ერთ-ერთმა რეფორმატორმა. „ხოლო ახლა, პრეზიდენტ ბუშის დოქტრინის წყალმიმდინარებით, ამერიკა გახდა გლობალური ლევათანი!“ – განავრცო მეორემ. „ჰოდა ეს გლობალური ვეშაპი ჩაყლაპავს თეთრ ვეშაპს!“ – შეაჯამა მესამეში...

ხელისუფალმა ახლა ვისკას ბოთლი აილო და კედელს მიახეთქა: „მე თვითონ მოვკლავ! ბოლომდე ჩავცვები,

ბოლომდე, უფრო ზუსტად – ფსკერმდე!“ – ხაოდა ხელის-უფალი და ფლენჯის ქარმა მოუარა...”

მევეპაპე-მრჩეველს ის ეპიზოდი გაახსნა დიდი რომან-ვებაპიდან – „მობი-დიკიდან“: თეთრი კაშალოტის ზურგ-ზე დამკვდარი, მელავის სიმსხო ბაგირებით მიჭყლებილი, თვალებგადმოგდებული ზოროასტრი-მევეშაპე, რომელ-მაც ბოლოს მაინც „მოიხელთა“ საზარელი მტერი და „ბოლომდე ჩაჰყავა, ფსკერამდე“...

და მრჩეველიც „ვირობანას“ თამაშს შეუერთდა:

„რას ველით, აქ რომ დახტერივართ?“ „ბარბაროსები მოდიან!“ „და რას იტყვიან მოლაპარაკე თავები?“ „ბარბაროსები მოდიან!“ „და რატომ ამტკრევს ცველაფერს ხელისუფალი?“ „ბარბაროსები მოდიან!“ „და რატომ აღელდა ხალხი ასე უცაბედად?“ „ბარბაროსები მოდიან!“ „და რატომ გარბიან ნუვორიშები და პატრიოტები?“ „ბარბაროსები მოდიან!“ „და რატომ მიემურებიან სახლში ასე ღრმად ჩაფიქრებული და დამზურებული ჩვენი მოაზროვნები?“ „ბარბაროსები მოდიან!“ „და რატომ ვიწვნიეთ სისტემური მარცხი?“ „ბარბაროსები მოდიან!“ „და რომ არ მოვიდნენ, მაშინდელივით, მერე სად მივდივართ?“ „მივდივართ!“

სისტემის სისტემურ მარცხს მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა: ციხე შიგნიდან გატყდა, ხალხი გარეთ გამოვიდა და შეიქნა საერთო ლიტანიობა – ქალი და კაცი, მოხუცი და ყრმა, მაღალი და დაბალი, ყველა ერთხმად აღიდებდა თეთრ ვეშაპს და აქებდა ხვამლის მთის განძის მფლობელს...

ამინდიც ისეთი იყო, როგორადაც აკაკი წერეთელი აღწერს „ბაშიაჩუკას“ ბოლო თავში: „1659 წელში შემოდგომა მიწურულიყო, ზამთრის პირი მოახლოვდა, მაგრამ მაინც გაზაფხულის დღეები იდგა, თითქოს ქვეყნის დამშვიდებულ გულს ტაროსიც კი ეტკბილდასტურება.“

სწორედ ეს ამინდი იყო, ციხიდან ახალგამოსულმა ბაჩუკი წერეთელმა რომ შეიგრძნო ყველაზე მძაფრად – ამინდი და არა თავისუფლება; თავისუფლება არ შეუგრძნია – აკი ჭკუასუსტია... ეს ამინდი ჯერ სახეზე მოუდო, ოდნავ თვალებიც დაუბინდა, მერე მხრებზე, მკერდსა და ზურგზე დაუარა – სუსტი, თუმცა საამო ურუანტელი იყო... წელს ქვემოთაც სითბოს მოძალებას გრძნობდა – თეძებიდან ყვერებამდე... განსაკუთრებით მაშინ, მელანო თევდორაძე რომ დაინახა, ასევე მაშინაც – დედამ რომ აბანავა და მერე კიდევ რამდენჯერმე, როცა სასეირნოდ წაიყვანეს...

ციხის მერე ქუჩაში სიარულს შეჩვევა უნდა – მარტო ბაჩუკისნაირ ხეიბარს კი არა – ყველა ნორმალურს, თუევ ვინჩე, ვინც ციხიდან ახალი გამოსულია, შეიძლება ასეთად – ნორმალურად ჩაითვალოს.

მიდიან, დედა და მელანო თევდორაძე. ნაყინი უყოდეს, თავიანთვისაც იყიდეს და ლოკავენ. ბაჩუკის ნაყინი ჩამოედვენთა, ფეხსაცმელზე, დაეტყაპნა... ნაყინსა და მელანოს ერთნაირი სუნი აქვს: ბავშვობაში „პლომბირს“ რომ ალოკინებდა ხელიდან, მას მერე ჩარჩა ეს სუნი – ვანილისა...

გრძელ სკამზე ჩამოსხდებიან. დედა და მელანო თეთრი ვეშაპის ამბავს უყვებიან – ქალაქში რომ შემოცურდა... ბაჩუკის თვალნინ ისევ გაყინული შავი ზღვა ნარმოუდგება, მერე – ვეება თეთრი თევზებს მია-მსგავსებს... მერე მელანოსთან ერთად ლილინებს: რა მადლიანად ანათევეებს... კინოს ბოლო კადრებიც ნარმოუდგება: ცხენებზე ამხედრებული ბაშიაჩუკი, აბდუშაპილი, მელანო და ბაშიაჩუკის და როგორ მოდიან ამ სიმღერით, ხოლო ბავშვები დგანან ღობებთან და ხელს იშვერენ: „აი ბაშიაჩუკი! აი, ბაშიაჩუკა!“...

„აი, მონტე-ხომლი!“ ისმის საიდანლაც შეძახილი. მანქანები აღარ დადიან. ქალაქის მთავარ პროსპექტზე ხალხის მცირე ჯვეფი მოემართება – თორმეტი ტუსალი მოაბიჯებს: ნაცემი, დალუელი, გვემილი სახეებით. ამათ ნინ კიდევ ტანდაბალი კაცი მოდის, სახელად „მონტე-ხომლი“ – ნელი ნაიჯით, დინჯად, სახე ულიმის, ხალხს ხელს უქნევს და ესალმება; თავზე მინდვრის ყვავილების-გან დანწული გვირგვინი ადევს, მხარზე სახრე აქვს გადებული...

ხოლო მთელს ამ პროცესისა, ბოლოში, მოჰყება ქვეუნის ხელისუფალი, რომელსაც თოკზე თეთრი, წითელ-თვალება ნიანგი გამოუბამს და მოასეირნებს! ცალ ხელში თოკი, მეორით კი ხელჯონს ეყრდნობა... დროდადრო ნაიბარბაცებს, რულმორებული თვალებით იყურება, გამვლელებს ხან გაუღიმებს, ხან ილუშება და ასე იტყვის: „რას მიყურებთ?!“ მე ჩემს თეთრ ნიანგს, სადაც მინდა და როცა მინდა, იქ და მაშინ გავასეირნებ, ხო ხი ხი! ჴე ჴე ჴე! იმიტომ, რომ ხელისუფალი ვარ – კონსტიტუციის გარანტი!... თეთრი ნიანგი რვიანებით დალოდვს, აქეთიქით იქაჩება... ხელისუფალი კი მეტყველებს, უცნაურ ლექსად, უფრო ზუსტად კი – რეპავს:

„დიახ, მე თქვენ მოგეცით კონსტიტუცია, თქვენ კი არჩიეთ პოლიტიკური პროსტიტუცია! დიახ, ჩემმა კრრრაკადილმა შთანთქა თქვენი კრრრიმინალი და დალვარა ცრემლი – მან დაამარცხა კრემლი! ჩემი ალიგატორი გახლავთ რეფორმატორი – არქიტექტორი ევრო-ვეტერნის! დიახ მე გავაერთიანე სქესობრივი სიყვარული და არქიტექტურა, თქვენ კიდევ – ანძრევთ და ყველაფერს ანგრევთ! ხო ხი... ჴე ჴე ჴე... რომ დაგრიმებით ეგ თეთრი ვეშაპი და კაშალოტი... ეგ ვეშაპი დიახაც მე შემოვიყანე – ჩრდილო-ატლანტიკური წყლებიდან, მე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენი არჩევანის სისწორეს!“

ჴო, ხელისუფალი მოაბიჯებს: გეოპოლიტიკური ბალლი, კაცი-ეპატაჟი, როგორც ერთი რამ ჭეშმარიტი სალვა-დორ დალი, პარიზის ქუჩებში რომ დაიარებოდა – თოკზე გამობმული სენტიმეტრალური ჭიანჭველაჭამით...

ხელისუფალი და ნიანგი მეტრო-სადგურს რომ გაუსწორდებიან, გზიდან გადაუხვევენ და ესკალატორისკენ წავ-ლენ... ინციდენტი ჩასვლას – ჩასვლას ქალაქის არაცნობიერში... თეთრი ნიანგი იქაჩება, ხელისუფალი კი იმეორებს: „ბო-ლომდე ჩავყვები, ფსეურამდე!“

მერე მოხდა ისე, რომ მდინარე მტკვარში სამხედრო ხომალდი შემოცურდა: ჩრდილო-ატლანტიკური თანამეგობრობის კრეისერი, მწყობრიდან გამოსული სანავიგაციო ხელსაწყოებით, კურსს აცდენილი, მოხეტიალე ხომალდი სახელად „Rachet“ – რაქელ უნუგეშო, დაკარგულ შვილებს რომ დაეძებდა...

შიგნიდან გაფასილი ციხის პალა(6)და

ყველაფერი აირია დიდი თევზის სტომაქში,
როგორც იონას ფიქრები,
როგორც ქარში ფიფქები,
მღვრიე, როგორც ბალანდა,
ამას იტყვის ბალადა...
მექანიკური ფორთოხლები, ნიანგები თუ მარტორქები,
დეპენები და კლუნიკები, სადისტები, მაზოქისტები,
პატრიოტები, მოაზროვნე-მრუდის-გამპრავებლები,
აფერისტები, გოთვერნები, ნუკორისები,
ლეგიტიმური ქურდები და მოძალადენი,
მოსამართლენი, პროკურორნი, აქტივისტები,
მასტერები და მეგისები, კუდი და სოდი, ლჯპტ, მმკ, მრევლი,
მეტადონი თუ კოვანი, ვაუჩერები და ფასადები,
ყველაფერი აირია დიდი თევზის სტომაქში,
როგორც იონას ფიქრები,
როგორც ქარში ფიფქები,
მღვრიე, როგორც ბალანდა,
ამას იტყვის ბალადა...

ხელისუფალი და მისი გუნდი – ხელ-გზა-მრუდენი, მონსტრი-მინისტრი და მინი-ქვეყნის დიდ-მმართველები – გულში დვარძლით, ხელში უფლებით,
თავში კიდე ნულვანი ტოლერანტობით,
დედანი და დიდედანი, ცოლის საყვარლის ცოლის საყვარლები, ფრაქციები და ფიქციები, უგნურ-ტრელ-წილი უგრინალისტები, საზმაუ – სულის საზარლად საზმანი,
მარადიული ერორი, მოდელირებული ტერორი:
გადაცემა „პროფილი“ და გენმოდიფიცირებული კარტოფილი, აგრესიული სალოსები და ბორდელები სხვადასხვა ბორდის, ტრეინინგ-გავლილი, უფრო სწორად – განავალები, კონსულტანტები, ლობისტები, ლიაზონები,
სენატორები, კვაკერები, მორმონები, ნეოკონები, მსოფლიო ბანკი და ტრამპის ტრკი, მაპი და ზმუკი:
ყველაფერი აირია დიდი თევზის სტომაქში,
როგორც იონას ფიქრები,
როგორც ქარში ფიფქები,
მღვრიე, როგორც ბალანდა,
ამას იტყვის ბალადა...

სამი დღე და სამი ღამე რომ გაივლის,
ამათ ყველას მოინელებს დიდი თევზი –
უკანალში გაატარებს და ნარსულის მოგონებებს მიაბარებს:
ამაოგბის მსახური ვერ ელირება წყალობას...
მაგრამ არის რაღაც, რასაც ვერ იჩენებს დიდი თევზი
და მინაზე ამოანთხევს, როგორც იონას:



ციხებში ჩაკლულ სულებსა და სხეულებს; ჩაფურთხებულ და ჩარცხილ გულებს; ნანამებ და თავსლაფდასხმულ, პატივაყრილ მოქალაქეებს; სახიჩარად, ხეიბარად ქცეულ ქალებს, კაცებს, იმათ დედებს, მამებს, ცოლებს, ქმრებს და შვილებს; ოფიცრებსა და რიგითებს, გლეხებს და მუშებს, ინტელიგენტ-რუსეთუმეებს, სოციალისტებს, ანარქისტებს, უხერხმლო პოსტმოდერნისტებს, არტისტებს, ათლეტებს, ლოთებსა და ნარკომანებს; ნართმეულ სახლ-კარს, ეზო-კარს, ვენახებსა და ბალჩა-ბალებს, მთავრობისათვის ნჩენებარ ქონებას, რომელსაც ვერ მოვთვლი; უკანალში გარჭობილ ხელებტებს, ბიოთებს, პლასტმასის მილებს, ცოცხებს, ხელბორკილებს, გისოსებს, ციხის კამერის „შუბა“ ეკდლებში მძრომიალე მწერებს და მღრღნელებს; გამსკდარ ისისხლაძრლვებს, ნაწლავებს, შუბლებს და ნარბებს, დაუეულ თირკმლებს, ახეულ ნესტოებს, ყურებს, ჩალენილ ლავინებს, ხერხმლის მალებს, ნალრძობ სახსრებს, გატეხილ თავებს, გადიდებულ ლვილებს, ჭლექიან ფილტვებს, ქვევრში ჩამხრჩვალ თოთო ბავშვებს...

ამოანთხევს, როგორც მღვრიე ბალანდას
და მეც ამით ვამთავრებ ჩემს ბალადას...

დასასრული

თბილისი, 2013

ციკლიდან

„ნეკა თითის მოთხოვები“

ადამიანია წვიმა

ბატონი ზოშირი ადრიანად ადგა... დასვენების დღე იყო, შუადღემდე ჰქონდა გადაწყვეტილი საწოლში ნებიურობა, მაგრამ არასასიამოვნო წინათგრძნობამ და აჩქარებულმა გულმა საწოლში არ გააჩერა.

ადგომისთანავე, ფანჯარასთან მივიდა და... იქ დანახულმა გააოგნა, დააბნია კიდეც.

მელნისფერი ყვავილებით მოქარგული ფარდებისა და გაუნმენდავი მინების იქთ ადამიანთა წვიმა მოდიოდა.

„ნები“ ჯერ უხმიო ტყაპატყუპად ისმოდა, მაგრამ „წევების“ სიხშირის მატებასთან ერთად ადამიანთა კივილის, დახეთქების, სკდომის, მტვრევის, ყმუილის, ოხვრის და ხრიალის ხმები უფრო ხშირი ხდებოდა და შესაბამისად, ახლად გაღვიძებული ბატონი ზოშირისთვის საშინელი მოსამენი და სანახავი იყო.

ის სწრაფად მივარდა ტკბილ და გემრიელ ძილში ჩაძირულ მეუღლეს და ნჯლრევა-ნჯლრევით გააღვიძა. გაღიზიანებულმა ქალმა ბატონი ზოშირის ფანჯრისკენ გამვერილ, აკანკალებულ თითს თვალი გააყოლა:

— ჯოჯოხეთური ამინდია! მადლობა, რომ გამაღვიძე! გამშრალი სარეცხის ჩამოხსნაში ხომ მომეხმარები, გემრიელო? — თქვა, სწრაფად ნამოდგა და ზმორვით აივნისაკენ ნალასლასდა.

ბატონმა ზოშირმა წარბები შეიჭმუხნა, მაგრამ არაფერი უპასუხა. ის უხმოდ მიეხმარა ცოლს სარეცხის აღებაში.

ამასობაში კი წვიმა ლამის სეტყვად იქცა — წიგილ-კივილი, ადამიანთა სხეულების ზათქი და დგრიალი უფრო სულის გამანვრილებელი გახდა.

აფორიაქებულმა და საბოლოოდ დაბნეულმა ბატონმა ზოშირმა დილის ტუალეტისა და თავის მოწესრიგების დროს რადიომიღებიდან რალაც ბანალური სიმღერა გაიგონა და...

უცრად შეეგუა ამ ხმაურს, დამშვიდდა, დაწყნარდა და ის, რაც გარეთ ხდებოდა, რალაც არარეალურად და სასაცილო ბოდვად მოეჩვენა... ამ შეგრძნებამ კი კარგ ხასიათზე დააყენა.

— გემრიელი საუზმისთვის რაღაც-რულაცები მაქვს საყიდელი! — გასასვლელიდანვე გასძახა დასაძინებლად მიბრუნებულ მეუღლეს, ქალბატონ ადელაიდას და სადარბაზოში გავიდა.



კობა ცხაკაია

ბატონმა ზოშირმა სიამაყით გახსნა თავისი შავი, აზიური ორნამენტებით მოვარაყებული, მაკაგონისახელურიანი ქოლგა და სტვენა-სტვენით ქუჩაში გამოვიდა. მას ჯერ კიდევ წუხანდელი საღამოდან სურდა ტოსტერის პურის, ერთი კილო შაქრის, ათი კვერცხის და ქლავის ხილფაფის ყიდვა. პოპულარულ სერიალში სწორედ ასეთი „ინგრედიენტებით“ ისაუზმა მისმა სათაყვანებელმა და გულთა-მცყრობელმა გმირმა...

ადამიანთა წვიმა კი არ წყდებოდა. ქუჩა სავსე იყო გაბრტყელებულ-დაჭყლეტილი სხეულებით. სისხლი შეცებად ესხმოდა სახლების კედლებს, ვიტრინებს, გაჩერებულ მანქანებს და ამას ყურადღებას არავინ აქცევდა, მხოლოდ ბატონი ზოშირი უყურებდა ამ ყველა-ფერს ირონითა და შეიძლება ითქვას არა-ჯანსალი ინტერესით...

მას ჰქონდა ამის თავისებური მიზეზიც — მიუხედავად ასეთი „ინტენსიური წვიმისა“, ზემოდან არაფერი ეცემოდა... ამიტომ ისიც მშვიდად და უინციდენტოდ მიუახლოვდა ქუჩის კუთხეში განთავსებულ, უცნაური დასახელების მქონე მაღაზია „ნუგებს“.

მაღაზიაში აუჩქარებლად შეიძინა ყველა-ფერი, რაც უნდოდა... ფულის გადახდისას კი ყოველი შემთხვევისათვის ახალგაზრდა და მიმზიდველ გამყიდველ გოგონას შეპარვით ჰკითხა:

— რა უცნაური ამინდია, არა? ასეთი საშინელი, ამაზრზენი წვიმა თუ გახსოვთ?

— ჰომ! ეს წვიმას არც კი ჰგავს! — ვიტრინაში გაიხედა გამყიდველმა, — მეორედ მოსვლაა რა, ნაღდად!

ბატონმა ზოშირმა ლამაზმანის პასუხზე გაიღიმა და დამატებით კარაქი, შავი ხიზილალა და მაიონეზი შეიძინა...

სახლისაკენ მიმავალ გზას ასევე მშვიდი, უდრტვინველი ღმილით გაუყვა. ავტობუსების გაჩერებასთან ერთმა ეშმაკურმა აზრმა გაუელვა. უცებ ფეხს აუჩქარა, ასე ვთქვათ „რაზგონი“ აიღო და... რაც შეიძლება მაღლა ახტა...

დაცემა საქმაოდ ბანალური და სასაცილო გამოდგა – ორივე ფეხით სისხლიან გუბეში მოადინა ტყაპანი და სულ დაისვარა... ამან ცოტათი ხასიათიც კი გაუფუჭა... თან იგრძნო, თუ როგორ შეენირა მის „სულელურ ექსპერიმენტს“ რამოდენიმე უდანაშაულო კვერცხი... ერთი მამაპატურად შეიკურთხა და სწრაფი ნაბიჯით სადარბაზოში შეალაჯა...

...როცა მყუდრო სამზარეულოში ცეილონის ჩაის, ერბოკვერცხსა და ცხელ ტოსტერზე ნასმულ ქლიავის ხილფაფას გემრიელად მიირთმევდა და ცუდს არაფერს მოელოდა...

ადამიანთა წვიმა მოულოდნელად შეწყდა და ირგვლივ სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა.

ამ უხმაურობით დაყრუებულმა ბატონმა ზოშირმა სარკმელი გამოაღო და ქუჩიდან შემოვარდნილმა ადამიანთა სისხლის სუნმა კინაღამ წააცია...

ის რაღაცას მიხვდა... სახეზე ხელი მოისვა და თითებზე შემხმარი უცხო ადამიანების სისხლი დაინახა... დაინახა და ტირილი დაიწყო...

– ღმერთო ჩემო, მე ხომ ფსკერზე ვარ!!! ფსკერზე ვარ და ამიტომ ვხედავ ადამიანების ვარდნას! ადელიადა, ჩვენ ფსკერზე ვართ და ამიტომ არ ვეცემით! – სასონარკვეთილი ხმით გასძახა საპირფარეშოში დიდი ხნით გაყურსულ მეუღლეს...

– ღმერთო ჩემო, მე ხომ ფსკერზე ვარ!!! ფსკერზე ვარ... – ღრიალებდა კაცი და ცდილობდა ჩაკეტილი ფანჯრების გაღებას.

უცრად, ბატონი ზოშირი რაღაც ძალამ ადგილს მოწყვიტა. მან ყურებმი ჰაერის შხეული გაიგონა და სუნთქვა შეეკრა. დიდი სიმაღლიდან ვარდნისაგან იგრძნო, გული როგორ გაეჩხირა ყელში... მოახლოებული სველი ასფალტის სურნელიც კი შეიყნოსა და ქუჩაზე ხელგაშლილი დაქეთქა...

ადამიანები მხოლოდ მაშინ ვარდებიან, როცა ამას ხვდებიან და შეიგრძნობენ.

მანამდე კი არსებობენ.

ცხოვრება მიხვედრაა და შეგრძნება, მეტი არაფერი... დანარჩენი გემრიელი არსებობაა.

პატონი ყაითამაზის შიში

გაპრაზებულმა და სულით-გულამდე შეურაცხყოფილმა ბატონმა ძალინამ იშვა მოისდროინდელი შაშხანა და თორმეტჯერ მაინც მოკლა ბატონი ყაითამაზი. ის კი მაინც ცოცხალი იყო...

ორჯერ, მოპირდაპირე სახლის ფანჯრიდან ესროლა და კარგად დაინახა, თუ როგორ მოხვდა ტყვია დილის გამამხნევებელი ვარჯიშისათვის აივანზე გამოსულ ბატონ ყაითამაზის გამელოტებულ თავში. საძულველი მსხვერპლი მხოლოდ შექანდა და შუბლის სრესით სამზარეულოში შებრუნდა.

სამჯერ ბატონმა ძალინამ საკუთარ საძილე ოთახში შაშხანის ხიშტზე წამოაგო...

კარგად დაინახა, როგორ ჩასრიალდა ხიშტის ალესილი პირი მტრის გულ-ლვიძლში... და მაინც არაფერი... თითქმის არაფერი.

მესამეჯერ, გამნარებულმა ბატონმა ძალინამ, მუცლის დიაფრაგმაც კი აახია და გადმოყრილი ნაწლავები სულ კონდახით დაჭყლიტა... მაგრამ მიუხედავად ამისა ბატონი ყაითამაზი კრუსუნით, მაგრამ სამივეჯერ მაინც წამოგდა სანოლიდან და საპირფარეშოში შევარდნილი ან გულისრევით ანდა კუჭში საშინლად ხმაურიანი გასვლით იკურნავდა თავს...

ოთხჯერაც მიბჯენით ესროლა – ორჯერ კეფაში, კაშშირის საერთო კრებაზე და ორჯერ კი ხერხემალში, საზეიმო კონფერენციაზე... მაგრამ „კეთილისმყოფელებმა“ წამლებითა და გულის მასაუით მაინც მოასულიერეს ეს კაცი, თუ არაკაცი...

ხიშტი მეთედ, მეთერთმეტედ და მეთორმეტედ, ნაჯახივით ამოარტყა ფეხებს შორის და მაინც ვერაფერს გახდა...

არაქათგამოცლილი ბატონი ძალინა ბოლოს კი მიხვდა, რომ „ერთგული მეულლის“, ქალბატონი მეტიასა და მისი იდების მომპარავის და ცოლის საყვარლის, ბატონი ყაითამაზის მზაკვრული ჩანაფიქრის წყალობით, უკვე ერთი წლის მკვდარი იყო...

– მე ჩემსას მაინც ვიზამ! – კბილებში გამოსცრა მან და საყვარლის მოლოდინში ნოხზე უხამსად გადაფლაშულ ქალბატონ მეტიას ნიხლებით შედგა...

– ცოცხლები კლავენ ერთხელ, მიცვალებულები კი უსასრულოდ! – ნარმოთქვა ცუდად გამხდარი საყვარლის გამო გულდათუთქულმა ბატონმა ყაითამაზიმა და შიშისაგან თვალებდაჭყეტილი ქალისაგან მზერა წიგნების კარადაში შემორჩენილი ბატონი ძალინას სურათზე გადაიტანა.

ფერად ფოტოზე ბატონი ძალინა შაშხანით ხელში იდგა. მის ფერხთით კი ორი რუხი მგლის ლეში ეგდო.

მაკა მიქელაძე



იძულებით აღაგზუცნაცვაცნი

რა ქმნას კარგმა მონარდემან,
დროზე შაში თუ არ მოვა?!

შემორაგულში ცხოვრობდა. შემორაგულს „პიტო-მნიკი“ ერქვა, ვინაიდან და რადგანაც შემორაგულის ბინადარნი ორ ფეხზე იშვიათად იდგნენ.

იმ ღამით, ბომბები როცა ცვიოდა, ოთხზე ბინადართაგან ველარავინ იდგა, კივილით და თავში ხელების ცემით დარბოდნენ ვოლიერები.

ოთხზე მდგარი ორფეხნი – მომვლელი კი თავ-გზააბნეულები დაფორთხავდნენ და მიჰკიოდნენ ბადიდან ბადეს... ვიღაც მიწაზე განვა, ვიღაც ჩაკეცა ნამსხვერევმა, ნუილით გაინგრა ბეჭონის კედელი. მაკა რეზუსი, სახელად გლახო, თავისუფლების ხერელში გამოვარდა ნიოკით. უკან, შავ ღამეში მოხტუნავე, ბენვაალებული თანამოძმენი და გულში მაი-მუნებჩახუტებული თმაგანენილი ქალები მოიტოვა.

გლახოს ჯოჯოხეთი უკვე ნანახი ჰქონდა. ცხოვრება ველარ შეაშინებდა.

ფართხაფურთხით მიჰქროდა ქუჩა-შუკებში, შემდეგ ორლობებებში, ბოლოს მინდვრებზე. სროლა აღარ ისმოდა... გზაზე გადადგა და ბლუილი რომ შემოესმა ძრავის, ცერა თითო აურია მოჯანჯლარე „ვილისს“.

გლახო დედაქალაქში ჩამოაბრძანეს, მაგრამ ზოოპარკის დანახვისთანავე კაბინიდან საბარგულში გადაძრო და ბრეზენტის სარკმელში დურთა თავი.

დედაქალაქი მუქი იყო, ჯარისკაცებიანი, მშიერი, მშოოთვარე.

„გლახომ“ დამოუკიდებელი ცხოვრება არჩია ტყვეობებს და გალიებს. სანაგვე ყუთიდან ძველი ქუდი ამოათორია და „უმუშევარ“ შადრევანთან დადგა. შემოურბენდა ორ ფეხზე შადრევანყოფილს, გაიწვდიდა ქუდს. თანდათან დაიხვეწა და ნახევარ წრეზე ითხოვდა შემწეობას, ბოლოს ორი ხელით ქუდალმართული დაზხვენებოდა. ფული კი ჰქონდა, მაგრამ პური არ იყო. ხშირად ქუჩის ნაგვით უწევდა გამოკვება. ფერად-ფერადი ქაღალდების ბლუჯებით

ვერაფერს ყიდულობდა... გლახო სასოწარკვეთილებას არ ეძლეოდა, მაღაყზე გადასვლას, ჰაერში სალტოს, ბეჭყირას და წინა კიდურებზე სიარულს ითვისებდა.

ერთ დღესაც, ქუდთან განმარტოებულიყო და ფულს ითვლიდა. აიღებდა კუპონს, დაყნოსავდა, გადააქნევდა და გადმოაქნევდა თავს, დედა, დედა, რა ინფლაციაა, ჩააპრუნებდა ქუდში, კიდევ, კიდევ.

გამოიარა ბოროტმა კაცმა და გლახო ქუდიანად შავი ქურთუების უბეში გაიქნია, წინასწარ პირზე ხელაფარებული.

მამუში დიდხანს აჯანჯლარეს ოღროჩოღრო გზებზე. ბევრი ათრიეს თუ ცოტა, წამლის ბარიგას გაუცვალეს ბოლოს ჩეკში. მისი შეგროვილი ფულით კი ზედ დასაყოლებლები შეიძინეს, დესერტებიანად.

„ბარიგა“ ცუდი კაცი იყო.

მან, ამ ცუდმა კაცმა, გლახოს მდოგვისფერი ფულეს პიჯაკი უყიდა, რეგლანი და კუბოკრული შარვალი და ფორებიანი ფეხსაცმელები, სახელად „მაკაკასინები“. აჭამა, ასვა, საძინებელი მისცა. გლახოს ერთადერთი რამ ევალებოდა, მოსულებისთვის კარი უნდა გაედო. მაინც ცუდი კაცი იყო... ავადმყოფური. გზადაგზა გლახოს წამლის დაფასოებაც ასწავლა, ფუთების პოლიციელებისაგან დამალვაც, უკანა კარიდან გაძრომაც და ნარკომანებისთვის თავის შეცოდებაც, მათი გართობაც და თავმომკვდარუნებულ „ბარიგაზე“ გლოვაც.

გლახოს ურტყამდნენ, თუ არ ასრულებდა ბრძანებებს. და ისიც შეურისძიებით აღიერს.

ყველაზე ხშირი სტუმრები ენვიონენ. გარეგნობა პქონდათ... გლახო მათთან შედარებით მზეჭაბუკი იყო.

ბარიგა შიშით ძრწოდა მათი დანახვისას. შავები, ავები. იქვე გადაუშვეს ბაიანები ვენაში, ცოტა ხანი იფხანავეს და... იბაზრეს.

ერთი იყო – მანქანის საბარგული დარჩათ ღია.

გლახომ მიიხედ-მოიხედა და თავისი ტაკუნების-ხელა წამლიანი ფუთა საბარგულში „გადაინახა“. საბარგული ხელის ერთი დაკვრით დახურა და მიიმალა. ავები ჩასხდნენ და წავიდნენ...

პოლიციის პოსტი ჰქონდათ გასავლელი და წააჩ-ერეს. თამამად გადმოვიდნენ, საბუთები და ძალად-გაფართოებული გუგები წარადგინეს. ის-ის იყო მან-ქანაში უნდა ჩამსხდარიყვნენ, რომ პოლიციელმა... ბოდიშს გიხდით და საბარგული წაგვიხსნითო...

— აურ! რა პრობლემაო! — ცალი ხელით ახსნეს საბარგული ამაყად, პირნათლად. ფაქტი ხომ უკვე ვენებში უჩუხჩუხებდათ, დასამალი რაღა იყო... უხ-მოდ, ერთი ღილაკის დაჭრით, წაგდებულად ახსნეს და... ღმერთმანი, პოლიციელებზე მეტად გადმოექა-ჩათ თვალები:

— გლახომ! შენი მაიმუნი დედააააც!

აბა, „ბარიგა“ რომ ამდენს მათ დასაჭრადაც არ გამოისტებდა, მსწრაფლ მიხვდნენ. ავები და შევები „ბარიგანად“ ჩასვეს.

გლახომ, სადაც პოლიციისგან დამალვა ასწავლეს, იქ გატრუნულიყო და თან, „ბარიგის“ გლოვის ნიშანად, როგორც დაარიგეს, ლოყებში ხელებს იტყაბურებდა. შიგადაშიგ ორ თითს ორ თითზე აჯვარედინებდა და იღრიჭებოდა. „ჰუ-ჰუ-ჰუ“. ცემა ასე არ უნდაო, ბარიგას სამალავიდან ბრანწიც დანახა და ერთი ხელით მეორის იდაყვიც მოიზომა. ხტოდა და მალაყ-ებს გადადიოდა.

ვიღაც გლახომ კი, ვისაც ბარიგა თავდაუზოგა-ვად და კბილების ლრჭალით აგინებდა, მომიძებნეთ, თავს მოვაჭამო, ხათრიანმა პოლიციელებმა ეჭვმი-ტანილად გამოაცხადეს და ძებნილად. რა იცი, რა ხდება, თუ ამათზე უარესია, დავიჭროთ, ჩვენი რა მიდისო?

გლახომ ბევრი იცინა, მდოგვისფერი პიჯაკი გაიხადა და ადგილსამყოფელი დატოვა, ოდნავ გულ-გატეხილმა. ამხელა პარტია ნარკოტიკის აღმოჩენა და გაუცნებელყოფა ჯილდოს და დაფასების გარეშე რომ დაუტოვეს.

განაწყენებულმა გლახომ სმას მიშკო ხელი. ჩამოიყვანეს დედაქალაქში, გამოსაფხიზლებელში. გა-მოფხიზლდა და ზოოპარკის მაიმუნქალებში დაინყო ძრომიალი. მაღალმორალურ დარაჯს გამოექცა და ძველი ქალაქის აბანოებისკენ გაეშურა. იქ ვიღაც ღვთის პირიდან გადავარდნილმა ქურდობის სწავლა დაუპირა... მასაც გაექცა და ბოტანიკურ ბაღს შეა-ფარა თავი.

შორეული და მშობლიური ბაღის მსგავს ბაღ-ში იდგა სახლი, სახლთან იდგა გუბე, გუბეში იდგა დუმფარა, გუბესთან ირწეოდა ბამბუკი, სახლიდან გადმოფენილიყო ნამტირალევი სარეცხი და დაცრემ-ლილი სურო. სახლში ცხოვრობდნენ უნინ „ლტოლვი-

ლები“, იმაზე უნინ „ბეჟუნცები“ და ამჟამად იძულე-ბით ადგილნაცვალნი. სახლს ჰქონდა ვიტრაჟიანი ფანჯრები და შუმაბანდები.

ერთ-ერთ ფანჯარაში ხალიჩას ფერთხავდა თამ-რო.

გლახომ თამრო ძლივს იცნო. იქ, შორს, შემორ-აგულში და ორივეს ბავშვობაში, პატარა გოგონა ხშირად დადიოდა მაიმუნების მოსანახულებლად, ლურჯთვალა, ბაფთიანი, თხილი მოპქონდა მათ-თვის. გლახომს ერვენებოდა რომ ყველაზე ბევრი თხი-ლი მისთვის მოპქონდა, ყველაზე ლურჯი თვალებით მას უმზერდა და ყველაზე ხშირად მისთვის გადმოის-როდა გრძელ თავთუხისფერ წანავს ზურგიდან მხ-არზე. გლახომსავით დაბომბვისას გამოქცეულიყო და ვილაცას „შეუკედლებია“. ამ შეკედლების შედეგად თამრო ის თამრო აღარ იყო... ორთაჭალელი უნა-მუსო გამხდარიყო.

— მშიაო, — ანიშნა გლახომ.

აჭამეს, რაც ჰქონდათ.

და დასახლდნენ წალკოტში გლახომ და თამრო... ჭირი იქა, ლხინი აქა... მაგრამ...

ისევ გათავდა საჭმელი, გლახომ სადღაც გაქრა და მალე ვალმოხდილი დაბრუნდა. ერთ მოზრდილ აკი-დოს და იღლიაში ამოდებულ პურს მოაჩრდაუნებდა. თამროს სარეცხს ტაშტში ჩაუგარდა და ცა და ქვეყანა შეძრა კივილით.

— შე ასეთ-ისეთო, ასე როგორ დაეციი? ამდენი უბედურება გამოვიარეებეთ! ამდენი ცოდვა ავი-კიდეებეთ! ამდენი ჭუჭყი და თავდასხმული ლაფი გამოვტოპეებეთ! ამდენი ვიტანჯეეებეთ! და ეეერთი და ეეერთადერთი მამშვიდებდა, რომ სხვისი ვენახ-იდან სხვისი მოყვანილი მტევანი მე არ ამიღავა... ვე-ნახის პატრონი ვენახიდან მე არ გამიღვდია... სანთელ-საკმეველის გზა მე არ დამიკარგავს... ეჺ.

გამნარებული თამრო ხელჩაკიდებულ, ყურებ-ჩამოყრილ, დარცხვენილ გლახომს მოთქმით მიანია-ლებდა ბაზრისკენ და ცრემლები ლაპალუპით ჩამო-სდიოდა.

— სხვისი ყურძენი რამ მოგაპარინა, რამ?

ქართულმზეჩამდგარი ყურძენი, მიწის შვილის ოფლით მოყვანილი ყურძენი, გულის ნაურით წევნ-ჩაყენებული ყურძენი, დალოცვილი და ნანინაზარდი, ნანინაგლევი, ნანინაფლეთი, ნანინაყვარი, ნანიმთა-ვარი... ანი და საკუთარი ბანი და ჰოე და მოველო, ლმერთმა, მოველ! მოვლილი ყურძენი, იძულებით ადგილ-ალაგ და გულნაცვალი ნუნუას ნენა მომყვანს და გლეხს და ნამდვილ პატრონს დაუბრუნეს. მე არ მომიპარავს, მიპოვნიაო. ...დაგიბრუნეთ სიყვარული და დაგვიბრუნეთო...

ასემც იყოს, ამინ და კირიე ელისონ!

3mგბის



January 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31
February 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28
March 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28
April 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28
May 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30
June 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30

გაგა ნახუცრიშვილი

* * *

მოდი,
დავლიოთ თითო ჭიქა,
სისულელეა,
მარტობას არ ამსუბუქებს,
მაგრამ დავლიოთ,
რაც არი არი!...
გადავიღალეთ,
დღეების და რიცხვების დათვლით,
ჰოდა, დავლიოთ,
იქნებ ვნახოთ ჩვენი სიზმარი...

კოკა არჩვაძე

მუხლები

სიზმარი. ბარიგის ძიება. მეზობლის პანაშვიდები.
 პატარა ბავშვი კაცის ხმით. ყვითელი ხუთკაპიკიანი.
 შიშველი ქერა ქალი უზარმაზარ კოკა-კოლის ქილაზე.
 პურის რიგი. თენგიზას კალაზა.
 როდოსის კოლოსი სკოლის სახელმძღვანელოში.
 მუხლუხო დანახული კიკეთში 1992-ში.
 ორ ლამები დახარჯული ხელფასი. რუსლანა, ადამიანი-ობობა.
 გაფუჭებული რობოტი ქალები ტელევიზორში.
 უბნის ფეხმოტეხილი ძალლი. ძალლის ავი პატრონი.
 ჩინელები სამსახურისკენ და სამსახურიდან.
 მომავალი და მომავლის პროგნოზები.
 არტოს ბალი. იყალთოს აკადემიის ნანგრევები.
 მამათმავალი მომდერალი ვარდისფერ კაშნეში.
 ინტერპრეტაცია და ოვერინტერპრეტაცია.
 საქართველოს პრეზიდენტის დადგენილება.
 შინდის ტოტებზე შემწვარი მწვადი.
 ბოჰემიური ბროლის ჭალი. სამყვარულო ფრენბურთის ლიგა.
 ტანკები. ნაგაზი. ათი აპრილის ლამე.
 ფილიპინელი კახპის შამპუნი. ფორთოხლის წვენი. შემოდგომა.
 საქართველოს ეროვნული ბანდი ტარხუნის ლიმონათი.
 ბორჯომის ცაზე შეფენილი ვარსკვლავები.
 წმინდა ბარბარე. კისტის თოფი. ჯიგრის ყაურმა.
 ქუჩაში გაყინული დედა-შვილი. ბიძაჩემის თვალები.
 სამი ყუთი მანდარინი. და შემოდგომა. ისევ.
 ასე იწყება სიყვარული, ჩუმი ლილინით,
 სადღაც კეფასთან შეყუული სამიოდ ნოტით,
 იმის შემჩნევით, რომ შენ მხოლოდ მე გამიღიმე,
 და სიხარულით, რომ შენ შეგხვდი, რომ აღარ მოვავდი.
 ასე იწყება სიყვარული, ერთი შეხედვით,
 ერთი შეხებით, ორი სიტყვით, სამიოდ ნოტით,
 თითქოს სიცხეში შადრევანის მოგხვდა შეფეხი.
 და ვეღარ ხვდები ვინ იყავი - მეფე თუ ლოთი.
 ასე იწყება სიყვარული, შორი ქალაქის
 უშმურ კაფეში, რეინის სკამზე, მერვე კოქტეილთან,
 თითქოს დაერიფე უკვდავების მწვანე ბალახი
 და ზუსტად იცი - აღარავინ აღარ მოკვდება.
 ასე იწყება სიყვარული, მას იმსახურებს,
 ყველა პოეტი, ყველა გიური, ყველა უმწეო
 და შენც ნარსულის ყველა კარი ფრთხილად დახურე,
 ახალ სიყვარულს ახალი ლექსი რომ დაუწერო.

რა არ ვიყიდე...
 სულ პირველად ბატიბუტის წითელი ბურთი,
 ყველაზე ტკბილი.
 ვეებერთელა ტომარაში ჩაყრილი და
 ჩვენს ქუჩაზე ატარებულ-ჩატარებული.
 რა არ ვიყიდე...
 მეორედ ჯოხზე შესკუპული ტკბილი მამალო,
 ეგეც ჩვენს ლამაზ ქვაფენილზე ატარებულ-ჩატარებული.
 ეს ქუჩა სავსე იყო თეთრი აკაციებით.
 ბატიბუტის და მამალოს ყიდვა თუ არ შემეძლო,
 ყვავილების სიტყბოც კმაროდა იმისათვის,
 რომ გაზაფხულს თავი მარტო არ ეგრძნო და
 ამყოლოდა სიხარულში, რომლის ყიდვაც არასოდეს დამჭირვებია.
 რა ნაყინი, რა სანეპი, რა პლასტმასის თოჯინები,
 რა ქვაბები, რა ფანქრები, რა მაქმანები,
 რა მძივები, რა ბროშები, ფინიკის ხურმა,
 ინგირული რვეულები,
 შაქრის ბამბის ტკბილი აგური – იაღლლიბულლი...
 რა არ ვიყიდე,
 რა მზესუმზირა, რა დონალდო,
 ღია ბარათებს თვლა არ ჰქონდა,
 წერილების ლამაზ კონვერტებს.
 გადავდიოდი ოცნებიდან ოცნებაში, რომ ერთხელაც
 გავიზრდებოდი, სადიდო ფილმებს ვნახავდი და
 შეყვარებულს ვაყოცებდი,
 არც ობობები შემაშინებდნენ
 და ვიყიდდი ნამდვილ მანქანას, ნამდვილ ჯინსებს,
 ნამდვილი ფულით ნამდვილ ბეჭედს ვიყიდდი და
 შეილთაშვილებს სამახსოვრდ დავუტოვებდი...
 რა არ ვიყიდე იმის მერე,
 რა ფული არ მეჭირა ხელში,
 სხვადასხვა გერბით, სახელით და ფერით შემკული,
 რა არ ვიყიდე,
 ხუთი ტონა კარტოფილი, სტაფილო, ფქვილი,
 შვიდი ტონა მწვანილი და ბალახ-ბულახი,
 ტონა ლობიო, ტონა რძე და ტონა ზეთი, ტონაც მუხუდო,
 შპალიერი, ჯინსი, ქურთუკი, რა არ ვიყიდე,
 დიდი ქვაბი, დიდი ბალიში, თარო, კარადა, უურნალ-გაზეთი,
 ვიღას ახსოვს ქვაფენილზე ატარებულ-ჩატარებული მამალოები...
 ჭარხალი, ხახვი, ცხიმი, ფხვნილი, ტომატი, ვაშლი...
 კიდევ კარგი რომ დროსავით არ ილევა ხელი საქმეში.
 აი, ბეჭედი კი ვერ ვიყიდე...
 შეილთაშვილებს რა დავუტოვო,
 რით შევიმურ ცარიელი, დამჭერარი ხელი,
 პირჯვრისნერას რომ ვერ აუდის...
 ვინ დავაჯერო,
 რომ საყიდელიც არაფერია...
 ან ის თეთრი აკაციები სადღა ვნახო,
 ტოტებზე ტკბილი მამალოებით
 ბატიბუტის მრგვალ პლანეტაზე ამოზრდილები...

ჯერ ჩუმად, გაუბედავად დავიყვირე.
 ზუსტად ისე,
 უკაცრიელ სახლში შესვლისას
 როგორც ვუხმობთ ვინმე სულიერს – არის აქ ვინმე,
 დედამიწაზე?
 არის თუ ყველა ერთად ამონტდით?
 სხვებს გავხედე,
 აბა, ისინიც თუ ხმაურობდნენ,
 აბა, გული თუ აერიათ ყელგამოჭრილ გვამებზე მათაც
 და სასწრაფოდ გადარეკეს სახლში, შვილებთან –
 მათი სიცოცხლე გადაამონტეს.

მშვიდად!
 ჩვენს სახლებს, ალბათ, ბომბები არ ემუქრება,
 მშვიდად – სახლები ტყვიებს აისხლეტს.
 და კიდევ კარგი, ჩვენი ქვეყანა უსაფრთხოა,
 და კიდევ კარგი, როგორც ვიცით,
 არის წილხვედრი – ეს სიჩუმისთვის საკმარისი მიზეზია.
 იქნებ მე დავყრუვდი-თქო, მსოფლიო კი ყვირის.
 საკუთარ ყურებს დავაპრალე და გავჩუმდი.

იქნებ სხვისი ყვირილი საკმარისია,
 ჩვენ მაინც რუკაზე არ ვჩანვართ და...
 არაფერი გვითქვამს.

ბავშვები დამარხეს.

...

მას შემდეგ,
 ღამის რიტუალადაც მექცა,
 ვრთავ დასავლური მედიის წამყვან ამბებს და
 დაუინებით ვცდილობ მევდრებში ბავშვები გამოვარჩიო.
 შემდეგ მივდივარ ჩემს მძინარე, 9 წლის გოგოსთან,
 დავყურებ და ვფიქრობ,
 ღმერთო,
 თუ მიწა შენი შექმნილია და განაწილებული
 და დავუშვათ, მე ეს დავიჯერე,
 მაგ დროს სად ხარ ხოლმე,
 როცა ადამიანები მაგ მიწისთვის ხოცავენ ერთმანეთს.
 როცა შენთვის თუ შენი სახელით
 ადამიანები აფეთქებენ საბავშვო ბალებს,
 ქოლავენ ქალებს,
 აყრიან მიწას და იბანენ ხელებს.
 ან მსოფლიო სად გაქრება ხოლმე
 მაგ დროს,
 როცა დნება ჩემი.
 როცა დნება შენი.
 როცა დნება ჩვენი
 პლასტელინის ღმერთი.

როგორ ხარ, ლეტო?
 ნუ მეტყვი, რომ გადაგივიწყე –
 ხომ გახსოვს, თვითონ მასნავლიდი,
 სიტყვები ჰგვანანო ქერქეამძვრალ ბანანს,
 რომელსაც ჭამენ როცა შიათ ანდა
 უბრალო დესერტია ნასაფილებს, მორწმუნეთათვის.
 ეს რაც იჭმება... და რაც არა?!
 მე არ მინდა ფეხი დაგიცდეს.
 სამხრეთი შენგან – ეკვატორი,
 ელექტრობორის მავთული ჩემთვის,
 რომელზეც ვჯდები საოცნებოდ ნაცრისფერი თუთიყუშივით
 და ნარმოვიდგენ რომ ვარ უაკო –
 რუხი ფრინველი.
 ნარმოვიდგენ ასალებად გამზადებულ
 მარცვალგაცლილ სიმინდის ყანებს,
 ფერმერთა წყევლას და ჩვენს გუნდებს...
 გესმის? დავცინით...
 ახლა ბნელდება.
 მოადგა ღამე მატარებლით ცარიელ სადგურს
 და რიგრიგობით ჩამოცალა თალხი სიზმრები ვაგონებიდან.
 ვგრძნობ, როგორ ირევს ამ მეწამულ ილუზიას
 ეს ცხელი ღამე,
 სოფელი კი ჰგავს საპატარძლოს თეთრ სალამურში.
 ეს პროცესია მეორდება როცა ბნელი,
 კატასავით წვება ფეხებთან .
 მდინარე კი ისევ იძახის:
 „დებო და ძმებო,
 დედებო და მამებო, და თქვენ – ცოდვილნო,
 ჩამოდით ქვემოთ!
 დავდგეთ ლოცვად, რომ გვასწავლოს გულმოწყალე
 მაღალმა ღმერთმა
 გზა ხსნისა,
 გზა წვიმისაკენ,
 გზა არსაითკენ მიმავალი“.
 და ჩვენც ვლოცულობთ,
 გვნამს მხოლოდ ხსნის,
 არც ერთ ჩვენგანს – ჯოჯოხეთის
 (კაცმა არ იცის, სად უფრო ცხელა).
 უნებურად მეფიქრება, რატომ სურთ
 ჩვენებს გადაინახონ თავიანთი სულები ცაში,
 რომელიც არის სამყაროს სხვენი.
 ერთი კიდიდან მეორეში გადავადნას ჰგავს.
 სარდაფის ვიწრო ჭუჭრუტანა უფრო ლურჯად გვაჩვენებს ცას,
 ვიდრე ის მოჩანს სახურავიდან.
 და საერთოდაც,
 მისი ფერი არ არის ლურჯი –
 ის ცისფერია.
 ბოლოს კი, ლეტო,
 მამაჩვენების საზიარო წყალსაცავი, ტბა თუ რაც იყო,
 ამ სეზონზე სრულად ამოშრა და
 გვერდიგვერდ უწყლობით ღაფავენ სულს
 თევზები და ჩვენი ბავშვობა.

ნატო ინგოროვა

ყვითელი, მნვანი, ნითელი

წინადღე

ჩაალაგე
(თითქმის) ყველაფერი.

დაალაგე სახლი
(გზა სავსეა მოულოდნელობით).

დატოვე ისე,
როგორც გინდა იყოს.

წაშალე საიდუმლო ლექსის ისტორია,
გაანადგურე გადანახული ხელნაწერები,
გადამლილი სიტყვებით
(მათ შორის ფოტოებიც).

მიეცი სახლის გასაღები მას,
ვისაც ენდობი.

მასვე გაუმხილე

შენი დანაზოგი საპანკო ანგარიშზე,
დაუტოვე გადასახდელი ვალების სია.

არ დაივიწყო მგზავრის

საკითხავი წიგნი,

იფიქრე ჩანთაზე,

რომელიც შესაძლოა გაიბნეს.

დაივიწყე მინა,

შიში გაივლის

და

გაფრინდი.

გზაში

მიენდე ფრთებს,

ისინი გაიშლებიან მაშინ –

როცა დროა.

გადასდე სიმშვიდე მეორე მგზავრს –
გაულიმე,

იცოდე, გულში ისიც ლოცულობს.

გაიხსენე ფილმი,

კიდევ ერთხელ რომელსაც ნახავ,

თუნდაც იმიტომ,

რომ შეიქმნა ილუზია,

შესაძლოა შეიცვალოს ფილმის ფინალი.

გახსოვდეს – ყველაზე უტყუარი გზა –

საკუთარ თავში ჩაბრუნება

და ძილის ქვეყანა,

რომელიც თუ გიწყალობა,

სიზმარს აგიხსნის.

გაჩერებაზე

იყოს გული კომპასი.

მიენდე შუქნიშნის ფერს,

და ნუ იქნები ის,

ვინც არასდროს იხედება იქით,

საიდანაც საფრთხე მოელის.

გახსოვდეს:

მან, ვინც პირველი ნაბიჯი გადადგა ისე,

რომ არავის ჩასჭიდებია,

იცის,

არცერთი დახვედრა

არ ცვლის ჩანთის სიმძიმეს,

რომელიც დაგაქვს.

ზურა პაპიაშვილი

კოცენა

დღეს გაკოცე.
 ალბათ უკანასკნელად,
 გაკოცე, რადგან მივდივარ.
 ლექსი წაგიკითხე,
 ის, რომელიც პირველად დაგინერე.
 სხვებიც მინდოდა, მაგრამ
 ზეპირად მხოლოდ ის მახსოვს,
 რომელიც პირველად დაგინერე.
 ომია.

ალბათ ომშიც დაგინერ ლექსს,
 თუ რა თქმა უნდა ტყვია დამაცდის,
 დაგინერ, თუ რა თქმა უნდა
 მოლოდინი გექნება რომ
 სანგარში ჩუმად დაგინერ ლექსს.

დღეს გაკოცე.
 კოცნას მოუსვლელობის
 სურნელი ახლდა,
 სიზმარიც უცნაური ვნახე.
 ნეტავი არ მეკოცნა,
 გზად მოუსვლელობის
 სურნელი გამტანჯავს.
 ნეტავი არ მეკოცნა,
 პირველად მეშინია სიკვდილის
 და ისიც შენი კოცნის გამო,
 ნეტავი არ მეკოცნა.

რატი ქართველიშვილი

* * *

ადამიანი,
 რომელსაც შესწევს უნარი,
 მოგონებებით გააცოცხლოს ყოველი წვრილმანი
 განვლილი ცხოვრებიდან და, ხელმეორედ,
 ძველებური სიმწვავით განიცადოს ყოველივე ის,
 რაც უნინ ათრთოლებდა მის სულს.
 ცამეტი წელი...
 ოცი...
 ოცდაათი...
 ო, ეს არ არის სიშორე მისთვის...
 მაგრამ, ეს გრძნობა ყველაზე დიდი მტერია მისი.
 რატომ? – ასეთ ადამიანს ყოველთვის უფრო მეტად უყვარს საგანი
 მას შემდეგ, რაც მას დაკარგავს.
 გული ივსება მოგონებებით, გული კი ერთია...
 ხოლო, ტალღებმა თუ მოგაშორეს
 დლევანდელი დღის ნაპირს, –
 ცხოვრება არარაა...
 ადიხართ კიბეზე, აღებთ კარს, შედიხართ ოთახში...
 თქვენს ოთახში სიჩუმე და სიცივეა...
 და თქვენ თქვენი ბინა გეჩვენებათ
 სააქაოსა და საიქიოს შუა სამყაროდ.
 ჯდებით სარკესთან ჩამქრალი ბუხრის წინ,
 იღებთ ჰამსუნის „ვიქტორიას“
 (სიყვარული... ეს ანემონაა,
 რომელიც კვდება ხელის შეხებით.
 სიყვარული... მას შეუძლია დალუპოს ადამიანი,
 მას შეუძლია სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე
 შეპყრობილივით ეჭიროს შენი გული...
 ძვირფასო! მე გავჩნდი ამ ქვეყნად
 მხოლოდ იმიტომ, რომ შენ მყვარებოდი
 და შემდეგ ისევ დავმშვიდობებოდი სიცოცხლეს.

მოვა გაზაფხული, რომელსაც მე უკვე
 ვეღარ დავინახავ,
 ხეები ბალში კი დარჩებიან ჩემს შემდეგაც) ...
 აღებთ ყუთს...
 საიდუმლო წერილების კონა...
 პირველი, რაც თქვენ გეცემათ, ეს –
 სპეციფიკური სუნი საიდუმლოების
 და ვარდის გამხმარი ფურცლებისა.
 ოთახი სავსეა წარსულის ლანდებით,
 თვალები – სინანულით.
 მიღიართ სარკმელთან, იქიდან კი გიყურებთ
 გვიანი შემოდგომის წვიმიანი დღე.
 რა ხდება ამ დროს თქვენ გულში? ..
 ო, ნუ იტყვით, არა, ამას უკეთ მეტყვის
 ნოემბრის ყვითელი ბალები და
 შემოდგომის დაქანცული გაზონი.
 ის არ იყო ლოთი, არც ჭლექიანი...
 ის დალუპა მეტიმეტად მგრძნობიარე გულმა,
 და, შესაძლოა, შეგრძნებამ, რომ ის მარტოა...
 შედიხართ ოთახში...
 პირველი, რაც თქვენ გეცემათ, ეს –
 სპეციფიკური სუნი კვამლისა...

January 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28 29 30 31
February 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28
March 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28
April 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28
May 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28
June 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28
July 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28
August 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28
September 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28
October 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28
November 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28
December 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26 27 28

ଅକ୍ଟୋବର

4



ვესაუპრეზიდენტარადეს

ისე მოხდა, რომ ლიტერატურული კრიტიკა აქამდე მხოლოდ ცოცხალ, ჩემს თანამედროვე ავტორთა, ან საუკუნეების წინათ გარდაცვლილ კლასიკოსთა შემოქმედებაზე თუ დამინერია. პირველ შემთხვევაში საკუთარ თავთან ცოტაოდენი ბრძოლა გინებს – შენში გააქტიურებულ უხერხელობას იგნორირებას უკეთებ, ცდლობ, პირუთვნელი იყო და თავს იმშვიდებ, რომ ლიტერატურას ემსახურები და არა მწერალს. მეორე შემთხვევაში საქმე უფრო მარტივადაა – ავტორი საუკუნეების წინ მიებარა მინას და, შესაბამისად, მის თვალებში ჩახედვისაც არ გერიდება, ზედმეტი დაბაბულობის გარეშე იწყებ მუშაობას.

მაგრამ როცა შოთა იათაშვილმა ზაზა თვარაძის წიგნად გამოსული პოემა, „მხიარული ლანდები“ მრავალმნიშვნელოვნად მაჩუქა (მრავალმნიშვნელოვნად იმიტომ, რომ ალბათ გულისგულში ელოდა, რომ ამ პოემაზე დაწერის სურვილი გამიჩნდებოდა და არც მოუტყუებია ინტუიციას), როცა წავიკითხე და ჩემში ნაცნობი განცდა – ტექსტზე საუბრის სურვილი გამოიკვეთა, ერთბაშად ვიგრძნი, რომ რაღაცამ შემბოჭა – ზაზა ჩემ მიერ ზემოთ ნახსენებ არცერთ კატეგორიას არ მიეკუთვნებოდა. სამწუხაროდ, ის სულ ახლასან – რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა, და მე უკვე აღარ ვიცოდი, იმ ადამიანის შემოქმედებაზე, რომლის წასულით გამოწვეული სიმძიმე ჯერაც არსებობს, რა უნდა მეთქვა, თუკი, ვთქვათ, კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმა მომინდებოდა; ხომ არ იყო ეს უხერხელი მაშინ, როცა მისი დაკარგვით გამოწვეული ტკივილი ჯერ კიდევ არ გაგრძელებია...

ბოლოს ისევ ზაზას პოემა დამეხმარა. კიდევ ერთხელ გადავიკითხე და ვიგრძენი, რომ ამ თავიდან ბოლომდე კონვენციური ტექსტის ავტორმა მკითხველის სათქმელიც კი წინასწარ იცოდა. სწორედ ამის მერე მივხვდი მთავარს, რომ წერილი ზაზას მეგობრებისთვის და ახლობლებისთვის კი არა, თავად ზაზასთვის უნდა დამენერა. სათქმელსაც ყველაზე უკეთ ის გაიგებდა და აღიქვამდა.

„მხიარული ლანდები“ ზაზა თვარაძის დაუსრულებელი პოემაა, რომელიც მისმა მეუღლებ ზაზას გარდაცვალების შემდეგ დაალაგა, რედაქტირება გაუკეთა და გამოსცა.

მთელი ამ ასგვერდიანი ეკლექტიკური ნაწარმოების კითხვისას, პერიოდულად გიჩნდებათ მოლოდინი, რომ ამა თუ იმ ადგილას პოემა უნდა დასრულდეს, რადგან სათქმელი ითქვა, რადგან ტექსტში მოცემულმა „არეულობამ“ ყველანარი ზღვარს გადააჭარბა. მაგრამ პოემა გრძელდება და მისი რიტმი, მისი ჭრელი დეკლამაცია შენში აგრძელებს რევერბერაციას, გიყოლიებს, ავტორის დაუმთავრებელ სათქმელებს გახმოვანებინებს, ერთი სიტყვით, დამთავრების პირი არა და არ ჩნდება. რადგან ის ყველაფერი, რაც იქ არის მოთხოვილი, სიცოცხლიდან სიკვდილში და პირიქით – სიკვდილიდან სიცოცხლეში უსასრულო გადადინება-გადამოდინებაა, სადაც ავტორთან ერთად, ყველა ჩვენგანმა საკუთარი შეგრძნებები უნდა გადმისცეს. აი, სწორედ ამიტომაც ასეთი მიმზიდველი ეს ტექსტი, რომ პოეტი შენც ამ მოყოლილი ამბების თანამონანილედ გაქცევს, გაიძულებს, რომ იზრუნო მასზე, ხელი არ გაუშვა, რადგან ის „წერტილის დასმას“ აპირებს.

„დასვი წერტილი“ – ეს მინირეფრენი მთელი ტექსტის მანძილზე ერთდროულად გამშვიდებს და სასოწარკვეთილებაშიც გაგდებს: მუდმივი მოლოდინი სუიციდურ რემინისცენციას, რაღაც ბუნდოვან ისტერიას იწვევს და ამავდროულად გამოსავალსაც გთავაზობს დასასრულის სახით.

თუკი ფიზიკაში ფორმულის მეშვეობით გამოვსახავთ ელექტრობას, სითბოსა თუ მიზიდულობას, ლიტერატურული ეს რთულია და კიდევ უფრო რთულია ამ პოემაში. როგორ უნდა განვიხილოთ ტექსტი, რომელშიც ერთმანეთშია არეული ლიტერატურული და ყოფითი ენა, ფაბულური და ირეალურ-მხატვრული დრო-სივრცე... თავად ტერმინი „ყოფითი ენაც“ არაა ერთმნიშვნელოვანი ცნება. ის თავის თავში მოცავს სასაუბრო ლექსიკას, ძველ თუ ახალ უარგონს და ა.შ. ასეთ დროს ფიქრობ, სჭირდება თუ არა მეტობელს „შუამავალი“, რომელიც ამ ავტორთან უფრო მიახლოებს, მის „არეულ-დარეულ“ ტექსტს მოწესრიგებულად მიაწვდის და გზის გაგრძებაში დაეხმარება? იქნებ ეს ის ნაწარმოებია, სადაც „დალაგება“ ყველაფერს „არევს“, გააფუჭებს... მაგრამ ასეთ



ლელა კოდალაშვილი

ფიქრებს არათუ ამ მცირე წერილის, არამედ მთელი ლიტერატურული ესეისტების უარყოფამდე მიყვავართ, თუმცა კი, გამოსავალს ისევ ვპოულობთ: გზამჯელების ფუნქციაც ისეთივე მრავალაზროვანი შეიძლება იყოს, როგორიც თავად ნანარმოებია; მეტიც, ყველა ადამიანი სხვადასხვაგვარად შეიძლება მოუდგეს სიტყვას და შხოლოდ თავისთვის ნიმანდობლივი, ინტროვერტული შეგრძების პროდუქტი – ახალი ნანარმოები აღმოგვაჩენინოს.

პირველივე სტროფებიდან შემოდის ექსპრესიული პიეტური სამყარო – ერთი შეხედვით აბსურდულად გადაჯაჭვული მოვლენები; იკვეთება ავტორი, რომელიც არ ექვემდებარება ხელოვნების გამოხატვის ე. წ. კორექტულ ფორმებს და სახლიდან გაქცეული ცელქი ბავშვით აწყდება სამყაროს უცნობ თუ ნაცნობ ბარიერებს. დრო მისთვის პრობლემას არ ნარმოადგენს. ქრონოლოგიას მხოლოდ შინაგანი ლოგიკით ალაგებს. სტრიქონიდან სტრიქონში განსხვავებულ ნახტომებს აკეთებს, ხანდახან მათ შორის შემაერთებელ ხიდსაც კი ამტვრევს, თითქოს უნდა, რომ მკითხველი თავიდან მოიცილოს და მარტო დარჩეს. მისი მცდელობა ამაოა, რადგან გამოსავალს მაინც ვერსად ხედავს: „წერტილი-მეთქე! რაც ხარ, ეგა ხარ: შეუსრულებლის ვერშემსრულები!“

თითოეული სტროფი პრობლემიდან მოწყდომა და დიდ, გაურკვეველ სივრცეში გადაშვებაა, თითქოს უხილავი კარის გაღების სურვილი, მაგრამ ესეც ამაოდ. „ეს სხვა ხალხია, შენს სულ სხვას ეძებ,“ ამბობს და მუდამ გახიბლული, მუდამ მოტყუებული რჩება.

შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ამ პოემის სახით მივადექით რაღაც ისეთ მოვლენას, რომელიც გამორიცხავს ჩვენს რელატივიზმს, რადგან საქმე გვაქვს მეტ-ნაკლებად ურთიერთსაპირისპირო ესთეტიკურ კრიტიკულმა მონაცემებისათან. განწყობილებები, თამაში ესთეტიკით, იუმორით, სარკაზმით, პათეტიკიდან სასონარკვეთამდე, მერე კი უკან – ამ ყველაფრის ხელახლა გასავლელად და კიდევ ერთხელ სათქმელად პერიოდულად გაისმის: „დასვი წერტილი!“ ამ სიტყვებს ავტორი ხან მეტისმეტი სიმკაცრით ამბობს და დაუნდობლად იქრის რეალობას, ხან სასონარკვეთილი, სუსტი და თავის თავში ჩაკეტილია. დროდადრო მისი პირქუში, დარდით დამძიმებული მეტყველება პოეტური სახეებით, როგორც ბრჭყვალა ნიუარებით, ნათებას იწყებს. აი, მაგალითად, „დილამ ქალაქი გაასილაქა“, ამბობს და მკითხველიც სილაშემოლანუნებუ-

ლივით ცდილობს, გამოერკვეს და ახალი განწყობილებითა და მოლოდინით გააგრძელოს კითხვა.

ყველაფერი ერთადაა აგლესილი – ბავშვობა, სკოლა, მოხუცაბულობა, მკედართა სულები, ცოცხალი ადამიანების სახეები. ეს ნაკრები ერთი დიდი, მთლიანი სამყაროა. ავტორი სხვა განზომილებაშია გადასული და ამიტომაც ახერხებს, განზომილებრივი უკიდურესობების მფლობელი იყოს – სიკვდილი და სიცოცხლე, ბავშვობა და ასაკოვნება... და არ იცის, რა უყოს ამ არეულ ნაკრებს, რითი მართოს... თითქოს ნააღრევად დამნიფებული სული მის ხელთ არსებულ ინფორმაციას თავს ვერ ართმევს და დაბნეულობისგან წერტილის დასმას ამიტომ მიელმის.

ქვეყნისგან ავტორის ძირითადი განხიბვლა კი ამ საკვანძო სტრიქონებში ჩანს:

„და დროის მიღმა, და რღვევის მიღმა ქვეყანა ახალს არაფერს ამხელს.
და ყველაფერი ხდება დამღლელი,
და ყველაფერი ხდება უაზრი,
ისე ირლვევა ეს სინამდვილე,
რომ აშენება ვერც კი მოასწრო.“

პოეტის ერთ-ერთი მთავარი დარდი ისაა, რომ „არსებობს სადღაც ფარული ენა, სიტყვებს მიღმა რომ მიედინება.“ და სწორედ ამ ენის ძებნის გზაზე, რომ მას ამდენი ნაივურობა სდევს თან. ზაზას პოეზია იმ საწყისის ნახევრად პოვნაა და ალბათ ამიტომ გვესმის და თან არ გვესმის მისი სიტყვები.

„სხივმა აოტნა ბნელნი სრულებით,
გორის კორტოზე დასცა კარავი,
ხედავ – მოგორავს გზაზე ურემი
და მის კოფიზე მღერის არავინ.“

აქ სამყაროს სისახსე უპირისპირდება მის განყენებულობას და სიცარიელეს. სწორედ ამიტომ, ხელახლა იჩენს თავს ეს განცდა. მაშინაც კი, როცა ნაცნობი სამყარო ძალიან მოსწონს, ის მაინც აგორაფობით შეყყრობილივით გარბის, რომ რაც შეიძლება მალე მიაწყდეს შემაფერხებელ, ყველაფერის ჩამკეტაც კედელს. ნებისმიერი სტრიქონი სუიციდით სუნთქავს და უსაზრისობითაა განმაჭვალული. „მე ნავალ მარტო, მე აღარ მართობს მშობლიურ ცისქეულ ყოფნან წერტილად.“

პოეზიაში გამოყენებული მეტაფორების ვიზუალიზაცია რომ ვცადოთ, შეიძლება თავგზა აგვებნეს. მაგრამ ეს ფსიქოლოგიური საკითხია, რომელიც პოეტის მიერ შექმნილ მეტაფორებსა და კრეატიულ მკითხველს შორის კონტაქტის მოწესრიგებას უწყობს ხელს. რაც შემდეგ ლიტერატურულის გარეთ, ზოგადინტელექტუალურ ფასეულობებში უნდა გადავიდეს და იქ გააგრძელოს ფარული თუ ღია ცხოვრება, დაიმკვიდროს ადგილი ჭეშმარიტებათა შორის. სხვა საკითხია, თუ ვინ რას მიიჩნევს მართებულ ფორმულირებად. მაგალითად, ელიოტი თვლის, რომ დანტეს მოსაზრებები შედარებით გაცილებით მეტ ჭეშმარიტებას ატარებს. ხოლო ბოდლერი მიიჩნევს, რომ გარკვეული შესაბამისობაა უმთავრესი, რომელიც ყველ-

გან და ყველაფერშია. რას გაუგებ ადამიანებს, და მით უფრო, პოეტ-ადამიანებს. ისინი ხომ ტექსტს ხშირად მყისიერად მოხელთებული შეგრძნებებისგან ქმნიან, რომელთა დახასიათება და შინაგანი ბუნება მათთვისაც არეული ძაფივითაა. და ხშირად ტყუილად ვწვალობთ ისინი, ვინც ვკითხულობთ და ვცდილობთ, ამ ემფატიკურ აბურდულობაში ჩვენ-ჩვენი ძაფის წვერი ვიპოვნოთ.

ზაზა თვარაძის პოეზია გარეგანი და შინაგანი სამყაროების გადაკვეთის ნერტილია. ის დანის პირზე დადის და, ცხადია, ფეხიც უცდება. სწორედ ასეთ მომენტებში პოულობს ის საკუთარ თავს და ლექსიც „მშვიდდება“. სწორედ ასეთი, სახეებისა და განწყობის ერთდროულობის უიშვიათესი ნიმუშია:

„უკვე თერდება, ცივი დღე არის, მოქალაქენი გარეთ გადაან, პორიზინტიდან ქარი უბერავს, და ხანძარივით ანთებს განთიად.“ ეს არის ქარის მოვალეობა, ეს არის სიზმრის ცივი სიმართლე, ფრინავს ქალაქი, როგორც ხომალდი და აფრასავით მისდევს სინათლე“

უცნაურ ესთეტიკას ვაწყდებით ზაზა თვარაძის ამ პოემაში – როდესაც ყოველი მომდევნო სტრიქონი საზღვრებს სცილდება, ტრანსცენდენტურ ფორმაში გადადის და ავტორი ფილოსოფიურ უკიდეგანობაში გვარგავს, უცებ, მოულოდნელად ამბობს ისეთ შეუსაბამო სიტყვებს, როგორიცაა: „ჭყვიში“, „გორი“, „მეზობელი ბუხუტი“ და ა.შ. რომელიც გვალიზანებს, მინაზე გვანარცხებს და ვინწყებთ ფიქრს, რატომ იქცევა ასე ავტორი, რატომ გვისხამს ლვინოში წყალს, რითიც რეალობაში გვაბრუნებს და პრაგმატულ სოციალურ ყოფაში გვიზავებს თავის ეგზისტენციალურ აპათიას. და მხოლოდ მერე, ტექსტის ხელახალი წაკითხვისას ხვდები, რომ გვიფრთხილდება, არ ვემეტებით იმ სამყაროში გადასაკარგად, სადაც თვითონაა გადახვენილი და ერთგვარი კომიზმით გვაბრუნებს უკან – მინაზე: „ფარისევლობას – რწმენა გვიქვია, თვით „ივერია“ არის სასისყი, აქ კოსმოსს, ვარსკვლავს, ცას და ტელესკოპს ზედ არ აფურთხებს ერთი კაციც კი...“

პოემის სტროფებში ერთმანეთს ენაცვლება მარცვალთა სხვადასხვა რაოდენობა, მათი შენყობა-შეთანხმება ტაეპებს შეგნით. ერთ ადგილას ზაზას შემოაქვს გამომწვევი რიტმი – ერთმანცვლიან სიტყვათა რეპი:

„თუ ჩემს წინ მდგარ ძმას ვძენ ამ გზით მხნე სულს,
არც სხვა რამ მნადს და არც სხვა რამ არ მსურს“


მისი ენა ისეთივე ჭრელია, როგორც ის სამყარო, რომელსაც გვიხატავს. არის ყარგონიც, ბარბარიზმებიც, სლენგიც – ეს წორმები გვერდიგვერდ თანაცხოვრობენ. მაგალითად, ჯერ წერს: „ავი სულები ავად ბაზრობენ“. და იქვე ასეთი პათეტიკური აკადემიზმით აგრძელებს:

„სინამდვილე ხომ რაღაცას ფარავს,
როგორც დამის ზღვა და ნისლი დილის,
და ბოდვაშიც ხომ მარად და მარად
გაკრთება უცნობ სიცხადის ჩრდილი.“



პოემაში არცთუ ისე სანთლით საძებარია ბანალურ რითმათა წყვილები, როგორიცაა, მაგალითად: „სიმართლე – სინათლე“, „თილისმას – თბილისმა“ და სხვა. თუმცა, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იმდენად, რამდენადაც ზაზამ ამ პოემის დასრულება ვერ შეძლო, ჩასასწორებელიც ბერი დარჩა.

რენე უელევი და ოსტინ ოურენი თავის ცნობილ წიგნში, „ლიტერატურის თეორია“, წერენ, რომ ლექსის ყოველი წაკითხვა უფრო მეტია, ვიდრე თვით ლექსი. და მართლაც, ჩვენ – სხვადასხვა მსოფლმხედველობის და ესთეტიკის მკითხველები – ახალი განცდით ვტვირთავთ, ვამდიდრებთ ნაწარმოებს, რომელიც თავის მხრივ არა როგორც ლიტერატურული ტექსტი, არამედ როგორც ცნობიერების დამატებითი ნაწილაკი, მკვიდრდება ჩვენს გონებაში. სწორედ ასეთ შეგრძნებას იწვევს ზაზა თვარაძის პოემა „მხიარული ლანდებიც“, რომელიც თავისი ლირსებებითა და ცოტ-ცოტა ლაფსუსებით სრულიად ახალ წყალში გვავლებს და გვავინყებს ნიშნულს, შლის ზღვარს ხელოვნების ნიმუშსა და ადამიანს შორის. ამის მეტი მას რაღა მოეთხოვება...




დავით ანდრიაძე

სოცარტის სიამის ტყუბს – კომარ-მელამიძს აქვს
ასეთი ნეოსუპრემატისტული „სურათი“, სათაურით
„ციტატა“.

1972 წელსაა დახატული...

ამ ოპუსის დესკრიფციაზე თავს არ ავიტყიებ და
ციტატის სახით ტექსტშივე შემოგთავაზებთ.



პოეზის ნეკროლოგი

ანუ

„რად უწოდებენ საქართველოს მოსანთა მხარეს“

დათო ბარბაქაძის „5 ლექსი მოსალოდნელი წიგ-
ნიდან“ რომ ნავიკითხე „New saunjis“ №3-ში, რატომ-
დაც ეს ნამუშევარი გამახსენდა.

ბოდრიარი ამბობდა, საუკეთესო ბანკირები ისინი
არიან, ვისთვისაც ფული – არაფერიაო...

ეტყობა, დღეს (არადა, ეს „დღე“ რახანია გავიდა!)
საუკეთესო პოეტები ისინი არიან, ვისთვისაც ლექსები
– არაფერია.

როგორც ჩანს, დათო ბარბაქაძისთვისაც „არა-
ფერია“ ეს ლექსი...

უფრო ზუსტად, ლექსი უკვე „აღარაფერს“ ნიშნავს.

ლექსი მისთვისაც, არც მეტი, არც ნაკლები –
პოეტური ტექსტია;

მე ვიტყოდი, პოესისური (ანდა, პოესური) ტექს-
ტი, სადაც, მისივე ნინასიტყვით თუ ვიხელმძღვანე-
ლებ, ქართული ანბანის თითოეული ასო-ნიშანი
სიმბოლური ან ლათინური ნიშნებით არის ჩანაცვლე-
ბული, რაც შეუძლებელს ხდის ტექსტების ენობრივი
შრის წაკითხვას.

„ნაკითხვის შესაძლებლობა“ – აი, თავი და თავი
ამდაგვარი მეტაპოესისისა!

პირველადი, რეალური, გნებავთ, ონტიკო-ონტო-
ლოგიური არტეფაქტები ამ „ლექსებისა“, როგორც
„ნამდვილად ამბობს ჰეგელი“, „მოხსნილი და გადანა-
ხულია“.

მაგრამ ნამდვილად არსებობს თუ არა ეს „პირვე-
ლადი და რეალური ლექსები“, ესეც საკითხავია.

კიდევ უფრო ზუსტად (ზუსტად, ზუსტად!), არც
ეს პლანი იკითხება „5 ლექსში“.

არადა, 5 ლექსი რა ბედენაა?!

ასეთი ლექსები მეტი უნდა „ვიკითხოთ“.

არა, კი არ უნდა ვიკითხოთ, თვალები უნდა ავი-
ჭრელოთ მათი თვალიერებით... გადა-თვალიერებით...

პერ-ლუსტრაციით...

ასეთი „ლექსებით“, ცოდვა გატეხილი სჯობს და, მეც ვერთობი ხოლმე მობილურით – ავკრეფ ხოლ-მე რომელიმე ციფრს, მივაწყობ ზედიზედ, მერე ეს ციფრები ნელ-ნელა პატარავდებიან; და ბოლოს, სადღაც, მონიტორის მარცხენა მხარეს, მრავალ-ნერტილს მინერს (თუ მანიშნებს) ანონიმური მექანიკური ოპერატორი, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ციფრები უსასრულოდ შეიძლება იმეორო...

აჭირე რამდენიც გინდა ვთქვათ და „3“-იანს; არაფერიც არ შეიცვლება!

ანდა, შეიცვლება, ოლონდ, შენ ვერ იგრძნობ!

აი, დათო კი, ამ სემიოტიზმირებული შიფროგრა-მების მიღმა რაღაც „აისთეზის“ გულისხმობს.

აი, ეს თეზისი მჭირდება ახლა, რათა გული დავუდო ამ ტექსტს...

„გული, გრძნობა და გონება“ ამ სიტუაციაში, ერთმანეთზე სულაც აღარ „ჰკიდია“.

ერთმანეთს გაურბიან...

როგორც „3“-იანებით კონტრაპუნქტირებული „ვერსიები“...

მეტრი კი თავისას ითხოვს; საზომი – საზომია!

მიხაილ ლეონიჩ გასპაროვისა არ იყოს, ბავშვური კითხვა, რომლის დასმაც ასე ერცხვინებათ ლიტერა-ტურათმცოდნებს, ასე უდერს; რატომა რომ პოეტი, ლექსის რომ იწყებს, სახელდობრ „ამ“ საზომს ირჩევს და არა „იმ“ საზომს?

დათო ბარბაქაძე რომელ საზომს ირჩევს ნეტა?!

ანდა, საერთოდ, ირჩევს კი?!

იქნებ, სულაც საზომი ირჩევს პოეტს, ანდა უბრალოდ, ლექსის მწერალს?!

ანდა, ეგებ ტექსტს კი არ წერს, ტექსტი თვითონ წერს... ავტორს?!

ახლა შევნიშნე, იმდენი კითხვა-ძახილის ნიშანი დამიგროვდა, ერთი ტექსტისთვის საკმარისიც კია...

მაგრამ, მე ხომ პოეტი არ ვარ?!

აი, კიდევ ერთი კითხვა-ძახილის ნიშანი!

ეს კიდევ ძახილის ნიშანი...

ესეც, მრავალწერტილი...

ესეც გამომადგება!

ისევ ძახილი...

ისევ მრავალწერტილი!

ისევ ძახილი!

ისე, პარაგრაფებადაც შემეძლო დამეყო ეს ჩემი პოსტკრიტიკული ტექსტი...

აი, პარაგრაფის ნიშნების „პიტიზირება“ კი პოეტის საქმე; პოეტის პრაქსისი...

პოეტისა და არა მგოსნისა!

მგოსანს ვიღა უსმენს შვილოსა?!

ანდა, ლირიკას ვიღა აღუვლენს პიეტეტსა?!

„აი, რა მიზნებს ისახავდა ჩვენი ლირიკა, რად უნდოდებენ საქართველოს მგოსანთა მხარეს“-ო...

ცხადია, მე შემეძლო ამ ციტატის სალექსო ფორ-მით ციტირება, მაგრამ დამეზარა.

არ კი უნდა დამზარებოდა!

იმიტომ, რომ ერთია ბეჭდო ლექსის გრაფიკით; და მეორე – თავისუფალი, ასე ვთქვათ, პროზაული გრაფიკით...

დათო ბარბაქაძისგან მაინც უნდა ამეღო მაგა-ლითი, როცა ასო-ნიშნებს უბრალოდ კი არ ჩაარაკრა-კებს, არამედ მეტრული მოდულის თანახმად ანა-ნილებს გრაფიკული დისტრიბუტის ველზე.

მანამდე კი, „სათაურს“ განათავსებს, არა, კი არ განათავსებს, გა-ამაგრებს ლექსის „შუაში“...

მაგრამ, ლექსი რომ არაა ჯერ დაწერილი?

რა უჭირს – ხომ „დაწერს“?!

ოდესმე ხო დაწერს ამ „ოხერს“...

ოდესმე ხო ამოსოქომს?!?

ა-მოთქმა; გამოთქმა!

ანდა, ასე:

ა-მოთქმა; მო-თქმა; ო-თქმა; თ-ქმა; ქ-მა, მ-ა; ა...

ააააა!

რა უჭირს?!

ისე კითხვა-ძახილის ნიშანი!

ა, კიდო – ძახილის ნიშანი!

კიდევ – ძახილი!

ახლა კი, შემდეგ პარაგრაფზე გადავიდეთ:

ჭ

აი, ესაა პარაგრაფის ნიშანი...

პარა-გრაფი!

გნებავთ „ციტატა“ ლექსიდან: „წწწწწწ წწწწწწ წწწწწ“ ინებეთ:

წწწწწწ წწწწწ წწწწწწ წწწწწწ წწწწწწ წწწწწწ

წწწ წწწწწ წწწწწწწ წწწწწწ წწწ წწწწწწ

წწწწწ წწწწწწწწწწ წწწ წწწწწწ

მე ახლა, ჩემს ლაბორატორიასაც გაგიზიარებთ და გეტყვით (resp. დავნერ), რომ სიტყვის – „ინებეთ“ შემდეგ, იქ, სადაც საუურნალე ტექსტში „ციტატა“ უნდა ჩაჯდეს ამ, რიგით მეორე „ლექსისა“, მრავალ-ნერტილები დაწერეთ...

ბევრი, ბევრი მრავალწერტილი მივაწყე...

„ციტატის“ ამონერას რა აზრი ჰქონდა?!

რა მექანიკური მეორების გრძნობას ხომ ჩავატანდი (კიდევ ერთხელ) ამ ლექსისა...

მეც განვიცდიდი პროცესსა, ამ ლექსის ამოთქმას რო ახლდა ალბათა...

ისე, ეს „ლექსი“ ერთ დღეს დაუწერია „მგოსანსა“... „თბილისი. 09.11.2011“ აწერია თარიღადა...

პირველ ლექსზე კი ძალიანაც გატანჯულა პოეტი ჩვენი...

„თბილისი. 14-19.07.2011. თბილისი. 30-31.07.2011“.

„დრო, დრო აღნიშნე“-ო, ხო გახსოვთ, ვინცა ამო-სთქო?

და დათო ბარბაქაძემაც აღნიშნა ეს „დრო“...

ჯერ 5 დღე უმუშავნია ამ „5 ლექსის“ პირველ ლექსზე 2011 წლის ივლისშიდა, მერე კიდევ, იმავე თვის 30-ში დაბრუნებია და მეორე დღეს მოყლია ბოლო...

მე არ ვიცი, როგორი იყო ამ ლექსის, როგორც ადრე იტყოდნენ ხოლმე ტექსტოლოგები, „შემოქმედე-ბითი ისტორია“;

ალბათ, გავა დრო და მომავალ გენერაციათა კოდი-კოლოგები ჩაუჯდებიან ამ ტექსტებსა...

თუმცა არსებობს კი მათი ხელნაწერები?

ასეთი ტექსტები ხომ აღარ იწერება?

იკრიფება...

იკრიფება... იკრიფება... იკრიფება... იკრიფება...
იკრიფება... და ჰე...

ასე გადადის პოეტი მოუკრეფავში...

და მეც...

მეც ასე გადავდივარ მოუკრეფავში...

აუკრეფავშიც და მო-უკრეფავშიც...

„ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუალამე იწვის,
დნება“.

მერე როგორაა?

„სიი სარქმლის მონაქროლი“...

არადა, სადაა სიო?

არც ქარია!

„ქარი არა სჩანს“...

ერთიც...

„მღერენ რომანსეროებს, რა დროს რომანსეროა“. წერტილი.

თუ მრავალწერტილი?

კითხვის ნიშანი...

ნიშანი... ნიშანი... ნიშანი...

სიტყვები... სიტყვები... სიტყვები...

„ჰამლეტი“.

ბრჭყალებში!

ძახილის ნიშანი.

წერტილი.

ესეც – კვლევა!

დათო ბარბაქაძეც მკვლევარია!

პოეტი-მკვლევარი!

ლექსს კი არა წერს, ტექსტსა წერს-მეთქი...

არა, კი არ წერს, კრეფს-მეთქი.

იქნებ, სულაც, წყვეტის...

ვარსკვლავებივით წყვეტს (თუ წყვიტავს?)...

ისევ მრავალწერტილი.

„ერთ კარგ რითმაში არ გავცვლი მე ამდენ გამო-კვლევებსა“.

ეს გრიშაშვილია!

სოსო გრიშაშვილი...

აი, დათო ბარბაქაძე დიახაც გამოკვლევებში ცვლის რითმას.

არადა, რითმა მაინც იგულისხმება ამ „5 ლექსის“ იმპლიციტურ პლანში.

რითმაც და, მით უმეტეს, რიტმიც...

სიმკაპირებული რიტმი...

ლექსის აღქმის ფოკუსზეც საგანგებოდა ზრუნავს...

ქსან ქსანიჩ რეფორმატსკის (სრული და სწორი სახელი და გვარია ალექსანდრე ალექსანდრეს მისამართი) აქვს ასეთი გამოკვლევა:

„Семиотика печатного текста“.

ერთი ქვეპარაგრაფია ამ ტექსტში; და ასე ჰქვია: „[Узнавание слова]“

ინტება ასე:

[...]

კუთხოვან ფრჩხილებშია ჩასმული ეს სათაური.

პოდა, ეს ჩვენი ცხონებული ქსან ქანიჩი წერს:

ციტატა:

„Основными вехами узнавания слова служат при чтении согласные (сравнить неузнаваемое: оеана и легко угадываемое: прлтрт – пролетариат), причем опять же для распознавания их (особенно начальных и конечных) важны выступы подстрочные и особенно настрочные, так как глаз идет как норма по верхней линии строки“.

ციტატის დასასრული.

მერე კი (ციტირებას რაღა ჭუა აქვს!) ადარებს რუსულ და ლათინურ ალფავიტებს და ბრძანებს, რომ ამ მხრივ, რუსული ალფავიტი ძალიანაც მოუხერ-ხებელია, რამეთუ (მიყვარს ეს „რამეთუ“!) ბრიფ-ტების უმეტესობაში ზედა, მოდი ასე ვთქვათ, რეგისტრი (ვყისტუ) მოეპოვება მარტოოდენ ერთ ასოს – „ნ“, ქვემო „ნახევარრეგისტრი“ (полувყისტუ) კი, სამ ასოს – „უ“, „შ“ და „დ“ (თუ არ ჩავთვლით „ფ“-ს) და ბოლოს, კიდევ სამ ასოს აქვს ზედა დიაკრიტიკული „ნიშნუები“ (значки) – „ე“-ს და „ე“-ს.

ფრჩხილებში კი, იმასაც ამატებს, რომ ეს ორი უკანასკნელი ასო იშვიათად გვხვდება, განსაკუთრებით „ე“.

აი, ლათინურ ანბანში კი, 7 ასოა ზედა „ვისტუპე-ბით“: b, d, f, h, k, l, t. 5 ასოა ქვედათი – g, j, p, q, y და ორიც ზედა დიაკრიტიკით i და j.

ყოველივეს გერმანულში ემატება ხმოვნები Um-laut-ის (ä, ü, ö) ნიშნით.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ლათინურიც ამიტომაა კაპიტელური (კაპიტალურში არ აგერიოთ!) ალფავიტი...

ქართულ ანბანში როგორია ზედა და ქვედა რეგისტრის ასოების სიხშირე, ამ პალეოგრაფიული თაესატეხისაგან ახლა შორს დავიკტერ, ერთს კი ვიტყვი (თუ დავწერ?), რომ „5 ლექსის“ ავტორი (sic) ვეჭვობ, ჩვენი მამაპაპური ანბანის ინტერლინიაჟის მოუხერხებლობის გამოც არიდებს თავს ქართულად წერას.

სამაგიეროდ, ხომ არსებობს ასომთავრული, გინა ნუსხახუცური?

არა!

ლათინური, მხოლოდ ლათინური!

აი, ამ ლათინური ხმოვანის a-ს კვაზისილაბოტონური ინსტრუმენტირებით ითხზვება სულ რაღაც 8 დღეში, 2012 წლის 01-09.05-ში „ამოთქმული“ ტექსტი; გულში ჩამნვდომი სათაურით: „aaaaaaaaaaaaaaa“

ტრანსკრინდენტალური აღსანიშნი ამ „ლექსისაც გადაშლილი აქვს.

სანაცვლოდ კი, „ლექსის კამარა“ ამ „a“-ს სინგულარული სინკოპებითაა შეკრული, „ფრჩხილებში ჩასმული“ ვირტუალური სინტაგმებით კი, კიდევ უფრო იბურება კვაზიპოეტურად სტერილიზებულ სემანტემათა (და ლექსემათა) დიაქონულ-სინქრონიული და პარადიგმატულ-სინტაგმატური პლანი.

რა ამოძრავებს ამ ასო-ნიშნის ტანს, „ჩუმი შრიალი საიდან არის“?

არც არსაიდან!

და საერთოდ, „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“...

ყოლიფერი ისიხასტურ დუმილს შეუჰყრია; და კიდევ, „მგოსნის“ ომფალოსკოპიურ რეცეფციას, ამ a-ს რომ ჩაშტრერებია და დუმს...

დუმს და დუმს...

„მაშა დუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვად“-ო...

აი, ასეთი ლექსები აქვს შე-დგენილი დათო ბარბაქაძეს;

შედგენილი და წარმოდგენილი...

წარმო-დგენილი და და-დგენილი...

დგენილი...

ნილი...

ილი...

ილი – a!

სა-inter-ესოა, რომ „5 ლექსის ავტორი“ მუდამ განუხერელად იცავს ნორმას. ზედმინევნით (კარგი სიტყვაა!) ერთგულებს, ერთი მხრივ, ასო-ნიშანთა (და მათ დიაკრიტიკულ დერივატთა) და კვაზიპოეტურ სინტაგმათა ქვანტიტეტური სინგულარობის რიტმიკა-ინტერვალიკურ პრინციპს.

ანდა, შედარებით უფრო ადამიანურად რომ ვთქვა, ნორმას აქცევს სპონტანურ გამოცდილებად; სპონტანურ გამოცდილებას კი ნორმას უქვემდებარებს...

მერე ამ ნორმას იქვე „ახურდავებს“ პრინციპულად გაურკვეველ შინაარსად; კვაზიპოეტურ ესენ-

ციალურ მასალად, რომელსაც „დოდეკაფონიურ“ ტექნიკასთან, ასოცირებით, ერთგვარ ბედისწერადაც აქცევს;

ანუ, იმ დროს ახმარს მთელი ამ დიაკრიტიკული ნიშნების სოლიდიფიკაციას, როცა ტექსტის ათავისუფლებს ლექსისაგან, ლექსის კი – პოეზიისაგან;

ადორნო წერდა შონბერგზე, მუსიკას მაშინ ბოჭავს, როცა ათავისუფლებს...

ჩვენს მეტაპოეტურ რეციდივშიც ასეა:

„პოეზია“ იქ (და იმ დროს) „იკრიბება“, სადაც თავისუფლდება... რისგან?

თავად პოეზიისაგან და... პოეტიზმებისაგან!

ცხადია, „5 ლექსი“ (და მისთანები) ჯერაც შორსაა თორმეტტონოვანი ტექნიკის მსგავსი ეფექტისაგან, თუმცა, ის აფექტი, რომელიც ახლავს ერთი შეხედვით აბსურდად პერიპეტიორბულ რეპეტიტიულ-სერიულ-ვერბალურ პარამეტრაპოლესის (კარგია ხომ?), იქნებ კიდევ ერთი კარგი ალიური იყოს იმ კვაზილირიკული მაშინერის დასაძლევად, დღესაც ინერციით რომ მობობდავს.

რახან დოდეკაფონია ვახსენე, როგორ არ გაიხსნო მაგიური კვადრატის ლათინური ვერბალური ვარიანტი, ვებერნის თავის ნიგნში – „გზა ახალი მუსიკისაკენ“ რომ მიჰყავს:

SATOR
AREPO
TENET
OPERA
POTAS

სხვათა შორის, – გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – წუხელის რატომდაც ბერგის სავიოლინო კონცერტი მოვისაკლისე და მოვინდომე გადამემონმებინა, ვებერნმა და ბერგმა, შონბერგის ამ „უძლებმა შვილებმა“ რატომ გადაუხვიეს ორთოდოქსული დოდეკაფონიის გზას.

ახლოს დავვეჯ სმენად ბერგის კონცერტისა და საკუთარი ყურით, თითქმის თეორიულად მოვინდომე, აღმექვა მომართული ვიოლინოს მოტივი:

სოლ – რე – დო – მი...

ამ მოტივში ხომ სერია აგტოლოგიური ხდება და... საკუთარ თავზე გვიყვება ამბავს...

„ველთა ზღაპარს“ კი არ გვეუბნება, არამედ თვით ინსტრუმენტის ნარატივზეა ანყობილი!

არ ვიცი, რამდენად ამდიდრებს მთელი ეს კულტუროლოგიური რემინისცენციები „5 ლექსის“ პერმენევტიკულ პლანს, მაგრამ, ერთი კი მჯერა:

ამ ტიპის ტექსტები Summa iniuria-ა დიდი ქართული ლირიკისთვის.

ასეთი ტექსტები „სხვა“ მიზნებს ისახავენ.

და მათი შემხედვარე (sic) რწმუნდები, რომ გენიო-

სის შეძახილი – „რად უწოდებენ საქართველოს მგოსანთა მხარეს“ – უკვე გადასახედია.

და „ირმების გადასახედი“?

ფრთხი, ფრთხი... აღარ გვინდა!

ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს.

ვარსკვლავს, როგორც ტოპოგრაფიულ ნიშანს;

და მის თანამდევ დიაკრიტიკულ „თანავარსკვლავედს“...

არადა, იური ლოტმანი (როგორც ლენინი) გვასწავლის, რომ ერთი რომელიმაც ფონოლოგიურად ტრანსკრიპტობული ჩანაწერი შესაძლოა აბსოლუტურად მოუწესრიგებელი იყოს რუსული ენისათვის და პირიქით, მისაღები – ინგლისური ენისათვის.

ისევე როგორც კვადრატი, როგორც იდეალურად მოწესრიგებული ფიგურა გეომეტრიაზე ორიენტირებული ფერწერული სკოლებისათვის „სნორი“ იყოს, აგეომეტრიაზე აგებული სკოლებისთვის (მაგ. ბაროკოსთვის) კი, „არასწორი“.

ასე რომ, დაიკრიტიკული ნიშნებით კონსტიტუირებული ტექსტიც რაღაცნაირად უნდა პასუხობდეს ანდა ექვემდებარებოდეს ესთეტიკური (გნებავთ, მეტასთეტიკური) დიმენსიების ანალიტიკას, მაგალითად Mc Whinnie-ს მოდელის მსგავსად ანდა „მსგავსად და ხატად“ Ekman-Künnapas-ის ესთეტიკური შეფასების შკალირებისა... თუნდაც Osgood-Suci-Tannenbaum-ის სემანტიკური დიფერენციაციის მეთოდებისა...

უი, მაქს ბენზე დამავიწყდა!

ბევრს ხომ არ მოვითხოვ?

ალბათ!

მაგრამ, ახლა მეც ხომ ვერთობი?!?

სჯობს ისევ „5 ლექს“ ჩავხედო და თვალს წყალი დავალევინო.

აი, მეზუთე ტექსტი ავიდო მინდა...

„ხელში აგილებ, გაკოცებ, ისევ ჩაგკოცნი, ჩაგცერი, წიგნი კი არა ურულა ხარ“...

ხომ გახსოვთ?

არადა, როგორ გინდა მათემატურად ჩაგკოცნო ტექსტი, სათაურით:

„SSSSS SSxvSSSS“

მე კი არა, აკადემიკოსი კოლმოგოროვი ვერ იზამდა ამას!

სამნანილანი ლექსია; უზუსტესი კომ-პოზიციური გრაფიკით და ცეზურების უხინჯო ტოპოლოგიით. ლიტოკული ნარატივის ფიქციონალიზმით და ანესთეტიკიზირებული უსულებულობით...

„ლექსთა შეჯიბრებაზე“ კი არა, ასო-ნიშანთა სტატისტიკურ შეჯიბრებაზე გვინევს ჩვენი „მგოსანი“...

ასო და სული კვლავაც კონფრონტაციულ რეჟიმში გან-იხილებიან;

და ეს კონფრონტაცია „ჩინებულად“ იკითხება ბოლო ტაეპში:

\$y\$, v\$\$\$ x\$\$,\$\$\$\$\$ \$xv\$ \$x\\$u\$\$,
\$xv\\$ \\$\\$x\$\$\$\$\$.

ესაა ლექსის, როგორც ასეთის „ნერის ნულოვანი დონე“.

ეს „ლექსიც“ კაი ხანს ინერებოდა...

ინერებოდა... ინერებოდა... ინერებოდა...

და მოდიოდა... და მოდიოდა... და მოდიოდა...

„ვითარცა მტკვარი“.

25.09.2012-ში დაიწყო მასზედ მუშაობა პოეტმა თბილისში და 06.10.2012-ში დაგვირგვინა.

მთელი ეს „ციფრული პოეზია“ კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ ყოველი ასეთი ტექსტი მათემატიანით რომ გვესალბუნება, „ავტორის“ პოეტურექსისტენციურ ინტეიციას კი არა, ლექსის „მათემატიკურ ესენციას“ უნდა ავლენდეს;

Да, мой голубчик, _ ухо вянет.

Такую, право, порешь чушь!

И в глазах крошечных проглянет

Математическая сущь.

ეს ვინდაა?

Андрей Белый.

„5 ლექსი“ კი, თეთრი კი არა, „შავი ლექსები“... „ხუთი შავი ლექსი“. ანდა, შავ-თეთრი...

ასეა თუ ისე, დათო ბარბაქაძემ ჩვენს თვალწინმოადგინა ერთგვარი პოეტოლოგიური სტრიპტიზი – გაიშიშვლა საკუთარი არტისტული ტანი;

და ლექსის, როგორც არტეფაქტის სემიოტიკური ტანიც გააშიშვლა.

„პოეტი“ გულდასმით აკონტროლებს კვაზილექსის მთელ (პერი)მეტრს, ასო-ნიშანთა მავთულებლართებით შემოლობას მის მიერვე ოკუპირებულ ტერიტორიას; არ უმჟღავნებს ქვეყნად არვის, თუ რა არის მის სიღრმეში საიდუმლოდ შენახული.

ამ საიდუმლო (და)მნერლობაში ასოს ინსტანცია ისახება.

არა მხოლოდ კრიპტოგრამული, არამედ პოსტ-პაიდეგერიანულ-ფსიქოანალიტიკური ინსტანცია.

და სწორედ ეს ასოები და მათი სუქცესიური რიტმი ნარმოშობს „მოსალოდნებლი წიგნის“ ილუზიას.

ქართული „წიგნიც“ ხომ „სიგნუსიდან“ მოდის?!

ასოდან; ასო-ნიშნიდან...

ყოველ შემთხვევაში, კორნელი კეკელიძის ვერსიით ასეა!

მოკლედ, „5 ლექსის“ პატრონმა თავისებური
reade-made შემოგვთავაზა; ხელიც მოაწერა თავის
ტექსტებს, ადგილიც და დროც...

და ნულოვანი შემოქმედებითი (ვერ ვიტან სიტყ-
ვას – „კრეატიული“) ოპერაციით, თავის ნილ, პოე-
ტური პრაქტისის პრობლემატიზაცია სცადა.

პერფორმატულ-ლინგვისტური აქტი ტექსტის მა-
კრისტიტურებული ასო-ნიშნური მანიფესტაციით
შეიცვალა.

ეს ტექსტები ე.წ. „ცნობიერების სახეცვლილ მდგო-
მარეობათა“ მანიფესტაციებადაც შეიძლება ვიგულ-
ვოთ.

ესაა ენობრივ რელაციათა სპეციფიკური ტიპი,
დმიტრი ლეონიდოვიჩ სპივაკმა „მატრიცულად“ რომ
მონათლა.

მატრიცული ტექსტის ელემენტარულ მაგალითად
შეიძლება მოვიხმოთ ჩვეულებრივი აუტოტრენინგის
„მანტრა“.

1ხელები გიმდიმდებათ და გითბებათ. 2ფეხები
გიმდიმდებათ და გითბებათ. 3მუცელი გითბებათ.
4ხელები მძიმე და თბილი. 5ფეხები მძიმე, თბილი.
6მუცელი თბილი. 7ხელები... სიმძიმე... სითბო...
8ფეხები... სიმძიმე... სითბო. 9მუცელი... სითბო...“

ამ ტექსტის მატრიცაზე ციფრები მეტყველებენ.

1 2 3
4 5 6
7 8 9

და ვლებულობთ რალაც ლექსისმაგვარს...
ოღონდ, ერთიცაა. ამგვარი ტექსტი კი არ იკითხება,
არამედ (ა)ხდება.

ასეა თუ ისე, ამ მოდელირებული სისტემის თანა-
ხმად, მართლაც, შეიძლება ვილაპარაკოთ ცსმ-თა
ფილოლოგიაზე.


იგივე სპივაკი ირწმუნება, რომ მატრიცული პრინცი-
პითაა დაწერილი ეპიფანე ბრძენის ერთი ფრაგმენტ-
თაგანი.

ახლა არ მოვყვები ამ ფრაგმენტის ციტირებას.
მატრიცის სქემას კი მაინც დავატევ:

1 2 3
4 5 6
7 8 9
10 11 12

მეორე მხრივ, „5 ლექსი“ ლოგაედიზაციის სინ-
დრომსაც ეხმანება.

ლოგაედი, ესაა მეტრული კომპოზიციის ტიპი,
რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ სალექსო



სტრიქონის შიგნით, მახვილიანი და უმახვილო
სიტყვები თვითნებურად შეიძლება განლაგდნენ,
ოღონდ, ეს თვითნებურობა ყოველი მომდევნო სტრი-
ქონის განმავლობაში ნარჩუნდება.

ვერლიბრისაგან განსხვავებით, ლოგაედში სიტყ-
ვათა რიტმული ტიპების რაოდენობა შეზღუდულია;
და ეს ლიმიტირებულობა ქმნის მეტრული სემანტი-
ზაციის ეფექტს.

თითოეული სიტყვა, ლოგაედის ბადეში განსა-
ზღურული ადგილის დაკავებას რომ ესწრაფების, იმ
ინტენციასაც ავლენს, რომ ამ პოზიციასთან აზრობ-
რივ სახლოვეშიც იმეზობლოს; იმდენად, რამდენა-
დაც თავად ეს პოზიცია სემანტიზირდება.

რომანი-ლოგაედია ანდრეი ბელის „Петербург“:

Апполон Апполонович – Николай Апполонович;
Кант – Конт; Шишнаრენე – Енфраншиш;

მუსიკალური ლოგაედიზაციაა, აბა სხვა რაა
სერიული მუსიკა, შეზღუდვები ინტერვალებს რომ
„ეფინება“, სერიები კი, მეორად სემანტიზაციას
მოასწავებენ. ლოგაედიზაციის ფერწერული პარა-
დიგმაა კუბიზმი და ა.შ.

ალარაფერს ვამბობ ლოგაედიზაციის ფილოსო-
ფიურ ანალოგიაზე, კერძოდ ლოგიკურ პოზიტივიზმ-
ზე, იგივე რედუქციონისტური მეთოდით რომ პერი-
ოდებს – ფილოსოფიურ პრობლემატიკას შეზღუდვების
ბადეს „ადებს“, ფილოსოფიურ პრობლემათა უმე-
ტესობას კი ფსევდოპრობლემებად აცხადებს.

ვიტგენშტაინის „ლოგიკურ-ფილოსოფიური ტრაქ-
ტატი“ დიახაც, ერთგვარი ლოგაედური ფილოსოფე-
რების „რენგვაა“.

სხვა საქმეა ვერლიბრიზაციისა და ლოგაედიზა-
ციის კონვერგენციის პრეცენდენტები, თუნდაც ჰერ-
მან ჰესეს რომანში „მძიმობანა“.

აი, რა მიზნებს ისახავდა XX საუკუნის კულტურა!

შინაურიული მოყვილი



ვინ: ანა კორძაია-სამადაშვილი
რა: „ვინ მოკლა ჩაიკა“
ვისგან: ეკა ქევანიშვილი
რაზე: ჩემ ბედნიერ ჩაიკაზე

„ვინ მოკლა ჩაიკა“ ანა კორძაია-სამადაშვილის ერთ-ერთი ბოლო წიგნია, რომელიც „ბაკურ სულაკაურის გამოცემლობაში“ გამოსცა, გურამ წინახაშვილმა კი ფოტოსერიით გააფორმა.

თუ წიგნის მოკლე ანოტაციას ჩახედავთ, იქ წავიკითხავთ, რომ „ეს არის წიგნი ბედნიერ ქალზე, რომელიც მოკლეს“ (მოკლეს თბილისური ზაფხულის ერთ-ერთ ცხელ დღეს, თავისისავე ბინაში). ბედნიერი როგორდა იყოო, თქვენ შეიძლება თქვათ, როგორ და... თუ ვინმეს ჰგონია, რომ ბედნიერებისთვის დიდხანს და ლრმა სიბერემდე ცხოვრებაა საჭირო, ძალიანაც ცდება. მას ამ ბედნიერებისთვის არც ძაან ბევრი ფული სჭირდებოდა და არც სტაბილურად ოჯახში ფულის შემომტანი კაცი. სხვა იყო მისი ბედნიერება, მე ეხლა მაგის ახსნას არ დავიწყებ - აბა, წიგნი რიღასთვისაა.

მაგრამ იმის თქმა კი მინდა, რომ ეს „ჩახლართული ამბავი“ (ანოტაციაში წერია ასე), მე თუ მკითხავთ, სულ სხვა რამეზეა - ერთი უცნაური სამეგობროს და მათთან შემთხვევით თუ არაშემოხვევით დაკავშირებული ადამიანების ბედზე.

ჩაიკა კი, სახელად ელო, ელისაბედი, ამ ერთი თბილისური სამეგობროს მთავარი რგოლი იყო, მე ვიტყოდი, ერთი გადარეული სამეგობროს დამაკავშირებელი რგოლი, და ისეთივე უცნაური სიკვდილით მოკვდა - რკინის ძევლი უთოთი - როგორი უცნაური ცხოვრებაც ჰქონდა.

მოკლედ, ამბავი ისაა, რომ ქალს მოკლულს იპოვიან, იპოვიან მის არაორდინალურ ანდერძსაც (ამ ანდერძშია წამაკითხა მთელი წიგნი, მე მგონი), რომელშიც ჩვენი ჩაიკა ძმას არამზადად მოიხსენიებს და მხოლოდ სადღაც წიგოზაში მდებარე აგარაკის სახლს უტოვებს სიტყვებით: არამი იყოს შეწზე, მათხვაროო, სახლს კი თავის მეგობარს ჩუქნის, სანდროს, რომელთან ერთადაც ცხოვრობდა და მოგზაურობდა და ვინც ის „გააბედნიერა“. სანდრო გეო იყო - ოქროს ხელებიანი. ოქროსი რაღატო? ეხლა ყველაფერს ხომ არ მოგიყვებით. წიგნში ჩაიხედეთ.

თავიდან, წიგნის კითხვისას და მერეც, როცა დავამთავრე, როგორც დეტექტიური უანრის რომანს შეეფერება, დიდხანს ვფიქრობდი, ნეტა მართლა ვინ მოკლა ჩაიკა-მეთქი. სანამ ვინმე წიგნის ჭიას ჰქითხავ, ტვინს ძალა დაატანე-თქო, საკუთარ თავს ვეუბნებოდი .

არ ვიცი, რომელი უფრო იყო, ის, რომ ჩემი ვერსია ჩაიკას მკვლელის შესახებ ძალიან მიამიტური მომეჩვენა, თუ ის, რომ ამ ვერსიის სისწორეში უბრალოდ დარწმუნებული არ ვიყავი... მოკლედ, წიგნის წაკითხვიდან რამდენიმე დღეში მოულოდნელად გიუივით ავხარხარდი. იმიტომ, რომ მივხვდი, არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ მოკლა ჩაიკა, მკვლელის გვარ-სახელს და წარმომავლობას, იმიტომ რომ მე ამ წიგნშია, თბილისური ზაფხულის პაპანაქებაში განვითარებულმა ამბავმა, სულ სხვა სევდა და სიხარული დამიტოვა, ვიდრე დეტექტიური რომანისათვის დამახასიათებელი თავსატეხია.

თუმცა, რადგან ამით დავიწყე, მაინც აქვე ვიტყვი, რომ მაგრად კი გაუჩალიჩა ჩაიკაში იმ თავის მკვლელს! ეგ ამბავი წიგნში უნდა წაიკითხოთ, მანდ ერთი ახირებული კაცია, რომელსაც ელო სამი წლის გამავლობაში

ლამაზ ბაბი ესაკიაზე ამბებს უგროვებდა. მან ეს ქალი პარიზამდე ჩაიყვანა, იქ რალაც საოცრებები აკეთებინა, ლამის დააჯერა ეს თავისი დამქირავებელი, რომ მასალები ამ ლეგენდარულ ბაბი ესაკიაზე მსოფლიო არქივიდან გამოჰქონდა, ბაბის სახელი ვითომ მენ რეის დაუკავშირა და სოლარიზაციის უფექტის აღმოჩენაც ლამის ბაბის დასახურებას მიაწერა. მოკლედ, ერთი კარგი რომანის მასალა კი დააგროვეს ამ გამონაგონი ისტორიებით. ვითომ იკვლევდნენ, სინამდვილეში კი იმ კაცის ფულებით ის და სანდრო დადიოდნენ, დამოგზაურობდნენ, მაგრამ ეს ყველაფერი გრძელდებოდა იქამდე, სანამ ერთ დღეს კაცმა არ გადაამოწმა. ინტერნეტი! მართლა რას არ გადაამოწმებ, ხოდა გაუქანა და ჩასცხო ეს ანტიკარული უთო. ეს, დებილი იყო, ამისთვის ადამიანი უნდა მოეკლა? დამჯდარიყო, მზა იდეა ჰქონდა, რომანი დაეწერა, გაეცინა. „იუმორი არ ეყოო“ – ანა ასე წერს.

ფუ. ხოდა მიიღო კიდეც სამაგიერო, შურისძიება ელოს, ჩვენი ჩაიკას მეგობრებისგან.

რომელილაცა მაინც მიასიკვდილებდა, ასე მგონია,

აკი წიგნში ყველა თავისთვის გაიძახის, მოვკლავ, მოვკლავ მაგასო – ელოს მეგობრებზე ვამბობ, ჩუმად რომ ტირიან, ნივილ-კივილის გარეშე, მაგდა, ყანჩა, სანდრო, მანო, კარალევა... ხოდა ვინ იღებს თავის თავზე მაგ ამბავს, ეგ თავად წაიკითხეთ.


ხო, მაგ წიგნში გამომძიებელ ვატოზე ძან ვიხალისე, იცით რა ტიპია, ნეტა რა უნდოდა მაგ პროფესიაში – დროდადრო ძან რომ გაუბედურდება ხოლმე, როცა ვერაფერს ხვდება საქმისას, მოაწვება და იტყვის „ნავთრეულიყავი თურქეთში“. „ვატოს ადამიანის უფლებები არ აღელვებდა“, ისედაც ტიპური ჰომოფობია და გამომძიებელი როგორ გახდა კიდევ, ეგეც ერთი ქართული ისტორიაა, ძალიან ქართული.

ჩემს ფეხებს გამოიძიებს ეგ ელოს სიკვდილის ამბავს.

P.S. ბედზე რომ ვამბობდი, ადამიანების, განა ტყუილად: ყველამ ივიშვიშა და თავისი გზით წავიდა... ელოს და იმ „უხსენებელი“ კაცის გარდა, აქაც, ამ წიგნშიც, როგორც ცხოვრებაში ხდება ხოლმე, ყველამ თავს უშველა.



ଉପଚାର ହାତୁ ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟ







მერი რუფლი

ამერიკელი პოეტი და ესეისტი მერი რუფლი დაიბადა 1952 წელს. ის არის თერთმეტი პოეტური კრებულის ავტორი. მისმა კრებულებმა მრავალი ლიტერატურული პრემია და ჯილდო დაიმსახურა.

რუფლის შემოქმედება ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. მისი ნანარმოებები სხვადასხვა ლიტერატურულ ჟურნალებში იბეჭდება და შესულია ამერიკული თანამედროვე პოეზიის ახთოლოგიებში. 2011 წელს მერი რუფლის პოეტური კრებული უილიამ კარლოს უილიამსის ლიტერატურული პრემიით დაჯილდოვდა.

რატომ არ გამომდის კარგი კოცნა

იმიტომ, რომ პირს მეტისმეტად ფართოდ ვაღებ
და ვცდილობ, ჩვენს უკან ფარდები და
ყველაფერი, რაც ფანჯრის მიღმაა, გადავყლაპო,
გარდა პატარა შავი ძალისა, რომელსაც არ ვუყვარვარ,
და ამიტომ ბოლო წამს პირს ვხურავ.

იმიტომ, რომ ჩიპრიანო დე რორე არ ფიქრობდა,
როცა თავის საერო და სასულიერო მოტეტებს წერდა,
ასე რომ არ ყოფილიყო, მხოლოდ ერთი ტიპის მოტეტი იარსებებდა,
და ეს საშინლად მოქმედებს ჩემს ტუჩებზე.

რადგან ბოლო წამს ვხედავ ლიმონს
საფლავის ქვაზე და ეს ისაა, ზუსტად ის,
რაც თითქოს ნარმოუდენელია, და მის სრულყოფილებაში
კოცნა უკვე თავისთავად იგულისხმება.

იმიტომ, რომ სილამაზის შესახებ ყველაფერი
ბორინ ვან ლუნის ამინდის გზამკვლევიდან გავიგე, ასე რომ,
დაბურთული ლრუბლებისა და ანტიციკლონების ბუნება
და კიდევ ბევრი სხვა რამ თავში მერევა
და ერთბაშად გამიელვებს ხოლმე, ნეტავ, როგორ ახერხებენ კარგად კოცნას,
თანაც იმ მომენტში, რომელსაც
მთლიანად ვფლობ, – ანუ როცა ვიცი, რომ კაცს შეუძლია ჩემს გარეშეც
იყოს გაურკვევლობაში, ეჭვება და მისტერიებში,
და საშინლად მეშინია, რომ ის მიმატოვებს
ზუსტად იმ დროს, როცა ჩემი კოცნა ჯერ კიდევ იმაზე იფიქრებს, როგორ მოიქცეს.

რადგან მგონია, რომ ეცდები წაიკითხო, რა მანერია
ენაზე, და ამიტომ, განყვეტინებ და გეკითხება:
ნითელი კაბა? ნითელი წინდები? და მკვდარი მამალი?
მკვდარი რა?

იმ ქალის გამო, ვინც ჩემშია და იცის,
საიდან მოხვდა ნითელი კაბა და წითელი წინდები ჩემს პირში,

მაგრამ მაინც ამ მოსაბეზრებელ შეკითხვებს სვამს
და თავის სრულ უჭყუობას ამტკიცებს.

რადგან ზუსტად მაშინ, როცა ჩვენი კბილები მზადაა დაიმალონ,
ვხდები სამშობლოს გამყიდველი და ვივიწყებ არჩევნების შედეგებს,
ასევე, სამრეწველო საიდუმლოებებს, რომლებიც უკავშირდება
შალისგან მოქსოვილ ნაყინის კონუსებს, რომელიც მთლიანად შეცვლის ნაყინის
სამყაროს მომავალს.

ნეტავ, მსოფლიოში ყველაზე მაგარ მკოცნელს მაინც თუ უკოცნია ვინმესთვის ისე,
რომ ყურადღება არ მიუქცევია უამრავი წინააღმდეგობისთვის –

რადგან ყოველი კოცნის დროს თითქოს ჰაერში თოჯინის თვალებს ისვრი
და თანაც ცდილობ, მათ შენი თვალებიც გააყოლო –

თუმცა, შეიძლება ასეც იყოს, ო, დღეგრძელი იყოს კოცნა,
და არა ვულკანების ლებვა

მაშინაც კი, თუ ჩემი კოცნა თმისგან დამზადებულ საღებავის ფუნჯს ჰგავს,
მაშინაც კი, თუ ის კონკორდისა, ცოცხის მსგავსი
ქერცლინი მცენარე, მუხის პარაზიტი.
მაშინაც კი, თუ მეზღვაური ზღვაში, ჩემში შემოვიდა
რომ ნახოს, რა ჩემში სანახავი
და ერთადერთი, რისი ნახვაც ჩემში შეიძლება,
ჩემში არსებული ღრმა, ბნელი ზღვის ფსკერია.

თუმცა ვიცი, არაფერი ყრია წივილ-კივილით ღამეში გაქცევაში,
იმ ღამეში, რომელსაც პირი ჰქვია,
პირი, რომელიც ჰგავს ხავერდის კინოთეატრს
პლანეტებით მოხატული ჭერით,
სადაც შეგიძლია მიპოვო მე, შენი მეორე ნახევარი,
რომელილაც ლამაზ უსიამოვნებებში გახვეული,
მოკასინის №3 გვირისტში,
გვირისტში, რომლის გახსნაც საჭიროა ჩემს გასათავისუფლებად.

მთავრობა ეალები

ქალები რომლებიც მარტო წვანან შუალამისას
რადგან მათთან არავინაა რომ გვერდით მიუწვნენ

ქალები რომლებიც მარტო წვანან შუალამისას
შუადღლისას სამრეცხაოში თავანთ წინდებს ანადგურებენ

ქალები რომლებიც მარტო წვანან შუალამისას:
პანს ბრინჯერი ანუ ვერცხლის ციგურები

ქალები რომლებიც მარტო წვანან შუალამისას
როგორც ვარსკვლავებით განათებული მარგალიტის
პირველი ასხმა სადაფის მთვარე

ქალები რომლებიც მარტო წვანან შუალამისას
გზავნიან საფოსტო მარკას

რომელზეც ახალშობილი
ჩხავის: „მომაქვს სიახლე“

ქალები რომლებიც მარტო წვანან შუალამისას
იმეორებენ ფეხსაცმლის ბრენდებს

ქალები რომლებიც მარტო წვანან შუალამისას
ღვრიან გაუმართლებელ ცრემლებს,
ისეთებს რომლებიც მუდამ ლოყებზე ჩამოსდით
და არასოდეს ჩასდით პირში,
ისეთ ცრემლებს რომელსაც ვერ ჩაყლაპავ

ქალები რომლებიც მარტო წვანან შუალამისას
მლერიან ღმერთო დაიფარე ჩემი სატრფო
და შემდეგ ასლოკინებენ

ქალები რომლებიც მარტო წვანან შუალამისას
ემორჩილებიან ფიზიკის კანონებს
ქალები რომლებიც სიზმრებს ბოლოში აკულულებენ
ქალები ფლამინგოს მონასტერში

ქალები რომლებიც მარტო წვანან შუალამისას
და მოჰყავთ წვიმა და ბუზები, დასასრული,
დაკარგული დრო, ხედავენ ჩიტს,
რომელიც აეროპორტში ხახეს გაბმული და შადრევანმა გადაარჩინა

და კიდევ, ოდესმე სცადე,
ლირს.


თოვლი

ყოველთვის, როცა იწყება თოვა, სექსი მინდება,
არ აქვს მნიშვნელობა ოდნავ და არასერიოზულად თოვს,
თუ ინტენსიურად და ძალიან სერიოზულად ათოვს ლამეს.
ამ დროს მნიდა შევაჩერო სიცოცხლის ყველა მანიფესტაცია,
რაშიც კი ჩართული ვარ და მინდა მხოლოდ სექსი. სექსი იმ ადამიანთან,
ვინც თოვლის მოახლოებას გრძნობს და ეს იმდენად მნიშვნელოვანია
მისთვის, რომ შეიძლება ოფისი ან საქმიანი შეხვედრა დატოვოს,
ან მძიმე ფიზიკური ვარჯიში შეწყვიტოს, ან სულაც სხვასთან
სექსს დაანებოს თავი და თოვლში გამოვიდეს ჩემთან,
ანუ მასთან, ვინც უკვე თოვლშია და დათოვლილ ტვინში
სექსს იწყება. სექსი მინდა მასთან, ვისთვისაც თოვლი,
ზუსტად ისე, როგორც ჩემთვის, ნიშანია, სიხარულის ულტიმატუმი,
თუმცა ულტიმატუმი არც სიხარულია და არც მწუხარება.
როცა თოვას დააპირებს, მინდა ვიყო საკლასო ოთახში,
– რადგან მასნავლებელი ვარ – დავხურო ნიგნი, ნამოვდგე და ვთქვა:
„თოვა იწყება, სექსის დრო მაქვს, უნდა წავიდე, კარგად იყავით“
და გავიდე ოთახიდან, დავქოქო მანქანა, სწორედ მაშინ,
როცა პირველ ფანტელს გადმოყრის და ვიცოდე,
რომ ისიც თავის მანქანას ქოქავს და
ხედავს, როგორ ეცემა ფიფქები მანქანის მინაზე, ან,

თუ ის სახლშია, უყურებს თოვლს და გრძნობს,
 რომ მივალ, დათოვლილი, ასე, ათ-ოც, ან
 ოცდაათ წუთში, და თუ თოვა შეწყდა, ჩვენ,
 როგორც ადამიანებს შეეფერებათ, სწორ
 გადაწყვეტილებას მივიღებთ, მაგრამ არა მაშინ, როცა თოვს
 და თოვლი მთლიანად გვიმორჩილებს.
 თოვლში ყველა ჩიტი ერთბამად ქრება. სულ მაინტერესებს,
 სად მიდიან ჩიტები თოვლში. ამ დროს ისინი სადღაც
 ბუჩქებში შეყუულები წარმომიდგენია, ან ხეების შიგნით,
 ან ტყის სიღრმეში, ტოტებზე, ყველგან, სადაც თოვლი
 ვერ აღწევს. ჩიტები გრძნობენ თავათ უმწეობას და პანაწინა, თანდაყოლილი
 ვაჟებაცობით უძლებენ თოვას. ვიდრე გადაითოვებს,
 გასათბობად ბუმბულიან თავებს კისერში რგავენ,
 ფრთები, ჩიტების განმასხვავებელი ნიშანი,
 სრულიად უსარგებლოა თოვლში.
 მაშინ, როცა მე სექსი მაქვს, და გარეთ ბარდნის, მინდა
 ვფიქრობდე ჩიტებზე და მინდა, ჩემი საყვარელიც
 ჩემსავით ჩიტებზე ფიქრობდეს, რადგან, როცა გარეთ თოვს და
 ჩვენ კი სექსი გვაქვს საბაზზე, ან საბნის ქვეშ,
 ძალიან ვემსგავსებით ჩიტებს, რომლებიც
 მოუხედავად იმისა, რომ ირგვლივ თოვლის გარდა ვერაფერს ხედავენ, სრულ უძრაობასა და სიჩუმეში
 მაინც ინარჩუნებენ ფერს მკერდზე, ღრმად სუნთქვენ,
 მათი გული ფეთქავს. დიდი სიამოვნებაა თოვის დროს ჩიტებზე ფიქრი,
 მაგრამ უფრო დიდი სიამოვნებაა, როცა ვუყურებ,
 როგორ ათოვს სასაფლაოს, საფლავებს, საფლავის ქვებს
 და ქველ, საგვარეულო აკლდამებს, მიყვარს, როცა ვხედავ,
 ნელ-ნელა თეთრად როგორ იპენტება საფლავები,
 ამ დროს თოვლის სიცივეს სრულად შევიგრძნობ.
 თოვლი ქაზე ცივიც კია, მინა კი – ყველაფერზე ცივი,
 მინაში მიცვალებულების ძვლებია. თუმცა, არ სცივათ მკვდრებს,
 თოვს თუ არა, მათთვის მნიშვნელობა არ აქვს,
 არავითარი, სრულიად არავითარი მნიშვნელობა,
 მაგრამ ჩვენთვის საოცარია თოვლი სასაფლაოზე. მაშინ,
 როცა ვუყურებთ როგორ ეფლობა თოვლში სასაფლაო და
 ვხედავთ თოვლს საფლავებზე, რომლებიც ფარავენ ძვლებს,
 თითქოს განსაკუთრებით გამჭოლია ყინვა
 და ამავდროულად, სულ სხვანაირია სიმშვიდე,
 რომელიც თანდათან გვეუფლება.
 რაც არ უნდა ძლიერად თოვდეს, თოვლი მაინც არ კარგავს სინაზეს,
 თითქოს ფაქიზად ეფინებან ფიფქები მძინარეთ,
 რადგან მკვდრები არიან მშვიდად, არასოდეს ლელავენ,
 სძინავთ, როცა თოვს და მაშნაც, როცა გადიალებს,
 და თუმცა მე თოვის დროს გამალებულ სექსში ვიქნები,
 მინდა მახსოვდეს მდუმარე, ცივი, სათუთი მძინარენი,
 რომლებსაც ბუმბულში შეფუთული ჩიტებისგან განსვავებით,
 არ ძალუდ საკუთარ თავზე ზრუნვა,
 და არიან ის, ვინც არიან, და ნაწილობრივ, თოვლის ნაწილიც,
 თოვლის, რომელიც ისეთი მონდომებით ეცემა ციდან, რომ
 თითქოს ყველა სხვა ემოცია ქრება და მთელი სამყარო
 წვება ლოგინში, ჩემსავით თბილად იფუთნება და
 საყვარლის მკლავებში იკარგება.
 ჰო, ასეა, როცა ასე თოვს, მგონია, რომ
 მთელი სამყარო ჩემთან ერთად მარტოობასა და მდუმარებაში ეფლობა.

ინგლისურიდან თარგმნა დალილა გოგიამ

մայիս / May







დავით ჩიხლაძე

„რა ლამაზია“ და სასაცილო პურუჟიაზია


(რას ვერ მიაღწია ექსპერიმენტულმა თეატრმა საქართველოში)

როდესაც ექსპერიმენტულ და ავანგარდისტულ ხელოვნებაზე ინტერესი საუბარი, ჩვენში ეს თითქმის არასოდეს ეხება მუსიკას ანდა თეატრს – ავანგარდის დისკურსი, უმეტესწილად, ვიზუალურ ხელოვნებასთან არის ხოლმე დაკავშირებული, ხოლო ექსპერიმენტული ხელოვნებისა კი – ლიტერატურასთან. დაინტერესებული მკითხველისთვის ეს საკითხი იმდენად ნათელია, რომ აქ შესახესნებლად მაგალითების მოტანა ნამდვილად აღარაა აუცილებელი და მხოლოდა ფორმალური მინიშნებსთვის საკმარისი იქნება თუ ლიტერატურაში მე-20 საუკუნის დასაწყისის დადასტების და სიმბოლისტების სახელებს და 80-90-იანი წლების რადიკალურ თუ ზომიერ ექსპერიმენტებს გავიხსენებთ, რაც საბჭოთა კავშირის შექმნისა და დამლის პერიოდებს ემთხვევა, რაც, თავის მხრივ, შემთხვევითი შეიძლება სულაც არ იყოს. ასეთი დამთხვევა, პირველ რიგში, აბათილებს ერთ მცდარ კლიშეს, რომ ავანგარდისტული ხელოვნება მხოლოდა ფორმალისტურია და მას ისტორიულ სინამდვილესთან და ცხოვრებასთან კავშირი არ გააჩნია.

ისტორიულ კონტექსტსა და სინამდვილეს კი შეიძლება სწორედ ჩვენი დღევანდებით თეატრისა და მუსიკის კულტურა უფრო აღმოჩნდეს მოწყვეტილი და თუ უფრო კონკრეტული ვიქენებით, ეს შენიშვნა მუსიკაზე მეტად თეატრს უფრო ეკუთვნის. ჩვენს თეატრში, დამეთანხმებით, რომ კოტე მარჯანიშვილის მერე მხოლოდ მიხეილ თუმანიშვილის შემთხვევაში თუ არსებობდა მცდელობა, რომ თეატრის ახალი მოდელი და მგრძნობელობა ჩამოყალიბებულიყო. ეს მცდელობები უფრო გარეგნულ ფორმებს შეეხებოდა (მაგ. კინოეკრანის გამოყე-

ნება სცენაზე) და ასეთი ზედაპირული, ტექნიკური სიახლეების თეატრალურ ნოვაციებად ნარმოჩენის ტენდენცია დღემდე ძალაში რჩება და მთლიანად იკავებს სხვა ნებისმიერი ექსპერიმენტის ადგილს. იგივე ზედაპირული ტენდენციის ნაწილია სხვადასხვა ფესტივალებისა თუ თეატრალური პროექტების პერიოდული ნარმოქმნა და გაქრობა, რაც მხოლოდა საორგანიზაციო ან, უკეთს შემთხვევაში, სცენოგრაფიისა და ლამაზი დიზაინის კუთხით თუ არის კავშირში დასავლეთის თეატრის თანამედროვე განვითარებასთან და ეს გარეგნული მახასიათებელი მთლიანად იკავებს ნებისმიერი ძიების ადგილს ქართულ თეატრში.

რაც ყოველთვის უცვლელი რჩება, ეს არის აკვიატებული ხაზგასმა ფორმის პათეტიკაზე, ნარატივის სენტიმენტალიზმზე და მსახიობის საზოგადოებრივ-პროფესიულ კოკეტობაზე. პათეტიკა და სენტიმენტალიზმი გამოიხატება იმაში, რომ მაყურებელი აქ ვერასოდეს იგრძნობს იმას, რომ იმყოფება თეატრში – ქართული ემოციური ცხოვრების ყველა დეტალი სრული რეალიზმით არის დუბლირებული სცენაზე და შეიძლება ეჭვიც კი გაგიჩნდეთ, რომ ეს სიმულაკრა ან ბრეხტისეული გაუცხოების ავანგარდისტული ტრიუკი ხომ არაა და ჩვენს თვალინ მსახიობების თავს მართლაც ხომ არ ხდება ის ემოციური ქარიშხლები, რასაც, აქამდე გვეგონა რომ მხოლოდა თამაშობდნენ. ისინი მართლაც ასეთი ანენილი ნერვებით ხომ არ მოვიდნენ საკუთარი სახლებიდან და სცენაზე ხელსაყრელი ადგილი ხომ არ მოძებნეს პირადი ემოციური ცხოვრების გასაგრძელებლად? კოკეტობა კი გამოიხატება იმაში, რომ არა მარტო საზოგადოებრივ ცხოვრებაში ანდა ტელეეკრანებზე,



გარეო კორაბლიოვას პერფორმაციას თეატრის სპექტაკლი

თვით სცენაზე ყოფნის დროსაც კი ეს ჩვენი მსახიობები არ არიან მხოლოდა პერსონაჟები და როლების შემსრულებლები, ისინი უფრო საკუთარი პერსონები არიან, იმ პრესტიული იარღიყების თანხლებით, რაც ჩვენში სიტყვა ინტელიგენციას უკავშირდება. არიან ამ სეგმენტის კველაზე აფიშირებული წარმომადგენლები და ერთგვარი გურუები, რომლებიც ქვეყნის ბედ-ილბალს ერთი ომახიანი და ნაბახუსევი შეძახილით წყვეტენ (და, სამწუხაროდ, ეს ხშირად მართლაც ასე ხდება). ყოველივე ამან კი შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ სოფისტური პოსტმოდერნისტული ტრიუკები ასე უმანქოდ და დაუფიქრებლადაც შეიძლება განხორციელდეს.

მაგრამ დავუბრუნდეთ ავანგარდს და ექსპერიმენტულ ხელოვნებას. კოტე მარჯანიშვილისა და მისი თანამედროვეების (ვახტანგ გარიკი, სანდრო ახმეტელი) პერიოდს თუ არ ჩავთვლით, ის აქ არ განვითარებულა და არც დაწყებულა. დღევანდელ გახსენებებშიც დაუინიბული ხაზებამა ისევ დიზაინზე (პეტრე ოცხელის გარშემო ატეზილ მუდმივად განმეორებად აუიოტაჟს ვგულისხმობ), მაშინ როდესაც არანაირი შეხსენებაც კი არ მოიძებნება, თუ როგორი იყო თვით კოტე მარჯანიშვილის თეატრის ავანგარდის ესთეტიკა.

ამასობაში დასავლეთმა განვითარების ბევრი ისეთი პერიოდი გაიარა, რაც დღეს სრულიად გაუგებარი ხდება ჩვენთვის. ავანგარდი და ექსპერიმენტული ხელოვნება პირველ რიგში მემარცხენე ესთეტიკასთანაა დაკავშირებული, იმიტომ რომ მისი ამოცანა პირველ რიგში, ცხადია, ემსახურება ფორმის და სულიერების ძიებას და არა სამუზეუმო ან სალონური საგნებით ბურუუაზიულ ტყბობას. ჩვენთან სწორედ ეს უკანასკნელი მიდგომა განვითარდა, რადგან დის-

კურსი, კონტექსტი და პრობლემატიკა აქ უცნობი იყო და ერთადერთი, რაც რჩებოდა და დღესაც რჩება, არის მხოლოდა ცხოვრებისულ დინამიკას მოწყვეტილი გარეგნული სილამაზის კლიშე. დღეს, ერთადერთ და უკეთეს შემთხვევაში აქ ცდილობენ თარგმნობ დასავლეთის თანამედროვე ავტორები, თანამედროვე თეატრი კი დიდი ხანია აღარ განისაზღვრება დრამატურგით. მას შემდეგ რაც განვითარდა ანტითეატრის, ჰელინიგის, პოსტდრამატული და პოსტმოდერნისტული თეატრის ძალზე მდიდარი ესთეტიკა, პლებეური ხდება ამ ყველაფრის არცონისა და ამავე დროს შეგნებული და აგრესიული იგნორირების ფონზე თანამედროვეობასთან კავშირში ხედავდე თავს და, მითუმეტეს, ისე-დაც იშვიათი გრანტებისა და ხელსაყრელი პროექტების მონოპოლისტურ დასაკუთრებაზე გაგაჩნდეს პრეტენზია.

თეატრიც და საცეკვაო თეატრის ხელოვნებაც გვერდიგვერდ უნდა ვიგულისხმოთ – ორივე სამუზეუმო კლიმებშია გაჭედილი. მიუხედავად რამდენიმე მცდელობისა, მოდერნისტული (პოსტმოდერნისტულზე, ცხადია, აღარაფერს ვამბობ) ცეკვის ტექნიკებით და ესთეტიკით დაინტერესება აქ არ მოხდა. საპირისპიროდ, კიდევ უფრო გაძლიერდა ყალბი პრესტიულობის გრძნობა

ოდესლაც ბუნებრივად არსებული სხვისი საბალეტო დიდებით. ბალეტის მოდერნისტული ცეკვით ჩანაცვლებაზე არაა საუბარი, სხვა ფორმები, უბრალოდ, ვერ იკიდებს ფეხს ამ ე.წ. პრესტიული კოკეტობის გამო და ეს ძალიან ჰგავს დიპლომების და უმაღლესი სასწავლებლების ჩვენში არსებულ მანიას (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით).

ანტონენ არტოს ან ეური გროტოვსკის შესახებ აქ დღესაც არაფერია ცნობილი (საბჭოთა კავშირის დროს რუსულად გამოცემულ წიგნს მაინც ნახავდით სადმე და დღეს არც ინგლისური ეკვივალენტის შესაძლებლობაა და რუსულიც აღარაა ხელმისაწვდომი). მაგრამ თუ ადრე ასეთი წიგნები ბაზარზე ჩანდა და თავს გახსენებდათ, საქართველოში ეს მაინც არანაირ გავლენას არ ახდენდა თეატრალურ ინტერესებზე და გარემოზე. 1995 წელს მარგო კორაბლიოვას პერფორმანსის თეატრის ინიციატივით დაფუძნდა თეატრალური გაზეთი „სერაფიმის თეატრი“, რომელიც ლიტერატორთა რესპუბლიკური ცენტრის მხარდაჭერით გამოიცა. სულ სამი წომერი გამოვიდა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, უახლესი ქართული თეატრალური გამოცემების მთელი ისტორიის მანძილზე თანამედროვე ექსპერიმენტული თეატრის რეჟისორებისა და თეორეტიკოსების მასალები მკითხველს ასეთი მოცულობით არ შეხვედრია.

მოვგინებით, 1998 წელს ისევ კორაბლიოვას თეატრის მოწვევით თბილისის სახელმწიფო საბალეტო სკოლას ერთი თვის სახელოსნოს ფორმატით ესტუმრა თანამედროვე ცეკვის ცნობილი ამერიკული კომპანია „კორპერატორმანს კომპანი“, რომელმაც არაერთი სამუშაო და სასცენო ჩვენება სამეფო უბნის თეატრშიც გამართა. ამავე წელს, ისევ კორაბლიოვას თეატრის ინიციატივით თბილისში ჩამოვიდა პერფორმანს არტის ცნობილი იაპონური ჯგუფი „არტ ანაიდენტიფიაიდ“ და იაპონური ლეგენდარული ავანგარდისტული ჯგუფის, „გუტაის“ ფუძემდებელი შოზო შიმამოტო. უფრო ადრე აქ იმყოფებოდა მოსკოვური პერფორმანსის თვალსაჩინო ფიგურა ალექსანდრ პეტლიურა საკუთარი „ტანსაცმლის თეატრით“. იმდროინდელ პრესას თუ გადავლებთ თვალს, პროფესიულ უურნალზე „თეატრი და ცხოვრება“ აღარაფერს ვამბობ, ექსპერიმენტულ თეატრთან დაკავშირებული ერთადერთი


აღნიშვნები სწორედ კორაბლიოვას თეატრის მცდელობებს შეეხება. ეს თეატრი 1994 წელს დაარსდა მთარგმნელობითი ცენტრის სარდაფში ლესელიძის ქუჩაზე და ცოტა ხანში მისი მოდელი „სარდაფის თეატრმა“ გადაიღო, უფრო კი მხოლოდა ანტრეპრიზას თვალსაზრისით და საკუთარი სახელწიფო დამოუკიდებლობის სწორედ ამ ინტერესზე მიანიშნა. ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ სარდაფში ყოფნა თავისთავად მოდა არ არის, ეს შეიძლება იყოს აუცილებლობა. უმთავრესი კი ისაა, შეგეძლოს დაინახო, თუ რისი გაკეთებაა საჭირო და რაც ჯერ კიდევ თავისუფალია მასობრივი კულტურის კლიშეებისგან.

თეატრის რუბრიკა, რომლითაც ჩვენ ვიწყებთ ახალი გვერდების შექმნას ქართულ კულტურის უურნალისტიკაში, ყველა იმ მცდელობას მიეძღვნება, რაც კი ჩვენში გაკეთებულა, რაც არა მხოლოდ თეატრს, არამედ ზოგადად ხებისმიერ თეატრალიზებულ ნამუშევარს შეეხება (ხშირად ეს შეიძლება აღმოჩნდეს კონცერტი ანდა ვიზუალური ხელოვნება). წმინდა თეატრალურ ნამუშევრებს თუ შევეხებით, პირველ რიგში, აქ ყველაზე მეტად, ალბათ, თემურ ჩხეიძეს გავიხსენებდით, რომელიც ყველაზე ახლოსაა ექსპერიმენტული ხელოვნების განსაზღვრებასთან იმით, რომ ყოველთვის ამაღლვებელ ზღვარზე გადის წმინდა მინიმალისტურ სტრუქტურებსა და მასობრივად გასაგებს შორის. დანარჩენი, რაც კი კარანავალურ განწყობებზეა ქართულ თეატრში აგებული, სინამდვილეში დიდად არ განსხვავდება ვოდევილისა და ქუჩის ცირკის ესთეტიკისგან.

ჩვენი თეატრალური კონტექსტის ვექტორების დასადგენად ასევე უნდა გავიხსენოთ ბოლო დროს მასობრივად თვალშისაცემი „მოძრაობის თეატრი“. სინამდვილეში, ჩვენში ჩამოყალიბებული შეხედულების საპირისპიროდ, ეს ტერმინი ნამდვილად არ არის დაკავშირებული არც შაპიტოსთან და



მარგო კორაბლიოვას პერფორმანსის თეატრის სპექტაკლი



„კორპერაციული კომპანია“ სპექტაკლი

არც, თუნდაც, ქუჩის თეატრთან და ის თანამედროვე პოსტ-მოდერნისტული ცეკვის თეატრის უანრულ ტერმინს წარმოადგენს. მოძრაობის თეატრი უბრალოდ იმას აღნიშნავს, რომ ასეთ თეატრში დრამატურგიული ტექსტის მაგივრად სხეულისა და თანამედროვე ცეკვის ენა გამოიყენება და არა-ვითარ შემთხვევაში იმას, რომ ეს აკრობატების, ფრინვლიორების ანდა ქუჩის დოლებზე დამკვრელების თეატრია. მსგავსი უზუსტობები იმასთანაა დაკავშირებული, რომ აქ არ ხდება ხელშეწყობა არანაირი რეფლექსისა და ტერმინების განსაზღვრის (კრიტიკის) თანამედროვე სისტემების, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მკვდარი და მოძალადე სალონური კლიშეების დაუმთავრებელ პათეტიკურ ზეიმს და კულტურის განვითარებას დროსთან ანტაგონისტურად დაუსრულებლად ექაჩება უკან. ამის მეორე, არანაკლები საშიშროება კი ე.ნ. ნოვატორობის მხრიდან არის მოსალოდნელი, როდესაც საქართველოსთვის დამახასიათებელი მანერულობისა და კეკლუციობის მაგალითზე, აქ შეიძლება ისევ მკვდარი სალონური პროდუქციისა და ფორმალური სახელოსნოების ზედაპირული იმპორტირებები მოხდეს ყველასთვის კარგად ნაცნობი თანამედროვე ჩინონენკური აქტიურობების წყალობით, რაც კარგად არის შეთავსებული ე.ნ. ლამაზ სნობიზმთან, ნაცვლად დღევანდელი საზოგადოებრივი ფორმაციების და მასთან დაკავშირებული პოსტ-მოდერნისტული ესთეტიკის ლირებულებებისა.

არცერთი გამოცემა, არხი და კრიტიკოსი არ შეეხება აქ ისეთ პროდუქციას, რაც უკვე მასობრივი კულტურის მიერ არ არის აღარებული. ექსპერიმენტულ ხელოვნებაშიც, როგორც ვთქვით, ისევ ბურუჟიზიული ელემენტების უპირატესობის იმედი აქვთ. ამის მიზეზების გარკვევა დღეს შეიძლება ძნელი იყოს, მაგრამ საუბრის განვითარებული პოსტ-მოდერნისტული ესთეტიკის ლირებულებებისა.

საქართველოს არაფერი ისეთი, რაც მშრალ ბურუჟაზიულ კუდაბზიკობას ერთხელ მაინც გასცდება.


მუსიკის თეატრი ვერ ვიტყვით, რომ აქ ბრწყინვავს. თუ სულ ახლახანს დაიწყეს ჯონ კეიჯის ან იან ქსენიაისის შესრულება, ეს ახლოსაც ვერ მოდის იმასთან, რომ ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანს უკვე დიდი ხანია ჰყავს კომპოზიტორები, რომლებიც ქმნიან შესანიშნავ ავანგარდისტულ ნაწარმოებებს, გავლილი აქვთ მასტერ-კლასები ახალი მუსიკის ისეთ ცნობილ კომპოზიტორებთან, როგორიცაა, ვთქვათ, კარლ-ჰაინც შტოკჰაუზენი, ატარებენ საერთაშორისო ფესტივალებს და თავადაც რეგულარულად მონაწილეობენ ასეთ ფესტივალებში უცხოეთში. ჩვენთან შეიძლება იყოს ახალი მუსიკის ხაზის ელემენტები ანდრია ბალანჩივაძის, სულხან ნასიძის, ვაჟა აზმაიფარაშვილის და სხვ. შემთხვევაში და დღეს მხოლოდ გია ყანჩელის ხაზგას-მული აფიშირება არის ისევ ჩვენთვის კარგად ნაცნობი, ლამაზი და სასაცილო ბურუჟაზიის საბედისწერო სატყუარა.

შემდეგ ნომრებში ყოველთვის გავაშექმნავთ იმ მოვლენებს, რაც სიახლისა და მნიშვნელოვნების თვალსაზრისით გამოკვეთილი აღმოჩნდება, დავაკვირდებით საზღვარგარეთის მიმდინარეობებსა და ტენდენციებს და, რაც უმთავრესია, არსებობის შემთხვევაში, ყოველთვის მოვაძენთ გამოხმაურებას ყოველგვარ მასობრივად არააფიშირებულ, შეუმჩნეველ, მაგრამ რაღაც ნიშნებით ღირებულ მოვლენებზე ადგილობრივ სცენაზე.



შოზი შიმამოტოს აქცია

პარასკევილან ორგანათამდე



ნინო ჭარ მუზაშვილი

1.

ამ ბოლო დროს შინიდან თითქმის აღარ გავდივარ.

ნახევარი ცხოვრება გავიდა. ბევრმა რამ გადაიარა. გარკვეულ შინაგან წინასწორობას მივალნიე. რისი მიგნებაც შემძლო, თითქოს მივაგენი. რისი გაგებაც შემძლო, მგონი, გავიგე. სამყაროს ფერებს როგორლაც, თითქოს თავისთავად, დააკლდა სიმკეთორე, სამაგიროდ, სილრმე მოემატა. ირაციონალურ სევდას, ნაღველსა და მოუსვენრობას თანდათან დიდი ხნის ნანატრი სიმშვიდე შეერია.

კარგი დოლადრინა ადგომა, ფინჯანი ყვისა და სიგარეტის შემდეგ აივანზე გასვლა, დაულალავ მეტოვესთან ორიოდე ფრაზით გამოლაპარაკება... ამის შემდეგ საქმე კარგად მიდის. შინაურების გაღვიძებამდე მყუდროებას აღარაფერი მირჩვევს. დილა ყველაზე ნაყოფიერი დროა. სტრიქონი სტრიქონს სწრაფად ემატება, საქმე წინ მიდის და ჩემი ვარაუდით, დიდი ხნის წინ ჩაფიქრებულ წიგნს ბოლოს და ბოლოს გვიან გაზაფხულზე დავამთავრებ.


ორი-სამი საათის შემდეგ ტემპი იყლებს. დღის სამი-ოთხ საათზე საბოლოოდ ვჩერდები. ჩემთვის დღის ეს ნანილი ყოველთვის უხალისო, მძიმე დრო იყო. ახლა მით უმეტეს. მზე გადახრილია და გახუნებული, დაგმანული სარკმლიდან ქალაქის ბორგვის ყრუ ხმა აღნევს – თბილისი მომაკვდავით ხრიალებს. ლიმონივით ვარ გამოწურული. ხვალ დილამდე დარჩენილი დრო ყველაზე გრძელია. გარეთ მარტი დგას, მაგრამ თბილისში ჯერ ისევ ზამთარია, ცივა. ქალაქში გასვლის და პარტნიორად ვინმე ჩემსავით დალლლი კაცის ძიების ხალისა აღარ მაქვს. ასეთ დროს ინტერნეტი ნამდვილი შევბაა, ოღონდ სოციალურ ქსელში ვირტუალურ იმიჯზე ჩალიჩის გამო არა. შევბაა, თუ კინო გიყვარს. აქ ყველაფერია, ჰოლივუდიც და Frenchmovie-ც, ჯეიმს აივორიც, რომერიც და სპილბერგის ინდიანაც, ქველიც და ახალიც, სერიოზულიც და გასართობიც, ღრმაც და ზედაპირულიც... დღის ოთხი საათის შემდეგ მაინცდამაინც ღრმას არც ვეძებ. ღრმა და კარგი ყველაფერი ცოტაა, მათ შორის კინოც.

არც მინდა.

ასეთ დროს ტერენს მალიკი ან ლარს ფონ ტრიერი მეტისმეტია. სახსებით საქმისია რამე ჰოლივუდური სიმსუბუქე, ოღონდ ცოტა მაინც გემოვნებიანი, ცოტა მაინც უანრის კანონების პატივისცემით გადაღებული რამე ორდინარული ფილმი. უბრალოდ, ხვალ დილამდე დარჩენილი დრო რომ გავიყვანო, მეტი არაფერი.

აი, თუნდაც ეს – მცირებიუჯეტიანი ფილმია, სულ რაღაც ათმილიონიანი. არავითარი ვარსკელავები, არავითარი სპეციალისტები, არავითარი აუზის კეზდანი (Jon Kasdan). ვინ არის, არ ვიცი. გვარი ნაცნობია, მაგრამ ის ლოურენს კეზდანია (მერე გავიგე, მამა-შეილი ყოფილი). არც ფილმის სახელნოდება („The first time“) მეუბნება რაიმე განსაკუთრებულს და არც მისი აბდაუბდა რეზიუმე. მოკლედ, ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ საქმე მაქვს მოზარდების ცხოვრებისადმი მიღვნილ ჩვეულებრივ მასკულტურულ სიმარტივესთან.

ჰოლივუდში უყვართ ვარიაციები თინეიჯერების პირველ სექსუალურ გამოცდილებაზე, რაზეც ამგვარი პროდუქციის სიუხვეც მეტყველებს. ეტყობა, ცუდად არ იყიდება. მოზარდების ცხოვრებაში პრობლემებს ქებნა არ სჭირდება, თავად მოზარდია ერთი დიდი პრობლემა. მაგრამ ამგვარი ფილმების უდიდესი უმეტესობის ყურება, უბრალოდ, ჩემს ძალებს აღემატება. იშვიათად ისეთიც შეგხვდება, ესთეტიკურ კომბინაცია არ განგაცდევინებს და რამდენიმე წუთით მაინც რომ დაგამახსოვრებს თავს. ამვერად ეს კარგი ვარიანტია. ამ იმედით შევჩერდი ამ ფილმზე, მაგრამ შევცდი.



ჩვეულებრივ, ერთი გრამი ოქრო რომ მიიღო, რა მდენიმე ტონა ქვა და ლორლი უნდა გადაქექო. ჰოლივუდის პროდუქციაც ასეა – კარგი ფილმი აქც ისეა ხოლმე ჩამარხული ტონობით მასკულტურულ უმსგავსოებაში, როგორც ოქრო უსარგებლო გრუნტში. მაგრამ ამჯერად, ისე, რომ არ მიძებინა, ოქრო თვითონ მოვიდა ჩემთან. ზოგჯერ ასეც ხდება.

ჩემდა გასაკვირად „The first time“ პატარა, უპრეტენზიო, მაგრამ ვერლენის ლექსივით გულშიჩამნვდომი ქმნილება აღმოჩნდა. ეს ფილმიც მოზარდების პირველ სიყვარულზე მოვითხრობს, მაგრამ მოვითხრობს ძველებურად. ხელოვნებაში ახალი არც არაფერია. ვითომ ახალი რაც იყო, მოდერნისტებმა უცებ ამონტურეს. ასე რომ, ფილმის ავტორის ძველმა, დახვეწილმა ენამ ოდესლაც, დიდი ხნის წინ, შექსპირის ან სტენდალის საუკეთესო სტრიქონების კითხვისას გაჩენილ განცდებში დამაპრუნა და ჩემი ძველი ნაწინბი დემონი გმოაღია.

ამას არ ველოდი, არც ვეძებდი, არც მინდოდა...

მე და ჩემი დემონი ერთმანეთს კარგად ვიცნობთ – გენეალოგით, ზნით, ხასიათით, ყველაფრით. იდნავადაც არ შეცვლილა. მე მეგონა, მე შევიცვალე-მეტე, მაგრამ თურმე არც მე შევცვლილევარ. აპა, გამოეღვიძა, ნამოვიდა, ნისლივით შემომეხვია, ძვალსა და რბილში შეაღნია და დადგა. რეპერტუარი ძველისძველი აქვს: ყოფის ქაოტურობის, მისი დისკარმინიულობის ღრმა, დეპრესიული განცდა და იდეალური სამყაროს მწვავე, მწვავე წყურვილი.

ტყუილად მეგონა, ამგვარამა განცდებმა კარგა ხნის წინ გადაიქუხა-მეთქი.

ახლა რაღა ეშველება ამ საქმეს?

გამოცდილებით ვიცი, ასეთ დროს ყოველ-დღიური ცხოვრებისა და რაიმე საქმის გასაკეთებლად აუცილებელი შინაგანი სიხისტის დასაბრუნებლად ნებისმიერი რაციონალური არგუმენტი უძლურია. არსებობს მხოლოდ ერთი გზა: ყველაფრი გვერდზე უნდა გადავდო და ჩემი განცდის გამოხატვა ვცადო. ეს მეთოდი თავის დროზე ძალიან მშველოდა. ისეთი ახორციელი საქმიანობაც, როგორიც საკუთარი განცდების მაინცდამინც ფურცელზე გადატანაა, სწორედ ამან დამაწყებინა.

2.

„The first time“-ში მოთხრობილი ამბავი პარასკევს საღამოს ინყება და ორშაბათს დილით მთავრდება. მსგავსი თემატიკის სხვა ფილმებისგან განსხვავებით აქ ამბავი თხრობით ხელოვნების კლასიკური კანონების გათვალის-

წინებითაა მოთხრობილი. არავითარი ნატურალიზმი თინეიჯერული უხამსობების გადმოცემაში, არავითარი პოსტ-მოდერნისტული ცინიზმი და სტილთა აღრევა, არავითარი მასკულტურული უმწეობები, არავითარი სენტიმენტალიზმი, არავითარი ჭარბი თაფლი და შაქარი. პირველივე სცენებიდან ნათელი ხდება, რომ რეჟისორი პატივს სცენებს და კარგად ფლობს დეტალების ხელოვნებას ანუ იგი მთლიანად ენდობა თავის მაყურებელს და მისი გულის, ჭურისა და გმროვნების იმედი აქვს. მხოლოდ ეს გარემობაც საკმარისი იქნებოდა საიმისოდ, რომ ფილმი ბედნიერად გამორჩეულიყო პოლივუდის პროდუქციაში, თუმცა, აღბათ, საკმარისი ვერ იქნებოდა საიმისოდ, რომ ჩემისთანა ძველი რომენტიკულისთვის წონასწორობა დაერცევა.

რეჟისორი უფრო შორს წავიდა. მან შეძლო ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა იმ ენით გამოიტმელი მეტაფიზიკური მომენტის ძლიერი აქცენტირებით გამოეხატა, რაც თითქოს ლმერთმა საგანგებოდ ჩადო სქესთა შორის ურთიერთობაში, როგორც ყველაზე ბუნებრივი საშუალება მატერიალური სამყაროს ჭანგებიდან გასასხლომად, ზეცისკენ ასაჭრელად და ადამიანად ყოფნის მთელი ტევილისა და ნეტარების განსაცდელად. აღბათ, ამიტომაც იყო ქალ-ვაჟის სიყვარული ყველა დროისა და ეპოქის ხელოვნების უმთავრესი თემა. მაგრამ დღეს ხელოვნება, უფრო სწორად, ის, რაც მისაგან დარჩა, მაინცდამინც ველარ და ალარ ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რაც ძველი სატატების-თვის მთავარი იყო. ამას თავისი მიზეზები აქვს, თან საკმარის სერიოზულიც, რაც, აღბათ, რეჟისორმაც იცის, მაგრამ, ეტყობა, ეს ჯონ კეზდანი, ზოგიერთობისა არ იყოს, ზედმეტად მგრძნობიარე და ამიტომ ჯიუტი და გამოუსწორებელი რომანტიკოსია. მე მონი, მას ვერავინ დააჯერებს, რომ ქალ-ვაჟის ურთიერთობა მხოლოდ და მხოლოდ ინსტინქტებითა და რამდენიმე ქიმიური რეაქციის ზეგავლენით აღგზნებული ხორცების ურთიერთობაა. იგი, აღბათ, დარწმუნებულია, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ღმერთს თავისი ძველისძველი საჩქარი – სიყვარულის უნარი – ჯერაც არ ნაუღია უკან. ამიტომ მხოლოდ რომეოსა და ჯულიეტას ან ჟულიენ სორელსა და ქალბატონ დე რენალს კი არ შეეძლოთ სიყვარულის ფრთხით დედამიწის მიზიდულობის ძალის გადალახვა და ციურ სივრცებში გაღნევა, ეს შეუძლიათ თანამედროვე ამერიკელ თინეიჯერებსაც.

მაგრამ ძველ ხელოვნებაში ქალისა და მამაკაცის ურთიერთობისთვის თანამედრევი მთელი ეს მომაჯადოვებელი, „მთრთოლვარე მეტაფიზიკა“ უმთავრესად ტრაგედით გამოიხატებოდა. ეს კანონი არ დაურღვევა არც შექსპირს, არც სტენდალს, არც ლაკლოს, არც ტოლსტოის და არც სხვა ვინმეს. ჯონ კეზდანმა დაარღვია. მისი ნაწარმოები არათუ ტრაგედია არ არის, თავისებური ჰეპი ენდითაც კი მთავრდება, მაგრამ ეს უმიზეზოდ არ ხდება.

თანამედროვე დასავლურ სამყაროში და განსაუთრებით ამერიკაში ტრაგედიამ ცოტა სხვა სახე მიიღო და სხვა შინაარსი შეიძინა. თანამედროვე დასავლეთი არის სივრცე, სადაც პრაქტიკულად გაქრა სქესთა შორის ტრაგიკული ურთიერთობის განმაპირობებელი წინააღმდეგობანი. აღარ არსებობს სოციალური უთანასწორობიდან შებილი ჩაგვრა და უსამართლობა, საგრძნობლად შემცირდა ქონებრივი განსხვავებით განსაზღვრული პრივილეგიების რიცხვი, აღარ ხდება რევოლუციები და ომები; ქალ-ვაჟის ურთიერთობაში გადაულახავ დაბრკოლებად

აღარ ითვლება რასობრივი, ეთნიკური ან რელიგიური განსხვავებანი. ეს ყველაფერი გაქრა. დარჩა მხოლოდ გზა, რომელიც ქალმა და მამაკაცმა ერთმანეთისკენ უნდა გაიარონ და ამ გზისთვის დამახასათებელი ფსიქოლოგიური სირთულეები და წინააღმდეგობანი, რაც სრულებითაც არ არის დაუძლეველი. პირიქით, სწორედ ამგვარი სირთულეების გადალახვის აღნერილობანი წარმოადგენს ე.ნ. „სასიყვარულო თამაშებისა“ თუ „სასიყვარულო ორთაბრძოლების“ არსა, რაც ასე შესანიშნავადა დახატული ზოგიერთ რომანში და, რაც დიდწილად განაპირობებს კიდევ მათ უკვდავებას.

ანუ, ჩვეულებრივ, მხოლოდ ეს კომპონენტი ტრაგედიისთვის საკმარისი არ არის. ტრაგედიისთვის საჭირო ფეთქებად ძალას გზის სირთულე მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილ სოციალურ, ეკონომიურ და სხვა მიზეზებთან სინთეზში აღწევდა. რომეოსა და ჯულიეტას ტრაგიული აღსასრულის მიზეზები დიდი ხნის წინ გაქრა. ჟილიენ სორელი იმიტომ უნდა დაიღუპოს, რომ იგი წარმოშობით გლეხია. რესტავრაციის ეპოქის საფრანგეთი ის ველია, სადაც სოციალური წარმოშობით განსაზღვრული შეზღუდვების გადალახვა გმირის არავითარ ლირებას არ შეუძლია. ასეთ ფატალურ ვითარებაში ქალ-ვაჟის სასიყვარულო თამაშებისთვის ბუნებრივად დამახასიათებელი სირთულეები ათმაგად მკევრდება და სტენდალის დარი ისტატის ხელში საუკუნო სიცოცხლეს იძენს. ქალბატონი დე რენალისა და მატილდა დე ლამოლის განცდები თავისთავადაც მშვენიერი პოემაა, მაგრამ ამ პოემას ტრაგიულობას ის გარემოება ანიჭებს, რომ ქალებს სოციალურად უსასრულოდ მათზე დაბლა მდგარი ვაჟი უყვართ.

თუმცა ლაკლოს გმირები არისტოკრატები არიან, მაგრამ მაინც იღუპებიან. ეს იმიტომ, რომ მარკიზამ და ვიკონტმა ვალმონმა სქესთა შორის ურთიერთობაში ბუნებრივად არსებული ბრძოლის ელემენტი უკიდურესობამდე მიიყვანეს, ერთგვარ თვითმიზნად აქციეს, და დაივიწყეს მთავარი: ის, რისი გულისთვისაც ქალი და მამაკაცი ერთმანეთს ხვდება. მათ სიყვარული თავშესაქცევ საქმიანობად, ხოლო საკუთარი უგრძნობელობა სხვათა მანიპულირების იარაღად გადააქციებს, რის გამოც დაისაჯნენ კიდევ. დღეს აღარც ის სივრცე არსებობს, სადაც ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ადამიანებისთვის სხვათა გრძნობებისა და ბედით თამაში საზოგადოებრივი პრესტიჟის მოპოვებისა და პატივმოყვარეობის დაკამყოფილების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა.

ძეველ ხელოვნებაში სიყვარული ტრაგედიით გამოიხატებოდა.

მაგრამ თანამედროვე ამერიკაში აშეარად ხელოვნური და უადგილო იქნებოდა დღევანდელი რომეოსა და ჯულიეტას ურთიერთობებში ტრაგედიის ელემენტების შეტანა. საამისო საფუძველი აღარ არსებობს. დააბულობა და ერთგვარი დრამატიზმი რჩება, მაგრამ ეს სასიყვარულო თამაშებისთვის დამახასიათებელი მსუბუქი დრამატიზმია, რასაც რეჟისორი რამდენიმე პერსონაჟის მეშვეობით, სავსებით შეგნებულად, კიდევ უფრო ამსუბუქებს.

რატომ?

საქმე ის არის, რომ, როგორც უკვე ითქვა, მას შემდეგ, რაც საზოგადოებამ შეყვარებული წყვილის ურთიერთობაში უხეშად ჩარევის შესაძლებლობა დაკარგა, დაიკარგა სასიყვარულო თამაშების დრამატიზმის ფატალიზმიც. რაიმე პათოლოგიური

გამონაკლისის გარდა იგი თითქმის აღარასოდეს არ არის საბედისნერო. ამიტომ აღარ არის საჭირო ფეთქების ხელოვნურად გამუქება. მსუბუქი იუმორი ამ შემთხვევაში ფილმის ავტორის უტყუარი მხატვრული ალლოსა და კარგი გემოვნების გამოხატულებაა. ჭარბ იუმორსაც ისევე შეეძლო საქმის გაფუჭება, როგორც ზედმეტ დრამატიზმის, მაგრამ რეჟისორს არც გემოვნებამ ულალატა და არც ალლომ: მან შეძლო ზომიერების დაცვა. ამან შესანიშნავი შედეგი გამოიღო: ფილმის მაყურებელს შეუძლია დარწმუნდეს, რომ ტრაგიზმის გაქრობა არ წიმნავს ნამდვილი სიყვარულის გაქრობას. და, რომ სიყვარულის ისტორიაში მთავარია არა მაინცდამიანც ტრაგიზმი, არამედ ის სუფთა იდეალი, ის „მთრთოლვარე მეტაფიზიკა“, რაც ზუსტად ისეთივე დაუძლეველი ძალით იზიდავს დღევანდელ რომეოსა და ჯულიეტას ერთმანეთისა და სამყაროს უსაზღვრო სივრცეებისკნ, როგორც მათ წინაპრებ-სიზიდავდა.

3.

ოჳ, ეს ქალები! თქვა შექსპირმა, და ის, რა თქმა უნდა, მართალი იყო.

როგორც ჩანს, ამერიკელი თინეიჯერებისთვის პარასკევი საღამო წვეულებების გამართვის დროა, რასაც, ეტყობა, მათი მშობლებიც გაგებით ეკიდებიან. საერთოდ, თავაწყვეტილი თინეიჯერული წვეულებების სცენები თავისი სექსუალური ხასიათის თამაშებით, ალკოჰოლითა და ნარკოტიკებით, მოზარდების ცხოვრებისადმი მიღვნილი ამერიკული ფილმების განუშორებელი წანილია. ასეთივე თავაწყვეტილი წვეულების ამსახველი კადრებით იწყება ეს ფილმიც. ტრიტრების ფონზევე ვხედავთ ყოველივე იმას, რისი ნახვაც ასეთ წვეულებებზე შეიძლება: უამრავ აღგზნებულ ჯეელს, ერთმანეთს ჩაწნულ-ჩახვეულ წყვილებს, შიშველი მოზარდებით სავსე აუზს, ზედმეტი ალკოჰოლის მიღებით გულზიდვამდე მისულ ბიჭებსა და გოგოებს... მოკლედ, თინეიჯერული თავდავიწყების ყველასთვის უკვე კარგად ნაცნობ პოლივუდურ სურათებს. მაგრამ ამ კარგად ნაცნობი სურათებისა და ტიტრების ფონზევე რამდენჯერმე გაკრთება გოგოს სილუეტი, რომელიც მარტოდმარტო დახეტიალობს აღგზნებულ თანატოლებს შორის. ის ვერსად ჩერდება, ვერ ერთობა, ვერ მხარულობს, ადგილს ვერ პოულობს. რამდენჯერმე გაკრთება ბიჭის ფიგურაც, რომელიც სახლის უკან მყუდრო შესახვევში განმარტოვებულა, ბოლოთას სცემს, საკუთარ თავს ელაპარაკება და თითქმის რაღაც

გეგმებს აწყობს. ცოტა მოგვიანებით მაყურებელი აცნობიერებს, რომ რეჟისორს ეს პოლიკუდური წევულება სინამდვილეში ძალზე არა-ჰილიკუდური მიზნის მისაღწევად სჭირდება: ხმაურიანი და თავაწყვეტილი წევულება რეალობის ის ნაწილია, რომელშიც ეს ორი ადამიანი საკუთარ ადგილს ვერ პოულობს.

ესეც ძველი კანონია: რომეო და ჯულიეტა მხოლოდ გარეგნობით კი არ უნდა იყვნენ გამორჩეულნი, არამედ შინაგანადაც. გარეგნული სილამაზე და სინორჩე პარმონიულად უნდა ერწყმოდეს მათ შინაგან სიფაქტზესა და ძლიერ მგრძნობელობას. შინაგანად ფაქტზე და მგრძნობიარ ადამიანები კი უნდებლიერ უპირისაპირდებიან გარე სამყაროსა და ვულგარულ უმრავლესობას. მაგრამ მათი პროტესტი უმნეო და პასიურია: ისინი დანარჩენებივით ვერც ცეკვავენ და ვერც სხვა ცუდად შენიშვნულ სექსუალურ თამაშებს თამაშობენ. საკუთარი მაქსიმალიზმის გადამყიდვეთ გრძნობისგან დაცლილი, მექანიკური ურთიერთობები შეურაცხოფას აყენებთ. ისინი ყველაფერს ღრმად განიცდიან, ისინი იდეალს დებენ და ამიტომ მარტონი რჩებიან.

მგრძნობიარე ადამიანები მარტოსული არიან. ასეთი ადამიანები თავს ბედნიერად მაშინ გრძნობენ, როცა მარტოდ დარჩენილი საყვარელ საქმეს აკეთებენ. გოგო ბედნიერია მაშინ, როცა სკოლიდან დაბრუნებული თავის ითახში განმარტოვდება, მზით გამთბარ ხალიჩაზე დაჯდება და ჟურნალებიდან სურათების ჭრას იწყებს თავისი კოლაჟებისთვის. ბიჭი შინ ვერ ახერხებს მარტო დარჩენას, მხოლოდ მანქანაში. ხშირად მთელი დამე ქალაქის ქუჩებში დაეხეტება...

ეს ის ნიშნებია, რომელთა მიხედვითაც შეუცომლად შეიძლება მიხვდე, ვისოთმ, როგორ ადამიანებთან გაქვს საქმე. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ რეჟისორი თავიდანვე, პირველივე კადრებიდანვე პოულობს თავის მაყურებელს და მერე, მთელი ფილმის მანძილზე, ერთხელაც არ უცრუებს იმედს.

ფილმის მთავარი გმირები იბრი მილერი (მსახიობი ბრიტ რობერტსონი) და დევი პორჯენი (მსახიობი დილან ი'ბრაინი) ყველაზე მეტად, ალბათ, მანც ჰილდენ კოლდენ კოლფილდს ენათესავებიან.

რა მოხდებოდა, კოლფილდი რომ იბრის მსგავს გოგოს შეხვედროდა?

სელინჯერი ამ გზით არ წავიდა. მისი მიზანი იყო ბოლომდე ეჩვენებინა ის უფსკრული, რაც კოლფილდსა და რეალობას შორისაა გათხრილი.

ფილმი სხვა მიზანს ისახავს. რეჟისორს აინტერესებს, რა მოხდება, ამ ვულგარულ სამყაროში ორი მგრძნობიარ მოზარდი რომ შეხვდეს ერთმანეთს? სამწუხაროდ, რეალურ ცხოვრებაში ამგვარი რამ თითქმის არ ხდება, მაგრამ ხელოვნებაში ასეთი სასწაული შესაძლებელია.

განსხვავებული მიზანი განსაზღვრავს განსხვავებულ აქცენტებს. ფილმის გმირების მარტოსულობა, მათ მიერ გარესამყაროს მიუღებლობა მხოლოდ იმ დოზით უნდა გამოვლინდეს, რამდენიც საჭიროა იმსთოვის, რომ მათ ერთმანეთი დაინახონ. დანარჩენი ზედმეტი იქნებოდა. რეჟისორი ამჯერადაც ზუსტად იცავს პროპროციას. ამ თვალსაზრისით იგი მოხდენილად იყენებს თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის პოსტმოდერნისტ კრიტიკოსთა, კერძოდ, თუ არ ვცდები, ბოლორიარის ორიოდე იდეას.

მხედველობაში მაქს ის ეპიზოდები, როცა ბიჭი გეგმას ადგენს, როგორ უნდა „აუსენას სიყვარული“ საყვარელ გოგოს. თავისი განცდის გადმოსაცემად იგი თანამედროვე დასავლური სამყაროსთვის დამახასიათებელ სულ უფრო და უფრო მზარდი ინტენსივობის მქონე საინფორმაციო ნაკადებს „თეთრ ხმაურად“ მოიხსენიებს. ეს ხმაური ისეთი ძლიერია, რომ ყველას და ყველაფერს აყრუებს და იმორჩილებს. მისდა უნებურად იმორჩილებს ბიჭსაც. ამ აურზაურში, ამ ზათქსა და გრიალში მას საკუთარი გულის ხმაც კი აღარ ესმის, მაგრამ თეთრი ხმაური უკალოდ ქრება მაშინ, როცა მას საყვარელი არსება გაულიმებს და მის სახელს წარმოთქვას...

იბრი თავისი პრობლემის ასახსნელად ბიჭების ვულგარულობასა და ეგოისტობაზე კი არ წუნებებს, როგორც, ვთქვათ, ჯეინი, დღევანდელი რომეოს ეს თავისებური როზალინა, არამედ იწუნებს თანამედროვე სამყაროს, სადაც, რაც კარგი იყო, ჯერ კიდევ მათ დაბადებამდე განადგურებს. დღეს თვით სქესთა შორის ურთიერთობაც კი ჰომოგენიზირებული ანუ უაღრესად კომფორტული და მოსახერხებელი, მაგრამ სრულიად უემოციო, არარომანტიკული და არასაინტერესო გახდა. დღეს შეიძლება სოციალურ ქსელებში გაგრცელებული ტესტების მეშვეობით შინიდან გაუსვლელად საკუთარი თავის ზუსტი ასლი იპოვო. „მაუსის“ ერთი დანკაპუნება და ცხოვრების თანამგზავრი ნაშოვნია. რასაც მოჰყება ქორნილი, შვილები და გულზიდვამდე ჩაშაქურული ფოტოსურათების გამოფენა Facebook-სა და Twitter-ზე... დღეს ასე ეპოტინება უკადავებას ყველა უფერული ადამიანი. იბრისთვის ეს მოუღებელია. მას უნდა ისე იპოვოს თავისი სიყვარული, როგორც ეს ადრე ხდებოდა. ვთქვათ, ბარში; ან თუნდაც სახლის უკან, მყუდრო შესახვევში, თავაწყვეტილ ჯეელებს გარიდებული ბიჭის სახით.

მაგრამ პერსონაჟები უადგილოდ და გულისშემალონებად კი არ ფილოსოფოსობენ, როგორც შეიძლება ვინმეს მოერჩენოს, არამედ, უბრალოდ, საკუთარ განცდებს ერთგვარი ბავშვური თავმომნენებით გამოხატავენ. მართალია, დანარჩენი მათი თანატოლებისთვის ეს ენა, ალბათ, გაუგებარი იქნებოდა (მაგალითად, იმავე ჯეინს სიტყვა „ჰომოგენიზირებული“ მხოლოდ რეჯეს ასენებს), მაგრამ ამით მხატვრული სიმართლე არ ირლვეა: უგრძნობელი, მექანიკური უმრავლესობისგან განსხვავებით მგრძნობიარე ადამიანებისთვის ამ ასაში არც თვით-რეფლექსია უცხო ხილი, არც ინტენსიური კითხვა და არც თავმომწოდება.

მოკლედ, რეჟისორს ერთი წუთითაც არ ავიწყდება, რომ საქმე აქვს ბავშვებთან, რომლებიც, მართალია, თავიანთი შინაგანი ცხოვრებით უკვე სავსებით მოზრდილი ადამიანები არიან, მაგრამ პრაქტიკულად ახლა დგამენ პირველ ნაბიჯებს საპირისპირ სქესის ადამიანისკენ და ამიტომ ბევრ შეცდომას უშვებენ.

ობრი, ეს პატარა გოგო, რომელიც მომავალში, უეჭველია, ყველა თვალსაზრისით შესანიშნავი ქალი დადგება, უამრავ შეცდომას უშევებს, მაგრამ მას არ ეშლება მთავარი: იგი უძეც-დომოდ ხედავს ბიჭი ყოველივე იმას, რაც სხვებისთვის უხილავია – მის კეთილშობილებას, გულწრფელობას, მგრძნობი-არობას, მარტოობასა და ერთგვარ უმწეობასაც კა. და ის, რაც სხვებისთვის მხოლოდ გაუგებარი ახირებულობა თუ ხელმო-ცარულობაა და, რასაც მათვის გროშის ფასიც არ გააჩნია, ობრისთვის ნამდვილი ზეცის გახსნაა.

სიყვარული გაკვირვებით იწყება. ქალბატონი დე რენა-ლი გაოცდა, როდესაც ბავშვების აღმზრდელად ვიღაც ჭუჭქიანი და ტლანქი გლეხის ნაცვლად ხელში ფერმერთალი, თოთქმის გოგოსავით ნაზი, ნამტირალევთვალებიანი ყუულენი შერჩია. თავისი გარეგნობით გამოიჩინა ფილმის გმირი ბიჭიც, მაგრამ ეს საკ-მარისი არ არის ობრის ყურადღების მისაპყრობად. ლამაზი ბიჭი სხვაც ბევრია, მაგრამ ობრის ყურადღებას ვერავინ იპყრობს. გოგო ბიჭის განმარტოვებამ გააკვირვა. ეს საკმარისი აღმოჩნდა მსუბუქი ინტერესის აღსაძვრელად, მაგრამ ნამდვილი გაოცებით გოგო მაშინ გაოცდა, როცა ბიჭმა სხვა გოგოსთვის მომზადებული წერილი წაუკითხა. ბიჭს რომ ცოტა უფრო მეტი გამოცდილება ჰქონდა, გოგოს სახეზე ამოკითხავდა ყველაფერს – გაოცებას, აღფრთოვანებას, აღმოჩენის სიხარულს, სინაცულს იმის გამო, რომ ეს სიტყვები მას კი არა, ვიღაც სხვა გოგოს მიემართება... ეს ყველაფერი ობრის ცხადად ეხატება სახეზე, მაგრამ ბიჭს ჯერ არ შეუძლია ამის დანახვა. რეჟისორმა იცის, რომ ამ ასაკის ბიჭებს, განსხვავებით გოგოებისგან, ჯერ ბევრი რამის დანახვა არ შეუძლიათ. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ ინიციატივას ფარულად ობრი იღებს ხელში. ამ ორ ადამიანს შორის შინაგანი, უხილავი ძაფები უცებ გაიბა, მაგრამ ეს ძაფები ხილული უნდა გახდეს, რაღაც ფორმა უნდა მიიღოს, რაც არწოვა ისე იოლი პროჭესია.

ყოველი სიყვარულის ისტორია გაოცებით იწყება და ბრძოლით გრძელდება. ეს სქესთა შორის ურთიერთობის კველაზე დიდი საიდუმლოა. შეყვარებულთა აღერსი და მისი პიკი – კონტუსი – გარეგნულად ორი გააფთრებული ადამიანის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ჰგავს. შემთხვევითი არ არის, რომ ბავშვები მას სწორედ ასე აღიქვამენ. ქალ-ვაჟს შორის მენტალური, ფსიქოლოგიური ბრძოლა თავიდანვე, პირველივე წუთებიდან იწყება. სიყვარულის ისტორიის კველაზე ემოციური, ყველაზე საინტერესო, კველაზე მთრთოლვარე, ტკივილებითა და სიხარულით საგას პერიოდიც ეს არის.

სიყვარულიც თავისებური ომია. ამიტომაა, რომ ომის ხელოვნების ტერმინოლოგია სიყვარულის ხელოვნებაშიც გამოიყენდა. სიყვარულის ხელოვნებასაც გააჩინა თავისი სტრატეგია და ტაქტიკა. როგორც ყველა ომში, აქაც არსებობენ კარგი და ცუდი სტრატეგები და ტაქტიკები, შორსმატვრეტელი სარდლები, თავზეხელადგებული მეომრები და დაუნდობელი მევლელები. აქაც არსებობს სამართლიანი და უსამართლო ომები. ომებში თუ ქვეყნების, ქალაქებისა და სოფლების დაპყრობაზე ლაპარაკობენ, სიყვარულში იპყრობენ გულებს. გამოაცალეთ უიულენ სორელისა და მატილდა დე ლამოლის სიყვარულის ისტორიას ბრძოლის ელემენტები და ხელში შევრჩებათ ერთი უგემური, არაფრით გამორჩეული ამბავი. მაგრამ სიყვარულის ხელოვნება მაინც განსხვავდება ომის ხელოვნებისგან: ხშირად

სასიყვარულო ომებში ორივე მხარე გამარჯვებული რჩება.


„The first time“-ი უმთავრესად სწორედ იმით გამოიჩინება მსგავსი თემატიკის ფილმების აბსოლუტური უმრავლესობისგან, რომ მთელი ფილმი სინამდვილეში ქალ-ვაჟს შორის პირველივე კადრებიდან დაწყებულ ფარულ თუ აქარა სასიყვარულო ბრძოლას გვიხატავს, რომელიც ორივე მხარის გამარჯვებით უნდა დასრულდეს.

სტენდალის ეპოქედან დღემდე დიდი დრო
გავიდა. შეიცვალა თუ არა რამე სასიყვარულო
ომების ნარმოების ხელოვნებაში? თითქმის
არაფერო. ერთი ეგ არის, რომ თუ ადრე ბრძო-
ლები თვეების მანძილზე გრძელდებოდა და
დიდ გამძლეობას, გამჭრიახობასა და მოთმინე-
ბას მოითხოვდა, ფილმში ეს პროცესი უჩვეულო
სისწრაფით ვითარდება. ასე, რომ ჯერ კიდევ
პარასკევ სალამოს ერთმანეთისთვის სრულიად
უცხო ორ ადამიანს ორშაბათ დილისთვის უკვე
განცდილი და გადალახული აქვს სიყვარულის
ამ ფაზისთვის დამახასიათებელი ყველა მნიშვნე-
ლოვანი წინააღმდეგობა, დაბრკოლება და ტკივი-
ლი. ობრისაც და ბიჭასაც თამამად შეეძლოთ
იულიუს კეისრის სიტყვებით შეეჯამებინათ ეს
ორი ფლე: მიგვდი, გნახე, გაუმიმარჯვე.

მეორე მხრივ, კვირა დამტეს ბიჭს ისეთი გრძნობა უჩნდება, თოთქოს ობრის ასი წელია იცნობს და ესეც ბუნებრივია. ეს ორი დღე იმდენად სრული იყო ყველა თვალსაზრისით, რომ მას შეეძლო მთელი მათი მანამდელი ცხოვრება გადაეწონა. ამ ორი დღის სისრულე ზეგავლენას ახდენს ფილმის სტილზეც: ნანარმოებში ვერ ნახავთ ტექსტის-გან თვეისუფალ ვერც ერთ კადრს. ყოველთვის რაღაც ხდება, რაღაცას ლაპარაკობენ, რაღაცას არჩევენ, რაღაცის მოგვარებას ცდილობენ. ამავე დროს, ფილმში არ არს არც ერთი აზრობრივი ან კომპიზიციური შენაკადი, არავითარი გადახვევა. რეჟისორი ერთი ნუთითაც არ დაგასვენებთ რაიმე პანორამული კადრით ან პერზაუით. ვერც იძას გაიგებთ, სად, რომელ ქალაქში ხდება მოქმედება. მაგრამ ფილმის ყურებისას საერთოდ კარ იარნობათ ყოველივე ამის ნაკლებობას.

ეს არ არის რომანის სტილი. ფილმის ავტორი
დიდ ტილოს არ ხატავს. ეს უფრო ნოველაა ან ლირი-
კული ლექსი, დაწერილი დასავლური ხელოვნე-
ბის საუკეთესო ტრადიციების გათვალისწინებით.
ყურადღების ცენტრში ყოველთვის გოგო და ბი-
ჭია. და მთელი სამყარო ამ ორ ადამიანსა და მათ
ურთიერთობაში ეტევა.

სხევა მხრივ, არა მგონია, ბიჭისა და გოგოს რომანის ასეთი სისწრაფე მაინცდამანიც თანამე-დროვე აჩქარებული ეპოქის დამსახურება იყოს. მე მგონი, ეს უფრო ბიჭის „ბრალია“. საქმე ის არის, რომ ობრის ქალურ დაპლომატიკასთან შედარებით



ბიჭის „შეიარაღება“ მეტად მწირია. ფაქტობრივად, მას გარეგნობის, შინაგანი კეთილშობილებისა და გულწრფელობის გარდა არავითარი იარაღი არ გააჩნია. მაგრამ ეს სავსებით საქმარისი აღმოჩნდა ობრის გულის დასაპყრობად.

სინამდვილეში, იმ ნამიდან, როცა ბიჭი და გოგო ერთმანეთს შეხვდნენ, მათ უერთმანეთოდ გაძლების ალარავითარი შანსი არ დარჩათ. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, ელვისებური სისწავეთი გაბმულ შინაგან ძაფებს, ფორმა აუცილებლად სჭირდება. საამისოდ დარჩენილი ორი დღე სრულიად საქმარისი აღმოჩნდა.

შაბათ დილით, ობრის ტელეფონის ნომრის მოპოვების შემდეგ, საიმონ დოლდოი, ეს თავადი კორაზოვისა და მერკუციოს ცოტა ცინიკური, ცოტა კომიკური ვერსია, ბიჭს ურჩევს: ობრის ორი-სამი დღის შემდეგ დაურევე, ნუ აფიქრებინებ, რომ პირადი ცხოვრება არა გაქვს და მის იქით გზა არა გაქვს. სიყვარულის ხელოვნების თვალსაზრისით სწორი ჩრდილია. ბიჭს, ალბათ, იგივეს ურჩევდა ვიკონტი ვალმონიც. საერთოდ, სიყვარულის ხელოვნების თვალსაზრისით დოლდოის რჩევები თითქმის ყოველთვის უნაკლო. ბიჭი თავადაც ხვდება, რომ აჩქარება არ ივარგებს, მაგრამ გულს არ შეუძლია რაღაც მშრალ ნესებს დაემორჩილოს და მარტო დარჩება თუ არა, მაშინვე დაურევავს ობრის...

რომელი მოზარდი გამოუტყდებოდა ორიოდე საათის ნინ გაცნობილ გოგოს, ქალთან ჯერ არ ვწოლილვარო? არ დაგავწყდეთ, რომ ეს გოგო მასზე უმცროსია, თან გამოცდილი ქალის როლს თამაშობს და, საერთოდაც, კაცმა არ იცას, კიდევ ნახავს თუ არა როდისმე.

ობრის ეშმაქობა არ აკლია, მაგრამ ბიჭის ასეთი სინრფელე და დაუცველობა ისეთ მევეთო კონტრასტს ქმნის იმ გარემოსთან, რომელმიც ისინი ცხოვრობენ, რომ გოგოსაც აიძულებს უარი თქვას ქალურ დიპლომატიაზე და სიამოვნებით

მინებდეს საკუთარ გულში ზვავის სისწრაფითა და ძალით დაქარებულ სიყვარულს.

„The first time“-ი მე რომ გადამეღო, ერთი რამის გარდა ყველაფერს უცვლელად დავტოვებდი: პარსკევ ლამეს პოლიციის მიერ დარცეული წეულებიდან ფეხით წამოსულ ობრის და ბიჭს ათი კვარტალი აქვთ გასავლელი. მე ამ მანძილის გავლას ოდნავ მეტ დროს დავუთმობდი ერთადერთი მიზეზის გამო – იმისათვის, რომ გოგოსა და ბიჭს მეტი ელაპარაკათ ერთმანეთთან. ის, რაც ფილმშია, მხოლოდ პატარა ფრაგმენტია იმ საუბრისა, რაც ათი კვარტლის გავლისას უნდა ჰქონდათ გოგოსა და ბიჭს. ეს საკმარისია იმისთვის, რომ პერსონაჟების მომავალმა ქმედებებმა მოტივაცია არ დაკარგონ, დანარჩენი იგულისხმება; მაგრამ საუბარს მე მაინც მეტ დროს დავუთმობდი. ელაპარაკათ უმნიშვნელო წვრილმანებზე, ელაპარაკათ თინერჯერული უარგონით, მაგრამ ელაპარაკათ. ვერაფერი შეედრება ასეთი გოგოსა და ბიჭის საუბარს. აღარც იმის გასაგებად დასჭირდებოდა ვინებს ფანტაზიის დაძაბვა, რატომ იგრძნო ბიჭმა ობრისთან ერთი თუ ორ საათიანი ურთიერთობის შემდეგ თავი ბედნიერად, რაც თავადვე ეჩვენება უცნაურად. და რატომ გაუჩინდა სხვა დროს სხვა ბიჭებთან ურთიერთობაში თავშეკავებულ და მიუკარებელ ობრის სურვილი, პარასკევ საღამოსვე თავის ოთახში აეყვანა ბიჭი.

ობრი ერთდროულად ქალიცაა და ბავშვიც. საერთოდ, ყველა საყვარელი ქალი, თუნდაც მოზრდილი, რაღაც მოუხელთებელი ალქიმიით, შეყვარებული მამაკაცისთვის ქალიცაა და ბავშვიც. ამ შემთხვევაში ეს ალქიმია ორმაგი ძალით „მუშაობს“, რადგან ობრი თანხიჯერია და ბუნებრივადა ერთდროულად ქალიცა და ბავშვიც. ქალური ბუნების ამგვარი თავისებური ამბივალენტურობა ამავე დროს მისი მთავარი იარაღია მამაკაცთან გამართულ სასიყვარულო ომში. საინტერესო ის არის, რომ, ჩვეულებრივ, ქალები ამ იარაღის ხმარებას ინსტინქტურად ახერხებენ და არცოთ ურიგოდ.

პირველივე წუთებიდან ობრიში ხან ქალი იმარჯვებს და ხან ბავშვი.

იგი ქალია, როცა პარასკევ საღამოსვე ძალიან რბილი, თითქმის შეუმჩნეველი დაუინებით საკუთარ ხელში იღებს ბიჭთან ურთიერთობის ნარმართვის ინიციატივას და საჭირო მომენტში ისეთ რამეს სთავაზობს მას, რაზეც ბიჭს უარის თქმა არ შეუძლია.

ქალია მაშინაც, როცა შაბათ საღამოს თავის ბოიფრენდთან დაცილების შემდეგ მანქანაში ბიჭს ხელს გამოართმევს, თან ეუბნება, არ გეგონოს რონის შენს გამო დავცილდი და პირდაპირ შენ ჩამოგეებდები ისერზეო, თან მისი ხელი ლოყასთან მიაქვს, ეფერება და მერე კოცნის.

მაგრამ ბავშვია, როცა პირველი სექსის შემდეგ ისედაც დაბრეულსა და განადგურებულ ბიჭს უნებლიერ შეცდომას არ აპატიებს და დაუნდობლად ატკენს გულს.

და ისევ ქალია, როცა გააცნობიერებს საკუთარ სისასტიკეს და სასონარკვეთილი ფიქრობს, რომ ყველაფერი გააფუჭა და ბიჭს ველარასოდეს ნახავს, მაგრამ მაინც მისგან მოელის პირველი ნაბიჯის გადმოდგმას.

ობრი ქალია ორმაბათ დილითაც, თეორად გათენებული ლამის შემდეგ, როცა ბიჭი მართლაც გადმოდგამს პირველ ნაბიჯს, ხოლო თვითონ ისე დამალავს უეცრად ნიაღვარივით

მოვარდინილ წამლეკავ სიხარულს, რომ ბიჭი ვერაფერს მიხვდება.

და კვლავ ბავშვია, როცა იმავე ორშაბათ დილით სკოლასთან დამშვიდობების შემდეგ ველარ გაუძლებს ამდენ დიპლომატიას, გრძნობების სიჭარბისაგან გული ამოუჯდება, შემობრუნდება, გამოიქცევა და კისერზე ჩამოეკიდება მანქანასთან მდგარ ბიჭს.

ფენომენალურად ზუსტია ობრის ცივი, მყაცრი და გულ-გრილი ხმა და ასეთივე გამომტყუელება მაშინ, როცა პარასკევ ღამის ბიჭს თავის ოთახში ასვლას შესთავაზებს. იგი ცდილობს გამოცდილი ქალის როლი ითამაშოს და ახერხებს კიდევ ამას. ბიჭი ემორჩილება ამ თამაშს, მაგრამ მაყურებელი არ უნდა მოტყუდეს. ღვინის ბოთლის გახსნის დროს ჩანს, სინამდვილეში როგორ ნერვიულობს და როგორ ეშინა იბრის. მაგრამ მას შეუძლია ამ შიშის გადალახვა, რადგან ქალური ინტუიციით გრძნობს, რომ უფრო კეთილშობილი, უფრო სუფთა და ამიტომ ისეთი სრულიად არასაშიში ადამიანი, როგორიც ეს ბიჭია, ჯერ არ შეხვედრია.

და ის არ ცდება.

იმ ორიოდე საათის განმავლობაში, რაც ამ ადამიანებმა პარასკევ საღამოს მოასწრეს ურთიერთობა, ბიჭს რომ ოდნავ მაინც გამოეჩინა ჩევეულებრივი თინეიჯერული სიტლანქე, ან ოდნავ მეტი ინიციატივა გამოევლინა, სულ ოდნავ მეტი მამაკაცური და უინდება, მოვლენები სხვაგვარად განვითარდებოდა: ობრი ალარ შესთავაზებდა თავის ოთახში ასვლას და საერთოდ, ასეთ შემთხვევაში, როგორც ითქვა, ორ დღეში ვერ მოესწრებოდა იმდენის განცდა და გადატანა, რამდენიც გოგომ და ბიჭმა ასეთ მოკლე დროში განიცადეს და გადაიტანეს. მაგრამ ბიჭი არც თამამია და მით უმეტეს არც ტლანქი. გოგოსთან ურთიერთობაში ის უფრო მეტადაა ბავშვი, ვიდრე ობრი, თუმცა ასაკით გოგოზე უფროსია. იგი ნამდვილი რომანტიკოსია. ის არ თამაშობს – შინაგანი სისუფთავე მას ამის არც უფლებას აძლევს და არც საშუალებას. მას არავითარი შანსი არ ექნებოდა მატილდა დე ლამოლის ტიპის გოგოსთან ურთიერთობაში, მაგრამ ობრი, ისევე როგორც თავის დროზე ქალბატონი დე რენალი, დაღლილი და იმედგაცრუებულია საპირისპირო სქესის წარმომადგენელთა სიტლანქითა და უხამსობით. ამიტომ სინამდვილეში არაფერს და არავის შეუძლია ბიჭისადმი ობრის სიყვარულს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს – არც ბიჭის გამოუცდელობას, არც უმწევებოს, არც ჯეინს და არც ობრის ძეველ ბოთრებდს, არავის.

მამაკაცის ასეთი ტიპი ჯერ კიდევ ფრთილდმა აღწერა. მას საყვარელი ქალის გაღმერთებისკენ აქვს მიღრეკილება. სექსუალურ იბიექტად კი რომანტიკოს მოზარდს მხოლოდ ისეთი ქალი ჰყავს წარმოდგენილი, რომელიც მის ინტერესსა და პატივისცემას არ იმსახურებს. მას არ შეუძლია ობრის მიმართ თუნდაც სულ უბრალო სულსწრაფობა ან უხეში სექსუალური ლტოლვა გამოავლინოს. თვით ალერსის დროსაც კი ვერ ბედავს იგი ობრის მკერდზე შექმნოს. რეჟისორი გვაჩვენებს, როგორ დაცურავს მისი აკანალებული ხელი ობრის სხეულის შედარებით „ნეიტრალურ“ ადგილებში, რა ფრთხილად ეხება იგი გოგოს სამოსს, როგორ უახლოედება და როგორ კვლავ და კვლავ შორდება მკერდს. მის ცნობიერებაში სექსუალური აქტი რაღაც მეტის-მეტად ტლანქი, მეტისმეტად უხეში და პირუტყული საქციელია საიმისოდ, რომ საინტერესო ქალი ამით „შეურაცხყოს“. მან ჯერ არ იცის, რომ სექსუალური აქტის პრიმიტიული და უხეში ბუნება სწორედ საყვარელ ქალთან სიახლოვის დროს გარდაიქმ-

ნება სრულიად საპირისპირო ხარისხის ენერგიად და სწორედ ამ ტლანქი და ვულგარული მატერიალური სამყაროს კლანგებიდან გასხლტომის საუკეთესო საშუალებად იქცევა. ეს ჯერ არც ობრიმ იცის, მაგრამ მას, განსხვავებით ბიჭის გან, გამომდინარე თავისი ქალური ბუნებიდან, საყვარელი მამაკაცისკენ ლტოლვაში „რომანტიკული კომპლექსი“ არ უშლის ხელს. მას მოსწონს, რომ აღმერთებები, მაგრამ იგი ბოლომდე ვერ შეეგუება ქალდმერთის როლს. ბიჭს ობრიმ უნდა გადაალახვინოს კომპლექსი. ეს ასეც მოხდება, მაგრამ არა უმტკივნეულოდ.

ყინული პარასკევ დამესვე დაიძრა. ინიციატივა გოგოს ხელშია. ისევე, როგორც იდესლაც მადრიდში სტუმრად ჩასულმა და უცხო ქალაქში გზაბანებულმა და დაკარგულმა ობრიმ ძველი ქალაქის სილამაზე მხოლოდ მას შემდეგდა აღიქვა, როცა უცრად დამშვიდდა და უკან დასაბრუნებულ გზაზე დაუინტებული ფიქრის ნაცვლად გარშემო მიმოიხედა, ახლაც ბიჭთან ურთიერთობის მთელი პოეზია სრულყოფილად მხოლოდ მას შემდეგ შეიგრძნო, როცა იმაზე კი აღარ ფიქრობდა, რა ეთქვა და როგორ მოქცეულიყო, არამედ დამშვიდდა, მოღუნდა და საკუთარ გულს დაუგდო ყური. და მან თავისი ქალური ძალაუფლებით ბიჭიც აიძულა ეს შეეგრძნო. დღევანდელი ცინიკური სამყაროსთვის მეტისმეტად პოეტური სურათია: წვანან იატაკზე დაფენილ ხალიჩაზე „მადრიდში დაკარგული“ გოგო და ბიჭი, მათი სხეულები ერთმანეთს სულ ოდნავ ეხება, და განძრევის ეშინიათ...

ასევე ჩაეძინათ.

ასევე დაათენდათ.

გაღიძებულები ერთმანეთის დანახვაზე უცხოებივით გველნაბენებივით უნდა წამოხტენ ფეხზე, მაგრამ იმავე დღეს უნდა გააცნობიერონ, რომ წინა ღამეს ერთად გატარებული რამდენიმე საათი უბედინერესი დღო იყო მათ ცხოვრებაში და ხელახლა, ამჯერად უკვე დაუძლევები ძალით უნდა მოინდომონ „მადრიდში დაბრუნება და დაკარგვა“. სულ მაღლ შეეცდებიან კიდევ ამის გაეთებას. ეს უკვე კვირა საღამოს მოხდება. მაგრამ მათ ჯერ არასოდეს ულაპარაკიათ სხეულის ენით, ჯერ არ განუცდიათ „სხეულში დაკარგვა“, ამიტომ ჯერ ვერც „მადრიდში დაიკარგებიან“ წამდვილი დაკარგვით.

სხეულის ენაზე ბუნებრივი ამქვეყნად ცოტა რამ არის, მაგრამ ამ ენას მაინც სჭირდება სწავლა და შეჩევა. ამ ენაზე დაღაპარაკების პირველი მცდელობა ყოველთვის და ცეცხლის პროცესშია, რადგან პირველად ვერაფრით ვერ ხერხდება „უკან დასაბრუნებელ გზაზე“ ფიქრის შეწყვეტა. მაგრამ ვინც არ ცდის, ის ვერასოდეს სწავლობს.

რეჟუსორმა ამ ძველისძველი თემის დამუშავებისას ბენვის ხიდზე გაიარა, რადგან, მე მგონი, რაიმე, თუნდაც მცირე შეცდომის დაშვების ყველაზე მეტი შანსი სწორებ ამ ეპიზოდის გადაღების დროს არსებობდა. ფილმის ავტორს არც ამჯერად ულალატა სტილის გრძნობამ.

ყველაფერი დამთავრდა, რუბიკონი გადაიღახა.

ღიმილის მომგვრელი სცენაა, მაგრამ ვერ გაიღომებ, რადგან ხვდები, რას უნდა გრძნობდეს სანოლზე ჩამოჯდარი, წელზევით შიშველი, გაოგნებული და თავზარდაცემული ბიჭი. აბაზანიდან წყლის ჩერიალი ისმის. ონკანის დაკეტვის ხმაზე დაბნეული ნამოდგა (ოთახში იბრი უნდა შემოვიდეს) და სასწრაფოდ იატაკზე დაგდებული მაისური გადაიცვა. ჩანს, რომ ამ ორ დღეში ერთმანეთისკენ ასე სწრაფად და იოლად გავლილი უზარმაზარი მანძილი რალაც ძალამ თითქოს ორჯერ მეტად დააგრძელა...

ასევე ღიმილის მომგვრელია, მაგრამ ვერც მაშინ გაიღომებ, როცა ბიჭი თავის პირველ სექსს დაახასიათებს სიტყვით „უცნაური“, ხოლო გოგო სიტყვით – „უსიამოვნონ“. რა თქმა უნდა, ორივე სწორია. გოგოს ცნობიერებაში პირველი სექსუალური გამოცდილება, ბუნებრივია, მირთადად ფიზიკურ ტკივილს დაუკავშირდა, ამიტომ იგი შედარებით იოლად ახერხებს მასთან გამკლავებას. ქალური ინტუიციის კარნასით იგი ბიჭის დამშვიდებასაც კი ცდილობს. მაგრამ ეს ასე იოლი არ არის, როგორც მას ნარმოუდგენია.

ბიჭისთვის ეს ნამდვილი შეკია ყველა თვალსაზრისით: ფსიქოლოგიურად, ესთეტიკურად, სექსუალურად... იგი თავს მოტყუებულად და დამაშავედაც კი გრძნობს. მას იმედი გაუცრუვდა, მაგრამ შეიძლება ის უფრო ანუხებს, რომ გოგოსაც გაუცრუა იმედი. იგი სულ სხვას ელოდა და სულ სხვა რამ მიიღო. რატომდაც დარწმუნებულია, რომ სექსი, თუნდაც პირველი, ასეთი „უცნაური“ არ უნდა ყოფილიყო. ასეთ მდგომარეობაში ძალიან იოლია შეცდომის დაშვება. და, აი, ის მზადაა ეს „უცნაურობა“ ისეთი სისულელით „ახსნას“, როგორიცაა ურთიერთშეუთავესებლობა. მას აზრად არ მოსდის უფრო მარტივი და ამიტომ უფრო სწორი ახსნა მოძებნოს. ბიჭი ვერ ხვდება, როგორ შეურაცხოფს ამით გოგოს. იგი განადგურებულია.


განადგურებულია გოგოც, რადგან ბიჭის „ნინტერპრეტაციას“ პირად შეურაცხოფად იღებს და ქალური შურისძიების გრძნობით ატანილი უარესი შეურაცხოფით მაშინვე უხდის სამგიეროს. ასე იქმნება ჩიხი, ანუ ისე, რომ ჯერ ნესიერად არც კი დაწყებულა, შეიძლება ყველაფერი დამთავრდეს.

Big corporation-ი მართალია: არ შეიძლება ასეთი გოგოსა და ასეთი ბიჭის ურთიერთობა

ამით დამთავრდეს. იგი უნდა გაგრძელდეს, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხერხდება, თუკი ბიჭი „გაიზრდება“ და როგორც მამაკაცს შეეფერება, ორივეს ტვირთს თავისი თავზე აიღებს ანუ საკუთარ სისულელესაც აღიარებს და ობრისაც აპატიებს ქალურ დაუნდობლობას. ბიჭი ამას ორშაბათ დილით მისთვის ჩვეული მანერით – მაქსიმალური გულწრფელიბითა და კეთილშობილებით გააკეთებს. ობრის შეუძლია საკუთარ თავს მოულოცოს: მას ნინ დიდი ბედნიერება ელის, რადგან ამიერიდან იმ კაცის გვერდით იქნება, ვინც ასე ძალიან უყავრს და ყოველთვის შეეძლება თავი თვითონაც არა მხოლოდ ქალ-ლმერთად, არამედ საყვარელ ქალადაც იგრძნოს. ამიერიდან მის გვერდით უკვე ნამდვილი მამაკაცი დგას...

4.

2007 წელს გამოსულ თავის პირველ ფილმში „In the Land of Women“ ჯონ კეზდანმა აშკარად ავტობიოგრაფიული მთავარი გმირის პირით, რომელიც მასავით მზერალი და სცენარისტია, თქვა: თერთმეტი წელია უფროს კლასელებზე მინდა სცენარის დანერა და ვერა და ვერ მოვაბი თავიო. სასიამოვნოა, რომ მან ბოლოს და ბოლოს არათუ სცენარი დანერა, ფილმიც გადაიღო და იდეალურ სამყაროზე თავისი ოცნება ასეთი ფორმით გაგვიზიარა. როგორც ამბობენ, რეჟისორი თვითონ სწორედ უფროს კლასელი იყო, როცა განუკურნებელი სენის დიაგნოზი დაუსვეს. კონკრეტულად როგორ აირევალა მაშინ მის ცნობიერებაში ეს თავზარდადმცემი ამბავი და რა გამოცდილება მიიღო მან ამის შემდეგ სკოლაში, არ ვიცი, მაგრამ ხელოვნებაში ყოველივე ამან „The first time“-ის სახე მიიღო. შეიძლება მას სწორედ სწეულებამ მისცა ძალა საიმისოდ, რომ სულ უფრო და უფრო მზარდი აურზაურით დაყრუებულ დღევანდელ სამყაროში ასეთი ფაქტი, ფრანგული ლექსიით ნაზი და სევდიანი სიმღერა ემღერა მგრძნობიარე ადამიანებზე, რომელიც აღარავის ესმის. ერთმანეთს ათიათასობით კილომეტრი რომ არ გვაშორებდეს, ავდგბილი, მივიღოდი და ამ კაცს სიტყვის უთქმელად ხელს ჩამოვართმევდი. ვწუხვარ, რომ ამის გაკეთება არ შემიძლია...





საქართველოს კულტურისა
და ეგლისა დაცვის
სამინისტრო

ქურნალი გამოდის საქართველოს
კულტურისა და ეგლისა დაცვის სამინისტროს
მხარდაჭერით



0.74/48

— уються — мовляв, —
млі починають переверта-
ваючи ліктями холодну гли-
нлю. Як воно — закопувати
св собака кістку,
екаючи, коли небо
тане до тебе прихильніши-
дя яких подібні ритуали с-
маю на увазі, насамперед
їм доводилось бачити
їх смуток охоплює ци-
тавників російських
ж з'їжджаютьс-
а, аби за-

